

ანა დრანსე

## შამილის ტყვე ქალები



გამოხვევლება  
არტაცევი

„სამი მუშეტერის“ ავტორი ალექსანდრე დიუმა რომ კავკასიონსაკენ დიდი ფართიფურთით გამოიჭრა და ცნობილი წიგნი „კავკასია“ შექმნა, იცით, საამისოდ რამ უბიძგა? – მადამ დრანსეს „შამილის ტყვე ქალებმა“, რომელიც პარიზში 1857 წელს გამოიცა და რომლის შესახებაც დიუმა წერდა: კავკასიისა და შამილის ამბები ამ წიგნში ისეა აღნერილი, როგორც ეს ქალის დაკვირვებულ თვალს შეეფერებაო.

მადამ დრანსე ქართველებსაც და ლეკებსაც მამაც, რაინდული ბუნების ხალხად გვიხასიათებს და მათ შორის მომხდარ შეტაკებებს ცარიზმის იმპერიულ დანაშაულად მიიჩნევს.

ეს წიგნი კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიასაც, მათ ურთიერთობებსაც ეხება და ცნობილ ისტორიულ პირთა (შამილის, გრიგოლ ორბელიანის, დავით ჭავჭავაძის, ჯემალ-ედ-დინის...) უტყუარ პორტრეტებსაც გვაწვდის.

თარგმნა, პერვანები და ფოტომასალა დაურთო

### მურმან თავდიპლომა

მიმორი გამოცემა

ISBN 978-9941-421-08-2

© მურმან თავდიპლომი, 2010.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2010.

# I

## თბილისიდან გამგზავრება. ნინაძეალი

ზოგიერთი კეთილმოსურნის რჩევით, არ ვამბობ, კეთილის-მყოფლისა-მეთქი, რადგან ისინი ყველას ერთნაირი გულუხვობით სთავაზობენ თავიანთ რჩევას, მე გადავწყვიტე დამეტოვებინა ჩემი ძვირფასი სამშობლო საფრანგეთი და ბეჭი მეძია უცხო მიწაზე. როდესაც თბილისს, საქართველოს ძველ დედაქალაქს, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის მეფისნაცვლის ახლანდელ ადგილსამყოფელს მივაღწიე, ისღა დამრჩენოდა, შევსდგომოდი ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანას. ძალზე ადვილი გეჩვენება ასეთი განზრახვის აღსრულება, ნამეტნავად მაშინ, როდესაც გულუბრყვილოდ გჯერა მრჩევლისა, მაგრამ სინამდვილეში მისი მიღწევა ერთობ ძნელი აღმოჩნდა. ვის არ ვთხოვე, დამხმარებოდა ისეთი ადგილის მიღებაში, რომელიც ჩემს მიზნებს შეეფერებოდა, მაგრამ ყველა უცნაურად აჭყეტდა თვალებს; თუმცა ზოგიერთი ასეთი შეკითხვის ლირსად მაინც მთვლიდა: კი, მაგრამ, ფული გაქვთ? ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ერთი პირობა ვფიქრობდი, რომ აქ არ იყვნენ ისეთი კეთილი ადამიანები, როგორიც საფრანგეთში, რომ აქ ხალხი შურიანია, და ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სხვა გზების ძიება დავიწყე, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ბოლოს ერთმა შემთხვევამ აზრი სავსებით შემიცვალა. საჭიროდ და აუცილებლად არ მიმაჩნია, რაიმე ვთქვა იმის შესახებ, თუ რა შეადგენდა ჩემს მიზანს, რადგან იგი არ განხორციელებულა, თუმცა მსურველს ამის თაობაზე შეუძლია გაიგოს საჰაერო ციხე-კოშკების საქმეთა არქივში.

ასეა თუ ისე, ტყუილად როდი უთქვამთ: „ეძიებდე და ჰპოვებდე“ . შემომთავაზეს გუვერნანტის ადგილი. ახლა საფიქრებლად ეს გამიჩნდა – როგორ გავძლოლოდი მეცადინეობას – ამ საქმისა ხომ ბევრი არაფერი გამეგებოდა? ბოლოს მომაგონდა, რომ ცოტა ხანს ადრეც მიმუშავია აღმზრდელად, რომ თვითონვე გავზარდე საკუთარი ვაჟი და რომ, ბოლოს და ბოლოს, წინადადებას მაძლევენ ახლა პანაზინა ბავშვებს ვასწავლო, თუმცა თვით მამაზეციერმაც კი არ იცის, რა, და დავთანხმდი. ასე და ამგვარად, 1854 წლის დამდეგს პირველად შევდგი ფეხი თავად ჭავჭავაძის ოჯახში, როგორც მისი ორი უფროსი გოგონას დამრიგებელმა. გადაუჭარბებლად ვამბობ: ჩემი მდგომარეობა ამ სახლში სწორედ რომ შესაშური გახლდათ. თავადი ჭავჭავაძე,<sup>1</sup> ერთ-ერთი უკეთილშობილესი ქართული გვარის წარმომადგენელი და მისი მეუღლე ანა,<sup>2</sup> საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის შვილიშვილი, დიდ ყურადღებას მაქცევდნენ და ალერსიანად მეპყრობოდნენ. აღსაზრდელებითაც კმაყოფილი დავრჩი. ესენი იყვნენ მომხიბებულელი პანია არსებანი – თვინიერნი და ჭკვიანნი, რომლებიც პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა და შემიყვარდა გულმხურვალედ. ჩემი ცხოვრება წარიმართა წყნარად და აღუშფოთებლად, სწორედ ისე, როგორც მსურდა და აღარაფერი დამრჩენოდა, ბედის კურთხევის გარდა.

დადგა გაზაფხული. მდიდრულმა სამხრეთულმა ბუნებამ გამოიღიძა. გონებაში მთელი თავისი სიმშვენიერით მესახებოდა სოფლური ცხოვრება. კნეინა ჭავჭავაძე ამ დროს ჩვეულებრივ ტოვებდა ხოლმე თბილისს მისი მცხუნვარე დღეების გამო და მთელს ზაფხულს კახეთში, თავის ვრცელ მამულში – წინანდალში ატარებდა, რომელიც ამ ქალაქიდან 90, ხოლო თელავიდან 7 ვერსზე მდებარეობდა. აქ, ქმრის მშობლიურ სახლში, იგი მიეცემოდა ხოლმე იმ ნეტარ განცხომას, რაც სამხრეთელთა დამახასიათებელი თვისებაა. ხედი ამ სასახლიდან მომხიბვლელია. მის წინაშე, თვალმიუწვდომ სივრცეზე, გადამლილია ალაზნის ველი, რომელსაც სამართლიანად შეიძლება უწოდო ბუნების საოცრება.

ეს საკვირველი ხალიჩა გემოვნებით არის მოქსოვილი სოფლების, ზვრების, ბაღების, ტყეების, მინდვრებისა და კორომების მიერ. მას შორეულსა და იდუმალს ხდის მსუბუქი ნისლოვანების თხელი, ფაქიზი, საუცხოო მოხატულობანი. ველს შუაზე კვეთს ალაზნის ფართო ზოლი, ხოლო იქით, მოშორებით, ქალწულებრივად ხასხასა, ხშირი ტყეებით დაფარული ცადაზიდული მთები მიჯარულან. ძნელად წარმოიდგენთ ამ ველზე უშესანიშნავეს ადგილს. ასევე არანაკლებ ძნელია იპოვო ქვეყანა, რომელიც ამაზე მეტად იყოს დაჯილდოებული ბუნების სიკეთით. უდავოდ ეს იქნებოდა ამიერკავკასიის საუკეთესო კუთხე, საშინელი უბედურება რომ არ სჭირდეს. მისი მიუდგომელი მთების გადაღმა შეფარებული არიან ლეკთა ყაჩაღური ტომები, რომლებიც ხან დიდი რაზმებით, ხანაც პატარ-პატარა გუნდებით მოულოდნელად აცხრებიან ამ კუთხის მცხოვრებთ, ანიოკებენ, ძარცვავენ, ხოცავენ ანდა ტყვედ მიჰყავთ.

ივნისის დამდეგს კნეინამ გამოაცხადა, რომ წინანდალს ეწადა წასვლა თავისი გოგონებიანად. ორი უფროსი გოგონა – სოფიო და მარია, ვთხოვე, ჩემთვის მოენდო. სხვა ბავშვებს კი, ძალზე მცირე ასაკისანი რომ იყვნენ, ჩემი სამსახური არად გამოადგებოდათ: თამარს ჯერ კიდევ არ მიეღწია ოთხი წლისათვის, ხოლო ალექსანდრე და ლიდია ძუძუს წოვდნენ.

სწორედ ამ ხანებში ქალაქად ხმა დაირჩა: შამილი კახეთზე დაცემას აპირებს ლეკთა დიდი ლაშქრითო. ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვჯეროდა ამგვარი ხმებისა, და მით უფრო ნაკლებად ვფიქრობდით იმ საშინელ უბედურებაზე, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ ყველას გვხვდა წილად. თავადმა მაინც საჭიროდ ცნო, შეემონმებინა ამ ხმების სისწორე. ცნობებმა, რაც მან სანდო წყაროებიდან შეაგროვა, იგი სავსებით დაამშვიდა და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია ჩვენი გამგზავრებისათვის.

დაიწყო მზადება, რასაც რამდენიმე დღე დასჭირდა. აზიაში ასეთი ჩვევა აქვთ: მსგავს შემთხვევებში არა მარტო მგზავრობისათვის აუცილებელი და საჭირო ნივთები მიაქვთ თან, არამედ

ყოველგვარი მოძრავი ქონებაც, და ჩვენი ჩვეულებრივი გამგზავრება გადასახლებას დაემსგავსა. სახლში დაიწყო უჩვეულო საქმიანობა. დიდად გამიკვირდა, საყიდლებზე წასვლა-წამოსვლისა და ვიზიტების შემდეგ, რა გრძელ მწკრივად გაიჭიმა ზედა სართულიდან ურმებამდე დივნები, სკამები, ნოხები, სარკეები და ა.შ. სამზარეულო ჭურჭლის ჩათვლით. ამას მოსდევდა სხვადასხვა სუნელ-სანელებლები, ჩაი, შაქარი, ძაფები, შალეული, აპრეშუმი, სათამაშო კარტი, ცარცი (რუსეთში ცარცის თამაშის დროს იყენებენ და წარმოუდგენელიც კია, ამ მიზნით ისე ბევრს ხარჯავენ) და მრავალი სხვა ნივთი, რაც მდიდარი და ხალხმრავალი თავადის სახლობის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. არ დავიწყებოდათ არც ტანსაცმლის ფარეშები, ჩითის ცალები, ხამი ტილო, ნარმა, ბამბის შეღებილი ქსოვილი და სხვ.

ყველაფერი ეს ჩაალაგეს, შეკრეს, შეფუთეს დიდი აკურატულობით. გვინდოდა კვირა დილით გავსულიყავით, მაგრამ სადგურზე თავისუფალი ცხენები არ აღმოაჩნდათ და ამიტომაც სამშაბათს გავემართეთ; მართალია, ორშაბათსაც იყო შესაძლებელი გამგზავრება, მაგრამ რუსები და ქართველები ამ დღეს არაფერს სერიოზულს არ აკეთებენ, რადგან იგი ბედნიერ დღედ არ მიაჩნიათ. თბილისიდან ალიონზე გავედით, 18 ივნისი იდგა (ძვ. სტ.). გავცდით თუ არა კახეთის საგუშავოს, სუფთა ქართორია შემოგვეფეთა და ვიგრძენით, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავი დავალნიერ ქალაქის სულის შემსუთავ მტკვერსა და აუტანელ ხვატს. ლრმად, მთელის მკერდით ვსუნთქავდით და, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთ ნეტარებას განვიცდიდით.

მგზავრობა ორ დღეს გაგვიგრძელდა. ალსანიშნავიც ბევრი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მგზავრობის პირველსავე დღეს ორი ურემი გადაგვიბრუნდა. ყოველ სადგურზე დასვენებული ცხენებით გვამარაგებდნენ და ასე მივიწევდით წინ ოდნავ ზეანეული განწყობილებით ალსავსენი: ჩვენ მიგვაცილებდნენ თავად ჭავჭავაძის ცხენოსანი გლეხები; ისინი გზაზე რიგრიგობით გვხვდებოდნენ როგორც მემამულე ქალი-

სათვის თავიანთი პატივისცემის გამოსახატავად, ისე სახიფათო ადგილებში გავლისას ჩვენი დაცვის მიზნით. მეორე დღეს ეტლი გაგვიტყდა და იძულებული გავხდით, მოგზაურობა საფოსტო საზიდრით დაგვესრულებინა. იგი თივით მოფინეს და ზედ ნოხები დაგვიგეს. ოთხთვალამაც გაიხრიგინა დამშრალი მდინარის ქვით მოფენილ კალაპოტზე.<sup>3</sup> შემდეგ გზას ორსავე მხარეს მიუყვებოდა დიდრონი აყვავებული ბრონეულის ხეები. აზის მრავალფეროვანი მცენარეული საფარი აქ მთელი თავისი დიდებულებით წარმოდგა. ბოლოს, როგორც იქნა, დაახლოებით ორი საათისათვის, გორაკებს შორის გამოჩნდა წინანდლის სასახლე, რომელიც ზედ უფსკრულის პირას იყო წამოზიდული. საზიდრით მგზავრობისაგან უზომოდ დაღლილები ძლივძლივობითა და გაჭირვებით ავლასლასდით სახლამდე მთის ვიწრო ბილიკით და, ამგვარად, ჩვენი მგზავრობის მიზანიც მიღწეული იყო.

მცირე შესვენებისა და გლეხების გამაბეზრებელი მისალმებებისაგან თავის დალწევის შემდგომ კნეინამ ხელი მომკიდა და თავის შესანიშნავ ბალში შემიძლვა. ვაზის საუცხოო ხეივნებმა, უასმინის ფანჩატურმა, საუკეთესო ხეხილმა აღმაფრთოვანა. იმათ რომ მივესიყვარულეთ, გემოვნებით მოწყობილ ყვავილნარში გადავინაცვლეთ. ბავშვივით გახარებული დავრბოდი ვარდებსა, ბრონეულის, ლიმონის, ფორთოხლის ხეებსა და კაპრიფოლიებს შორის. ისინი ჰაერში დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ. ათასგვარი სიამოვნება გვესახებოდა ამ ჯადოსნურ ბალში! და რას წარმოვიდგენდით, თუ ამ განსაცვიფრებელი სამოთხიდან სულ მალე საშინელ ჯოჯოხეთში ამოვყოფდით თავს?!

ჩვენი ჩამოსვლიდან სამი დღე იყო გასული, რომ გვესტუმრა ბარბარე ორბელიანი,<sup>4</sup> კნეინა ანა ჭავჭავაძის ღვიძლი და 7 თვის ვაჟიშვილით – თავად გიორგითურთ და 18 წლის მულიშვილით, თავადის ასულ ნინო ბარათაშვილითურთ.<sup>5</sup> მას თან ახლდა აგრეთვე გიორგის ძიძა და ორი მსახური ქალი. თბილისის სიცხეებით შეწუხებული, რასაც შეეძლო ცუდად ემოქმედა მისი ვაჟის სათუთ ჯანმრთელობაზე, ისიც წინანდლის ციხე-დარბაზ-

ში ეძიებდა შვებას, მაგრამ უფრო მეტად იგი აქ მოიყვანა თავს დატეხილმა უბედურებამ: იმ დროისათვის სამი თვეც არ იყო გასული, რომ მისი ქმარი, თავადი ილიკო ორბელიანი, მოკლეს თურქებთან შეტაკებისას<sup>6</sup> და უნუგეშოდ დარჩენილი ქვრივი მახლობელ ადამიანთა შორის ლამობდა დარდის შემსუბუქებას.

ნინანდალში უკვე რამდენიმე ყველაზე სასიხარულო დღე გავატარეთ. ერთხელ, მზის ოქროცურვილ სხივებში მოლივლივე კავკასიის მთების ყინულოვან მწვერვალებს სიყვარულით რომ გავცეკეროდი, თავადმა ჭავჭავაძემ ხუმრობით მითხრა:

- სწორედ მაგ მთებში ცხოვრობს შამილი.
- ვხვდები, თავადო, რატომაც ამბობთ მაგას, მაგრამ, მერწმუნეთ, არც ისე მშიშარა გახლავართ.
- ეს ისე... თუმცა, - დაუმატა მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - რას იზამდით, თქვენს დასატყვევებლად რომ მოსულიყვნენ?

- ეგ დრო უკვე წავიდა, - ვუპასუხე, - მაგრამ თქვენმა შეკითხვამ ერთი პოლკოვნიკი გამახსენა, რომელმაც თბილისში შეხვედრისას მკითხა - ვაპირებდი თუ არა ქალბატონთან ერთად სოფელში წასვლას. რომ ვუთხარი, მივდივარ-მეთქი, მირჩია ხანჯალი მეშოვა, რადგან ფიქრობდა, ლეკები მოცვივდებოდნენ ჩემს მოსატაცებლად.

ამ ამბავს სიცილით ვუყვებოდი. თავადიც იღიმებოდა.

მეორე დღეს, დილით, თავადს ბრძანება მოუვიდა, ალაზანგალმა გასულიყო და ციხესიმაგრის უფროსობა მიეღო.<sup>7</sup> იგი მყისვე შეუდგა წასვლის თადარიგის დაჭერას და გაგვიმეორა თავისი რემენა, რომ ჩვენ არაფრისა არ უნდა შეგვშინებოდა. იმხანად კოკისპირულად წვიმდა.

- ეს წვიმა, - თქვა მან, - ლეკებს ხელს შეუშლის გადმოლახონ მდინარე ალაზანი და აქ მოვიდნენ! ამასობაში კი თბილისიდან თელავს ჯარიც მოალწევს.

დადგა განშორების დღეც. თავადი გამოგვემშვიდობა, მაგრამ მის ქცევასა და სიტყვებს, როგორც მეჩვენებოდა, სევდის რა-

ღაცნაირი ელფერი დაჰკრავდა. ხომ არ იყო ეს ჩვენი უბედურების მაცნე წინათგრძნობა? ვიცოდი, თავადი მამაცი იყო და შეუძლებელია საკუთარი ხვედრისა შინებოდა. ყოველდღე ვხედავდი, როგორ ეფერებოდა იგი ბავშვებს. ამ ხანებში მისი კოცნა იყო როგორლაც დაძაბული, გაშმაგებული; სიყვარულს თუმცა მხურვალედ, მაგრამ როგორლაც თავშეეკავებულად გამოხატავდა. დიდხანს მდუმარედ უმზერდა თავის პარანა ლიდიას, რომელიც ოთხი თვისაც ძლიერ იქნებოდა და შესამჩნევი ძალდატანებით მოაშორა მზერა. საწყალი მამა! საყვარელ არსებას უკანასკნელად ხედავდა.

მესამე დღის მიწურულს თავადის ცნობა მივიღეთ. იგი 400 კაცით იცავდა ციხეს, რომელსაც თავს დასხმოდა ლეკთა ბევრად რიცხვმრავალი ჯგუფი. როგორც ადრე, ისე ახლაც თავადი არწმუნებდა მეუღლეს, რომ საშიში არაფერი იყო და სთხოვდა, მეორე წერილის მიღებამდე წინანდალი არ მიეტოვებინა.

## II

### მედუანი

1 ივლისს გლეხებმა გვაცნობეს, თელავის მიმართულებით მინდვრები ცეცხლის ალშია გახვეულიო. დაეჭვება აღარ შეიძლებოდა – მტერი ვაკეზე იყო ჩამოსული და წინ გამალებით მოიწევდა, გვამცნობდა რა თავის გზასა და მიმართულებას მის მიერ გაჩალებული ხანძრების მიხედვით. ყველამ გაამახვილა ყურადღება იარაღის გამართულობაზე. წინანდლელი გლეხები მოდიოდნენ კნეინასთან და ურჩევდნენ აუცილებლად გახიზნულიყო ტყეში, მაგრამ იგი არ დასთანხმდა. მაშინ მათ დააწყვეს მთელი თავიანთი ავლადიდება ურჩემზე და ქალებიცა და ბავშვებიც ზედ შესხეს. ხანძარი პარასკევსაც ბობოქრობდა. დღისით მოვიდა თელავის მედიკოსი გორლიჩენკო.<sup>8</sup>

– ლეკები, – თქვა მან, – დაბანაკებული არიან ალაზნის იქითა მხარეს. ამჟამად ვერ შეძლებენ მდინარის გადმოლახვას. თელავშიც მშვიდობიანობაა – თბილისიდან ჯარს ელოდებიან.

დარბაზში იმყოფებოდა აგრეთვე კნეინა თინია,<sup>9</sup> თავად ჭავჭავაძის გადაპერებული დეიდა, ისეთი მხდალი, სულ უმნიშვნელო საშიშროების ჟამსაც რომ განგაშს ტეხდა, მაგრამ, ახლა, თითქოსდა ჯიბრზე, სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა თავს და აი, რატომ:

– ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის დროიდან გამუდმებით მესმის, – უთხრა მან ექიმს, – ლეკები წინანდალზე თავდასხმისათვის ემზადებიან, მაგრამ ეს ხმები არასოდეს არ გამართლებულად და რაღა ახლა გამართლდებაო.

– როგორც არ უნდა იყოს, – დაუმატა კნეინა ჭავჭავაძემ, – უნდა დაველოდოთ, რას მომწერს ქმარი.

ამასობაში ყველა გლეხი გაიხიზნა. მეზობელი მემამულეებიც მოდიოდნენ და გვარწმუნებდნენ, მათთან ერთად გავსულიყავით ტყეში. იმათ უპატრონოდ დაეგდოთ თავიანთი ავლადიდება და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზელა ზრუნავდნენ, მაგრამ ქალბატონი ამჯერადაც ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ, არ შემიძლია მეტისმეტი გულდაჯერებულობისათვის არ ვუსაყვედურო. როგორ შეიძლებოდა ყურად არ ეღო ასეთი დაუინებული შეგონებანი? მაშინ რომ მასთან ასე ახლო ნაცნობობა მქონოდა, როგორიც ახლა მაქს, ჯერ კიდევ პარასკევს დავითანებდი გაქცევის საჭიროებაზე, მაგრამ იმ დროისათვის მასთან მხოლოდ ნახევარი წელიწადის ნაცნობობა მაკავშირებდა, ამასთანავე, არც ადგილმდებარეობაზე მქონდა რაიმე წარმოდგენა და მეშინოდა, სასაცილოდ სულმოკლე არვის ვჩვენებოდი.

ხანძარი შაბათსაც ძველებურად ბობოქრობდა. ცხადი გახდა, საშიშროება კარს იყო მომდგარი, რამაც, ალბათ, კნეინა შეაფიქრიანა. დაიწყეს ვერცხლის, ძვირფასი ქვებისა და სხვა ნივთების ჩალაგება. თავადის გულადი გლეხი ზურია კნეინასთან გამოიძახ-

ეს, რათა საქმის ნამდვილი ვითარების შესატყობად წასულიყო, ადგილები დაეზერა. კნეინა დასთანხმდა და იგი გაემართა იმ ადგილების დასათვალიერებლად და შესამონმებლად, საიდანაც ხანძრების შუქი მოდიოდა. გამოხდა ცოტა ხანი. ზურია უკან დაბრუნდა. ტანსაცმელი ტყვიებისაგან დაცხრილული ჰქონდა, თვითონ კი ცოცხალი იმის გამო გადარჩენილიყო, რომ შორიდან ნასროლ ტყვიებს იმდენი ძალა აღარ შერჩენოდათ. ოღონდ ზურია, ასე რომ გადადო თავი ბატონებისათვის, ჩვეულებრივ ლოთობდა ხოლმე და ამიტომაც მის ნაამბობს სერიოზული ყურადღება არავინ მიაქცია.

ის-ის იყო, ეს გლეხი დასაზერად წავიდა, რომ გამოგვეცხადა ვიღაც სომეხი, რომელიც თავს მედუქნედ ასაღებდა. მან ღამის გათევინება გვთხოვა და გვითხრა, სადღაც, თურმე, ფული უნდა მიეტანა, მაგრამ ამ ადგილებში რომ გამოიარა, ლეკებს შეეფეთა და იძულებული გახდა, იმავე გზით უკან წამოსულიყო. მისი სიტყვები სარწმუნოდ უდერდა, მაგრამ ამ კაცის სახე კნეინას არა-საიმედოდ ეჩვენა, რის გამოც მაშინვე უბრძანა მსახურს:

– ეგ კაცი არსად არ გაუშვათ, იარაღი აპყარეთ და, თუ გაქცევა დააპიროს, ესროლეთ!

ეს სიმკაცრე სხვადასხვა გარემოებით იყო გამოწვეული; თუმცა ქალბატონმა მისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით მაშინვე დაუმატა:

– მიხედეთ და აჭამეთ!

მოგეხსენებათ ქართველის ბუნება: მსახურმა შეასრულა მხოლოდ ბოლო მოთხოვნა, ხოლო პირველი სავსებით გადაავიწყდა, რამაც ავი კვანძის გახსნა დააჩქარა.

ამ კაცის მოსვლა, ზურიას მიერ მოტანილი ცნობები, ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ხიფათი გარდუვალი იყო. თუმცა ხსნის იმედი ჯერ კიდევ არ გადაგვწურვოდა. გვქონდა მსუბუქი საზიდრები, რომლებიც სწრაფი მგზავრობისათვის სწორედ რომ მისწრება იყო. კნეინამ თელავში ერთიმეორის მიყოლებით დაუხანებლად გაგზავნა ორი შიკრიკი, რათა ცხენები

იმავე საღამოს მოეყვანათ. სადგურზე კი მათ აუხსნეს, რომ ცხენები მხოლოდ მომდევნო დილის, ე.ი. კვირისათვის, ეყოლებოდათ. ამასობაში მოახლეები განაგრძობდნენ სკივრებში ყველაფრის ჩალაგებას, რისი თან წალებაც კი შეიძლებოდა. გლეხები კვლავ მოვიდნენ და გვთხოვეს ტყეში გავხიზნულიყავით. კეთილი ზურია განსაკუთრებით მე გადამეკიდა – მაგრამ განა შემეძლო საზოგადო სიმხდალე გამომერინა და ჩემი აღსაზრდელები – სალომე და მარია ამ ყოფაში მიმეტოვებინა?

როგორც იქნა, ყოველგვარი მზადება დასრულდა. საღამოს კნეინა ორბელიანის საწოლ ოთახში მოვიყარეთ თავი. ბავშვები იატაკზე დაგებულ ნოხებზე დავაწვინეთ და, როდესაც ჩაეძინათ, სანთლები დავაქრეთ, აივაზზე გამოვეფინეთ და მყუდროების დაურღვევლად, მდუმარედ შევცეკროდით მტრის მიერ აგუზგუზებულ კოცონებს, რომლებიც თანდათან გვიახლოვდებოდა. ახლომახლო მიმობნეულ საგნებზე მთვარე სასწაულებრივად მქრქალ შუქს აფრქვევლადა, მაგრამ იგი ჩვენთვის სულაც არ იყო სასარგებლო, რადგან ლეკებს, დაბრკოლებათა მიუხედავად, შეეძლოთ წინ წამოწეულიყვნენ, დაბოლოს, მთლიანად მოეჭრათ ჩვენთვის თავის დასახსნელი გზა. კნეინა თინია კი ისევ თავისას გაიძახოდა:

– ლეკები წინანდალში მოსვლას ვერ გაბედავენ!

ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომელსაც ვერ უწოდებ ვერც სიფხიზლეს, ვერც ძილს. ღამის 4 საათზე გავარდა თოფი,<sup>10</sup> რამაც ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ხიფათისა და შიშის გრძნობა ძვალსა და რბილში გაგვიჯდა. თავს ძალას ვატანდით – კიდევ რაიმე რომ გაგვეგონა... მაგრამ ამაოდ. და, რადგან კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, ვიფიქრეთ: ალბათ, ეს გასროლა შემთხვევითი იყოო. ბალში ჩავედი და ვაზის ფოთლებში ჩიტის ბუდესავით ჩაკარგული ეკლესიისაკენ გავეშურე. აქ დიდხანს ვლოცულობდი და ვგრძნობდი, რა თანდათანობით მიბრუნდებოდა ძალა. ამ ვრცელ ბალში ყველაფერი გარინდებულიყო. ანგარიშმიუცემლად სიარული დავიწყე. მაღალი ხრამის კიდეზე მდებარე კორომს რომ

მივატანე, შევნიშნე კაცი, რომლის აქ ყოფნამაც დამაფრთხო: მართალია, თავადის ყველა გლეხს არ ვიცნობდი, მაგრამ ქართველთა სახის ნაკვთები გონებაში ცხადად მქონდა ჩარჩენილი – ისინი სიკეთეს გამოხატავენ, ხოლო ამ ადამიანის სახეს ზედ ეწერა რაღაც უკეთურება. თუმცა მას ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე გაემართა სახლის ეზოსაკენ. შევნიშნე, რომ იარაღი ესხა. რაც შემეძლო, სწრაფად გავეშურე სახლისაკენ. ხრამს რომ გაფხედე, დავინახე: ხევის ძირას მიმდინარე ლელეში წყალი თითქმის მთლიანად დახაპულიყო და ორი კაცი ლაგამწაყრილი ცხენებით ფრთხილად გადადიოდა მეორე ნაპირზე.

### III

#### ლეკები. ტყვეობა

ეს მდგომარეობა წარმოსახვას მეტისმეტად მიღიზიანებდა და ამის გამო ყველაფერი, რასაც იმჟამად ვხედავდი, საშინელ სასონარკვეთაში მაგდებდა. გავიქეცი, რათა კნეინებისათვის მეამბნა არასასიამოვნო ნიშნების შესახებ, მაგრამ შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდნენ ისინი, მიპასუხეს: – კნეინა ორბელიანი ლოცულობს, ხოლო კნეინა ჭავჭავაძეს სძინავსო.

გავიდა ერთი საათი. კნეინა ანამ თავისთან მიხმო. საბოლოოდ გავემზადეთ გასამგზავრებლად. კორსეტში შევიჩურთე რამდენიმე წერილი და თმის ღერები – ნივთები, რომლებიც ყველა სხვა ნივთზე უძვირფასესი იყო ჩემთვის. სახელდახელოდ ამოკერილ ჩანთაში ჩავაწყვე ფრანგული ენის გრამატიკა და მეორე პატარა წიგნი სათაურით: „ღმერთი არს სიყვარული“.<sup>11</sup> ეს წიგნი ერთ-ერთმა თბილისელმა ნაცნობმა მისახსოვრა. მოამზადეს ჩაი – ვითარებაც რომ მეტად შესაფერისი გამონახეს კნეინას მომსახურებისათვის – ყველაფერი ისე კეთდებოდა, თითქოს დრო

თავზე საყრელი გვქონდა. თელავიდან კვლავ ამოვიდა ექიმი და საათზე მეტი ხნის განმავლობაში არწმუნებდა კნეინას, დაუყოვნებლივ გავდგომოდით გზას... მოხუცი ძიძების ჯიუტობამ და უდარდელობამ, რომლებიც მიჩვეულნი არიან არავის შეეპუონ, ყველაფერი სხვაგვარად დაასრულა. ის-ის იყო, საზიდარზე კნეინას აღმასები უნდა დაეწყოთ, რომ გაისმა ძახილი: ლეკები!

დილის რვა საათი იყო. კეთილი ექიმი გორლიჩენკო (ერთადერთი კაცი, ვის წინაშეც თაგს სამუდამოდ ვალდებულად ვრაცხთ მისი მართლაც რომ გმირული თავდადებისათვის), რომელსაც ხელში სასროლად გამზადებული იარაღი ეჭირა, გვთხოვდა, სადმე დავმალულიყვათ. კნეინამ თქვა, რომ ამისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი ბელვედერი იქნებოდა. მან ლეკთა განზრახვა არ იცოდა და ფიქრობდა, ისინი აქეთ არ წამოვიდოდნენ. ბავშვები, ძიძები, გადიები, მსახურები, ფარეშები და ყველა ქალი, ვინც კი სახლში იმყოფებოდა, უკან გამოგვიდგნენ. არასოდეს დამავიწყდება ის საბედისწერო წუთები, როდესაც კნეინა ჭავჭავაძე, ყოველთვის გულთბილად რომ იყო ჩემდამი განწყობილი, მომებვია და სინანულის გრძნობით აღვისილმა მითხრა:

– ეჲ, ეს რა მომივიდა, მადამ? ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ იმ უბედურებისათვის, რაც ჩემი მიზეზით შეგემთხვათ. ღმერთო ჩემო! რატომ არ დაგატანეთ ძალა, გაქცეულიყავით?

– ქალბატონო, – ვუპასუხე მე, – არ ვიცი, რა ხვედრი მელის, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მზადა ვარ სიცოცხლე განაცვალოთ.

– ვილოცოთ, – განაგრძო მან, – სიკვდილი კარს მოგვდგომია.

მალე, მართლაც, ნათლად გავარჩიეთ მოახლოებულ მთიელთა ნაბიჯების ხმა. მათ ჩვენი სამალავისაკენ მოუძღვებოდა ბავშვების ყვირილი და ქალების წივილ-კივილი. ყველა ჩვენგანის სულში რაღაც ენით აუწერელმა სევდამ დაისადგურა. ას წელინადს მიტანებულ დედაბერს, რომელსაც ოდესლაც თავად ჭავჭავაძის მამაც გაეზარდა, სავსებით დავიწყებოდა საკუთარი

თავი და გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი კეთილი ბატონის შვილების გადარჩენისათვის. გიორგი ორბელიანის გამდელს, ვისაც ქმარ-შვილი თბილისში ჰყავდა დატოვებული, გულამოსკვნილი ქვითინისაგან თავი ვერ შეეკავებინა. კატერინა, კნეინა ორბელიანის მოახლეც, ასევე გულამომჯდარი ზლუქუნებდა, გამოხატავდა რა წუხილს არა საკუთარი თავის, არამედ თავისი ქალბატონის შვილების გამო, რომლებიც უსაზღვროდ უყვარდა. გადამღრძვალმა კნეინა თინიამ, ვინც აქამდე ასე უშიშრად გრძნობდა თავს, ახლა ვონება სავსებით დაკარგა: იმ წუთებში, როცა ყოველგვარი მატერიალური საკუთრება უსარგებლო გახდა, გამუდმებით ითხოვდა მიეტანათ მისთვის საჩაიე ფინჯნები: შიშობდა, მძარცველებს არ ჩავარდნოდათ ხელში. თავად ჭავჭავაძის ძიძა მხურვალედ ლოცულობდა იმ არაჩვეულებრივი მიმიკისა და უსტიკულაციის გამოყენებით, რაც ლოცვისას ასე დამახასიათებელია უბრალო ქართველებისათვის.

საშინელი არევ-დარევით შეშინებული სალომე და მარია ვერხვის ფოთლებივით თრთოდნენ და მეკვროდნენ. მე მათ ვთხოვდი, არ ეტირათ. გაისმა ლეკთა გააფთრებული შეძახილები. მათი დარტყმებისაგან მინები აზრიალდა და ჩაიმსხვრა, აჭრიალდა ავეჯი, სკივრებში აწკრიალდა ვერცხლი. ბოლოს ჩვენამდე მოალწია ორი ფორტეპიანოს ერთმანეთში არეულმა ხმებმა. ველურები კლავიშებზე ხელებს ბოროტად უტყაპუნებდნენ. ბელვედრიდან ხელისგულზე გადაშლილივით ჩანდა მთელი ბალი. ვხედავდით, თუ როგორ გაიგსო იგი ჩალმიანი მხედრებით. თავდაპირველად ორმოცდაათამდე კაცი თუ იქნებოდა, მაგრამ შემდეგ უსაზღვროდ ბევრნი მოზღვავდნენ. ღელე, რაც ერთადერთი გზა გახლდათ სახლში შემოსასვლელად, მთლიანად დაფარეს. საწყალნინანდლელებს სრული გაღატაკება და გაჩანაგება ელოდათ.

ლრმად დაფიქრებული კნეინა ჭავჭავაძე დიდხანს ხმას ვერ იღებდა. შემდეგ ლიდია აიყვანა და მკლავზე გადაიწვინა. მხოლოდ ზოგიერთის გარდა, რომლებიც დაკეტილ კარს მთელი ძალით აწვებოდნენ და ამაგრებდნენ, ყველანი მუხლებზე ვიყავით

დაჩოქილი. ლეკებს გაუკვირდათ, წინააღმდეგობას რომ ვერსად წააწყდნენ. ეს იოლი გამარჯვება მათ კიდევ უფრო ააფთრებდათ. დარბოდნენ ოთახებში, აკაკუნებდნენ კედლებზე და ფიქრობდნენ, რომ რაიმე საგანძურს იპოვიდნენ... და ასე მოგვიახლოვდნენ... მხოლოდ კნეინა ორბელიანი იყო მშვიდად. ჯერ თავისი საყვარელი გიორგი დალოცა, მერე ძიძას გადასცა, მივიდა კარებთან, რომლებსაც მთიელები ძლიერ აწვებოდნენ და ასე ურყევად მდგარი დაელოდა თავის ხვედრს. შესაძლოა, სურდა პირველი დაცემულიყო, რათა შემდეგ აღარ ეხილა შვილის, დის, მულიშვილისა და დისშვილების წვალება... მაგრამ შეიძლება თავისი პირადი მაგალითით სურდა საბედისწერო დარტყმის წინ ჩვენთვის მხნეობა ჩაენერგა.

კარმა რამდენიმე წუთს გაუძლო... მთიელები გაცოფდნენ... ბოლოს და ბოლოს შემოანგრიეს... შეიქმნა საშინელი ორომტრიალი: შემოგვაწყდა ადამიანთა ბრბო... ერთმანეთში აირია გამხეცებულთა შეძახილები და უმწეოთა კივილი... თითოეული ჩვენგანი უცებ აღმოჩნდა რომელიმე მტაცებლის ხელში, წინააღმდეგობის გაწევა კი სრულიად უნაყოფოა... მთიელი (მისი სახის გახსენება დღესაც ტანში მზარავს) მბოჭავს და მივყავარ, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ მისგან გათავისუფლებას. ბელვედერიდან რომ გადიოდი, კარებში უნდა დახრილიყავი, მაგრამ ჩემს მომტაცებელს ამისთვის არა სცხელოდა და მაგრად ვარტყამ თავს კარის ამყოლზე...

კაცი, რომელსაც მე ვხვდი წილად, ფეხს ადგამს კიბეზე. გაისმის ავის მომასწავებელი ჭახანი, რასაც თან ახლავს შეშინებული შეძახილები... კიბე მტაცებელთა და მათ მსხვერპლთა სიმძიმეს ვეღარ უძლებს და ტყდება... ამ საშინელ წუთს კნეინას რომელილაც მოახლე ჩემი პალტოს კალთას ჩააფრინდა... მთიელი სწრაფად უბიძგებს მას და ისიც ქვევით მიფრინავს თავპირისმტვრევით. საფეხური, რომელზეც ვდგავართ, შეირყა; სწორედ იმ წამს მთიელი ძალუმად მიჭერს ხელებს და განწირულ ნახტომს

აკეთებს მესამე სართულიდან. ჩვენ ვეცემით ეზოში მიმობნეულ ნამსხვრევებს შორის.

მიწაზე დავეცით თუ არა, ერთი ჩალმიანი მძარცველი მოვარდა და ბლლარძუნითა და ერთი ვაი-უშველებელით ცდილობდა ჩემი თავი გამოეგლიჯა ხელიდან იმისათვის, ვისაც თავდაპირველად ვერგე. ეს კი არ ანებებს... იელვეს ხანჯლებმა... ვიფიქრე, ჩემი მოსპობა განუზრახავთ-მეთქი და დავიყვირე: – მე ფრანგი ვარ! მაგრამ ეს ძახილი ამაო გამოდგა. ჩემს გამტაცებელს ცალი ხელით ვეჭირე და ამგვარად, ნება-უნებლიერ მონაწილეობა უნდა მიმეღო ორი ბოროტმოქმედის ქიშპობაში, ჩემს დანარჩუნებას რომ ცდილობდნენ. დაიღვარა სისხლი და მე გადავედი ჩალმიანის ხელში. ჩემმა ახალმა მეპატრონემ, რომელიც ჩაცმულობისა და განსაკუთრებით კი მისი მხეცური შესახედაობის გამო ჩეჩინად ჩავთვალე, წინა ეზოთი გამიყვანა და ორ ნუკერს ჩამაბარა.<sup>12</sup> მისი ლაპარაკი ისე არ მესმოდა, როგორც მას – ჩემი. მან გადმომცა ორი ცხენი ალვირით დასაჭერად, ხოლო, როცა მოძრაობაზე შემატყო, დავალების შესრულებას თავს ვარიდებდი, მათრახი დასარტყმელად მომიღერა. სირცხვილით გაეწითლდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ აუცილებელი იყო ბედს დავმორჩილებოდი.

## IV

### ციცანდლის გაძარცვა. გამგზავრება

დიდი სურვილი მქონდა დამენახა საყვარელი მეგობარი ქალები და ჩემი საცოდავი მოსწავლეები. ჩვენი ეზო, რომლის მოთვალიერებაც დავიწყე, საშინელი სანახავი გახლდათ: ცხენები, ხარები, კამეჩები, აყირავებული საზიდრები, აქვითინებული, ტანსაცმლშემოფლეთილი და გაწენილობიანი ქალები... ძალდატანების კვალი ყველაფერს ემჩნეოდა! ჩემი პატარა მარია

მეძახდა, მთელი ძალით გაჰყვიროდა; მინდოდა მიმერბინა მასთან, მაგრამ ნუკერებმა დამაკავეს... ვიგრძენი საკუთარი უმწეობა და, რადგან ამ უპადრუკ არსებათა უნებართვოდ ვერ ვბედავდი ფეხის გადადგმას, ვტიროდი და ვეხვენებოდი, ჩემს საყვარელ პანაზასთან მისვლის ნება დაერთოთ, მაგრამ არც ცრემლებმა და არც მუდარამ არ გაჭრა! თუმცალა მალე, რაღაც ბედზე, ცხენზე მჯდარი მარია ჩემს გვერდით აღმოჩნდა; გადავკოცნე და ის-ის იყო, უნდა გამემხნევებინა, რომ ჩემგან შორს წაიყვანეს.

აქეთ-იქით ვიმზირებოდი, იქნებ თვალი მოვკრა კეთილ კნეინა ჭავჭავაძეს-მეთქი, დაბოლოს, როგორც იქნა, დავინახე... დავინახე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ყოფაში! მინაზე გაშელართულიყო. საბრალო ლიდია მკერდზე მიჰკვროდა! მშვენიერი თმები გასჩეჩვოდა და, თუ ამოქარგულ კოფთას არ ჩავთვლით, რაც მცირედ უფარავდა სხეულს, მთელს მის ტანსაცმელს შეადგენდა შიდა საცვლები და ქვედაკაბა. მის პატარა გოგონას, ვისაც ძუძუთი კვებავდა, ეცვა მხოლოდ პერანგი: არც სახვევებში იყო გამოკრული და არც რაიმე საბურველი ეფარა, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვილის ნაზი სხეულისათვის. მძარცველებს ცხენები კნეინას ირგვლივ ისე მეტისმეტად ახლოს დაეყენებინათ, რომ ანგარიშმიუცემლად მივიჭერი მასთან, რათა გამეფრთხილებინა, მაგრამ მან თავი წამოსწინა და იმგვარად დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა, რომ მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო, რომ ამ ქვეყნას მაინც აღარ ეკუთვნოდა.

– ბავშვები! ბავშვები! – წამოილაპარაკა მან.

– მარია აი, იქ არის, სალომე კი უფრო იქით, – ვუთხარი მე.

უცებ ვიღაცამ ხელზე ძლიერ მომქაჩა. კნეინას მიტოვება არ მენადა, მაგრამ ტყვე ქალს ხომ არ შემეძლო, ჩემს ნებაზე ვყოფილიყავი და მაშინვე საკუთარ ადგილს მივაშურე. ამის შემდეგ ჩემ თვალწინ დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია, რამაც მთელი სხეული ამითორთოლა: კნეინას ახლოს გაიმართა საშინელი შეტაკება. თუმცა ქალბატონი ოდნავადაც არ შერხეულა, რათა მოსა-

ლოდნელი საფრთხე აეცილებინა. შეტაკება კი მისი მითვისების მიზნით მოხდა. მტაცებელთაგან ბევრი ხვდებოდა, რომ კნეინა ძვირფასი ნადავლი უნდა ყოფილიყო და მის გამო ერთი მეორეს გააფთრებით უტევდა. ბოლოს და ბოლოს ჩეუბი დასრულდა და კნეინა, ჩემს მსგავსად, ერთ-ერთ მეპატრონეს მიეკუთვნა, რომელიც დაიხარა და ჰქითხა:

– შენ ხარ კნეინა ჭავჭავაძე?

– დიახ, – უპასუხა ქალბატონმა და შემდგომ ამისა, თვალებით ძებნა დაუწყო თავის შვილს. ვიღაცამ, ქართულად მოლაპარაკემ, ბავშვზე მიუთითა. მაშინ კნეინამ უურებიდან მდიდრული საყურეები მოიძრო, გადასცა ისინი ამ კაცს და შემდეგ კვლავ უგონო მდგომარეობაში ჩავარდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი თვალი მომეკრა კნეინა ორბელიანისათვის; მისი მულიშვილი კი, თავადის ასული ნინო, ჩემს შორიახლო საუკეთესო ცხენზე იჯდა. მეტისმეტად გაკვირვებული დავრჩი, მის მომხიბვლელ ქართულ ჩატმულობას რომ დავაკვირდი – იგი სრულ წესრიგში იყო და სულაც არ დაჭმუჭვნოდა. მას იცავდა და უფრთხილდებოდა ახალგაზრდა, რომლის სახის გამომეტყველებაც იმდენად სასტიკი არ იყო, როგორც სხვა მტაცებლებისა. სამაგიეროდ სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა კნეინების ღრმად მოხუცი დეიდა.<sup>13</sup> მას ტანსაცმელი შემოსძარცვოდა, ჭალარა თმები კეთილშობილ სახეზე ჩამოშლოდა, ხოლო ზეცისაკენ ზეაპყრობილი ხელებით თითქოს შესთხოვდა უფალს, დაესაჯა უღირსი არსებანი, რომლებიც არც მის ჭალარას სცემდნენ პატივს და არც ებრალებოდათ. საცოდავი ასი წლის მოხუცი ქალიც<sup>14</sup> თითქმის ასევე იყო გაშიშვლებული; მთიელები მას მეტისმეტად მკაცრად მოეპყრნენ – ხეზე მიაკრეს. იგი მხოლოდ მეორე დღეს გაათავისუფლეს. რაც შეეხება კნეინა თინიას, ჩვენი წასვლის შემდეგ გაიქცა ტყემი, სადაც გლეხები იმალებოდნენ. აქ მას გადააცვეს მამაკაცის ტანსაცმელი და თელავს წაიყვანეს. ეს ორი უკანასკნელი მსხვერპლი

ლეკებმა მიატოვეს: მათი ფიქრით, ისინი არავითარ ლირებულებას არ წარმოადგენდნენ.

ამასობაში დაიწყო სასახლის ძარცვა: სკივრები, ჭურჭლეული, ვერცხლი, მაქმანები, ბრილიანტები, ძვირფასი შალეული – ყველაფერი ხარბი მტაცებლების ხელში გადადიოდა, თუმცა მათ არც ფასი იცოდნენ მათი და არც იმ ნივთთა იმვიათობისა გაეგებოდათ რაიმე, რომლებსაც პირველად შეეხნენ თავიანთ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ერთი ამსხვრევდა ვერცხლის სინებს, რათა ტომარაში მოხერხებულად მოეთავსებინა, მეორე მიწიდან იღებდა ძველ ხელთათმანს ანდა იტაცებდა ძველ ჩვეულებრივ შანდალს, რა თქმა უნდა, იმ ფიქრით, რომ მანაც ძვირფასი ნადავლი იგდო ხელთ. თითოეული ცდილობდა, მოემარაგებინა შაქარი, ყავა, ჩაი. ვიღაც ქილაში მდგარ ფერ-უმარილს გემოს უსინჯავდა, ვიღაცა კი ყლაპავდა აბუსალათინის ზეთს, რომელსაც ჩვენი სამზარეულოს სურსათ-სანოვაგის ნაწილად მიიჩნევდა. აღმოჩნდა ისეთიც, ვინც ცდილობდა, ჩემთვის ცარცის ნატეხი შეეჭმევინებინა, რათა გაეგო, გემრიელია თუ არა? მთელი ეს სანახაობა გულისამრევი და საშინელი იყო. უხამსობამ აქ მთელი თავისი სახე გამოაჩინა.

ძარცვამ საათზე მეტხანს გასტანა. ბოლოს გამოგვიყვანეს ეზოდან და გზას გაგვიყენეს. მე ფეხით მივდიოდი; ნუკერები კი ამხედრებულნი მგზავრობდნენ. გზის სივიწროვის გამო ერთი წინ მიდიოდა, მეორე უკან მომდევდა. მალე ჩალმიანი მთიელი შემოგვიერთდა. თავზე წასაკრავად ჩვარი მესროლა, რომლითაც სამზარეულოში ჭურჭელს წმენდდნენ და ცხენზე ერთ-ერთი ნუკერის უკან კაცივით შემსვა. სხვა ტყვე ქალებიც ზუსტად ამგვარად მოემგზავრებოდნენ.

# V

## ალაზანი

გზამ მდინარესთან მიგვიყვანა.<sup>15</sup> მდინარის პირას უკვე იდგა თავადის ეკიპაჟები. მათი შორს წაყვანა რომ შეუძლებლად ცნეს, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

ფონზე ცხენებით გავედით. მხოლოდ ერთადერთი კნეინა ჭავჭავაძე მოდიოდა ფეხით. მას მკლავზე გადაწვენილი პატარა ლიდია მოჰყავდა, მაგრამ მდინარის შუაგულს რომ მიაღწია, ნაკადს ვეღარ გაუძლო და ბავშვიანად წყალში ჩავარდა. ლეკებმა მაშინვე ნაპირზე ამოიყვანეს და უკვე სავსებით არაქათგამოლეული ცხენზე შესვეს. აქედან დაიწყო კნეინას ახალი წამებანი. თავისი მომტაცებლის უკან მჯდარს ცალი ხელით ლიდია უნდა მიეკრა მკერდზე, ხოლო მეორე ხელი მაგრად ჩაეჭიდა მხედრისათვის, რათა არ გადმოვარდნილიყო. საცოდავი პატარა, რომელსაც მხოლოდ პერანგი ფარავდა და ცუდად იჭერდა დალლილი ხელი, ძლიერ ეხეთქებოდა უნაგირს. უბედური, თვალცრემლიანი დედა ამაოდ ევედრებოდა მასთან მიმავალ მთიელს – მიეცა რაიმე ქსოვილი, რითაც ბავშვს ტანზე მიიკრავდა... მაგრამ იგი ქალის საწყალობელ ვედრებასა და საშინელ წვალებას აინუნშიაც არ აგდებდა!

კნეინა ორბელიანი საკუთარ თავს უწყრებოდა, რატომ თვითონ არ დაიტოვა ლიდია; თუმცა ეს იმიტომაც მოხდა, რომ მისი და თვითონვე აწოვებდა ძუძუს გოგონას, და, რადგანაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თითოეულ ჩვენგანს ბედი სად გადაისვრიდა, ასეთ ვითარებაში დედა-შვილის განშორება და განცალკევება არა-გონივრული იქნებოდა. მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძე ძიძას ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩააბარეს საიმედო ადამიანს – კნეინას მოახლე ლუციას, რომელიც, როდესაც საშუალება არ ჰქონდა რაიმე საკვები ეშოვა, ბავშვს თოვლს აჭმევდა<sup>1</sup>

<sup>1</sup> ტყვეებს ხშირად უხდებოდათ ალპურ ზონაში სიარული, სადაც ერთ-მანეთს ენაცვლებოდა მწვანე მოლი და ფითქინა თოვლის საფარი.

და ასე გადაარჩინა იგი სიკვდილს. სამაგიეროდ ამ შემთხვევაში გიორგი ორბელიანი უფრო იღბლიანი გამოდგა. მისმა ჯანსაღმა სხეულმა და მკვრივმა აგებულებამ მთიელთა ყურადღება მიიქცია: იგი დაუტოვეს თავის ძიძას, რომელსაც ტომარაც მისცეს და მანაც საიმედოდ მიკვრა ბავშვი სხეულზე.

ჩემი მოსწავლეები ზოგჯერ ჩემთან საკმაოდ ახლოს მოდიოდნენ. მაშინ შესაძლებლობა მექლეოდა მათთან მელაპარაკა და ყმაწვილები დამეტვიდებინა. სალომე, რომლის ქცევაშიც უკვე კეთილშობილური სიამაყე იგრძნობოდა, ხმამაღლა წყრებოდა მასთან მჯდომ კაცზე და თავისი პატარა მჯილით ემუქრებოდა. იმით შეშფოთებული, რომ ცუდად არ მოქცეოდნენ, ყოველნაირად ვცდილობდი, დამეწყნარებინა. რაც შეეხება მარიას, თავისი სილამაზითა და თავაზიანობით მოიგო. პირველად ბევრს ტიროდა, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ ვაშლი მიაწოდა, რასაც ჭამა დაუწყო და ჩაჩუმდა. მალე გლეხის პატარა ბიჭუნა და თავადის ნებიერი – ელო მიუახლოვდა მარიას. ამის შემდეგ უდარდელმა ბავშვმა ცელქობა და სიცილი დაიწყო.

ნაჭრებად და ნაფლეთებად ქცეული ჩვენი ტანსაცმელი, შლაპები და სხვა ნივთები ამშვენებდნენ ცხენებსა და მთიელთა თავებს. ერთ მათგანს ტრიუმფით მიჰქონდა ჩემი ქოლგა: მთიელებსაც ისევე, როგორც არაბებს, ქოლგა კეთილშობილების ნიშანი ჰგონიათ.

გრძელი გზის გავლის შემდეგ ჩვენი გამტაცებლები დასასვენებლად შეჩერდნენ მოზრდილ მდელოზე. საქმის კეთილად დაგვირგვინების ნიშნად რამდენჯერმე კიდეც გაისროლეს. ამ სიგნაზზე შემოკრბა მრავალი ჩეჩენი და ლეკი, რომლებიც წინანდლის ძარცვის მოსამთავრებლად იყვნენ გაგზავნილი.

მომიახლოვდა ერთ-ერთი მთიელი, მაჩვენა თავადის სასახლიდან მოტაცებული ფრანგული წიგნი სათაურით „ქრისტიანობის სული“.<sup>16</sup> იგი უმეცრის ხელს დაემახინჯებინა; ძლიერ მომინდა მქონოდა მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნი, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ, სავსებით შესაძლებელი იყო, სხვა ველარც კი

მეხილა ვეღარასოდეს! მთიელმა მკითხა, თუ რა იყო ეს? რუსული ენა არ ვიცოდი და ერთი სიტყვით ვუპასუხე – კარგია. ამ დრო იწყეს წასასვლელად მზადება. მთიელმა აიღო თავისი წიგნი და გამეცალა.

თამარი, თავად ჭავჭავაძის სამი წლის გოგონა, ხმამაღლა ტიროდა, რადგან მთიელებს ეწადათ იგი ძიძისათვის წაერთმიათ. მისმა ჩხავილმა თავი მოაბეზრა მტაცებლებს. ამის გამო ბავშვი ტომარაში მოათავსეს. როცა პატარა მთიელთა საშიშარ სახეებს ვეღარ ხედავდა, ტირილი შეწყვიტა და ჩაიძინა.

მიგვაცილებდა სამიათასკაციანი ჯგუფი. ამ მიზეზით ხშირად ერთურთისაგან შორიშორს მივდიოდით. ბოლოს კნეინები და მათი ბავშვები მხედველობის არედან სავსებით დამეკარგნენ. ნაღველი რომ ცოტათო მაინც გამეფანტა, მინდვრებს ყურადღებით თვალიერება დავუწყე. შემენანა საუცხოო ყანები, რომლებსაც მთიელები ასე უმოწყალოდ თელავდნენ თავიანთი ცხენებით. პირწავარდნილი ბარბაროსები! ამით სურდათ საბოლოოდ დაეგვირგვინებინათ ასე წარმატებით წამოწყებული საზიზლარი გაჩანაგება-გავერანება.

როგორც იქნა, ალაზანს მივაღწიეთ. მრისხანე მზერა შემოგვაგება ამ მდინარემ. იგი ნაწვიმარზე ღვარებისაგან სულ მთლად გადარეულიყო და ნაპირზე გადმოსულიყო. ნუთუ, – გავიფიქრე, – მეკობრეთა განუსჯელობა იქამდე მივა, რომ ისინი მართლა გაბედავენ გახელებულ მდინარეზე გადასვლას? მათ ეს მართლაც გაბედეს და, უნდა ითქვას, ისე მარჯვედ და მამაცურად განახორციელეს მდინარის გადალახვა, გაოცებული დავრჩი. მანამდე ამის მსგავსიც კი არაფერი მენახა. ბავშვები რომ არ დასველებულიყვნენ, ცხენების ქედზე დასვეს და ხელებით აგვიხსნეს, ამ მდგომარეობაში ისინი რაც შეიძლება მაგრად გვჭეროდა. შემდგომ ამისა, უცებ შეაგდეს ცხენები წყალში; რაც არ უნდა მაღლა აეწიათ თავები ცხენებს, წყალი მაინც ზედ ყურებთან ადგებოდათ. თუმცა, უნდა გენახათ, რა საშინელი დაძაბულობით ცდილობდნენ მტრულად დაპირისპირებული სტიქის დაძლევას! მდი-

ნარის შუაწელს რომ მივატანეთ, მარიამ დაიყვირა: „მადამ, კაბა გეკარგებათ!“ სამწუხაროდ, ეს ასეც მოხდა და მდინარის გადა-ლახვის შემდეგ ჩემს ტანსაცმელს მხოლოდ პერანგი და კორსეტი შეადგენდა. სიცივემ ამაძაგძაგა, მაგრამ ერთ-ერთ მთიელს შევე-ცოდე და ნაბადი მომახურა.

ალაზანგაღმა გასულები რამდენსამე წუთს შევდექით. ჩემმა გამყოლმა ჯიბიდან სიმინდის ფქვილი ამოიხვეტა და ამ ლარი-ბულ საჭმელზე დამინვია. მომაწიდა მოხარშული კამეჩის ხორცის ნაჭერი, რომელიც სიმაგრით მხოლოდ ქვას თუ ჩამოუვარდებოდა. გახევებული ნაჭერი უკანვე დავუბრუნე და წყალი ვთხოვე. ამ დროს ჩალმიანი მთიელი მომიახლოვდა, თითიდან წამგლიჯა მის მიერვე დატოვებული უკანასკნელი ბეჭედი. მეორე ბეჭედი და სხვა ძვირფასეულობანი მან ჯერ კიდევ სასახლის ეზოში ამართვა. მერე ნუკერებს რალაც უბრძანა და გაგვშორდა. შემდგომ ამისა, ხარკამეჩებიანი ჩემი გამცილებელი სხვა გზით წავიდა, თუმცალა ეს გზა ძალიან არ შორდებოდა იმას, რომლითაც მოდიოდნენ ჩემი ძვირფასი თანამგზავრი ქალები.

## VI

### თავდასხმა. ლიდიას სიკვდილი

ამასობაში ჩვენს ახლოს დიდი განგაში ატყდა. ქართველთა უმნიშვნელო რაზმი ჩვენს გათავისუფლებას ცდილობდა. იგი მოულოდნელად თავს დაეცა ბადრაგს და სროლა აუტეხა. მთიელები რიცხობრივად დიდად სჭარბობდნენ მათ, მაგრამ შიშიბდნენ, ამ პატარა ჯგუფს დიდი ძალებიც არ მოჰყოლოდა და, გადაგვაფარეს რა თავზე ნაბდები, გაიქცნენ. ისინი ყურადღებასაც არ აქცევდნენ ყანებს, ხევ-ღრანტეებს, თხრილებსა და სხვა წინააღმდეგობებს. ჰაერი შეძრა ძახილმა: „იმამი შამილი! იმამი

შამილი!“<sup>17</sup> მათრახითა და ყიუინით გაფიცხებული ცხენები ისეთი საშინელი სისწრაფით მიჰქოდნენ, რომ სუნთქვა გვეკვროდა.

ეს ჯოჯოხეთური ჭენება საათზე მეტხანს გაგრძელდა. მხოლოდ შებინდებისას მიუშვეს ცხენები ჩორთით. გზა ჭაობიან ადგილებში განვა. ლიანები და ეკალ-ბარდები, ლიჭი და ბრული ყოველწამს გვიღობავდა გზას. კნეინა ჭავჭავაძემ ახლოს ჩამიარა. იგი მწუხარე და ფერდაკარგული ჩანდა... თან აღარ ჰყავდა ლიდია, რამაც ძლიერ ამაფორიაქა. რა იქნა ჩვენი პატარა ქალბატონი? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მაგრამ არავის შეეძლო ეს ჩემთვის აეხსნა და საშინელი გამოცანის ამოხსნის მოლოდინში იძულებული ვიყავი, მოთმინებით აღვჭურვილიყავი.

ბევრი ქართული სოფელი გავიარეთ. სოფელთა მთელი წყება ცეცხლის ალში იყო გახვეული. თითქმის ყველა ცეცხლნაკიდებული სახლიდან გამოჰყავდათ ტყვები და ჩვენს ჯგუფს უერთებდნენ. მცირე ბორცვს გადავადექით. ამ დროს თვალთა მზე-რა მომტაცა უზარმაზარი ხანძრის ლაპლაპმა... შეძრწუნებულმა წამოვიყვირე. ლეკებმა ამიხსნეს, რომ ეს წინანდლის სასახლე იწვოდა.

უბედური თავადი! ისიც ხედავს ამ ავის მომასწავებელ ანა-შუქს. ყველაფერი, რაც კი რამ ძვირფასი აბადია, იქ არის: ცოლი, შვილები, დაი, დისშვილი, მეგობრები, დიდი სიმდიდრე, რაიც რამდენიმე საათში არარაობად იქცეოდა... სისხლი ყელში აწვება, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობა ნებას არ აძლევს, თავისი ადგილი მიატოვოს. ასეთ ვითარებაში რა უნდა გააწყოს? მხოლოდ ის, რომ იტიროს როგორც ქმარმა, მამამ, ხათესავმა... გამდვინვარებული ცეცხლი კი არავითარ იმედს არ უტოვებს; იგი, რა თქმა უნდა, ფიქრობს, რომ ჩვენ ყველანი დავილუპეთ.

ყველა არა, მაგრამ ლიდია კი აღარ იყო ამქვეყნად! უკვე აღნიშნე, თუ რა სისწრაფით გარბოდნენ მტაცებელნი, უფრთხოდნენ რა მდევარს... კნეინა ჭავჭავაძეს კი ძალა სავსებით გამოელია. ხელი, რომლითაც დილიდან მოყოლებული ეჭირა ბავშვი, დაუბუჟდა. მოულოდნელი ბიძგისაგან კნეინას ბავშვი ხელიდან უვარ-

დება; ჩვილი ეცემა ბალახზე. უბედური დედა შემაძრნუნებლად კივის და ცდილობს, ცხენიდან გადმოეშვას, ნორჩი აიტაცოს, მა-გრამ მთიელი თავისი რკინის ხელით ბოჭავს, ყურადღებასაც არ აქცევს მის კივილსა და ცრემლებს. მათ უკან თავქუდმოგლეჯით მსრბოლმა ცხენებმა კი ჩვილი გადათქერეს... ხოლო რომელილაც ჩეჩენმა ხანჯლის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

კნეინა ამ დროისათვის უკვე შორს იყო და ეს მხეცური მოქ-მედება არ დაუნახავს. იგი თავს დიდხანს იმ რწმენით იმშვიდე-ბდა, რომ ბავშვს ვიღაც მადლიანი აიყვანდა. და, თუმცა ძალზე დიდი იყო მისი დედური შეშფოთება, მაინც, მსგავს ბარბარო-სობას თუ ჩაიდენდნენ, აზრადაც არ მოსვლია. უკვე საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ მომხდარი ამბის მესამე დღეს ლიდიას სხეული უპოვიათ იმავე ადგილას, სადაც დავარდა და მამისათვის მიუტანიათ.

პატარა ადამიანი ახლა წინანდლის მომცრო ეკლესიაში გა-ნისვენებს.

იმავდროულად იმავე ადგილას უპოვიათ აგრეთვე სამოცი მსხვერპლის გვამიც. მათგან სამი წინანდლელი იყო: ლიდია, თა-ვადის მოურავის მეუღლე დარეჯანი და მღვდლის ცოლი. ბევრს თავდაპირველად ფოფოდია მე ვეგონე, რის გამოც მრავალ-მა ფრანგულმა უურნალმა გამოაქვეყნა ცნობა ჩემი სიკვდილის თაობაზე და თავიანთი უნებლიერ შეცდომით ძლიერ დაამწუხხრეს ჩემი მშობელი და ნათესავები.

## VII

### ღამე ტყეში. ჰაჯი-ქარიში

დადგა სრული ღამე. მეტად დაბურულ ტყეში შევედით და გზის გასაგრძელებლად ტოტები და ლიანები განუწყვეტლივ უნდა გვერდვია. ამ მიზეზით ძალიან ნელა მივიწევდით წინ. ჩვენი პატრონები ჩქარობდნენ, მალე გასცლოდნენ ქართულ მიწებს. ამიტომაც, მიუხედავად გზის სიძნელისა, ძალიან დიდხანს შეუსვენებლივ მივდიოდით, წუთითაც არსად შევმდგარვართ. ხან აქ, ხან იქ გაისმოდა ქალების კივილი, როცა მათი თმები ხეებს გამოებლანდებოდა ანდა ფეხში ეკალი შეერჭობოდათ. დღესაც სისხლი მეყინება, იმ შემაძრნუნებელ პირველ ღამეს რომ ვიხსენებ!

აქამდე საკმაოდ ბედნიერი, ვიმყოფებოდი ველურის, მაგრამ მაინც საკმაოდ ადამიანური მთიელის ზედამხედველობის ქვეშ; და რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ უფრო საშინელი ახალი პატრონის ხელში მოვხვდებოდი და უფრო მეტი წვალების ატანა მომიხდებოდა. ჰაჯი-ქერიმის (ასე ერქვა ჩალმიან მთიელს – ორი ნუკერისა და ჩემს გამგებელს)<sup>18</sup> ბრძანებით ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავი, დამებრუნებინა ნაბადი, რომელიც ალაზნის გადალახვის შემდეგ მომახურეს, და ასე მივყოლოდი ჩემს მფლობელს.

ჩვენ წინ ნუკერები ნაალაფარ ხვასტაგს მიერეკებოდნენ და გზას გვიყვალავდნენ. კნეინებს მოშორებული ვიყავი. უკვე კარგა ხანი გავიდა, რაც მთაზე ასვლა ვიწყეთ. თუმცა ჯერ კიდევ ვერ გამეგო, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ამ შელმართს. არაქათი თანდათან გამომელია და დავეცი. წარმოიდგინეთ, რა სირცხვილსა და სასოწარკვეთაში ჩავვარდებოდი, როცა უმწეო მსხვერპლს მათრახი დამიშინეს! თავს დატეხილი უბედურების გადასატანად დიდი მოთმინებით აღვიჯურვე, მაგრამ განა შემეძლო წინდანინ განმეჭვრიტა და მცოდნოდა ყველა განსაცდელი და წამება, რაც კვლავ მელოდა?

ამაოდ ვატანდი თავს ძალას, გზა რომ გამეგრძელებინა. ღა-  
მეული ტყის წინააღმდეგობებმა სულ დამაძაბუნეს... მეორედ და-  
ვეცი. ჰაჯი-ქერიმმა კვლავ დამარტყა. ავდექი, მაგრამ მან ბრაზი-  
ანად დამცა მიწაზე... მომეჩვენა, ჩემი მოკვლა მოისურვა-მეთქი.  
ცალი ხელი რომ პირზე დამაფარა, მეორე მკერდზე მთხლიშა. ეს  
ხელი კორსეტში შეჩურთულ ჩემი შვილის პორტრეტს მოხვდა. და  
მთიელიც ახალი ენერგიით მეძგერა: რამდენიმე პატარა ხატსა და  
ნერილებთან ერთად მკერდიდან ჩამომგლიჯა შვილის პორტრე-  
ტი, რომელსაც, როგორც სანუკველ განძსა თუ თილისმას, ისე  
ვუფრთხილდებოდი და ვინახავდი. ყაჩალს ხატები თითებიდან  
დაუცურდა. მთიელს ის ფული ეგონა და მოინდომა, უსათუოდ  
მოეძებნა. სულმოუთქმელად მირტყამდა ხან მათრახსა და ხან  
კიდევ მჯიდებს, რათა მეც დავხმარებოდი ძებნაში, მაგრამ ჩემი  
და მისი ცდა ამაო გამოდგა და გავუდექით გზას ორივე უკმაყო-  
ფილო – იგი თავისი დანაკარგით, მე კი მისი სასტიკი მოპყრო-  
ბით.

მალე კოცონები შეენიშნეთ და იქითკენ გავემართეთ. სია-  
რულმა და სიცივემ ფეხები სრულიად გამიხევა. საშინელი წყურ-  
ვილიც მკლავდა. დაუინებით ვთხოვდი ჩემს ჯალათს, წყალი და-  
ელევინებინა და, რადგან მეჩვენებოდა, რომ ჩემი არ გაეგებოდა  
რა, ვუთითებდი თუნგებზე (სპილენძის დოქებზე). ეს ჭურჭლები  
იმ ცხენებზე იყო გადაკიდებული, რომელთა შორიახლოსაც შევ-  
ჩერდით. ჰაჯი-ქერიმმა ბრძანება გასცა, მისთვის მიწაზე ნაბდები  
გაეშალათ; ერთი ნაბადიც მისივე მითითებით ჩემთვის დააფინეს,  
ოღონდ დაჯდომაზე უარი განვაცხადე: მერჩივნა ერთ-ერთ ცხენს  
ჩამოვყრდნობოდი, რომლისაც ისე არ მეშინოდა, როგორც ამ ორ-  
ფეხა ბარბაროსისა. იგი აქ ორ საათს მაინც იჯდა. მე კი ძლიერ  
მანამებდა სიცივე და წყურვილი. ბოლოს მთვარეს ახედა, ნაბა-  
დი კვლავ ცხენზე მოათავსა და ისევ გავაგრძელეთ გზა. ფეხები  
დამისისხლიანდა; რაც უფრო წინ მივინევდით, გზა მით უფრო  
უარესდებოდა; ყოველნაირად ვფრთხილობდი, მაგრამ წვეტიანი  
ქვები და ეკალბარდები მთელ სხეულს მისახირებდა. ჩემი ცემა-

ტყეპა გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობდი, ის არ დამემსახურებინა. გზის გაგრძელება ვეღარ შევძელი, მიწაზე დავეცი და, ჩემს ტანჯვა-წამებას რომ ბოლო მოღებოდა, ღმერთს სიკვდილი შევთხოვე. ჰაჯი-ქერიმმა კი საუბარი გამიბა. მისი სიტყვებიდან მხოლოდ ეს გავიგე:

– შენ კნეინა ხარ?

ამ შეკითხვით მან უკვე რამდენჯერმე მომმართა. რასაკვირველია, უნდოდა შეეტყო, ჩემში რა გამოსასყიდს მიიღებდა. აზრადაც არ მომსვლია მეთქვა, კნეინა ვარ-მეთქი, თორემ ამას, შესაძლებელია, ბევრჯერ დავეხსენი აუტანელი მოპყრობისაგან.

– მე გუვერნანტი ვარ.

ჰაჯი-ქერიმს ფრანგული არ ესმოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, კაცთმოყვარეობა გამოეჩინა. ჩემგან საკმაოდ ფასეული ნივთები წაიღო და ამის შემდეგ მას ვერც წარმოედგინა, რომ მე, შესაძლოა, უბრალო გლეხის ქალი ვყოფილიყავი. ამიტომაც მკითხა:

– შენ ქალბატონი (ქალბატონი ხარ)?

– დიახ, ვუპასუხე მე.

ბოლოს ერთ-ერთი ნუკერი იხმო და მხრებში შემიდგნენ. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე, რათა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადამედგა.

როგორც იქნა, ავალნიერ მთის მწვერვალს და თავქვე დავგეშვით. არ შემიძლია განვსაზღვრო, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ძნელი გადასვლა. სამივენი ერთდროულად არაერთგზის დავეცით. მაშინ ჰაჯი-ქერიმი შმაგდებოდა და თავის მარცხში ბრალსა მდებდა. ივანე, პირიქით, ყოველთვის ალერსიანად მეპყრობოდა: როცა, მაგალითად, ჩემი შემაგრება ან წამოყენება უხდებოდა, ამას აკეთებდა ფაქიზად, უხეშობის გამოუვლენლად. ჩვენი მეპატრონე პირნავარდნილი ჯალათი გამოდგა. და, თუ სიცოცხლეს არ გამომასალმა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, ჩემში დიდ გამოსასყიდს მიიღებდა – მან ხომ არ იცოდა, ვინ ვიყავი!

საბოლოოდ, როგორც იქნა, გავივაკეთ. აქ ივანემ ჰაჯი-ქე-რიმის უკან ცხენზე შემსვა, მაგრამ უნაგირში მავთულები იყო ამოჩილი და აუტანელ ტკივილს მაყენებდა. არაერთხელ აღმო-მხდა მკერდიდან თავშეუკავებელი კივილი. თუმცა ჰაჯი-ქერიმი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ეს მიმითითა: მის ქამარს მაგრად ჩავჭიდებოდი. ყველაფერ ამასთან ერთად, წარმოიდგინეთ ჩემი საშინელი მდგომარეობა, როცა საკუთარი თავის გადასარჩენად იძულებული ვიყავი შევხებოდი ჩემს ჯა-ლათს, მოწყვეტილი ვიყავი ყველა ახლობელს და ვიმყოფებოდი ორ უცხო კაცს შორის, რომელთაგან ერთი შიშის ზარსა მცემდა, ხოლო მეორეს, პირველის ნების უნო შემსრულებელს, არ შეე-ლო რაიმეთი დამხმარებოდა, კიდევაც რომ მოესურვებინა.

როდესაც რომელილაც ნაკადული გადავლახეთ, მიბრძანეს ჩამოვჭეითებულიყავი და მოხერხებულ ადგილზე გავჩერებუ-ლიყავი. წყურვილისაგან გული მიღონდებოდა და უკვე ისიც აღარ შემეძლო, წყალი ხვენნა-მუდარით გამომეთხოვა. რუ კი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მოჩხრიალებდა. გადა-ვწყვიტე მივსულიყავი მასთან, მაგრამ ივანემ დამაკავა. დღემდე ვერ ამიხსნია, რა იყო ამის მიზეზი! მან მიწაზე ნაპატი დააფინა და მანიშნა, დავმჯდარიყავი. უმალ დავემორჩილე. ჰაჯი-ქერიმმა აიღო ხალიჩა, რომელიც მის უნაგირს ეფარა და რუს პირას გა-შალა. შემდგომ ამისა, ჩემთან მოიტანა თავისი იარაღები და ჩემს სხეულზე დაალაგა – ნიშნად იმისა, რომ მე მისი მონა ვიყავი. თავი მოიშიშვლა და ღელეს მიუახლოვდა, დაიჩიქა იმ ადგილზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მთვარე და დიდხანს ლოცულობდა. მეც ვლოცულობდი – ღმერთს ვემუდარებოდი: ან დავებრუნები-ნე კნეინებთან, ანდა სიკვდილი ერგუნებინა...

ჰაჯი-ქერიმმა ლოცვა მოათავა და მომიახლოვდა. ივანემ ნა-კადულიდან აღებული წყალი მიაწოდა. მანაც შესვა და თუნგი მე გადმომცა, რომელშიც ივანემ რაღაც თეთრი საგანი ჩააგდო: გემოთი მივხვდი – შაქარი უნდა ყოფილიყო. ხარბად დავენაფე წყალს, თუმცა წყურვილი მაინც ვერ მოვიკალი.

ამ დროს ჰაჯი-ქერიმმა ჯიბიდან ამოილო ჩემი ძვირფასეულობა, რომელთა შორის გახლდათ ჩემი შვილის პორტრეტიც. მან არ იცოდა, რა გამოსახულება იყო ეს და დიდად უკვირდა. ვცდოლობდი, მისთვის გამეგებინებინა, რომ ჩემი ბავშვის სურათი იყო, თან ვთხოვდი, უკანვე დაებრუნებინა. ამ სიტყვების წარმოთქმისას მივუთითე მთვარეზე და წარმოვთქვი ალლა იია (ლმერთი არს), ორად ორი არაბული სიტყვა, რომელიც ვიცოდი. ამან იგი განაცვიფრა. მაშინვე საუბარი გამიმართა, მაგრამ მისი არაფერი მესმოდა. მგონი, სწორედ ამ წუთიდან დამიწყო თანაგრძნობით ცქერა და მეტად აღარ ვუცემივარ.

## VIII

### ძისა

გზა ამხედრებულებმა გავაგრძელეთ. უწინდებურად კვლავ ჰაჯი-ქერიმს ვეჯექი უკან. მან უესტებით ამიხსნა, თუ როგორ ჩამეჭიდა მისთვის ხელი. ამან მიმახვედრა, რომ ჩვენ სწრაფად ვივლიდით. მართლაც, ცხენები ჩორთით მიუშვეს და ასე დიდ-ხანს გაგრძელდა. ივანე წინ საკმაოდ დიდ მანძილზე მიაჭერებდა. შორს რაღაც საგანი შევნიშნეთ, რომელიც მინას თანდათან გამოეყო. საგანი მოგვიახლოვდა და მალე გავარჩიეთ ადამიანის ფიგურა. ეს ლეკი მწყემსი აღმოჩნდა, ვისაც ძონძები სხეულს ძლივს უფარავდა. იგი ჰაჯი-ქერიმს მიუახლოვდა, რაღაც ბეჭედი აჩვენა, რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და გაშორდნენ. არ ვიცოდი, მთიელთა შორის რა ავტორიტეტით სარგებლობდა ჩემი განმგებელი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის ნაიბურ მედლებს, საფიქრებელია, რომ საკმაოდ წარჩინებული კაცი იყო. გზაზე, რაც მივარდნილ ადგილებში გადიოდა, ბევრ მღვიმეს ვხედავდი. ისინი კოცონებს გაენათებინა. ცეცხლს ირგვლივ მწყესები

შემოსხდომოდნენ. ეს ამტკიცებდა, რომ ამ ადგილებში მშვიდობით შეიძლებოდა მგზავრობა და სულაც არ იყო მოსალოდნელი რუსთა თავდასხმა.

განთიადისას შესასვენებლად ჭაობიან ადგილზე გავჩერდით. მეპატრონემ განკარგულება გასცა, ცხენიდან გადმოვსულიყავი. ამ დროს გაოცებით შევნიშნე რამდენიმე ქართველი ქალი, რომელთაც მთიელები ყარაულობდნენ. ამ უკანასკნელთ ჭაობიდან ჯდებთა ძირკვები დაეთრიათ, გროვად დაეხვავებინათ და წვავდნენ. ის-ის იყო, გასათბობად კოცონთან მისვლა დავაპირე, რომ ვიღაცის ალერსიანმა ხმამ გულთბილად წარმოთქვა ჩემი სახელი. იმ მხარეს მივიხედე, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა და, წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როდესაც ქართველ ქალთა შორის შევნიშნე საყვარელი კნეინა ორბელიანი. იგი მიწაზე დაფენილ რამდენიმე ნაბადზე იჯდა. მაშინვე მასთან მივირბინე. როდესაც შენიშნა, ფერმკრთალი და გამხდარი ვიყავი, მომეხვია; ცდილობდა გავეთბე.

- ოჳ, ქალბატონო! გუშინ რამდენი გეძებეთ...
- რა მოუვიდა ჩემს შვილს? – იკითხა მან.
- გიორგი სწორედ ტყეში შემოსვლის წინ დავინახე, მის შეუპოვარ ძიძას ეჭირა.

ამ ცნობამ საბრალო დედა ცოტათი დაამშვიდა. შემდეგ მოვუთხრე ჩემ მიერ გადატანილ ტანჯვა-წამებაზე. მალე ჩემს წასაყვანად პაჯი-ქერიმმა მოგვაკითხა.

- ეგ ფრანგი გენერლის ცოლია, – უთხრა მას კნეინამ, – მინდა ჩემთან დარჩეს.

გენერლის ცოლი არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ კნეინას სურდა, ამით ჩემდამი პაჯი-ქერიმის პატივისცემა გამოეწვია.

- შენ კი თავად ვინდა ხარ, ასე რომ ლაპარაკობ? – იკითხა მან.

- მე კნეინა ბარბარე ორბელიანი ვარ.

– განა დიდ გამოსასყიდს მომცემენ მაგისათვის? – აგრძელებდა შეკითხვებს ჰაჯი-ქერიმი და თან ჩემზე უთითებდა, – ნინააღმდეგ შემთხვევაში მე მას ჩემთან დავიტოვებ.

შემდეგ ქალბატონს ჩემთვის წართმეული წერილები უჩვენა:

– ეს ქაღალდის ფული ხომ არ არის, ასე უხვად რომაა რუსეთში? – შეეკითხა იგი.

– არა, ეს ფული არაა, – მიუგო კნეინამ.

– მაშ, რა არის?

– ნათესავების წერილებია.

– თვითონ ქალია თუ ქალწული?

– ის არის დამა.

– ბავშვები ჰყავს?

– ერთი შვილი ჰყავს.

– რუსია თუ ქართველი?

– არც რუსია და არც ქართველი. ფრანგის ქალია. მისი სამშობლო აქედან ძალიან, ძალიან შორს მდებარეობს.

ამით ჰაჯი-ქერიმმა თავისი შეკითხვები დაასრულა, მაგრამ, ჩვენგან რომ მიდიოდა, ჩემი წერილები ცეცხლში მოისროლა. უნდა გამოსცადო მთელი ჩვენი ტანჯვა-წვალება, რომ მიხვდე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილისათვის გულით საყავარელი ადამიანებისაგან მოწერილ ბარათებს. სწორედ ამიტომაც ჰაჯი-ქერიმის მოქმედებამ – თვალის დახამხამებაში რომ გაანადგურა ჩემი უძვირფასესი განძი, მეტისმეტად გამანაწყენა.

ეს კაცი მალე კვლავ დაპრუნდა, ჩოხა გაიხადა და კნეინა ორბელიანს მიუგდო დასაკემისავად. მისი მოქმედება არ მომენტია და ქალბატონს სამოსი ხელიდან გამოვტაცე. ჰაჯი-ქერიმი ამას სულაც არ გაუნაწყენებია. ჯიბიდან მშვიდად ამოაძვრინა რაღაც ფუტლარის მსგავსი, რომელშიც ნემსი და ძაფი ჰქონდა, და იგი კნეინას გადასცა. ჩემი განაწყენების მიუხედავად, კნეინა მაშინვე შეუდგა საქმიანობას. რამდენადაც შემეძლო, ხელს ვუწყობდი. ამ დროს მთიელებმა ნინანდალში ნაძარცვი ჩაის სმა გააჩაღეს.

არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც სიბრალულის გამო, ჩვენთვისაც შეეთავაზებინა ფინჯანი ჩაი.

ერთი საათის შემდეგ კნეინა ჭავჭავაძის ბავშვების ძიძა – ალექსანდრა მოგვიახლოვდა. მისმა დანახვამ ყველა დაგვაშინა და აგვაფორიაქა, რადგან უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა: თავი სამ ადგილას გაეჩეხათ ხმლით და, ეტყობა, ხშირმა თმამ უშველა – სიკვდილისაგან დაიფარა. მთელი ზურგი გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა; მარცხენა ხელი დასახიჩრებული, ხოლო ერთ-ერთი თითი, თითქმის მთლიანად მოკვეთილი, ხელის მტევანზე ძაფით მიმაგრებულივით ეკიდა. აღარ ვიცოდით, რითი დავხმარებოდით ამ უბედურს – მთიელნი ხომ არაფერს არ გვაძლევდნენ. საბედნიეროდ, კნეინა ორბელიანს გადაენახა თავისი უბრალო ქვრივის კაბა. მან მყისვე მოახია მას სახელო და ალექსანდრას ხელი შეუხვია, მაგრამ რა უნდა გველონა თავზე არსებული იარების მოსარჩენად? ქალს თავზე სისხლი შეხმობოდა, ჩვენ კი უმწეონი ვიყავით, რაიმე გაგვეხერხებინა. ამიტომაც კნეინა მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ავადმყოფს თავი საკუთარი თავსაფრით შეუხვია.

ამასობაში ჩიხის ნასალებად ჰაჯი-ქერიმი მოვიდა. იგი, როგორც ჩანს, ნახელავით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ეს ჩვენ მხედველობიდან გამოვეპარა, ვინაიდან მთელი ყურადღება დახეიბრებულ ძიძაზე გვქონდა გადატანილი...

დავიძარით. ცხენზე მჯდარი კნეინა წინ მიდიოდა, მე და ალექსანდრა ფეხით უკან მივლასლასებდით. რომელიღაც ადამიანის სახიანი ურჩხული წამწაუწუმ ურტყამდა სისხლის დაკარგვითა და ტკივილებით სავსებით მისუსტებულ, უბედურ დაჭრილს. იგი მოითხოვდა, არ მიმეტოვებინა. სამწუხაროდ, ვერაფრით ვებმარებოდი, მაგრამ დიდად ანუგეშებდა ის, რომ გვერდით ჰყავდა არსება, რომელიც თანაუგრძნობდა. ბოლოს, როდესაც იმდენად მოუძლურდა, რომ სიარული გაუჭირდა, მთელი ძალით დაუწყო ძახილი კნეინა ორბელიანს შემდეგი სიტყვებით: დედი! დედი! მეც ავყევი. კნეინამ გაიგონა ჩემი ყვირილი და, მიუხედავად გა-

მყოლის ძლიერი წინააღმდეგებისა, ცხენი შეაჩერა. დიდი ვაი-ვა-გლახით მივლასლასდით მასთან და ჩვენი გამყოლის სისასტიკის შესახებ მოვახსენეთ. კნეინამ გარშემოჯარულ მთიელებს ამის შესახებ აუწყა, მაგრამ იმათ ჩვენი თხოვნა-მუდარა ყურად არ იღეს. საბოლოოდ ქალბატონმა მაინც აიძულა ისინი, დაჭრილი ცხენზე შეესვათ, ხოლო თვითონ ფეხით განაგრძო გზა. კნეინა ასე დიდხანს ივლიდა, მისთვის ხელი რომ არ შეეშალა ტალახს, რის გამოც იწყო ჩამორჩენა. ეს რომ მთიელებმა შენიშნეს, აიძულეს ცხენზე ძიძასთან ერთად დამჯდარიყო, მაგრამ ამ ქალს, მეტისმეტად სუსტად რომ გრძნობდა თავს, ცხენზე თავის შემაგრება უჭირდა და იძულებული იყო, კნეინას დაყრდნობოდა; ამას-თან, იგი ზონზროხა ტანისა გახლდათ და კნეინამ იმდენი ძალა მიახარჯა ცხენზე მის შემაგრებას, რომ ბოლოს გული შეუღონდა. მაშინ მთიელებმა გადაწყვიტეს, რომელიმე მათგანს მისთვის ცხენი დაეთმო. გრძნობაზე მოსული კნეინა შეჯდა ახალ ცხენზე და გზა განაგრძო.

ამ დროს ივანეს ვეჯექი უკან. ალაგ-ალაგ გვხვდებოდნენ ჩვენს ბედში მყოფი ქართველი გლეხის ქალები. ჩვენსა და მათ შორის მხოლოდ ერთადერთი განსხვავება იყო – ისინი ფეხით მოდიოდნენ. შევედით რომელიღაც განუზომლად ვრცელი ტყის სიღრმეში. ამ ტყის მყუდროება, ალბათ, არასოდეს დარღვეულა. მინას სქელი ხავსი მოსდებოდა, ხოლო ასწლოვან ხეებს თვალს ძლივს აუწვდენდი. აქა-იქ ტოტიდან ტოტზე დაფრთხიალებდნენ ცისფერ და წითელფრთიანი ჩიტები, სხვადასხვა მიმართულებით დარბოდნენ ხვლიკები. ისინი ხავსისაგან თავიანთი მწვანე შეფერილობით გამოირჩეოდნენ. ამ ტყისათვის თავისუფლად შეგეძლოთ გეწოდებინათ უღრანი. ამ ტყეში ჯერჯერობით ბილიკიც არვის გაეკვალა.

ნაკადულის პირას, რომელთანაც ის-ის იყო მივედით, შევეყარეთ წინანდლიდან გატაცებულ ახალგაზრდა ქალიშვილს. მთიელებს მისი დედა გარდაცვლილი ჰგონებოდათ და ამიტომაც ხელი არ ეხლოთ. ქალიშვილთან იმყოფებოდა მისი ღრმად

მოხუცებული ბებია და ერთ-ერთი ძმა, რომელსაც ხელში ეჭირა ლიდიასავით ოთხიოდე თვის გოგონა. პანაწა უდედოდ და ურ-ძეოდ დარჩენილიყო.

მდინარის გადალახვისას, რაც არც ისე ადვილი საქმე გახლდათ, საცოდავი ალექსანდრას თანხლება არავინ ისურვა. მე, ჩემის მხრივ, ივანეს ვთხოვე, დახმარებოდა საბრალოს, მაგრამ იმანაც უარი განაცხადა. მაშინ ჩვენმა კეთილმა ანგელოზმა, კნეინა ორბელიანმა, ნება გამოსთხოვა მთიელებს, რათა დაჭრილი ქალი იმისთვის შემოესვათ ცხენზე. რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ამას. ცხენმა იგრძნო, რომ მას სუსტი ხელი მართავდა და შუაგულ მდინარეში შედგა. კნეინა ამაოდ ცდილობდა პირუტყვის დაძვრას. ბოლოს ივანე და მეორე მთიელი ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქალბატონი თავისი ცხენიანად ნაპირზე გაიყვანეს. მაგრამ, რა წამსაც ფეხი დააღვეს მიწას, ალექსანდრა იმ წამსვე უმოწყალოდ ჩამოაგდეს ცხენიდან.

## IX

### ფოხალის პოშა

მალე ფოხალის კოშკის<sup>19</sup> აღმართს შევუდექით. ბილიკი, რომელსაც მივუყვებოდით, თავისი უთავბოლო მისახვევ-მოსახვევით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არიადნას ძაფს. აღმართმა ხუთ საათს შეგვიყოლია. ახლა მხოლოდ კნეინა მოდიოდა ცხენზე მჯდარი. მართალა, ივანემ მეც შემომთავაზა ცხენზე დავმჯდარიყავი, მაგრამ ჩვენი გზა ისეთ სახიფათო ადგილებზე გადიოდა, ფეხით სიარული ვარჩიე.

როცა საქმაოდ მაღლა ავალნიეთ, დავინახეთ ფოხალის კოშკი. იგი აღმართულია ფრიალო კლდეზე, თავპრუდამხვევი უფს-

კრულის პირას. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა კა-მეჩების, ხარებისა და ცხენების ნახირი, დატვირთული მდიდრუ-ლი ნადავლით. შამილის კარვები მიმობნეული იყო კოშკის ძირას. ამ ადგილებში ვხედავდით მწყემსებს, რომლებიც ყვიროდნენ და კლდიდან კლდეზე თხებივით დახტოდნენ, არაფრით რომ არ ჩა-მოუვარდებოდნენ მათ სამკვირცხლეში. ისინი გვაცქერდებოდნენ გაუმაძლარი ცნობისმოყვარეობით: ჩვენმა გამოჩენამ ეს მივარდ-ნილი ადგილი გამოაცოცხლა.

რაც უფრო მაღლა მივიწევდით, მით უფრო მდიდარი ხდებო-და მცენარეული საფარი. ნისლი თანდათანობით სქელდებოდა და მთათა წვეროკინები იფარებოდა მასიური ღრუბლებით, რომელ-თა ალაგ-ალაგ გაცრეცილ, თხელ მარმაშში მკრთალად მოჩანდა სხვა მთათა თოვლიანი სიმაღლეები. გზა იმდენად ძნელი სავალი იყო, იძულებული ვიყავით ხშირად შეგვესვენა. უკანასკნელი შეს-ვენებისას მინდოდა რითიმე მადლობა გადამეხადა ივანესათვის იმ სამსახურის გამო, რაც მე და კნეინას გაგვიწია. გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ მქონდა შერჩენილი საყურეები, რომლებიც ჰაჯი-ქერიმის ხარბი მზერისაგან დაფარული იყო სწორედ იმ ჩვრით, რაც მან თავზე მოსახვევად მესროლა. საყურეები სიამოვნებით მივეცი ივანეს. იგი კმაყოფილი დარჩა საჩუქრით და, რამდენადაც შეეძლო, განაგრძობდა ჩვენზე მზრუნველობას.

კოშკს მიახლოებულებმა დავინახეთ ათი ათას კაცზე შეტი. ისინი იდგნენ ორ წყებად. ჩვენ მათ შორის უნდა გაგვევლო. მთელი ეს ხალხი თითქმის შიშველ-ტიტველი იყო. ჩვენ მათი განსაკუთრებული გაოცებისა და ცნობისმოყვარეობის საგნად გადავიქეცით: საკუთარი სახლის კედლებს მიღმა უჩადროდ გა-მოსული ქალები არასოდეს ენახათ, და ახლა ირგვლივ ირეოდნენ, რათა ჩვენი სახეები დაენახათ. ყველაფერი, რაც კი აქ გზადაგზა გვხვდებოდა, გვაოცებდა თავისი ველურობით. აქა-იქ შამფურის მაგივრად გრძელ მარგილებზე ხარები ნამოეგოთ და კოცონებ-ზე წვავდნენ, იქვე სისხლიანი ტყავები გამოჰყავდათ. როდესაც ცნობისმოყვარენი გზას მეტისმეტად მჭიდროდ გვიღობავდნენ, მაშინ მათ, როგორც ძალებს, მათრახის ცემით ერეკებოდნენ.

ამ აღვირახსნილ ურდოთა შორის წყვილ-წყვილად მივდიოდით. მათ რიგებში იმყოფებოდა რამდენიმე ნაიბი. ისინი სხვა მთიელთაგან მედლებით გამოირჩეოდნენ. ჩვენ გველოდებოდა ხაჯი,<sup>20</sup> შამილის მოურავი, მისი ერთ-ერთი უერთგულესი მოურიდი.<sup>21</sup> ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩვენს შემხედვა-რეს თვალები ცრემლით აევსო.

ფოხალის კოშკი გამჭოლ კიბეს შევყავდით. ამ კიბით ავედით. შემდეგ განველეთ რამდენიმე მიწისქვეშა სართული, დაბოლოს, ნახევრად წყვდიადში აღმოვჩნდით. ერთმანეთის გარჩევა მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ შევძელით. ჩვენს შორის იმყოფებოდნენ აგრეთვე გიორგი ორბელიანი, თამარი, სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძე. რამდენიმე საათის შემდეგ მობრძანდა კნეინა ჭავჭავაძე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულიერად და ფიზიურად რა განადგურებული გამოიყურებოდა! ქალბატონს განსაკუთრებით უკლავდა გულს საყვარელი ლიდიას გაურკვეველი ხვედრი. საბედნიეროდ, ტყვეობის დასასრულამდე არაფერი ვიცოდით ამ პანაზინას ბედის შესახებ, და ეს ცოტათი მაინც გვაიმედებდა, რომ ბალლი გადარჩებოდა. ჩვენ შორის იმყოფებოდა პატარა ევა, სწორედ ის უბედური ბავშვი, ვისი დედაც მთიელებმა მკვდრად ჩათვალეს და მიატოვეს. კნეინა ჭავჭავაძემ მას ძუძუ ანოვა და ამას მანამ აკეთებდა, სანამ ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

ცოტცოტაობით ერთად მოვიყარეთ თავი, რაც ჩვენთვის, ჭეშმარიტად, სასიხარულო იყო. ჩვენი ჯგუფიდან გამუდმებით აღავლენდნენ ღვთის სამხვეწრო ლოცვას. მალე ამ მიწისქვე-შეთში ჰაჯი-ქერიმი შემოვიდა და კნეინა ჭავჭავაძეს მიმართა:

- გინდა შამილთან მიგიყვანო?
- მე მას არ ვეახლები, თვითონვე შეუძლია აქ მობრძანდეს.
- მაგრამ მას სურს, თავისთან მოგელაპარაკოს.
- ნუ წახვალთ, კნეინა, ეს კაცი ტყუის, – ვთქვი მე.
- ყოველ შემთხვევაში, თუ მაინცდამაინც წახვალ, – დაუმატა კნეინა ორბელიანმა, – თან წაიყოლი რამდენიმე ქალი.

## X

### თავადი ილიკო რჩებულიანი

კნეინა ჭავჭავაძე მტკიცე უარზე იდგა და შამილთან წასვლას არ აპირებდა. ამასობაში კნეინა ორბელიანისა და მისი ვაჟიშვილის სანახავად მოვიდნენ ნაიბები.<sup>22</sup> ორბელიანთა გვარი მათთვის კარგად იყო ცნობილი, განსაკუთრებით კნეინას მეუღლის მამაცობის შემდგომ. რამდენიმე წლის წინათ თავადი ილიკო ორბელიანი შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა.<sup>23</sup> როცა ვედენოში მიიყვანეს, იმამმა განკარგულება გასცა, იგი მისთვის წარედგინათ.

– იმპერატორ ნიკოლოზს წერილი მისწერე, რათა დამიბრუნოს შვილი ჯემალ-ედ-დინი, – მოსთხოვა შამილმა ტყვეს. თხოვნას თუ შემისრულებენ, იმწამსვე გაგათავისუფლება.

– ამას იმპერატორს არაფრის გულისათვის არ ვთხოვ, – უპასუხა თავადმა. – უმჯობესია, ამ იმედს გამოემშვიდობო. მე არ შემიძლია მისი განხორციელება.

შამილს არაფერი უპასუხია. გავიდა ექვსი თვე. თავადი ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ჩააგდეს ხაროში. ამ სახის ორმოები ითხრება ვიწროდ და მისჯილნი მასში კიბით ჩადიან. სურსათ-სანოვაგის მიწოდება ხდება სამ-ოთხ დღეში ერთხელ. ჰარემი ხაროში იმ ხვრელიდან აღნევს, საიდანაც მისჯილი ჩადის. ეს ორმოში მსხდომთა ნელ და მტანჯველ სიკვდილს იწვევს.

შამილი დაჟინებით სთხოვდა თავადს, მისი წადილი შეესრულებინა, მაგრამ – ამაოდ. საბოლოოდ იმამს ამბავი მიუტანეს: ტყვე უკიდურესად არის დაუძლურებულიო. მაშინ შამილმა ბრძანა, იგი ირმოდან ამოეყვანათ. სუფთა ჰაერზე ამოყვანილი თავადი ძლივსლა სუნთქავდა. იმამმა ერთ-ერთ უერთგულეს მსახურს დაავალა ყველაფერი ეღლონა თავადის დასაყოლიებლად, მაგრამ ვერც მან მოახერხა რაიმე. ამან შამილი წარმოუდგენლად გააღიზიანა, ბრძანა, თავადი მასთან სასახლეში მიეყვანათ. თვითონ სერალის ერთ-ერთ ოთახში დაიმალა, საიდანაც ტყვის თვალთვა-

ლი ადვილად მოსახერხებელი იყო. ამის შემდგომ თავადს მიუახლოვდა ნაიბი შეიარაღებული ხალხის თანხლებით:

– ილიკო ორბელიანო! – უთხრა იმან, – შენ მალე უნდა დატოვო ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ შამილი პატივს სცემს შენს მამაცობას და ამიტომაც ნება დაგროო, აირჩიო სიკვდილის საშუალება. ნება შენია – როგორი სიკვდილი გირჩევნია?

– ყველაზე სწრაფი, – უპასუხა თავადმა.

შეაყენეს ჩახმახები, ზოგიერთმა თოვლი კიდეც დაუმიზნა და მხოლოდ ბრძანებასლა ელოდებოდნენ. ამ დროს გამოვიდა შამილი.

– ილიკო ორბელიანო, – უთხრა მან და ხელი გაუწოდა, – უშიშარი ყოფილხარ. ამის გამო არ შემიძლია პატივი არ გცე. ფარულად თვალს ვადევნებდი შენს გამომშვიდობებას სიცოცხლეს-თან. წარბიც არ შეგიხრია, არც ერთი მოძრაობით სიმხდალე არ გამოგიმუდავნებია, არ შემდრკალხარ. დღეიდან ჩემს პირობით ტყვედ გთვლი, ვენდობი შენს ვაჟეაცობას.

დაიწყეს მოლაპარაკება თავადის გადასაცვლელად იმ ტყვე მთიელებზე, რომლებსაც შამილი აგრეთვე დიდად აფასებდა. თავად ილიკოს ტყვეობა 9 თვეს გაგრძელდა და მისმა გამგზავრებამ გულწრფელად დაამნუხრა ყველა ნაიბი. შამილიც იზიარებდა მათ გრძნობებს, რისი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის გახლდათ, რომ კნეინა ორბელიანსა და მის ვაჟს უდიდეს პატივს სცემდა.

ამგვარად, თავადი ილიკოს მარტო სახელის ხსენებაც კი მფარველობას გვიწევდა. გვეწვივნენ შამილის არმიის უმთავრესი სარდლები, გარს შემოერტყნენ კნეინა ორბელიანს.

– კნეინა! შენი ქმარი კარგი ვაჟკაცია, – ეუბნებოდა ერთი იმათგანი.

– კნეინა, სადაა თქვენი შვილი? გვაჩვენე! – სთხოვდა მეორე და სიამოვნებით სინჯავდნენ მშვენიერ გიორგის. მრავალი მთიელი ცდილობდა, დაერწმუნებინა კნეინა ორბელიანი, რომ მისი ქმარი არ მომკვდარა, რომ იგი თურქებმა ტყვედ იგდეს ხელთ

და გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნებდნენ. ეს გაუთავებელი მისვლა-მოსვლა გულს უწყალებდა და მძიმე ტვირთად ანუა კნეინებს. იმ დროს, როცა მათ ესოდენ მწუხარე ფიქრები უფორიაქებდნენ გულსა და გონებას, იძულებული იყვნენ მოთმინებითა და თავაზით ეპასუხათ დაუსრულებელ შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა თვითონ მათ, მათს ბავშვებს, მე. მიუხედავად ამისა, კნეინა ორბელიანი ყველას ყურადღებითა და თავაზით, მაგრამ ლირსების სრული დაცვით ეპყრობოდა. მან არაერთხელ იკითხა, თუ რის მიღებას მოისურვებდა შამილი მისი ოჯახის საფასურად, მაგრამ ყველაზე მეტად ცდილობდა გაეგო, თუ რა პირობებს წამოაყენებდა შამილი კნეინა ჭავჭავაძისა და მისი ბავშვების გათავისუფლებისათვის. როგორც იქნა, მოვიდა იმამის რწმუნებული და შემდეგი გამოგვიცხადა: იმამის სურვილია იმპერატორმა ნიკოლოზმა დაუბრუნოს მას შვილი<sup>24</sup> და თავადმა ჭავჭავაძემ გადაუხადოს უშველებელი თანხა – თავისუფლებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებდით.

## XI

### ველენოში გამგზავრება

საითკენ გაგვიყენებდნენ გზას, ეს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტათ. დანიელ-ბეგი,<sup>25</sup> ვისი ქალიშვილიც ცოლად ჰყავდა შამილის შვილს ყაზი-მაჰმადს,<sup>26</sup> რუსეთის ქვეშევრდომი გახლდათ. მაგრამ შემდეგ მთებში გაიქცა და სახელმწიფოს მტრებს შეუერთდა. იგი იცნობდა თავად დავით ჭავჭავაძის მამას, იცოდა, როგორც ცხოვრობდნენ თბილისში და, რუსთა შორის ცხოვრებისას გაეცნო მათ მოთხოვნილებებს, ჩვევებს. აი, ეს კაცი შამილს წინადადებას აძლევდა, მასთან გავეგზავნეთ. იგი პირობას დებდა, რომ ჩვენ მიმართ ყოველგვარ მზრუნველობას გამოიჩინდა, მაგრამ იმამი

არ დასთანხმდა. მან განკარგულება გასცა გავეფრთხილებინეთ, რომ მის სახლში მხოლოდ ის გვექნებოდა, რისი მოცემის შესაძლებლობაც მას ექნებოდა, და, რადგან თვითონაც ღარიბულად ცხოვრობდა, ჩვენც მხოლოდ ყველაზე აუცილებლის მიღების იმედი უნდა გვქონოდა, ხოლო, როდესაც ჭავჭავაძე მას თავის შვილს მოჰვრიდა, ჩვენც დაუყოვნებლივ გაგვათავისუფლებდა.

როგორც იქნა, მარტონი დავრჩით. კნეინებმა შეთხზეს ორი წერილი, რომლებშიც შამილის პირობები ჩამოაყალიბეს. ერთი წერილი თავად ჭავჭავაძეს უნდა მირთმეოდა, მეორე – გენერალ რეადს, რომელიც იმხანად თავად ვორონცოვის თბილისში არყოფნის გამო კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. წერილები შამილს წაუდეს. მან გამოწვლილვით შემოწმების შემდეგ ისინი მთიელის ხელით თბილისს გააგზავნა.

კნეინა ჭავჭავაძემ ბრძანა, შამილისათვის ტანსაცმელი ეთხოვათ. მან რამდენიმე მოახლე გაგზავნა მთიელთა თანხლებით და მათაც მოიტანეს შარვლები, თავსაკრავი და ნუკერის მოძველებული ტანსაცმელი. როდესაც კნეინამ მამაკაცის ტანსაცმლის მაგვარი რაღაც მიიღო, მაშინვე დამითმო თავისი ძველი კაბა. ამით დიდად მადლიერი დავურჩი: დგებოდა ნოტიო და ცივი ღამე, მე კი ტანს აღარაფერი მიფარავდა.

დილით კოშკიდან გამოსვლა გვიპრძანეს. დაბლა იმავე კიბით დავეშვით, რომლითაც კოშკში ავედით და კვლავ აღმოვჩნდით ველური ბრბოს წიაღში, იმ ხალხის წინაშე, რომელთა შორისაც გუშინ გამოვიარეთ. შამილმა ბრძანება გასცა, ვედენოში<sup>27</sup> გადავეყვანეთ ყველაზე უშიშარი და მიუდგომელი ანდა უმჯობესია ითქვას, ყველაზე ძნელად სავალი გზით, რათა გამოერიცხათ რუსთა თავდასხმა. ყოველ ჩვენგანს ცხენი მისცეს. ცხენს წინ ლაგამში ხელჩაჭიდებული გამცილებელი მიუძღვდა. ქარავნის ზედამხედველობა მოლას დაევალა.

გზა, რომელსაც ფოხალის კოშკიდან გავუყევით, თავდაპირველად ორი ბოლონაწვეტილი კლდით იყო შევიწროებული, მალე კი საშინლად დაქანებული თავდაღმართი დაიწყო.

ჩემმა გამცილებელმა, კეთილკაცობა რომ შევწამე, მანიშნა, ცხენს ფაფარში ჩავთრენოდი. ქვემოთ ცეცებით ჩავდიოდით, როგორც კიბის საფეხურებზე. მარჯვნივ და მარცხნივ ცარიელი სივრცის მეტი არაფერი მოჩანდა. გზა მოლიპური და სახიფათო იყო. ისე მოხდა, რომ საფეხურებიც სავსებით გაქრა და ბილიკი უფსერულს მიაწყდა. საჭირო გახდა მეორე მხარეზე გადახტომა. გამცილებელი უფსერულს თავს გადაევლო და მანიშნა, მეც მივყოლოდი. ისე შევშინდი, რომ საკუთარი თავი წინდანინ გამოვიგლოვე. გამყოლმა გაფითრება შემამჩნია თუ არა, მანიშნა, თვალები დამეხუჭა და ცხენს ფაფარში ორივე ხელით მაგრად ჩავჭიდებოდი. გამყოლის ძახილზე ცხოველი მსუბუქად გადაევლო ნაპრალს და მთიელმაც გამხნევება დამინყო. ამის შემდეგ, თოვლის გარდა, ირგვლივ არაფერი შეგვიმჩნევია. ცხენები თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე ფორხილობდნენ, სხლტებოდნენ. ჩვენცა და ჩვენი გამცილებლებიც ძლიერ დავიღალეთ: აუცილებელი გახდა თუნდაც რამდენიმე წუთით შევჩერებულიყავით. შესვენებისას ჩვენთან მოვიდა კნეინა ორბელიანი, ვისთვისაც ფოხალის კოშკიდან გამომგზავრების შემდგომ თვალი აღარ მომიკრავს. მას მოაცილებდა თავადი ნიკო ჭავჭავაძე,<sup>28</sup> თავადი დავითის ნათესავი. ახალგაზრდა თავადი სამდლიანი ალყის შემდეგ ტყვედ ჩავარდა და ფოხალის კოშკში მოიყვანეს. იგი ამ ხნის განმავლობაში 30 ქართველით 500 ლეკს უმკლავდებოდა. როცა პროვიანტი გაუთავდათ, იძულებული გახდა თავისი პატარა ციხესიმაგრე დაეთმო. თავადი ისეთივე გულკეთილი გახლდათ, როგორც მამაცი და ამ მეტისმეტად ძნელ მგზავრობას გვიმსუბუქებდა.

გამყოლმა შეამჩნია, ცხენით ცუდად რომ ვმგზავრობდი და, როდესაც კვლავ გავუდექით გზას, ხელებით ამიხსნა, ჩამოვქვეითებულიყავი, მის ახლოს ფეხით მევლო. დიდი თოვლი იყო და, თუმცა ხშირად ვეცემოდი, ისე მაინც აღარ მეშინოდა, როგორც მაშინ, როცა ცხენზე ვიჯექი. სანამ თოვლიან ზონას გავცდებოდით, გამცილებელი მშველოდა. მერე მან კეთილი გულით შემომთავაზა პურისა და ძროხის ხორცის მთელი თავისი მცირე მარაგი,

თვითონ კი მუაუნას მსგავსი რომელიდაც მცენარის ფოთლებს წყვეტდა და იმით იკვებებოდა. არაერთხელ მქონია შემთხვევა, შემემჩნია მთიელთა არაჩვეულებრივი ზომიერება: ზოგიერთ გამყოლს არ მოეძევებოდა არავითარი საჭმელი და, თუ ჩვენ ჩვენი მწირი სანოვაგიდან რაიმეს ვუწილადებდით რომელიმე მათგანს, ეს უკანასკნელი იშვიათად თუ დაგეთანხმებოდა და თანაც საოცარი მორიდებულობით: შეთავაზებული საკვებიდან თავდაჭერილად აიღებდა მცირე ნაწილს. შემდეგ კიდევ უფრო მაგრად შემოიჭერდა ქამარს და ასე ამთავრებდა თავის სადილობას.

თოვლი თანდათან უთმობდა ადგილს ბალახს, მაგრამ ამ მთიან ქვეყანაში ვერც კი ასწრებთ ერთი მაღლობის ჩამოთავებას, საჭიროა მეორეზე ასვლა. ჩვენი გზა რამდენიმე საათის განმავლობაში შესანიშნავი მცენარეული საფარით შემკულ ადგილებს მიუყვებოდა; ბოლოს ალმოვჩნდით ყინულსა და თოვლზე გაცილებით მაღლა, თუმცალა ამ ადგილებში არ იყო არც თოვლი, არც ყინული. პირიქით, ძალზე ცხელოდა. ძლიერმა წყურვილმა შეგვაწუხა. მოუთმენლად ვიყურებოდით აქეთ-იქით და წყაროს დავეძებდით. გადაღლის გამო ბევრი ქალი ეცემოდა, მაგრამ მარახის შეუილი აიძულებდა, გზა ჩქარა გაეგრძელებინა და ისინიც ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რათა სხვებს არ ჩამორჩენოდნენ.

მთის მწვერვალს რომ მივატანეთ, წყლის ყრუ ჩხრიალი შემოგვესმა. ამან გვაფიქრებინა, რომ მალე დაბლა გაშლილ ველზე დავეშვებოდით. მაგრამ მწვერვალს რომ მივაღწიეთ, კანკალი აგვივარდა: დავინახეთ, რომ ჩვენი გზა თითქმის ფრიალო კლდეზე გადიოდა. არაერთგზის გვენახა ლეკთა უჩვეულო გულადობა, მაგრამ ამ ადგილას ისინიც იძულებული გახდნენ, ცხენებიდან დაფიქრიანებული ჩამომხტარიყვნენ. ზედ მთის ძირზე მივციცავდით და, რათა როგორმე შევმაგრებულიყავით დაკიდებულ კლდეზე, ბუჩქარსა და ძირკვებს ვებლაუჭებოდით. ქვევით, გაშლილ ველზე, მდინარე მიედინებოდა. მისი ნაპირი ისე ვიწრო იყო, რომ ძლივძლივობით გავაღწიეთ. გამყოლთა შემწეობით, რომ-ლებიც განსაკუთრებით სახითათო ადგილებში გვეხმარებოდნენ,

არც ერთი ჩვენგანი მდინარეში არ ჩავარდნილა. მაგრამ ეს კია: ეკალ-ბარდებისა და წვეტიანი ქვებისაგან ხელები დაყვლეფილი გვქონდა. ბოლოს გამყოლებმა ცხენებზე შეგვსხეს და მდინარის მეორე ნაპირზე გავაღნიეთ. ახლა ყველა ერთად აღარ მივდიოდით. კნეინა ორბელიანი და ბავშვები უკან იყვნენ და ამ სახიფათო გადასასვლელამდე ჯერ კიდევ არ მოელნიათ.

ძნელმა გზამ ძალა სავსებით გამომაცალა. ძილს ვეღარაფრით ვართმევდი თავს და თვალები, მიუხედავად გაძალიანებისა, მაინც მეხუჭებოდა. უცებ ხმამაღლა ლაპარაკმა გამომაღვიძა, ხმაურს მალე გინებაც მოჰყვა. უკვე მომცრო აულში შევსულიყავით და მცხოვრებნი უარს აცხადებდნენ, ჩვენთვის ღამე გაეთევინებინათ. მოლამ რომ შეატყო, გაჯიუტებულ მთიელებთან ვერაფერს გააწყობდა, ერთი უბადრუკი ქოხმახისაკენ წაგვიძლვა, რომელიც შორიდან მიტოვებულსა ჰგავდა. ჩამოვქვეითდით და ამ თავლისმაგვარ შენობაში შევედით.

## XII

### მცხოვრები

ეს ღამე დიდი ტანჯვით გავატარეთ. ისეთი ვიწრო ოთახი გამოგვიყეს, რომ იატაკის შემცვლელ უსუფთაო სოხანეზეც აღარ გვყოფნიდა ადგილი, რათა მივწოლილიყავით. გუშაგებსა და ჩვენ ერთმანეთისაგან ხის ტიხარი გვყოფდა. მათ კოცონი გააჩაღეს, რომლის კვამლი ჩვენს ოთახში იჭრებოდა და თავს გვატკიებდა. ბოლით შეწუხებულებმა, როგორც კი ინათა, ვთხოვეთ, სუფთა ჰაერზე გამოვეშვით.

აული, სადაც შევჩერდით, მწყემსებითაა დასახლებული. აქაური მცხოვრებნი დიდიან-პატარიანად ჩვენს საცქერლად მოიჯარენ. ქალები გულისამრევად ჭუჭყიანები ჩანდნენ. მათი სახეები

არ დაგვინახავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი დაფარული ჰქონდათ კოლენკორის ნაჭრით. ამ ნაჭრებს თვალების პირდაპირ ნახვრეტები ემჩნეოდა. თავზე ლითონის ფირფიტებითა და მინის სრულიად უბრალო მძივებით მორთული ტყავის ჩაჩები ეხურათ. ყველაფერი, რაც კი ჩვენს ჩასაცმელ-დასახურავსა და სამკაულებს შეადგენდა, მათ ღრმა ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა. ვერ ვიტანდით, თავიანთ ჭუჭყიან ხელებს ტანსაცმელზე რომ გვიცაცუნებდნენ, მაგრამ, აბა, რას გავაწყობდით? ზოგიერთინი კარგად ვერ გვხედავდნენ, რადგან ჩვენ წინ მორიალე ჯგუფები ეფარებოდათ და ამის გამო ცნობისმოყვარეობა აღძრულნი სახლების სახურავებზე ციყვებივით მიძვრებოდნენ.

გამგზავრების წინ მოგვიტანეს ცხვრის ვარგი ყველი და კარაქი. გზაზე განუწყვეტლივ ვიგონებდით ჩვენს ძვირფას თანამგზავრ ქალებს, რომელთა შესახებაც არავითარი ცნობა აღარ გვქონდა. თავდაპირველად ჩვენი გზა იმ მდინარის სანაპიროებს მიუყვებოდა, რომელიც გუშინ გადმოვლახეთ. გამყოლებს ჩვენი ცხენები წყლიდან ამოჩრილ ტინებზე მიჰყავდათ. ისინი ფრთხილობდნენ, ძალიან ნელა მიიწვევდნენ წინ, რადგან ყოველ გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეეძლო დაცელუპეთ. ჩვენ მაინც ძალიან გვეშინოდა, რადგან თავადი ნიკოც კი, ეს გამოცდილი მხედარი, ერთგან ცხენიდან ჩამოვარდა.

როდესაც გამცილებელმა რამდენიმე წუთით მიმატოვა, მისი ადგილი მყისვე დაიკავა მეორე ლექმა. ამ კაცს იარაღის წვერზე დაემაგრებინა ვიღაც ქალის მკლავი. იგი, როგორც ჩანდა, დიდი ხნის მოკვეთილი არ უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ თითზე წიშნობის ბეჭედი კიაფობდა. ლეკი, რომელსაც ეს ნადავლი მიჰქონდა, შიშისა და ზიზღის შეგრძნებას აღძრავდა.

ჩვენი შიშნეული სახეები რომ დაინახეს, გამყოლებმა ცხენებიდან ჩამოგვსვეს. გზად ხშირად ვხვდებოდით ქართველ ბიჭებს, რომლებსაც მთიელნი მეტისმეტი სისასტიკით ეპყრობოდნენ. მათ ცალკეულ ჯგუფებს ჩვენს ქარავანს უერთებდნენ და, ამგვარად, ჩვენი პარტია განუწყვეტლივ იზრდებოდა. ბიჭები ცდილობდნენ

სიარულის დროს დაგვხმარებოდნენ, მით უფრო, რომ ძნელი და ხანგრძლივი მგზავრობით წარმოუდგენლად დაღლილებს გამუდმებით გვჭირდებოდა ამგვარი ხელის შენყობა. კნეინა ჭავჭავაძის მოახლე ლუცია რამდენჯერმე დაეცა, მაგრამ არც ერთხელ არ შეუწყალებიათ – მათრახებს ურტყამდნენ.

ამ დღეს დიდხანს ვტოპავდით მუხლამდე წყალში. შემდეგ გზამ გადაკვეთა ტყე, სადაც დროთა განმავლობაში დახვავებულ ნამინა ფოთლებზე წამდაუწუმ გვისხლტებოდა ფეხი. ტყეში ფიჭვი სჭარბობდა, თუმცა გვხვდებოდა ღვიაც, შქერიც, კამელია, წითლად მოღალანე ყვავილებიანი იელიც. ლეკები დიკას ფოთლებს აგლეჯდნენ და ლოღნიდნენ.

ტყიდან გამოსვლისას კვლავ შევუერთდით თანამგზავრ ქალებს, რომლებიც ჩვენზე ნაკლებად როდი იყვნენ აფორიაქებული. კნეინა ორბელიანს, ძიძას, ალექსანდრას, სალომეს, თამარსა და ელოს ლამე სველ მიწაზე გაეთიათ, სადაც საბრალო ბავშვები საშინლად იტანჯებოდნენ სიცივისა და შიმშილისაგან. საკვები, რაც კი რამ გვებადა, მივეცით. სამწუხაროდ, ჩვენი მარაგი ძალზე მწირი იყო; მართალია, სიმინდის ფქვილი საკმაოდ მოგვეპოვებოდა, მაგრამ უმარილოდ მისი ჭამა გვეძნელებოდა. ქანცვაცლილ მეძუძურებს რძე გაუშრათ და კნეინა ჭავჭავაძემ თავისი რამდენიმე წვეთი რძე ვაჟიშვილსა და პატარა ევას გაუნაწილა.

მიმწუხრზე აულის ერთ-ერთ მყუდრო ადგილას მოვიყარეთ თავი. ეს ადგილი ველის შუაგულში მდებარეობდა. როდესაც საკმაოდ დალაგებულ-დახვეტილ ქოხში შევიხვეწეთ, მკაცრი სიზუსტით გადაგვთვალეს, თუმცალა ასე წინათაც იქცეოდნენ. შემდგომ ამისა, დაგვტოვეს. ხელის ჭრილობებისაგან საშინლად შენუხებული ალექსანდრა ზოგიერთი ჩვენგანის თანხლებით ბალბისებრთა სახეობის რომელილაც მცენარის საძებრად გაემართა. ტერასზე გაშენებული ვაზის ჩრდილში მსხდარი აულელი ქალები დავინახეთ და მათკენ გავწიეთ. ქალებს შორის იმყოფებოდნენ აგრეთვე მოხუცი მწყემსები, რომლებმაც კითხვები დაგვაყარეს. ერთმა ალექსანდრას ჭრილობა შეუმოწმა, ხანჯალი

იძრო და სურდა მთლიანად მოეჭრა ხელის მტევანზე ძაფის სი-წვრილე ტყავით ჩამოკიდებული თითი, მაგრამ ალექსანდრა არ დაეთანხმა: მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ნატყენ ხელზე გამტკიცული ფქვილი დააყრევინა და ზევიდან მრავალძარღვას კანშემოცლილი ფოთოლი დააფარებინა. ზურგისა და თავის ჭრილობებიც ზუსტად ამგვარად შეუხვიეს.

თავშესაფარში დაბრუნებულებს რამდენიმე კონა თივა მოგვითრიეს, რაც დავიგეთ და დასასვენებლად მივეყარეთ. სამწუხაროდ, თვალი ერთი წუთითაც ვერ მოვხუჭეთ: მწერები მოსვენებას არ გვაძლევდნენ, შიმშილი კი შიგნეულობას გვიფორიაქებდა. მართალია, მჭადი მოგვცეს, მაგრამ ვერ შევჭამეთ – უმარილო წყალში იყო მოხარშული. ამასთან, აუცილებელი გახდა დაგვეცადა, სანამ გაცივდებოდა და ცოტათი შემაგრდებოდა. თუმცალა კაი სასუსნავივით მეორე დღისთვისაც სასოებით გა-დავინახეთ.

მთელი ეს დღე ტყვეობაში გატარებული სხვა დღეებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა. ყველაზე ძნელად სავალ ადგილებში ძალიან დიდხანს დავდიოდით. გადავედით ორ მდინარეზე და ღამით პატარა აულში შევედით. კვამლისაგან გამურული ქოხები უკიდურეს სიღატაკეზე მეტყველებდა. მოსახლეობა ათასგვარ მიზეზს პოულობდა, რათა ჩვენს მიღებაზე უარი ეთქვა. მათ ის აშინებდათ, რომ ჩვენი ჯგუფი მრავალრიცხოვნი ეჩვენებოდათ. ბოლოს შემორაგულში შეგვიყვანეს. მისასვლელი ხშირი ბუჩქნარით იყო დაფარული; წვიმებისაგან ნახევრად დამპალ მორზე ამოჭრილი საფეხურები ჩავათავეთ და მეორე, სავსებით ღია შემორაგულში ამოვყავით თავი. ეს შემოღობილი მოიცავდა ტერასებს, რომლებზედაც სკები განელაგებინათ. ლეკთა სხვა სოფლებშიც არაერთხელ შეგვიმჩნევია ასეთსავე ტერასებზე მიმობნეული საფუტკრები. მოგვიტანეს თივა, მჭადი და ცოტაოდენი ცხვრის ყველი. ჩვენმა მოდარაჯე ნუკერებმა მეზობელი ლაფარო დაიკავეს.

ჩვენს წინამდლოლ მოლას ბრძანება მიეღო, ამ აულში რამ-დენიმე დღე შევესვენებინეთ, ოლონდ ეს დასვენება თავის სახელს ვერ ამართლებდა: ლამით მკაპენარები გვაწუხებდა, ხოლო დღისით მწარედ იკაპინებოდნენ ფუტკრები. იშვიათად გამოვდიოდით ტერასებზე, ვინაიდან აქედან არავითარი მიმზიდველი ხედები არ მოჩანდა. აულში დაეხეტებოდნენ გამხდარი და ჩარმოძინებილი დედაკაცები, თავიანთი სიღარიბით სიბრალულის, ხოლო უსუფთაობით – ზიზღის გრძნობებს რომ აღძრავდნენ. პარასკევს ჩვენ წინაშე სრულიად განსხვავებული სანახაობა გადაიშალა. მოედანზე გაშიშვლებული მამაკაცები ცეკვავდნენ, უფრო სწორად, გაუფოთლავი ხის ირგვლივ შმაგობდნენ. ალაპის სადიდებლად წარმოთქმული მათი შეძახილები გარეული ცხოველების ხმაურს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ადამიანთა ხმას... ეს სანახაობა ზიზღის იწვევდა და ამ გულისამრევ როკვას სანგრძლივად ვეღარ ვუყურეთ.

მეორე დღეს გზა გავაგრძელეთ. მას ხშირად გვიღობავდა ღრმა ხევხუვები. ამ მხარეებში ცხენის მართვა მხოლოდ ძლიერსა და გამოცდილ ხელს შეეძლო. ამიტომაც გამყოლი ჩემს ადგილზე მოკალათდა, მე კი მიმითითა, ცხენისათვის კუდში ჩამეჭიდა ხელი. ეს სიარულს გამიადვილებდა. ასე მგზავრობა სულაც არ იყო ხიფათისაგან დაზღვეული: ქვაზე ფლოქვებდაცურებული ცხენი შეიძლება დაცემულიყო და ქვეშ მოვეტანე, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ისე მაინც არ გავწვალებულვარ, როგორც ბევრი ჩვენი თანამგზავრი, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ დახმარებას.

მომდევნო აულშიც რამდენიმე დღე გავატარეთ. ჩვენი აქ ყოფნა ღატაკ მწყემსობას მძიმე ტვირთად დააწვა, რადგან მოლას ბრძანების თანახმად, ისინი ვალდებული იყვნენ, ჩვენთვის სურსათ-სანოვაგე გაეჩინათ. მაშინ მთიელებმა ლაპარაკი დაიწყეს კნეინებისაგან ჩვენი გამოცალკევების აუცილებლობაზე; იმავე დროს, ქალბატონებს განუცხადეს, რომ შეუძლებელი იყო ასე ბევრი მხლებელი ჰყოლოდათ. ამან მეტად შემაშფოთა: ნა-

თესავთაგან გადაკარგულსა და სამშობლოდან მოცილებულს, ის ენაც რომ არ მესმოდა, რომელზედაც ირგვლივ საუბრობდნენ, არ ვიცოდი, რა ბედი მეწეოდა, თუ კნეინებს განმაშორებდნენ. ჩემი მდგომარეობის ეს მოსალოდნელი საშინელი ცვლილება ერთი წუთითაც არ მაძლევდა მოსვენებას. კნეინების მოახლეებიც ასევე შეწუხდნენ და დადარდიანდნენ.

### XIII

#### მოსუცი მოლა

დადგა გამგზავრების დღე. მთელი იმედები ლვთის გულმოწყალებაზე დაგამყარე და დავმშვიდდი. საჭიროდაც არ მიმაჩნდა, მეთხოვა კნეინა ჭავჭავაძისათვის, ეცადა მასთან დავეტოვებინე. მისი გულკეთილობის ამბავი კარგად ვიცოდი და დარწმუნებულიც გახლდით, თვითონვე იქნებოდა მოხარული, ჩემთვის ყველაფერი გაეკეთებინა, რაც კი შესაძლებელი იქნებოდა. მოიყვანეს ცხენები და პირველად კნეინა ჭავჭავაძე გამოიძახეს ბავშვებითა და ძიძითურთ; შემდეგ კნეინა ორბელიანი და მისი ვაჟი, მეძუძური და მოხუცი გამდელი კატერინა გაიყვანეს. ეს უკანასკნელი თავისი ქალბატონის იმდენად ერთგული და თავდადებული გამოდგა, რომ მზად გახლდათ დარჩენილიყო, ოღონდაც კნეინასათვის გიორგი და მისი ძიძა არ ჩამოეშორებინათ. ამით, საფიქრებელი იყო, შეწყდებოდა იმ პირთა გამოძახება, რომლებიც კნეინას თან უნდა ხლებოდნენ, მაგრამ კატერინას შემდეგ კნეინა ჭავჭავაძემ ჩემი გამოძახებაც მოითხოვა. ქალბატონს ჰკითხეს, გუვერნანტი რაღად გჭირდებაო? უნდა აღვნიშნო, რომ მთიელნი ჩემი წაყვანის მოსურნენი სულაც არ იყვნენ, მაგრამ კნეინამ მათ დაუწყო დარწმუნება, რომ ჩემთვისაც მისცემდნენ გამოსასყიდს. ჩემდა საბეჭიროდ, მას მხარი დაუჭირა რომელილაც თბილისელმა

სომებმა ვაჭარმა, და ამგვარად, ნება დამრთეს, კნეინებთან ერთად გავმგზავრებულიყავი. ქალბატონი მაინც ფრთხილობდა, მთიელებს სიტყვა არ გაეტეხათ და უკან არ დავებრუნებინე. ამიტომაც მთხოვა, ცხენებზე რომ შესხდებოდნენ, ერთ-ერთი ჩემი აღსაზრდელი ხელში ამეყვანა, რაც მაშინვე შევასრულე.

კნეინებისა და მათი შვილების გარდა, ყველანი ფეხით მივდიოდით. ეს დღე პატარა კეთილ ქართველ ქალ პელაგოსთან ერთად გავატარე. იგი წინანდლის მისადგომებთან მოკლული მღვდლის ქალიშვილი გახლდათ. ერთმანეთს სიარულში ვებმარებოდით, რის გამოც გზა არც ისე ძნელად სავალი გვეჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაფრით არ განსხვავდებოდა იმ გზებისაგან, რომელიც ადრე გავიარეთ. მალე საკმაოდ ღრმა მდინარე უნდა გადაგველახა; მე კი არ მყავდა არც ცხენი და არც გამყოლი. მსურდა, ცოტათი სხვებს ჩამოვრჩენოდი, მაგრამ უკან მომავალი მთიელის ხანჯლის წვერმა მაგრძნობინა, ამის გამო რასაც დავიმსახურებდი. მდინარის მეორე ნაპირს დაუბრკოლებლად მივაღწიე.

ღამე აულში გავითენეთ, სადაც გალუმპული მივედი: განუწყვეტელი წვიმა გაშრობის საშუალებას არ იძლეოდა. მთელი მეორე დღის განმავლობაში მივდიოდით გზაზე, რომელიც არაფრით არ იყო გუშინდელზე უკეთესი. წვიმა კი კვლავ განუწყვეტლივ ასხამდა. წინ უშველებელი ტბორები გვედო. მალე მივაღწიეთ რამდენიმე მორით გადახიდულ სწრაფ მდინარეს. შევდგი თუ არა ფეხი მორზე, მქუხარე მდინარემ თავბრუ დამახვია. ფეხები მორებს შორის მომიყვა და დავეცი... ლექმა სულ უკანასკნელ წამს წამატანა ხელი და მიხსნა მჩქეფარე სტიქიის ტალღებში გადავარდნისაგან. მან გაღმა ნაპირზე გამიტანა. ამის შემდეგ ჩვენს ატალახებულ გზას მწუხრის ჩამოშვებამდე მივუყვებოდით. ერთმანეთში არეულ-აგლესილი სველი მინა და ტალახში ალუფხული ქვიშრობი ფეხებზე გვეკრობოდა. ბოლოს საფეხურებზე ასვლას შევუდექით. მსგავსი რამ კონსტანტინოპოლში გვხვდება. ასე შევედით აულში, სადაც ხანგრძლივად დაგვასვენეს. ბინა ჩვენი

ქარავნის წინამდლოლისა და ზედამხედველის მოლას სახლში გამოგვიყვეს. ქალებს ცალკე ოთახი დაგვითმეს. ჭილობები გავ-შალეთ და დავსხედით.

აულში ათი დღე დავყავით. – შამილი მალე მოვა, უნდა დავე-ლოდოთ, – გვითხრა მოლამ. სალაპარაკო მასალა მოგვეცა. ჩვენი ფიქრი მაინც ორ ძირითად საკითხს უტრიალებდა: რას მოიმო-ქმედებდა იმამი – დაგვანაწილებდა თუ სათითაოდ დაგვყიდდა. კნეინა ჭავჭავაძე არაფერს კარგს არ მოელოდა მისი მონაცულები-საგან. მე კი, შამილის შესახებ რაც მსმენოდა, იმისდა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვერ ნარმომედგინა, შამილიც ისეთივე სასტიკი გამომდგარიყო, როგორც მისი ნაიბები.

მოლამ გულთბილად მიგვიღო. განკარგულება გასცა, რამდე-ნიმე ცხვარი დაეკლათ და მთელი ჩვენი ტყვეობის განმავლობაში ეს პირველად იყო, ხორცი რომ ვჭამეთ. ათი წლის განმავლობაში რუსთა ტყვედ ნამყოფს რუსული ენა შეესწავლა, ოღონდ ჩვენთან საუბარში მხოლოდ მეორე მთიელის თანდასწრებით ებმებოდა. იმ მეორე მთიელმაც იცოდა რუსული. ლეკთა უმრავლესობის მსგავსად, მოლასაც ძლიერ უყვარდა ბავშვები: ერთხელ კნეინა ჭავჭავაძესთან რომ მივიდა, რომელსაც ალექსანდრე მუხლებზე უჯდა, ბავშვს ხელში 20-კაპიკიანი ჩაუდო.<sup>29</sup> კნეინა მეტისმეტად განითლდა, მაგრამ მოლამ თითქმის მავედრებელი ხმით უთხრა:

– ეს იმისათვის, რათა უბრძანოთ, ქათამი იყიდონ და ბავშვს სუპი მოუხსარშონ.

ამას რომ ამბობდა, კეთილი მოლა მიწას ჩაჰურებდა. მის მზრუნველობაში იყო რაღაც გულის ამაჩუცებელი. ბოლოს დედო-ბრივმა სიყვარულმა გადასძალა თავადური სიამაყე და ალექსან-დრე ერთი თუ ორი დღის განმავლობაში იკვებებოდა მსუბუქი და ნოყიერი საზრდოთი.

## XIV

### კვლავ გზაში

მოლას ოჯახში ჩვენი ყოფნის ერთფეროვნება გამოაცოცხლა ორმა შემთხვევამ. ერთხელ ჩვენს პატარა ქუჩაზე აყალმაყალი ატყდა. ხმაურზე გავიხედეთ და, რა დავინახეთ: მამაკაცები რომელიდაც უბედურ ქალს გარს შემოხვეოდნენ და წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. ამ ქალს შურისძიების მიზნით ქვით სიცოცხლისათვის გამოესალმებინა ქმრის მკვლელი, აულის ერთ-ერთი მცხოვრები. ამისთვის მიუსაჯეს ხაროში ჯდომა და შიმშილით სიკვდილი. ჩვენ ამ საშინელი განაჩენის სისრულეში მოყვანის მოწმენი გავხდით.

მეორედ კი აი, რა მოხდა: ლეკებმა მოინდომეს ჩვენი გატაცება და გაყიდვა. მოლამ ეს დროულად შეიტყო და მცველებს უბრძანა, უფრო ფხიზლად ედარაჯათ. ბოლოს, მერვე დღეს, დილით მოლამ გამოგვიცხადა, რომ წინა ღამით მასთან შამილს შეევლო და დაებარებინა – მომდევნო დილით გზა გაგვეგრ-ძელებინა ვედენოსაკენ.

კეთილმა მასპინძელმა ბრძანა, ხარი დაეკლათ და მისი ნაწილი ჩვენთვის გაემზადებინათ. მთელი დღე გამგზავრების სამზადისში დავალამეთ. კნეინამ ჩემთვისაც ცხენი მოითხოვა. შემდეგ მოლასა და რამდენიმე ნაიბის მეთაურობით, რომლებ-თანაც რეკომენდებული ვიყავით, ჩვენი ჯგუფი დაიძრა.

ცხენზე დიდხანს ჯდომა გამიჭირდა და ჩამოხტომის ნება დამრთეს, მაგრამ ეს მალე ვინანე: განვიმდა და გზაზე ტალახი აიზილა. აქეთკენ მრავალ წისქვილს ვამჩნევდით. ერთ-ერთი მათ-განის ახლოს ძროხის მწველავი ქალი შევნიშნეთ. მივედით მას-თან და ვთხოვეთ, წყალი დაელევინებინა. ჩვენმა საწყალობელმა შესახედაობამ გული აუჩუყა, სინაწულით გადააქნია თავი და წყლის ნაცვლად მე და პელაგოს ფინჯნით რძე მოგვანოდა. ვე-

რასოდეს დავივიწყებ იმ გულწრფელ სიკეთეს, რითაც ამ ქალმა მადლი მოისხა.

მომდევნო ღამე კარაპანში გავათიერ, სადაც ვირთხები და თაგვები მალაყს გადადიოდნენ, ძილს გვიფრთხობდნენ. დილით იქაური დედაკაცები გვეწვივნენ. ისინი ცდილობდნენ ჩვენს ნივთებზე თავიანთი გადაეცვალათ და ამიტომაც მათ ტყუილუბრალოდ ხელიდან ვერაფერს გააგდებინებდით. ჩვენი კი ყველაფერი მოსწონდათ და იტაცებდათ, სულ უბრალო სადაფის ღილებიც კი, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩენოდა სახელოებზე. ეს ღილები რამდენიმე თავ ხახვას და მსხალში გავცვალე. ამგვარი სიხარბე არსად მიხახავს. სულ უკანასკნელი ჩვარიც კი ჭკუაზე შლიდა მათ. განსაკუთრებით თავადის ასულ ნინოს გადაეკიდნენ, რომელსაც მოეხერხებინა თავისი სათითურის, სანემსის, ჯაყვისა და საათის შენარჩუნება... ხოლო მისი კოსტიუმის ღილებს თუ მოიხელთებდნენ, სიხარულით ცაზე მოავლებდნენ ხელს.

გამოგვიცხადეს, რომ შამილის მითითებით სულ ახლახან გაყვანილი გზით წაგვიყვანდნენ. ამან მართლაც გაგვახარა, რადგან აქამდე ჩვენი მგზავრობა შეწყვილებული იყო წარმოუდგენელ სიძნელეებთან. მაგრამ ეს სახელგანთქმული გზა, არც მეტი და არც ნაკლები, ბილიკი გამოდგა, რომელიც კლდოვან ვაკეზე განილილი მღვრიე ღელის გასწვრივ მიიკლაკნებოდა. მის ნაპრალებში კაპერსი ხარობდა.

დასასვენებლად შევდექით. იქაური აულიდან ჩვენთან რამდენიმე ქალი გამოცხადდა. ერთმა დედაბერმა კნეინა ორბელიანს მიაძახა:

– რა მშვენიერია შურისგების ეს დღე! ვაჟიშვილი მყავდა, ჩემი მოხუცებულობის ერთადერთი ნუგეში და რუსებმა მომიკლეს. ალაპი დიდია, ალაპი სამართლიანია! მან ჩემთვის შური იძია!

კნეინამ მოკლედ და საესებით მშვიდად უპასუხა:

– სიკვდილით სიცოცხლის დაბრუნება არ ხდება. თურქებმა, თქვენმა მოკავშირეებმა, მომიკლეს გულით საყვარელი ქმარი;

ახლა კი შვილი, და, დისტულები და მეც ტყვეობაში ვიმყოფები. ახლა მიპასუხე, ჩვენს შორის რომელს აქვს კაცობრიობაზე წყრომისა და ჩივილის მეტი საფუძველი? ღმერთს მადლი შესწირე, შეწყვიტე წუნუნი და მოიშორე ეგ სიძულვილი. დედების ალაპმა მხოლოდ პატიება და თანაგრძნობა იცის.

ეს სიტყვები დედაბერმა ჩუმად მოისმინა, ანითლებული თვალებიდან ღვარად ჩამოდენილი ცრემლები მოიწმინდა და წარჩალდა.

## XV

### ახალგაზრდა მოლა

ახალგაზრდა მოლამ, რომლის გამყოლობითაც დასრულდა ჩვენი მგზავრობა, არაერთხელ გამოხატა თავისი კეთილგანწყობა ჩემ მიმართ. ლიმილმორეულმა კნეინა ორბელიანმა შენიშნა:

– ფრანგმა ქალებმა თავიანთი თავაზიანობით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი დამსახურებული რეპუტაციით სარგებლობენ. თქვენ, მადამ, ჭეშმარიტი გამარჯვება მოიპოვეთ ამ ველურთა შორის.

ძლივს გავიგე, თუ რას ნიშნავდა ეს გადაკრული სიტყვები. განა შესაძლებელი იყო მე, და ისიც ასერიგად სასაცილო ტანსაცმელში გამოწყობილს, მსგავს გამარჯვებაზე მეფიქრა? კატერინამ რამდენჯერმე მთხოვა, სახე დამეფარა, მაგრამ ეს ჩემთვის კიდევ უფრო გაუგებარი იყო. და განა რისი უნდა მომრიდებოდა, როდესაც ახალგაზრდა და ლამაზი დამებიც კი, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, კნეინები, ძლივს გამოირჩეოდნენ? მხოლოდ მოგვიანებით ამიხსნეს ეს გამოცანა და ამას აქ იმიტომ აღვნიშნავ, რათა იმ გრძნობის ძალა ვაჩვენო, რასაც მე აღვძრავდი. ახალგაზრდა მოლამ იკითხა: დათანხმდებოდნენ თუ არა ჩემს შესყიდ-

ვაში? უპასუხეს, რომ მე ფრანგი გენერლის ცოლი ვარ და ჩემი გათავისუფლებისათვის დიდ გამოსასყიდს გაიღებდნენ. მაშინ მან თქვა, რომ მზად არის ჩემთვის დიდი თანხა გაიღოს. მერე გაიხსენა რა, რომ ტყვე ქალი ვალდებულია, სარგებელი მოუტანოს თავის პატრონს, კვლავ იკითხა:

– ეხერხება თუ არა პერანგის კერვა?

– მას შეუძლია თეთრეულის კერვა, პურის ცხობა... და ას-ნავლოს ბავშვებს, – უთხრა ერთ-ერთმა რუსის ქალმა, რომელ-საც, რა თქმა უნდა, სულაც არ უფიქრია, რომ ამით დათვურ სამსახურს მიწევდა.

მაშინ ახალგაზრდა მოლამ გადაწყვიტა ჩემს საფასურად შე-მოეთავაზებინა სამი მანეთი ვერცხლად, ანუ 12 ფრანკი. ჩემდა სასახელოდ და საამაყოდ უნდა განვაცხადო: ამით მოლამ ძალი-ან მაღალი ფასი დამადო – ლეკის ქალის ყიდვა შეიძლებოდა 10 კაპიკად, რაც 50 სანტიმს შეადგენდა.

ძალიან გავიხარეთ, რომ გზა ფოხალის კოშკიდან ვედენომ-დე მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ახალგაზრდა მოლა, რომელიც მზად იყო, ასე მნიშვნელოვანი თანხა გაელო ჩემთვის, იძულებული გახდა ჩემდამი მხოლოდ დიდი ყურადღების გამო-ჩენით დაკმაყოფილებულიყო და საბრალო ტყვე ქალიც სწორედ ამის გამო იგონებს მას კეთილად.

## XVI

### პირპაზე

ყველაფერი ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ყვავილებით მოჩი-თულ გორაკზე ავდიოდით. იქაურობა დაემშვენებინა ვარდისფერ, თეთრ, მოთეთრო-ვარდისფერ ზიზილებს, მოყვითალო-ცისფერ, სურნელოვან ია-იებს.

ეს სანახაობა გულს გვიხარებდა და გვაიძულებდა, დროებით დაგვევიწყებინა ჩვენი უბედური ყოფა. ლეკებს უკვირდათ, რომ ჩვენ მთელი გრძნობით ვეალერსებოდით ამ ყვავილებს და ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებული კმაყოფილებით ვწყვეტდით. არ შემეძლო არ მოვსიყვარულებოდი მათ მპზინვარე გვირგვინებს, ღრმად არ შემესუნთქა მათი ფაქიზი სურნელება. სიამოვნებით დავრჩებოდი ბუნების ამ საყვარელ ქმნილებათა შორის, თუმცა არა იმისათვის, რათა მეცოცხლა, არამედ სიკვდილისათვის...

ამ გულგასახარ ადგილას რომ ვისვენებდით, მოულოდნელი ბედნიერება გვეწვია. მოხუც მოლასთან მთიელები მოვიდნენ და კნეინა ორბელიანს მაზლის წერილი ჩააბარეს. მთელი ტყვეობის განმავლობაში ეს იყო პირველი წერილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. გენერალი თავადი ორბელიანი<sup>30</sup> გვთხოვდა, სასოწარკვეთილებას არ მივცემოდით, გვაჯერებდა, რაც კი რამ შესაძლებელი იქნებოდა, ყველაფერს იღონებდნენ ჩვენს გამოსასნელად. შამილს, დასძენდა იგი, კეთილი გული აქვსო.

ლმერთს მადლი შევწირეთ, ამ უბედურებაში რომ არ დავვიწყებოდით, და დაიმედებულნი კვლავ გზას გავუდექით.

სალამო ხანი იქნებოდა, როცა მდინარის პირას გაშენებულ რომელილაც პირქუშსა და ლარიბ აულს მივადექით. აქაც ისევე, როგორც სხვაგან, ქალები მოდიოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩვენთან საუბარი გაემართათ. მათ შორის გამოირჩეოდნენ ქართველებიც. ოცზე მეტი წლის წინათ ტყვედ ჩავარდნილებსა და ლეკებზე გათხოვილებს უკვე გადავიწყებოდათ ყველაფერი მშობლიური, თვით ქართული ენაც კი; დავიწყებოდათ მშობლიური ცის მშვენება, ბუნების სიმდიდრე, უდარდელი ყმაწვილობა; ოდინდელი უზრუნველი ცხოვრება სიზმარივით აგონდებოდათ. ისინი გარშემოერტყნენ თავად ბარათოვის ასულს – ახალგაზრდა ქალიშვილის კოხტა ქართულმა ჩაცმულობამ, როგორც ჩანს, კიდეც გაახარა და კიდევაც დაანალვლიანა ისინი.

ამ ქალთა დიდი ნაწილი ხამი აბრეშუმის ძაფს ართავდა. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელში, მოლამ ჩვენთან მოაგზავნა.

– მოლამ დამავალა გამოგიცხადოთ, – თქვა მან, – რომ სახეები უნდა დაიფაროთ, რადგან ხვალ უკვე შამილის ნინაშე წარდგებით. მაჲმადის რჯული ყოველ ქალს უკრძალავს მამაკაცთა თანდასწრებით სახის გამოჩენას. მხოლოდ ქმარია ერთადერთი, ვისაც უფლება აქვს ჩადრომოხდილი ცოლი იხილოს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მათთან უცხო არავინაა. მოლამ მოიტანა უხეში მარმაში, გადაზომა იგი რამდენჯერმე და შემდეგ ნაჭრებად დაანაწილა. მოგვცეს აბრეშუმის ძაფი (სელის, კანაფისა და ბამბის ძაფი აქ იშვიათობაა. ამიტომაც ძვირად ფასობს) და მთელმა სალამომ პირბადეების მომზადებაში ჩაიარა.

## XVII

### შამილის აული

მეორე დღეს ალიონზე წამოვდექით. ვჩერა რობდით გვენახა მბრძანებელი, ვისაც კავკასიის ერთი ბოლოდან მეორემდე სიყვარულითა და პატივისცემით ემორჩილებიან. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცის ბრძანებით მოგვწყვიტეს მშობლიურ კერას, მისი მიზეზით გადავიტანეთ ტანჯვა-წამებანი, ჩვენს თვალში იგი მაინც დარჩა საკმაოდ დიდებულ და პატივსაცემ პიროვნებად. ჯერ კიდევ წინა დღით განკარგულება გასცეს, რომ ყოველი ქალისათვის, რა წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო, მიეცათ ცხენი და გამოეყოთ გამცილებელი.

ჩვენი გზა ხევზე გადიოდა. ფერდობებს პიტნა, ომბალო და გვიმრა მოსდებოდა. ყოველ ნაბიჯზე თეთრი და ყვითელი ნიმფებით დაფარული გუბურები გვეღობებოდა. ზოგჯერ უზარმა-

ზარი კლდეები ისე დაბლა იყო ჩამოწლილი გზაზე, თავი რომ არ აგვერტყა, იძულებული ვიყავით ცხენებზე გავწოლილიყავით. უამიდან უამზე გვერდით ჩაგვივლიდნენ ქართულ ურმებზე გაცილებით მომცრო კამეჩებშებმული ურმები. მალე ტყეში შევედით. ცაცხვები, კაკლები და მუხები ერთმანეთზე გადაბმულიყვნენ სუროს სქელი ბოჭკოებით. ჩვენი ცხენები ხშირად მკერდამდე წყალში მიტოპავდნენ და ტალღებს მიამლაპუნებდნენ. ერთ-ერთ-მა გამყოლმა საყვედურიც კი დაიმსახურა იმის გამო, რომ ღრმა ტბორი ტყვე ქალის ცხენზე შემომჯდარმა გადალახა. შამილის ბრძანება იყო, ჩვენ მიმართ ყოველგვარი მზრუნველობა გამოეჩინათ. სამწუხაროდ, ეს ძალიან გვიან მოაგონდათ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, უმჯობესია გვიან, ვიდრე არასდროს.

ის-ის იყო დასასვენებლად მოვეწყვეთ, რომ ამოიჭრა ძლიერი ქარბორბალა. ამიტომაც აღარ დაგვიხანებია: მდინარე ციმციმ გადავლახეთ და აულში შევედით. აქ კი იმ ხალხს შევხვდით, რომლებთან შესვედრასაც უკვე აღარ ველოდით – ესენი სწორედ ის ადამიანები იყვნენ, წინანდლიდან რომ გამოგვიტაცეს. მესიამოვნა ივანეს დანახვა, მაგრამ სასტიკად მეშინოდა, კვლავ არ ჩავვარდნილიყავი ჰაჯი-ქერიმის ხელში. ჰირბადე საჩქაროდ ჩამოვიფარე, რათა მას ჩემთვის თვალი არ მოეკრა. ივანეს ორი ცხენი აღმოაჩნდა და ერთ-ერთზე შეჯდომა შემომთავაზა. ნაწვიმარზე გზა ტალახით იყო აზელილი და ჩემი ბებერი, გადალლილი გამყოლი დიდი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს. ივანეს ხელებით ავუხსენი, მისთვისაც დაეთმო ცხენი. მან ეს თხოვნა სიამოვნებით ამისრულა. წვიმამ იმატა. მთიელებმა ნაბდები მოიხადეს და ბავშვებსა და ქალებს ნამოასხეს. სამწუხაროდ, ჩემს გამყოლს არ გააჩნდა არავითარი ნაბადი და სულ ერთიანად გავილუმპე.

ჩვენს შესახვედრად მრავალი მხედარი გამოემართა: – შამილი მოუთმენლად გელით. – თქვეს მათ. – მისი სურვილია, უფრო სწრაფად იაროთ! ვცდილობდი თვალი მომეკრა იმამის საცხოვრებლისათვის, მაგრამ ირგვლივ ჩემს მზერას მხოლოდ უსიერი

ტყე და მუდმივი თოვლის საფარი ხვდებოდა. მოულოდნელად ჰორიზონტზე ნაგებობა გამოჩნდა, რაც სიმაღლით ერთ საუკნიერო მეტი არ იქნებოდა. მას ირგვლივ მესერი ჰქონდა შემოვლებული და ერთი შეხედვით ცხვრის ფარებს წააგავდა. შორიდან, რამდენადაც თვალმა გამიჭრა, ნაგებობის ახლოს ადამიანები იდგნენ და ჩვენებ იყურებოდნენ. მაგრამ პირბადისა და წვიმის გამო, სახეში რომ მცემდა, ეს სანახაობა არეულად, უღიმლამოდ და უფერულად მეჩვენებოდა.

როდესაც ჩვენ საცქერლად გამოსულ ბრბოს მივუახლოვდით, ივანემ ჩემი ცხენი შეაჩერა. ახლა ხალხსა და ჩვენ ხის ტიხარი გვყოფდა. კნეინები უკვე სერალში<sup>31</sup> იმყოფებოდნენ. სალომე და მარია ჩემთან იდგნენ; მალე ორმა მოლამ ჩვენც იქ მიგვიყვანა. ორი ჭიშკრისა და ამდენივე ეზოს გავლის შემდეგ მივაღწიეთ პატარა ოთახს, სადაც კნეინები შეეყვანათ. როგორც კი ზღურბლზე გადაბიჯება მოვიწადინე, გამაფრთხილეს, ფეხსაცმელი გამეხადა. ამის გაკეთება კი ადვილი როდი აღმოჩნდა: ისინი ისე იყო წყლით გაუღენთილი და ფეხებზე მიწებებული, რომ სხეულის ორგანულ ნაწილად მეჩვენებოდა.

ოთახი სენაკს წააგავდა, შიგ ცეცხლი გიზგიზებდა. კედლები მურა თიხით შეელესათ. იატაკი მოფენილი გახლდათ გაცვეთილი ხალიჩით. ნაცვრეტები ალაგ-ალაგ მოზრდილი ლრიჭოები მოჩანდა. ოთახის სიგრძე არ აღემატებოდა 18, ხოლო სიგანე 12 ფუტს, სიმაღლე კი ისეთი ჰქონდა, ექვსგოჯიანი კაცი იძულებული ხდებოდა, წელში მოხრილიყო. სინათლე ცხვირსახოცის სიდიდის ერთადერთი სამერცხულიდან შემოდიოდა. კედლების გასწვრივ მერხები იდგა. მათზე ჩამოვაწყვეტ ჩვენი პატარა ბოხჩები და გატალახიანებული ნოხები, საწოლის მაგივრობას რომ გვიწევდა.

ახალ თავშესაფარში ხალიჩებზე მსხდომი რამდენიმე ქალი დავინახე, რომელთაც თათრულ ყაიდაზე შეკერილი ტანსაცმელი კოჭებამდე უწევდათ, დაუფარავი რჩებოდა შეიდიშის მხოლოდ ვიწრო ზოლი. ქართველი ქალების მსგავსად, მათაც ჩამოფარებული ჰქონდათ ჩადრები. პატარა ფულარის თავსაფრები მათ

თმებს უმაგრებდათ და შუბლს თითქმის წარბებამდე უფარავ-დათ. ამ თავსაფრებს ზემოდან კიდევ სხვა თავსაფრებიც ჰქონ-დათ გადაკრული, რომლებსაც, თავის მხრივ, ჩადრი ფარავდა.

მოიტანეს თაფლი, პური, წყალი და ფლავი. ეს კერძი ბრინ-ჯის, ცხვრის ხორცისა და ქიშმიშისაგან შეემზადებინათ. მაგ-რამ კნეინებს ეს ასატანი საკვები მაძლრისად მხოლოდ ამ დღეს ჰქონდათ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ შამილის სამფლობელო ძალიან ღარიბია: აյ წარმოებული პროდუქტები ადგილობრივ მოსახლეობას ძლივძლივობით ჰყოფნის. კნეინებმა სადილზე მი-მიწვიეს, მაგრამ ცოტა ვჭამე. მთელ ჩემს ყურადღებას ჩვენ წინ მსხდარი ქალები იქცევდნენ.

## XVIII

### შამილის ცოლები

შამილის ცოლთაგან<sup>32</sup> უფროსი სერალში ყველაზე მეტი ავ-ტორიტეტით სარგებლობს, თუმცა გარეგნული შესახედაობით ამ მდგომარეობას სრულიადაც არ შეესატყვისება. სახე ნაყვავილა-რი აქვს, ლაპარაკობს ნელა, მაგრამ ამოდ ყოველ მის მოძრაობას ატყვია ძალდაუტანებლობა და ძალაუფლების შეგრძნება. იგი კნეინებთან ახლოს იჯდა და რიგრიგობით უჭვრეტდა ხან ერთ-სა და ხან მეორეს. ხელში რაღაც კრიალოსნის მაგვარი ეჭირა და მის მარგალიტებს ისე მარცვლიდა, თითქოს ლოცვას ესწრებაო.

შამილის მეორე ცოლი მოსალოგინებლად ემზადებოდა და ამიტომაც ძნელი იყო, მისი სილამაზე შეგეფასებინა. სახეზე სიყვითლე შეპპარვოდა სწორედ ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ ორსულ ქალებს ემართებათ. მიუხედავად ამისა, მაინც შეუძლე-ბელი იყო, არ გაეოცებინეთ მისი თვალების ცოცხალ გამომეტყ-ველებას, მკლავების მოყვანილობასა და ხელების სინატიფეს. ხმა

ჰქონდა სუფთა და ვერცხლივით წკრიალა. მართალია, სახის ნაკვთები არ ადასტურებდა მის დიდგვაროვნულ წარმომავლობას, მაიც აღსავსე იყო სიკეთითა და სიწრფელით.

შამილის მეორე ცოლი, შუანეთი, წარმომავლობით რუსის ქალი გახლდათ და, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად მიმართავდა, ოდნავადაც არ დავიწყებოდა მშობლიური ენა. მაგრამ იმ დღეს, უეჭველია, შამილის ბრძანებას ემორჩილებოდა და რუსულად ჩვენთან სიტყვაც არ დაუძრავს. საბედნიეროდ, კნეინებიც არანაკლებ სიფრთხილეს იჩენდნენ: ერთმანეთში ფრანგულად ლაპარაკობდნენ, ქართულს კი მხოლოდ მოახლეებთან საუბარში მიმართავდნენ.

მოგვინახულა შამილის მესამე ცოლმაც – ძალზე ახალგაზრდა და საყვარელმა ქალმა. იგი თითქმის არ ერეოდა საუბარში და ჩუმად იდგა ჩვენი ოთახის დედაბოძზე მიყრდნობილი.

შამილის ცოლებს სუფთად, ოღონდ უგემოვნოდ ეცვათ. ჩვენ სრულებითაც ვერ აღმოვაჩინეთ მათში ის, რის აღმოჩენასაც წინასწარმეტყველის ცოლებში ვესწრაფოდით. მათთან ერთად მოვიდნენ ბავშვებიც, მაგრამ ისინი ისეთი ჭუჭყიანები იყვნენ, ვერ მიეკარებოდით.

ერთმანეთის დაზვერვა-შეთვალიერების შემდგომ, რაც ნახევარ საათს გაგრძელდა, საკუთარი ლირსების შეგრძნებით აღსავსე უფროსი ცოლი წამოდგა და გავიდა. მას მიჰყვა შუანეთიც. მესამე კი დარჩა და ჩვენს ახლოს ჩამოჯდა. მან დაჰკოცნა ჩვენი ბავშვები, გიორგი ხელში აიყვანა და, მანამ არ გაგვეცალა, სანამ კარგად და საფუძვლიანად არ გაგვიცნო. მარტონი დავრჩით თუ არა, კნეინები, ბავშვები და მე სველი ტანსაცმლის გაშრობას შევუდექით. ქალბატონებმა მსახური ქალები მოითხოვეს. პირველად მოიყვანეს კატერინა, მეორე დღეს კი – სხვებიც.

ძველ ხალიჩებზე მოვიკალათეთ და ლრმა ძილს მივეცით თავი, რაც დიდი ხანია აღარ გვლირსებია. აგვისტოს თვე იდგა, 8 რიცხვი გახლდათ. უკვე თვესა და ოთხ დღეს გაევლო მას შემდეგ, რაც წინანდლიდან წამოგვიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში

1000-მდე ვერსი გამოვიარეთ განუწყვეტელ შიშსა და ხიფათში, თან რვა ბავშვიც გვახლდა ლიდიას, ევასა და ელოს ჩათვლით. ორი უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, კნეინა ჭავჭავაძემ იშვილა. მელანოს, ელოს დედას, თუმცა ტყვედ ჩვენთან ერთად იყო, მაინც არ შეეძლო სათანადოდ ეზრუნა ბავშვზე, ვინაიდან, ჯერ ერთი, ორსულად იყო და, მეორეც, ავადმყოფობდა.

ალიონზე მოლას ყარყალმა გამოგვალვიძა. როგორც კი ჩვენს ოთახში ლაპარაკს მოჰკრეს ყური, გუშინდელი მნახველები კვლავ გამოგვეცხადნენ. კნეინა ჭავჭავაძის მოთხოვნით ყველა მსახური მოგვიყვანეს და ჩვენთან მოათავსეს. ოთახში 23 სულმა მოვიყარეთ თავი და ისეთი სივიწროვე შეიქნა, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. ამ დროიდან დაიწყო ჩვენი ახალი წამება, რაც მხოლოდ ტყვეობის დასრულებისას შეწყდა. სულის მოთქმა განსაკუთრებით დამლამობით გვიჭირდა.

## XIX

### ფრაგული ცერილი

9 აგვისტოს შუადღისას გამოგვიცხადეს: შამილს კნეინებთან მოლაპარაკება სწადიაო. ამის გამო დაუინებით მოითხოვეს, რაც შეიძლება უკეთ დაგვეფარა სახეები. შუადღის ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენი ოთახის ზღურბლთან, კარის მიღმა მხარეს, შამილისათვის ჩალის სკამი დადგეს. იგი ძალიან წააგავდა იმ სკამებს, რომელთაც რუსი ოფიცირები ლაშქრობაში თან ატარებენ. მალე იმამიც მოვიდა, დაჯდა და კნეინებს საუბარი გაუმართა. თარჯიმნობდა ორი მთიელი, რომელთაგან ერთი რუსულიდან თარგმნიდა, მეორე კი – ქართულიდან. თარჯიმნები ზღურბლზე იმგვარად ჩამოსხდნენ, რომ იგი არ გადმოულახავთ. მათთან იჯდა აგრეთვე ხაჯიც, შამილის რწმუნებული და მისი აულის მოურავი. პირველად იმამმა კნეინების ვინაობა გამოიკითხა, შემდეგ კი მხოლოდ კნეინა ორბელიანს მიმართა:

– ბარბარე! ამბობენ ილიკოს ცოლი ხარ. ისიც ჩემი ტყვე იყო და ძალიან დიდ პატივსა ვცემ მამაცობისა და პატიოსნებისათვის. ილიკოს არასოდეს უკადრია ჩემი მოტყუება. თქვენც იცოდეთ – სიცრუეს ვერ ვიტან; მოტყუებას ნურასოდეს ეცდებით, თორემ ცუდი დღე დაგადგებათ...

რუსეთის სულთანმა ჩემი შვილი ჯემალ-ედ-დინი წაიყვანა, როცა იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო... რამდენჯერმე ვთხოვე, დაებრუნებინა ძვირფას ტყვეთა სანაცვლოდ, ოღონდ ამ წინა-დადებაზე ვერასოდეს დავითანხმე... მომახსენეს, რომ თქვენ – ანა და ბარბარე – ქართველი სულთნის შვილიშვილები ხართ. და, თუ ეს ასეა, მისინ მისწერეთ რუსეთის სულთანს, რათა დამიპრუნოს ჯემალ-ედ-დინი. თუ იგი ამაზე დათანხმდება, განკარგულებას გავცემ, სადაც გნებავთ, იქ მიგიყვანონ... საჭიროა აგრეთვე ჩემს ხალხს ფულიც მისცენ, მაგრამ ამის თაობაზე თქვენს ნათესავებს თავად მოვეთათბირები.

როცა ეს სიტყვები გვითარგმნეს, იმამმა დასძინა:

– ჩემთან არის თქვენთვის გამოგზავნილი წერილები, ოღონდ ერთი მათგანი არც რუსულად, არც ქართულად, არც თათრულად არაა დაწერილი. ამის გამო მე არ შემიძლია ის გადმოგცეთ. დაე, ამის მეტად სიტყვასაც ნულარ მოგწერენ ამ უცნობ ენაზე, რადგან სულერთია, ნებას მაინც არ დაგრთავთ წაიკითხოთ ისეთი წერილები, რომლებსაც წინდანინ ვერ გადამითარგმნიან. ალაჟი ადამიანს სიფრთხილეს უკარნახებს... ნეტა, ეს რაღა ენაა და რატომ გწერენ ამ ენაზე?

– შამილ, – უპასუხა კნეინა ორბელიანმა, – არავის აზრა-დაც არ მოსვლია შენი მოტყუება. ჩვენს შორის არის ერთი დამა, ვისთვისაც სრულიად უცხოა როგორც რუსეთი, ისე საქართველო. შესაძლებელია, ეს ბარათი მისი მისამართითაა გამოგზავნილი.

ხაჯიმ ჩვენს ოთახში შემოიხედა. მიუთითა რა ჩემზე, კნეინამ დაუმატა:

– იგი ფრანგის ქალია.

– ეს მართალია, – შევაგებე პასუხი ხაჯის მდუმარე შეკითხვას.

– თქვენ ახლავე მიიღებთ რუსულად დაწერილ ბარათებს, მაგრამ ერთხელ კიდევ გიმეორებთ: ყოველგვარი სიცრუე სძულს ალაპსა და მის მონას შამილს. უფლება მაქვს თავები დაგაყრევინოთ და ამას დაუყოვნებლივ გავაკეთებ, როგორც კი შევნიშნავ, რომ ჩემს მოტყუებას ცდილობთ.

აი, რაზე გველაპარაკა შამილი. საუბრისას იგი არათუ ცდილობდა ჩვენს დანახვას, თვითონაც კი არ დაგვნახვებია.

წერილმა, რომლის შესახებაც იმამი გველაპარაკა, დიდად ამაფორიაქა და გამანვალა. გამუდმებით მტანჯავდა ფიქრი, რომ იგი ჩემს სახელზე იქნებოდა გამოგზავნილი საფრანგეთიდან და, ალბათ, თავადმა ჭავჭავაძემ სხვა წერილებთან ერთად გადმოაგზავნა-მეთქი. მაგრამ ჩემი გუმანი მცდარი ალმოჩნდა, რაც გვიან გამოირკვა. ეს წერილი კნეინებისათვის მოენერა ჭკვიანსა და მომხიბვლელ კნეინა გოლიციას,<sup>33</sup> რომელიც წინანდალში ჩვენთან სტუმრობას სწორედ იმ ხანებში აპირებდა, როცა ტყვედ ჩავგარდით. შამილმა თავისი სიფრთხილისა და ეჭვიანობის გამო ამიკრძალა ვინმესათვის რაიმე მიმეწერა; ამიტომაც იყო, რომ ჩემმა ნათესავებმა არ იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ნება დამრთეს საკუთარი გვარი მიმეწერა კნეინა ორბელიანის მიერ დაწერილი რამდენიმე რუსული სიტყვის ქვეშ; შამილი ნებას იძლეოდა, კნეინებს ვრცელი პასუხები ეწერათ, მაგრამ ქალბატონებმა იცოდნენ, რომ იგი უბრძანებდა ტყვეთა ბარათები მისთვის ეთარგმნათ და ამიტომაც ვეღარ ბედავდნენ მათში ჩვენი ტანჯვა-წამებისა და სულიერი მდგომარეობის აღწერას. ისინი მხოლოდ კაბების გამოგზავნას ითხოვდნენ ბავშვებისა და ჩვენთვის.

თავადებს – ჭავჭავაძესა და ორბელიანს – განსაკუთრებით ეწადათ შამილს მათთან მოლაპარაკება გაემართა თათარ მაჰმადას<sup>34</sup> საშუალებით, ვისი პატიოსნებაცა და აკურატულობაც მათ კარგად უწყოდნენ. შამილმა თანხმობა განაცხადა და მაჰმადამაც კეთილსინდისიერად შეასრულა ორივე თავადის ყველა დავალება.

## იმამი შამილი

იმხანად, ჩვენი ტყვეობაში ყოფნისას, შამილი 56 წლისა გახდათ. მაგრამ მე, ვისაც საშუალება მქონდა მენახა იგი თითქმის ყოველდღიურად, ეს აქამდე ვერ დამიჯერებია: მეჩვენებოდა, რომ გაცილებით ახალგაზრდა იყო. სახის ნაკვთები მშვიდი და ენერგიული ჰქონდა, ჩვეულებრივ მთვლემარე ლომს წააგავდა; ახოვანი, ქერა; გრძელი წვერი ბევრს მატებდა მის დიდებულ იერსახეს. თითქოს ნაცრისფერი და გრძლად გაჭრილი თვალები აზიურ ყაიდაზე განზრახ აქვს მოჭუტული; ბაგე – ალისფრად უღვივის, კბილები აქვს ბროლივით წმინდა და ძალიან ლამაზი, მიხვრა-მოხვრა – მტკიცე, მაგრამ არა დუნე, ხელები – ბამბის ქულასავით თეთრი და პატარა. ამ კაცში ყველა შენიშნავდა უმაღლესი ხელისუფლების მფლობელ პიროვნებას.

ოცი წელიც არ შესრულებოდა და უკვე მოესწრო ლეკთა და ჩეჩენთა ყველა თაობის მეომართა გაერთიანება თავისი დროშის ქვეშ. ამის შემდეგ კი დაიწყო ყოველგვარ ციხესიმაგრეზე უმჯობესი გამაგრების – მიუდგომელი მთების დახმარებით თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვაზე ზრუნვა.

იმამმა განათლება დიდად წარჩინებული მთიელის ჯემალ-ედ-დინისაგან<sup>35</sup> მიიღო, რომელმაც შამილს შემდგომ თავისი ქალიშვილი ზაიდეთი მისცა ცოლად. ჯემალ-ედ-დინმა თავის სახელგანთქმულ აღსაზრდელს გულში ლრმად ჩაუნერგა პატიოსნებისა და სამართლიანობის ურყევი კანონები. ბუნებისაგან დიდი ჭკუით მომადლებული შამილი შეიძლება არა მარტო დიდ მხედართუფროსად ჩავთვალოთ, არამედ აგრეთვე დიდ კანონმდებლადაც. ომისაგან მოცლილი მთიელთა ბელადი მეტნილად დროს წიგნებითა და პერგამენტებით სავსე კაბინეტში ატარებდა.

იმამი აულთა ხშირი სტუმარია: ხალხს ყურანის სურებს უქადაგებს და თავისუფლების სიყვარულით აღანთებს. ამ დროს

მისი ცოლები სასაფლაოს ეწვევიან ხოლმე. ეს მათი ერთადერთი გასართობია სერალის ზღუდეებს მიღმა. სამაროვნისაკენ ისინი მიემართებიან ჩადრმობურულნი, მრავალრიცხოვან მსახურ ქალთა თანხლებით, გზას კი ფარნებით ინათებენ.

ლეკები გარდაცვლილებს დიდ პატივს მიაგებენ და მათი სასაფლაოებიც, კონსტანტინოპოლიურ სასაფლაოთა მსგავსად, მოხეტიალე ძალლთა თავშესაფარს როდი წარმოადგენს.

ყოველი სამარის თავში დადგმულია ქვა, ხშირად არა მარტო წარწერით, არამედ ჩალმის გამოსახულებითაც, თუ, რა თქმა უნდა, მკვდარი მეომარი, კანონმდებელი ანდა მოღა იყო.

როდესაც შამილი ვედენოში ამოდის, მთელი ხალხი ეგებება და სერალის მეორე ეზომდე ყურანის საგალობელთა მღერით მიაცილებს; ამას იქით კი არავის აქვს უფლება, გაჰყვეს მას. გამონაკლისია მხოლოდ ზოგიერთი მონა. მესამე ეზოში იგი თავის ცოლებთან ერთად ცხოვრობს.

შამილს კარგად მოეხსენება: თუ მთიელნი ძლევამოსილ რუსეთს ასე ხანგრძლივად უწევენ წინააღმდეგობას, ამას აღწევენ არა იმდენად საკუთარი ძალების მეოხებით, რამდენადაც თვით ბუნების მიერ ბოძებული დაუძლეველი წინააღმდების გონივრული გამოყენებით. ამიტომაც არის, რომ ტყვეთა დიდი ნაწილი მისი ბრძანებით კი არ ასწორებს, არამედ აფუჭებს და ანადგურებს იმ გზებსა და პილიკებს, რომელთა გამოყენებითაც რუსებს შეუძლიათ მის სამფლობელოში შეაღწიონ. შამილის არმია მხოლოდ საჭიროების უამს იკრიბება და არასოდეს არ აღემატება ოცდაათ ათას კაცს. იგი დაყოფილია ნაწილებად სოფლების მიხედვით და ყოველი ნაწილი უფროსს ემორჩილება. უფროსი ყველაფრის პასუხისმგებელია. ნაწილთა უფროსები შამილთან არიან დაკავშირებული, მის წინაშე იცავენ თავიანთ ადგილობრივ ინტერესებს და ომისა და ზავის საკითხებზე ბჭობენ. ვარაუდობენ, რომ იმამის ხელისუფლებას ცნობს მოსახლეობა, რომელიც 300 ათას სულს შეადგენს, მაგრამ მცხოვრებთა დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. სწორედ ამიტომაც იყო, რომ

ყველა აულში, სადაც კი გამოვიარეთ, ძნელად თუ იპოვიდით ოჯახს, რომელსაც შეეძლო ფული აელო და გამოვეკვებეთ. ამის გამო ხშირად მომხდარა: ჯერ კიდევ კარგად არ შევსულიყავით რომელიმე აულში, რომ თავიდან მოცილების მიზნით მაშინვე ცდილობდნენ ჩვენს გაცილებას. თუმცალა ეს სრულებითაც არაა საკვირველი – თითქმის ყველა მოსახერხებელი და ვაკე ადგილი რუსებს უკავიათ. სამაგიეროდ აქ ყვავის მეცხოველეობა, რის განვითარებასაც ხელს უწყობს ვრცელსაძოვრიანი და ყუათიანი ბალახით შემოსილი მთები. ცხვარი საუკეთესო ხარისხისაა და რბილ, ფაფუკ მატყლს იძლევა. მცხოვრებთა მთავარ საქმიანობას საწინდე და სანაბდე ქეჩის გამოყვანა შეადგენს.

ხალხი, რომელმაც თავისი ცხოვრების მიზნად ჰაზავათი<sup>36</sup> გაიხადა, გამოირჩევა ჭკვიანური და მეტყველი ფიზიონომიით, რასაც ვერ ვიტყვით მწყემსთა შესახებ. რაც შეეხება ქალებს, თორმეტიოდე წლის შესრულებისთანავე რომ თხოვდებიან, მუშაობითა და ხშირი მშობიარობით იმდენად დაუძლურებული არიან, სულ მოკლე დროის გასვლის შემდეგ უკვე 30 წელიწადზე ნაკლებს ვერაფრით ვერ მისცემთ. მთელი სამეურნეო საქმიანობა, მინდვრის ყოველგვარი სამუშაო მათ აწევთ ტვირთად. შამილს პოლიტიკური მოსაზრების გამო სულაც არ სურს, მამაკაცი სამეურნეო სამუშაოებში ჩაეფლოს და შინაურულ მყუდრო ცხოვრებას დაეჩვიოს; მძიმე სამუშაოთა შესრულების შემდეგ მას ღრმად დაეძინება და არ გამოცხადდება იმამის დაძახილზე საშიშროების დროს. ამიტომაც არის, ლეკი მიჩვეულია იზრუნოს მხოლოდ ცხენსა და იარაღზე. ცხენი და იარაღი კი სამართლიანად შეადგენს მის სიამაყეს. ლეკთა დედაკაცები, ქართველ ქალთა მსგავსად, ისვამენ ყაჭის მურს და აბრეშუმის პარკს ამზადებენ. ძაფს თვითონვე ძახავენ, ქსოვენ და ღებავენ. ბევრი მათგანი დიდი გემოვნებით ამზადებს ოქროსა და ვერცხლის ძაფებისაგან ყაითნებით მოსირმულ საგნებს, რომლებითაც ტანსაცმელს ამკობენ; ისინი კერავენ ტარსიკონის წალებს, ქსოვენ ქეჩის ძალზე თბილ, ღუნდულა წინდებს.

გარდა ხსენებული თვისებებისა, შამილი გამოირჩევა აგრეთვე საოცარი მოკრძალებულობით. ერთხელ დანიელ-ბეგმა ჩაულა-პარაკა: კნეინები ახალგაზრდები, ლამაზები და ძალზე თავა-ზიანები არიანო. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მის ოჯახში ცხოვრობდნენ, იმამი არასოდეს დაექებდა შემთხვევას, მათ შე-ჰყუროდა. პირიქით, თუ აუცილებელი გახდებოდა ჩვენს აივან-ზე გავლა, იგი წინდანინ გვაფრთხილებდა. ჩვენი ეზო ხშირად იჩუმქრებოდა თოვლით, რის გამოც სერალის მცხოვრებნი ჩვენი კარების გასწვრივ მიმოდიოდნენ, მაგრამ შამილი ამას აკეთებდა მარტოოდენ ღამით, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუშა-გები აუწყებდნენ, ტყვეთა კარები მიხურულიაო. ის, როგორც ჩანს, შიშობდა, თავისი დანახვით კნეინები არ დაეფრთხო და გაენანყენებინა.

როდესაც ამბავი მიუტანეს, თუ რა სასტიკად გვექცეოდ-ნენ მგზავრობისას, განკარგულება გასცა, ჩვენგან იმ ადამი-ანთა სახელები შეეტყო, ვისაც ვუჩიოდით; შამილი მათ დასჯას აპირებდა. მარწმუნებდნენ, გამეცა ჩემი დამტანჯველი ჰაჯი-ქერიმი, მაგრამ, აბა, ეს ვისთვის რა სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო? ამიტომაც უმჯობესად ჩავთვალე, ჰაჯი-ქერიმს ჩემი წვალებისათვის ღვთის წინაშე ეგო პასუხი. ვინ არ დამერწმუნება, რომ ყოველგვარ ადამიანურ საქმეთა ამ უცთომელმა გამომძიე-ბელმა და მსაჯულმა გაჩუმებისათვის დამაჯილდოვა – დამეხ-მარა გადამეტანა საშინელი და ხანგრძლივი ტყვეობა.

## ზაიდეთი. შუალეთი. ამინეთი

ჯემალ-ედ-დინის ქალიშვილი ზაიდეთი იმ ხანებში ოცდაშვილი წლისა იყო. იგი ატარებდა შამილის პირველი ცოლის წოდებას და ამის გამო დიდი უპირატესობითაც სარგებლობდა: ყოველი ბავშვი, მთელი მომსახურე პერსონალი ვალდებულია მისი ნება აღასრულოს. მის ხელთაა საკუჭნაოს, საწყობისა და გარდერობის გასაღებები. შამილის დანარჩენი ცოლები მას ერთგვარი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობიან. ისინი მუდამ მასთან გარბიან, როცა კი რაიმე ისეთი მოესურვებათ, რაც მათი ჩვეულებრივი მოთხოვნილების ფარგლებს სცილდება, მაგრამ ერთ-თავად უკმაყოფილონი რჩებიან მისი გადამეტებული სიძუნნის გამო.

ზაიდეთმა შამილს ასული აჩუქა – ნაჯავათს ეძახიან.<sup>37</sup> გოგონას სახის ნაკვთები მოწმობს, რომ არაჩვეულებრივად ლამაზი ქალიშვილი დადგება. სამწუხაროდ, ფეხები აქვს მეტისმეტად დაბრეცილი. ამჟამად შვიდიოდე წლისა ძლივს იქნება. ამის მიუხედავად, გონებრივად დიდად განვითარებულია და უკვე ყურანსაც კითხულობს, ნერაც იცის და თვლაც. შამილს განსაკუთრებული სინაზით უყვარს თავისი ბავშვები, მაგრამ პატარა ნაჯავათს, მისი სისუსტისა და ფეხმრუდობის გამო, უფრო მეტი სინაზითა და მამობრივი მზრუნველობით ეპყრობა, ხშირად ხელში ატატებული დაჰყავს ეზოში და განსაკუთრებული სიფრთხილით სვამს სკამზე. მაგრამ ნაჯავათი მრავალფეროვანი თამაშებისადმი მიღრეკილებით ნამდვილი ბიჭია. გულისტკივილით შეჰყურებთ, როდესაც იგი თითქმის ისევე სწრაფად დარბის, როგორც სხვა ბავშვები და მათსავით ცდილობს წითლად მოლაპლაპე მუგუზალი დაითრიოს. და შემდეგ ამ მუგუზლით ხელში აივანზე დარბის: ეს მისი საყვარელი გასართობია. ზაიდეთი მსუბუქად კიდეც

ტუქსავს მას ამ ონავრობისათვის, მაგრამ შამილი ერთ გამკითხავ სიტყვასაც არ ეუბნება.

იმამს მეორე, ძალზე საყვარელი ცოლისაგანაც ჰყავს შვილები. ის ცოლი დარდისაგან მოუკვდა, როდესაც რუსებმა მათი 9 წლის უფროსი შვილი ჯემალ-ედ-დინი ტყვედ წაიყვანეს. ამ ქალს ფატიმათი ერქვა.<sup>38</sup> ჯემალ-ედ-დინის გარდა, იმამს ამ ცოლისაგან კიდევ ორი ვაჟიშვილი დარჩა: ყაზი-მაჰმადი, სწორედ ის, ვინც ხელმძღვანელობდა იმ ლეკა პარტიას, რომელმაც ჩვენ წინანდლიდან გამოვიტაცა და მაჰმად-შაფი, 15 წლის ყმაწვილი;<sup>39</sup> აგრეთვე ორი ქალიშვილი – ნაფისეთი და ფატიმათი; პირველი თოთხმეტისა, ხოლო მეორე თორმეტი წლისა გახლდათ. ნაფისეთი მეტისმეტი სილამაზით გამოირჩეოდა. შამილს თავისი ახლანდელი მეორე ცოლისაგან, შუანეთისაგანაც, ბევრი ბავშვი გაუჩნდა, მაგრამ ყველა მათგანი უდღეული აღმოჩნდა; მხოლოდ ზაიდეთი გადარჩა, ვედენოში ჩვენი მოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ რომ მოევლინა ქვეყნიერებას.

შამილის საყვარელი ცოლი შუანეთი ოცდათორმეტი წლისა გახლავთ. საშუალო ტანისაა. ძნელად შეხვდებით ქალს, რომელსაც შუანეთზე უფრო ლამაზი ბაგე-კბილი ექნება, თმები – რბილი და კანი – თეთრი, ფითქინა, ფითქინა! დასანანია, რომ მისი დიდრონი ხელები და ფეხები მის მდაბიო წარმომავლობას ამჟღვენებენ. მართლაცდა, იგი ძალიან მდიდარი მოზდოკელი სომეხი ვაჭრის ქალიშვილია. 16 წლის წინათ შამილი თავს დაესხა მოზდოკს, ვაჭრის მთელი ოჯახიც თან წამოასხა და დარღოში მიიყვანა. გათავისუფლებაზე მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა. ვაჭარი თავისი თავისა და ოჯახის გამოსახსნელად დიდ გამოსასყიდს იძლეოდა, თუმცა ამაოდ. შამილს შეუყვარდა მისი ნორჩი ასული ანა, შემდგომ შუანეთად წოდებული, და არაფრის გულისათვის აღარ სურდა მისი გაშვება. ვაჭარს პირობა მისცა – მთელ მის ოჯახს უსასყიდლოდ გაათავისუფლებდა, თუ ქალი ცოლობაზე დასთანხმდებოდა. ამან შუანეთი ძლიერ გაახარა, რადგან ჩათვალა, რომ, ბოლოს და ბოლოს, განსაკუთრებული ბედნიერება

ხვდა წილად – საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვით თავი-სიანები ეხსნა. მაგრამ დადგა თუ არა განშორების წუთი, ქალმა ძალუმად იგრძნო, თუ რა ძნელი გამოდგა ამგვარი მსხვერპლის გაღება... შამილთან დარჩენილმა ორი წლის განმავლობაში შეის-წავლა ყურანი და გაეცნო ისლამიზმის დებულებებს. ამის შემ-დეგ უარყო თავისი მშობლიური რელიგია, მიიღო მუსლიმანობა და იმამის მეუღლე გახდა. მალე თვითონაც შეუყვარდა შამილი, რომელმაც სახელი გამოუცვალა და შუანეთი დაარქვა. სწორედ ამ სახელით იცნობდა ახლა მას სერალის ყოველი მცხოვრები. ვედენოდან ჩვენი გამომგზავრების წინ მან კნეინა ორბელიანი შეაჩერა და სთხოვა, მისთვის მცირე სამსახური გაეწია:

– ჩემი მშობლები უკვე აღარ არიან ამქვეყნად, – უთხრა მან, – ამიტომაც გადაეცი ჩემს ძმებს: გამომიგზავნონ ჩემი წილი მემკვიდრეობა. მსურს იგი შამილს მივცე.

მისი ძმები რამდენჯერმე ამოსულან ვედენოში და ყოველ-თვის მიუღიათ დის ნახვის უფლება. მისი გამოსყიდვაც არაერთ-ხელ მოუწადინებიათ, მაგრამ ქალს მუდამ მტკიცე უარი განუც-ხადებია: იმამის სანაცვლო სიყვარულს გრძნობდა და შუანეთს სულაც აღარ ადარდებდა თავისუფლება, რაც მას საყვარელ ადამიანს განაშორებდა. იგი შამილის საქმეებში ყოველთვის ცხო-ველი ინტერესით ერეოდა, მაგრამ ეს ხელს სულაც არ უშლი-და, თუკი შესაძლებლობა მიეცემოდა, საწყალ ტყვეთათვის სა-სარგებლო რამ გაეკეთებინა: ჩვენთან ურთიერთობისას იგი იყო გულკეთილი, გულწრფელი და ერთგული. ჩემდა საბედნიეროდ, მოვენონე და ამის გამო კნეინებისათვის ერთი წუთითაც არ მო-ვუცილებივარ.

შამილის მესამე ცოლი, მომხიბვლელი ამინეთი, მხოლოდ 18 წლისაა. ბავშვები არა ჰყავს, რადგან სერალში ჩვენს მოსვლამ-დე მხოლოდ ოთხი თვით ადრე მიიყვანეს. ძნელად შეხვდებით ქალს, რომელსაც ექნება სახის ასეთი სრულყოფილი ოვალი და იქნება ესოდენ მკვირცხლი და ანცი. პირი დიდი უჩანს, სამა-გიეროდ საუცხოო კბილები ამშვენებს. მაინც, არაფერი ისე არ

ალამაზებს, როგორც ჩაკუჭული ნიკაპი და ლოყა. ცხვირიც კი, რომელიც ოდნავ ზევით აქვს აპრეხილი, ჭვინტით თავდება. ამინეთი წარმოშობით ქისტის ქალია. ხუთი წლისა იყო, ტყვედ რომ წამოიყვანეს. დედამისს გამოსყიდვის საშუალება არ ჰქონდა და მოისურვა მასთან ერთად ტყვეობაში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე...

ვედენოში ჩვენი ყოფნის დროს ორი ტყვე ქალი მოიყვანეს სწორედ იმ სოფლიდან, საიდანაც იყო ამინეთი. ტყვეებს იგი მაღე დაუმეგობრდა. როცა მათ შეძლეს გამოექებნათ გამოსასყიდი თანხა – 200 მანეთი, ამინეთს ეს სრულებითაც არ გახარებია. საკუთარი ხელით მოუმზადა ქალებს საგზალი, ხოლო ფეხები მატყლითა და ძველმანით შეუხვია. ეს იმიტომ, რომ საშობაო დღეები იდგა – თოვდა და თანაც ყინავდა.

შამილი დიდად ცდილობს ცოლთა შორის თანასწორობა და-ამყაროს და მაინც მათ შორის ამინეთი ყველაზე ნაკლებად არის ბედნიერი – ძალიან ბევრის ატანა უხდება. იმამის სახლში არყოფნისას ზაიდეთი მეტად მკაცრად ეპყრობა: წამდაუწუმ ეჩიჩინება, გულს უწყალებს, ძალზე უხეშ საქმესაც ხშირად ავალებს. ამინეთი საერთო სამზარეულოში ზელს და აცხობს პურს, და ეს მაშინ, როდესაც ამას არ აკეთებს არც ზაიდეთი, არც შუანეთი. საბედნიეროდ, ქისტის ქალს შრომას უმსუბუქებს დედამისი – ნანანი, რომელიც მზარეულთუფროსია და სამზარეულოს საქმეებს განაგებს.

დასახელებულ პირთა გარდა, სერალში ცხოვრობს აგრეთვე მოხუცი ბაკო, ფატიმათის დედა, ჯემალ-ეფ-დინისა და მისი დაძმების ბებია. შამილი მას დიდ პატივს სცემს და ყოველდღიურად ნახულობს კიდეც. ბაკო სერალში სავსებით განმარტოებულად ცხოვრობს. თავისი კუთხე ცალკე აქვს მოწყობილი: აქა სამზარეულო, პურის საცხობი და, როდესაც ყველა ქალი საერთო სამზარეულოში საქმიანობს, მოხუცი ბაკო მისთვის გამოყოფილ პატარა კუთხეში დაფაჩუნობს.

## ოჯახური ყოფის ნირილობაზე

ექსპედიციებიდან ანდა სარწმუნოების მორიგი ქადაგებიდან შინ დაბრუნებული შამილი ცხენიდან ჩამოხტომას ვერც კი ას-ნრებს, რომ ბავშვები უკვე ეტორლიალებიან, მხრებზე აბობლდებიან. ცოლებიც მის შესაგებებლად გამოეფინებიან: ზაიდეთი მძიმედ, სერიოზულად და ამპარტავნულად. ეს თვისებები მას იშვიათად ღალატობს; შუანეთი ღიმილითა და ფაციფუცით, ხოლო ამინეთი კოპნია არსების სიზანტით. შამილი თავს ვალდებულად რაცხს, პირველად მხცოვანი ბაკო მოინახულოს. იგი მოუთხრობს მას საკუთარი თავგადასავლების, წარმატებებისა თუ წარუმატებლობათა შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ მიდის თავისთან. ამ დროს ცოლები ცდილობენ, რითაც კი შეუძლიათ, ასიამოვნონ და მისი სურვილები დაკმაყოფილონ. მაგრამ რა დიდი სიხარულიც მოაქვს შამილის გამოჩენას, ისეთსავე დიდ წუხილსა და სევდას იწვევს მისი წასვლა. როდესაც გზას ეპირება, ზაიდეთი და შუანეთი საგანგებო საგზალს უმზადებენ, სადაც გათვალისწინებულია ყველაფერი, რისი მოთხოვნილებაც შეიძლება წამოიჭრეს. ამას გარდა, ისინი ამონმებენ ლაგამ-აბჯარ-უნაგირს; ნაბადს ხომ ყველაფერი რიგზე აქვს, დახეული ხომ არ არის დამბაჩების ბუდეები, არის თუ არა ისინი იარაღებზე კარგად მორგებული?

ჩვეულებრივ შამილი არსად ფეხს ისე არ გაადგამს, ბაკოს თუ არ გამოემშვიდობა. შემდეგ კი არაჩვეულებრივი სიკისკასით მოახტება თავის ბედაურს. შამილის რეზიდენცია სამი კედლით არის შემოზღუდული. ყოველ მათგანს თითო ჭიშკარი აქვს შემული, მაგრამ ისე დაბლებია, რომ მხედარი ჩამოუხტომლად ვერ გაეტევა, ანდა ცხენზე უნდა განვეხს. აი, წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: შამილი გამოდის სასახლიდან, ცხენს ჩორთით მოაგელვებს და ყოველი ჭიშკრის გავლისას ცხენს ზურგზე ეკვრება. გასცდება თუ არა მას, მყისვე წამოიმართება და უკვე

რამდენიმე წამის შემდეგ ეზოს მიღმა აღმოჩნდება. გააცილებენ თუ არა, ცოლები და შვილები მდუმარედ ბრუნდებიან სასახლეში. ამინეთი კი ტერასაზე ადის და მიმსრბოლ ბედაურებს თავისუფლებამოწყურებული თვალებით მანამ გასცქერის, სანამ ისინი სივრცეში არ ჩაინთქმებიან. დასევდიანებული შუანეთი თავისთან მიდის; ზაიდეთი კი საწყობში დანრიალებს. შემდეგ იგი საკმაოდ მაღე გამოჩნდება, აცვია აპრეშუმის პერანგი და შარვალი. ამ სამოსელს ჯერ კიდევ გათხოვებამდე ატარებდა და, უნდა ითქვას, ძალიანაც უხდება. თუ ჰკითხავენ, რად იცვამს ასე მოხდენილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმარს შინიდან წასულს დაიგულებს, იგი უპასუხებს: „შამილი ცოლებს უკრძალავს მოხდენილად და ნატიფად ჩაცმას“. იმამს დიდად სიამოვნებს, როდესაც კარგ ამინდში ისინი თეთრ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი. ზაიდეთი უფრო მეტად მოიგებდა შამილის გულს, მას რომ უფლება ჰქონდეს, ამ ელეგანტურ კოსტიუმში გამოწყობილი გამოეცხადოს ქმარს – იგი სავსებით მკაფიოდ აჩენს ქალის წვრილსა და ლამაზ წელს.

შამილი ცოლებს ნებას არ აძლევს, რითიმე გამოირჩნენ ნაიბთა ცოლებისაგან. მან კარგად უწყის: გაუძნელდება იმ ადამიანთა მართვა, რომლებზედაც დამოკიდებულია მისი არჩევა, თუ მათ დიდი მოთხოვნილება გაუჩნდებათ. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობს უბრალოება დაიცვას, და სათანადო მაგალითსაც თვითონ იძლევა: ყოველთვის სადად აცვია და, თუ არა მბრძანებლური იერსახე, უცხო რომელიმე უბრალო ნაიბად მიიღებდა. მხოლოდ ხუთშაბათობით, როდესაც საზეიმოდ მიერთოთ მეჩეთისაკენ, წამოსხმული აქვს გრძელი მწვანე მანტია და ახურავს თათრული ფესი ირგვლივ ლაზათიანად შემოხვეული თეთრი ჩალმით; უკან მიურიდები მიჰყვებიან, რომელთაც თან მიაქვთ ლამაზ ყდაში ჩასმული ოქროკვეთილი ყურანი. ამ პროცესიას აულელი მამაკაცები აბოლოვებენ. ისინი მღერიან: ია ალაპ! ია ალაპ! სანამ შამილი მეჩეთში იმყოფება, სერალში, ზაიდეთის განკარგულებით, ბერტყავენ ნოხებს, ათეთრებენ კედლებს და

სხვა, რათა მისი დაბრუნებისას ყველგან სისუფთავე, სიფაქიზე და წესრიგი სუფევდეს.

იმამთან მოუხსენებლად შესვლა მხოლოდ ცოლებს შეუძლიათ. როცა ლოცულობს ან მიურიდებთან თათბირობს, ცოლები კეტავენ თავიანთი ოთახის კარებს და გასაღებს უბეში ინახავენ: ჯიბის ქონა აკრძალული აქვთ. შამილს ყოველდღიურად აკითხავენ მასთან საქმეებზე საუბრის მოსურნე ნაიბები. სტუმრებს იმამი უბრალოდ ღებულობს, ისე, როგორც ამის საშუალება აქვს და იტოვებს მათ თავისთან რამდენიმე დღით. ისინი ვალდებული არიან, არ შევიდნენ ქალთა ეზოში. შამილი არასოდეს არ ჭამს სტუმრებთან ერთად, მუდამ მარტო საუზმობს და სადილობს – ამ დროს მხოლოდ ცოლები ემსახურებიან. ჭამისას მისი თავ-შეკავებულობა მართლაც რომ აღნიშვნის ღირსია. მისი საკვებია: რძით მოზელილი და გამომცხვარი თეთრი პური, ბრინჯი, ონსოქოლოს თაფლი (იმდენად თეთრი, თეფშს არც კი აჩნია) და უშაქრო ჩაი. შამილის შესანიშნავ ჯანმრთელობას იმითაც ხსნიან, რომ მხოლოდ იმით იკვებება, რასაც ბუნება მზამზარეული სახით აწვდისო.

ხალხი აღმერთებს შამილს. მისი სახელი მთელ კავკასიაშია გავარდნილი და ის თილისმასავით ემსახურება ჩაგრულ ადამიანებს. თვითონ არაჩეულებრივი ზნეობრივი სიწმინდით გამოირჩევა და სხვათა პინიერებასაც მკაცრად ებრძვის. მოგვითხრობენ, რომ რომელიდაც ლეკს სიღარიბის გამო დაქორწინება არ შესძლებია და საძრახისი კავშირი დაუჭერია უშვილო ქვრივთან. რამდენიმე ხნის შემდეგ მათი ურთიერთობა გამჟღავნებულა. შამილის ბრძანებით, ორივეს თავები დააყრევინეს. ეს მოძველებული მაგალითი დღემდე შემონახულა ხალხის მეხსიერებაში. აქ არ გისაყვედურებენ გყავდეს იმდენი ცოლი, რამდენის შენახვის შესაძლებლობასაც ოჯახური მდგომარეობა გაძლევს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სქესობრივი კავშირი დაიჭირო თუნდაც ერთ პირთან, შემდეგი წესის აღუსრულებლად: მა-

მაკაცმა, მეჩეთში რომ შევა და ალაპს მიაპყრობს მზერას, სამგზის უნდა წარმოთქვას:

– ალაპ! ეს ქალი მე ცოლად მიმყავს.

## XXIII

### სამი კაპა. შამილი და ამინეთი

შამილი ცოლებზე ერთნაირი ყურადღებით ზრუნავს. ერთხელ თავადებმა ცოლებისათვის საჩუქრები გამოუგზავნეს – ქარვისა და მარჯნის კრიალოსნები და სამი ლამაზი კაბა: მწვანე, ცისფერი და ისფერი. ეს კაბები ერთმანეთისაგნ არ განსხვავდებოდა არც ზომით, არც ხარისხით. ზაიდეთმა და შუანეთმა გულდასმით, მთელი გულისყურით გასინჯეს ისინი, ხელში ატრიალეს, რამდენ-ჯერმე მოიზომეს და კინალამ აწონეს კიდეც. მშვენიერ ამინეთს ეს კაბები არც კი უნახავს. იმხანად შამილი ექსპედიციაში იმყოფებოდა. ამიტომაც ვერავის გაეგო, თუ როგორ მოექცეოდა ამ მდიდრულ საჩუქრებს. თუმცა ზოგიერთი დარწმუნებული იყო, რომ იგი, როგორც ფუფუნების მოძულე და წინააღმდეგი, ცოლებს საჩუქრების მიღების უფლებას არ მისცემდა. დაბოლოს, შამილიც დაბრუნდა. იგი ხასიათზე ვერ იყო: რუსებმა ბარონ ვრანგელის<sup>41</sup> მეთაურობით მის ჯარებს დიდი ზარალი მიაყენეს. ზაიდეთმა მთელი სრულუფლებიანობით აღჭურვა ესოდენ მნიშვნელოვან საქმეზე შამილთან მოსალაპარაკებლად მივლინებული შუანეთი, ჩააგონა მას, იმამისათვის შემდეგი მოეთხოვა: რამდენადაც ამინეთი მისი მესამე ცოლია და თან შვილებიც არა ჰყავს, ამდენად, პირველ და მეორე ცოლებს ვერ შეედრება. ამიტომაც შამილი ვალდებულია, ერთი კაბა გადაინახოს რომელიმე მისი ქალიშვილისათვის. ზედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი საქმების მოსაგვარებლად შამილ-

თან ყოველთვის შუანეთს გზავნიდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ შუანეთი გულკეთილია, ლამაზია და შამილს უყვარს, რაც წარმატების დიდი სანინდარია. როცა ქალმა ამ საჩითირო საკითხზე მოახსენა, შამილმა უპასუხა:

- ჩემი რანი არიან ზაიდეთი, შუანეთი და ამინეთი?
- შენი ცოლები და მონები არიან. – მიუგო ქალმა.
- კეთილი, – თქვა შამილმა, – რახან ეს ასეა და სამივენი ერთ წოდებას ატარებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე უფლებით სარგებლობთ. თუ ამინეთს არ ეკუთვნის კაბა, მაშინ არც ზაიდეთსა და შუანეთს ეკუთვნით.

ამინეთი ისარივით შემოიჭრა ჩვენს ოთახში თავისი გამარჯვებისა და შამილის სამართლიანობის ამბის მოსაყოლად.

იმამი სამივე ცოლს გულმხურვალედ უყვარს, ოღონდ უყვართ მეტად სხვადასხვაგვარად. ზაიდეთი საოცრად ეჭვიანია, დიდად არის მონადინებული, ქმრის გული მხოლოდ მას ეკუთვნიდეს, მაგრამ ვედენოში, სავსებით ისევე, როგორც ევროპაში, ეს ძნელად და იშვიათად ხდება, განსაკუთრებით კი მაშინ ძნელდება ამის მიღწევა, როცა მეტოქე გულკეთილია, ლამაზია და ქმრისადმი სიყვარული დღითი დღე უძლიერდება. უნდა მოუსმინოთ შუანეთს, როდესაც შამილის შესახებ საუბრობს, თვალყური ადევნოთ ამ დროს მისი გამომეტყველების ცვალებადობას – ქალის ვნებათა სალაროს უტყვ სარკეს, იმას, თუ რა სიტკპოებითა და სასოებით წარმოთქვამს საყვარელ სახელს და დარწმუნდებით: ზაიდეთის სურვილს აღსრულება არ უწერია.

– მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა, რაც შამილის ცოლი გავხდი, – გვითხრა ერთხელ შუანეთმა, – მაგრამ ცრემლებს ახლაც კი ვღვრი, როცა იგი სალაშქროდ არის წასული და ჩემს წასაყვანად არავის გზავნის. თუ რაიმეს დავაშავებ, უკმაყოფილებას არასოდეს გამოამჟღავნებს, პირიქით, უფრო მეტი ალერსით მეპყრობა, თითქმის ისე, როგორც ბავშვს და საყვედურს ისე ლმობიერად და მშვიდად მეუბნება, რომ მისი ესოდენ უსაზღვრო სიკეთისა მრცხვენია.

რაც შეეხება ამინეთს, შამილისადმი ისეთსავე სიყვარულს განიცდის, როგორსაც შვილი – მამისადმი. მხოლოდ ეგ არის, რომ თავისუფლებადაკარგული ცხოვრება აღმფოთებასა ჰგვრის და წინანდელ თავისუფლებას მისტირის. ეჭვიანი და პატივმოყვარე ზაიდეთი მის უშვილობას ხელზე იხვევს და ხანდახან კიდეც ჩაუნისკარტებს ხოლმე, თითქოსდა იმამი მასთან განქორნინებას აპირებდეს. მაშინ ცულლუტი ამინეთი ჩვენთან გაბადრული სახით მორბის და გვარნმუნებს, აქაურობას მალე მოვშორდებით. ისე მარჯვედ გაავრცელებს ხოლმე ამ ჭორს, რომ იგი აუცილებლად მიაღწევს შამილის ყურამდე. მაშინ იმამი მას თავისთან იბარებს და ცდილობს, გადაარწმუნოს.

იმამი ცოლებს რიგრიგობით ეწვევა ხოლმე. და აი, როგორ: მაგალითად, დილით ზაიდეთს ეტყვის – დღეს შენთან ვიქნებიო. შემდგომ ამისა, მომდევნო დღე-ლამეს ლოცვაში ატარებს. სხვა დროს შუანეთს აცნობებს: დღეს შენთან მოვდივარო. და იგი მომდევნო დღე-ლამის განმავლობაში კვლავ ლოცულობს. ბოლოს ამინეთის რიგიც დგება და ასე შემდეგ. თუმცალა ეს წესი და რიგი შამილის გამოგონილი სულაც არაა – იგი დაკანონებულია თვით ყურანით, რომელიც მხოლოდ კანონიერ ცოლებს აძლევს უფლებას, ეკუთვნოდეთ ქმრის გული.<sup>42</sup> მაგრამ სერალში, სადაც აურაცხელი ტყვე ქალი იყრის თავს, ყველაფერი ქმრის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და არა რელიგიაზე.

როდესაც შამილი ზაიდეთთან აპირებს ლამის გათევას, ზაიდეთისათვის ის დღე ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცევა ხოლმე. იგი უცებ ხდება მხიარულიცა და თავაზიანიც. საკუჭნაოს გასაღებები მას თითქოს მძიმე ტვირთად აწევს, ნაკლებად ძუნწობს, უფრო მეტიც, ერთგვარად გულუხვობს კიდეც: ამ დროს გვიგზავნის ხოლმე კაკალსა და ვაშლს (მართალია, ხშირად დამპალსაც), ბრინჯას, გარგარის ჩირსა და ქლიავს.

შუანეთი კი შამილის სტუმრობის შემდეგ წყნარ, ზომიერ სიხარულს განიცდის. მასზე უკეთ, აბა, ვინ უწყის, თუ როგორ უყვარს იგი ქმარს; თვითონ კი გიუდება მისთვის. ხანგრძლივი

ლაშქრობის დროს იმამი ერთ-ერთი ცოლის წასაყვანად კაცს გზავნის. სუსტი ჯანის მქონე ზაიდეთი გზის სიძნელეებს ვერ იტანს. ამინეთი თავის დედასთან დარჩენას ამჯობინებს. ასე და ამგვარად, რიგი ყოველთვის მშვენიერ შუანეთს უწევს. ჩვეულებრივ იგი დიდი ბადრაგის თანხლებით ცხენზე ამხედრებული და ჩადრშემობურული მიემგზავრება. ბანაკში მისვლისთანავე ქმარს დაეძებს და შამილის ბრძანებით გამართულ კარავში ბინავდება.

ამინეთი მთელ დროს ეშმაკობასა და ონავრობას ანდომებს. საკუთარ ოთახს მიაღაბებს თუ არა, შემდეგ მთელი დღე სის აიგანზე დარბის, ხან სამზადში ამოყოფს თავს დედამისთან, ხანაც ჩვენთან შემოიხედავს, ზოგჯერ მოხუც ბაკოს მიაკითხავს, ვისთანაც ნაფისეთი და ფატიმათი ცხოვრობენ. მას დაეძებენ, ეძახიან, ეუბნებიან, რომ შამილმა მასთან შეიარა, მაგრამ, რაკი თავის ადგილზე ვერ იხილა, მისი ოთახის გასაღები თან წაიღო.

- მიაკითხე, გასაღები გამოართვი, – ეუბნება დედა.
- არა, არ წავალ. თვითონ წაიღო და თვითონვე გამომიგზავნოს, ანდა ჰქონდეს... დასაძინებლად ნაფისეთთან დავრჩები.
- საბოლოოდ შამილი გასაღებს უბრუნებს: ეს ქალი მას უყვარს და უყვარს ყველა მისი კაპრიზითურთ.

## XXIV

### ყაზი-მაჰმადი

ამინეთი შამილის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა და ამიტომაც მათთან დიდი მეგობრობა აკავშირებს. განსაკუთრებით კი – ყაზი-მაჰმადთან, რომელიც ორი წლის წინათ დაქორწინდა დანიელ-ბეგის ასულზე, თვალწარმტაც კარიმათზე. საკმარისია ერთხელ შეავლოთ თვალი ამ ქალს, რომ მაშინვე დარწმუნდეთ

მის კეთილშობილურ წარმომავლობაში. დახვეწილი მანერები ამტკიცებენ, რომ მიღებული აქვს გარკვეული განათლება. ეს ერთადერთი ჭეშმარიტად ლამაზი ქალია, რომელიც ლეკთა შორის ვნახე. იგი მართლაც რომ გინერგავს ჰურიების არსებობის რწმენას. მას აცვია მდიდრული და ელეგანტური კოსტიუმი. თუმცა კარიმათიც, ზაიდეთისა და შუანეთის მსგავსად, მალე იძულებული გახდება ხელი აიღოს თავის ამგვარ ჩაცმულობაზე. ყოველთვის, როდესაც სერალში სტუმრად მოდის, მამამთილი ცეცხლში უგდებს ფუფუნების რომელიმე საგანს და განუწყვეტლივ მოაგონებს, სადაც ჩაიცვას და დაიხუროს.

ყაზი-მაპმადს გაგიჟებით უყვარს ცოლი და სხვებზე დაქორწინება არ სურს. ამინეთი მას, როგორც ბავშვობის მეგობარს, განსაკუთრებული სინაზითა და მზრუნველობით ეკიდება: სადამბარე ჩალითებს უკარავს, უვლის მის ნივთებს, ცდილობს, რაიმეს სინაკლულე არ აგრძნობინოს.

როცა ყაზი-მაპმადი მამას ესტუმრება, ცხოვრობს და სძინავს მასთან ერთად. მთელი მისი აქ ყოფნის დროს იმამი არც ერთ ცოლს არ ეკარება ხოლმე. თუ მათთან კარიმათიც არის, იგი ერთ დღე-ღამეს შამილის ერთ ცოლთან ატარებს, მეორეს – მეორესთან და ასე შემდეგ.

ყაზი-მაპმადი არაჩვეულებრივად გაწაფული ცხენოსანია. როდესაც მამას რამდენიმე დღით ესტუმრება, მის პატივსაცემად ახლომახლო აულებიდან მხედრებს კრებენ და აწყობენ დოდს, რომელზედაც ევროპაში მეტად ულიმდამო წარმოდგენა აქვთ: მარულაში მონაწილე მხედართა სიჩაუქე, ქარივით ქროლვა და იგავმიუწვდომლად რთული ილეთების დემონსტრირება ყოველგვარ შედარებას მოკლებულია. ამ დროს ჩადრჩამოფარებული ამინეთი სერალის აივანზე გამოდის და ძელებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან მალულად გასცერის ცხენების თავაწყვეტილ ჯირითს. მის ქისტურ ბუნებას ძალზე მოსწონს აგრეთვე ისეთი ტურნირები, სადაც თოფები და დამბაჩები დენთს დიდი რაოდენობით წვავენ.

## ახალი თაობათი. თავისებრი და თაკლა

ახლა კვლავ ჩვენს მდგომარეობას დავუბრუნდეთ. შამილთან საუბრის შემდეგ განვაცხადეთ, რომ ჩვენი ოთახი ოცდასამი სულისათვის მეტისმეტად ვიწრო იყო. ამიტომაც გამოგვიყვეს მის გვერდით მდებარე ბეჭელი და ნესტიანი მომცრო სენაკიც. წინათ მასში დარაჯები ჩვენთვის მოტანილ შეშას ახორავებდნენ. აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში რამდენიმე ქართველი ქალი ამ ოთახში იწვა. შემდეგ მოისურვეს ბუხარი ამოექენებინათ და, საცხოვრებლად რომ გამომდგარიყო, კეთილმოეწყოთ. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა – ოთახში კვამლი დგებოდა. ამიტომაც, აცივდა თუ არა, საცოდავი ქალები იძულებული გახდნენ ჩვენთან შემოსახლებულიყვნენ. ამით, რა თქმა უნდა, დიდად გავმწარდით. სივიწროვის გარდა, საშინლად გვაწუხებდა სიცხეც. იშვიათად გვაძლევდნენ სანთელს და იმისათვის, რათა მეძუძურებსა და გამდელებს ბაკშეების მოვლა-პატრონობა შესძლებოდათ, ბუხარში დღისით და ღამით განუწყვეტელი ცეცხლი გვენთო. დღისით კარს ყურთამდე ვაღებდით, რაც ცოტათი მაინც გვიმსუბუქებდა მდგომარეობას, მაგრამ საქმე რთულდებოდა ღამით: კარი და სარკმელი მჭიდროდ იგმანებოდა და დაგუბებული, ცხელი ჰაერი აუტანები ხდებოდა; იძულებული ვიყავით აივანზე გამოვსულიყავით, თუმცა ხშირად ესეც შეუძლებელი იყო: იატაკი აქაც ისე მჭიდროდ მოეფინათ მძინარე ადამიანებს, რომ ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ იპოვიდით.

ამ წვალებას ზედ ერთვოდა განუწყვეტელი შიმშილობაც. ცოტას და ძალზე ცუდად მომზადებულ კერძებს გვაძლევდნენ. ეს იყო ქონზე გამომცხვარი პური, რომელსაც ცუდი გემო ჰქონდა. ამ პურს ისე ვერ დააკარებდი პირს, თუ შემდეგ პროცესს არ გაივლიდა: ჯერ თბილ წყალში ვალბობდით, ვახმობდით ნაღვერდალზე, შემდეგ ვაძრობდით ქვედა და ზედა ქერქს. დარ-

ჩენილ რბილ ნაწილს შეწვის შემდეგ მარილს ვაყრიდით და ასე მივირთმევდით. ზაფხულში უფრო ხშირად მჭადს გვაძლევდნენ, მაგრამ მისი ჭამა შეიძლებოდა მანამ, სანამ ცხელი იყო. ზაფხულში კიდევ არაფერი, მაგრამ სიცივეების დადგომის შემდეგ კუჭი სულ ველარ ინელებდა გამხმარ თეთრ მასას. ბოლოს იძულებული გავხდით, ამ საკვებზე საერთოდ გაგვეცხადებინა უარი. მით უმეტეს, რომ მისი ჭამისაგან ღრძილები დაგვისივდა. ზოგჯერ მჭადისა და ლერლილის მაგივრად მოჰქონდათ ჭყინტი სიმინდის ტაროები, რასაც ვწვავდით. მოჰქონდათ აგრეთვე შემპალი ქლიავი და გარგარი, დაობებული ცხვრის ყველი, რაც ყელს გვიშხამავდა, ნახევრად შემპალი, მატლებიანი საქონლის შაშხი, რაც თავისი შესახედაობით ზიზღსა გვგვრიდა. ერთადერთი სალი საჭმელი, რომელიც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა, ხახვი იყო. ამ ჩვენს უკუღმართ და გაჭირვებულ ცხოვრებაში ყველაზე აუტანლად მაინც უსუფთაობა გვეჩვენებოდა. არ გვქონდა აუცილებელზე აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნები. უჩვეულო სიძნელეები უნდა დაგვეძლია, რათა ბავშვების თეთრეულის გასარეცხად საჭირო საპონი ხელთ გვეგდო.

ვედენოში მისვლისთანავე სალომესა და მარიას ცინგა (სურავანდი) დაემართათ.<sup>43</sup> იგი, ალბათ, გადამდებია. ეს ავადმყოფობა პირველად მარიას აღმოაჩნდა; სალომეს კი – ცოტა მოგვიანებით, თუმცა უფრო ძლიერი ფორმითა და სახიფათოდაც: გაუღიზიანდა ღრძილები, ენა, დაუზიანდა კბილები, პირიდან საშინელი მყრალი სუნი ამოსდიოდა. შამილის ცოლებმა მკურნალად რომელიღაც სახელგანთქმული მამაკაცი გამოგვიგზავნეს. მისი მოთხოვნით ბავშვები ოთახიდან გავიყვანეთ. კაცი ქალალდის ნაგლეჯებს ცეცხლს უკიდებდა და პატარებს პირში კვამლს უხრჩოლებდა. შემდგომ ამისა, ფუთიდან ამოიღო ქინაქინისებური ცომი, რომლის ერთი ნაწილი იქვე სახელდახელოდ გამოთლილ ხის პანია ნიჩაბზე დააცხო და ბავშვებს ღრძილებზე წაუსვა. მაშინ მათ დაიწყეს სისხლში არეული მწვანე მასის გამოფურთხება. ეს პროცედურა ოთხჯერ განმეორდა და ბავშვებმაც სული მოით-

ქვეს. ეს ექიმი ალექსანდრასაც გამოადგა, რომელსაც მოჭრილი თითო მთლიანად მოსძვრა. საცოდავ ქალს მკურნალმა ჭრილობები რომელიღაც ბალახით მოუწრჩინა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თითქმის მთელი ჩვენი ტყვეობის განმავლობაში ავადმყოფობდა. დედამისიც ძველებურად თავს ვერ გრძნობდა კარგად. კნეინას ვერაფრით ვერ დაეძლია ჩვენი საკვებისადმი ზიზღი. დიდი ჯაფა გვადგა დაგვერწმუნებინა, რაიმე შეეჭამა, რაც ცოტათო მაინც მოალონიერებდა და არგებდა. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, შესაძლებლობას არ ვუშვებდით ხელიდან, რათა ზაიდეთისათვის რაიმე დაგვეტყუა. როდესაც შევატყობდით, კარგ გუნებაზე იყო, მივდიოდით მასთან და ვთხოვდით, მოეცა რძე, თაფლი, ბრინჯი, რომელსაც ქართველი ქალები ნიგვზით ან თხილით კაზმავდნენ. მე და კნეინა ორბელიანი ძალ-ლონის შესანარჩუნებლად ყველაფერს მივირთმევდით, რაც კი რამ მოჰქონდათ.

ვედენოში მოსვლიდან რამდენიმე დღე გავიდა და კნეინა ჭავჭავაძის ერთ-ერთმა მოახლემ, კატერინამ, მშვენიერი ბავშვი გააჩინა. ბიჭს ნიკო დაარქვეს. დედა 18 წლისა გახლდათ და ეს მისი პირველი შვილი იყო. ახალგაზრდა ქალმა, ასე როულ მდგომარეობაში მყოფმა, ესოდენ ვრცელი გზა გამოიარა და შემდეგ ოთახში გამომწყვდეულს არ შეეძლო ემოძრავა. ამ მკვეთრმა ცვლილებამ მასზე ცუდად იმოქმედა. ამიტომაც ძალზე ძნელად და ტანჯვა-წვალებით იმშობიარა. ზაიდეთმა თავის დროზე გამოაგზავნა ბებიაქალი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, მშობიარეს დახმარებოდა. კატერინას ტანჯვა დიდხანს გაგრძელდა. ქართველ ქალთა მსგავსად, რომელთაც თავს დაატყდათ ფიზიკური თუ სულიერი უბედურება, ისიც შეუჩერებლად და გულშემზარავი ხმით გოდებდა და ცხოვრებას ემშვიდობებოდა. კნეინა ორბელიანს მელოგინე ერთი წუთითაც არ მიუტოვებია. შუანეთიცა და ამინეთიც მწვავედ განიცდიდნენ მის ტანჯვა-ვაებას. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე ურჩევდნენ გაჭირვებულ ქალს სხვადასხვა საშუალებას. ერთი, მაგალითად, მშობიარეს არწმუნებ-

და, საკუთარი ფეხსაცმლით შეესვა წყალი, მეორე კი რომელილაც მონეტას ხვრეტდა და ხელზე აბამდა. არც მაჰმად-შაფი იდგა უქ-მად. ისიც იმ საშუალებათაგანს მიმართავდა, რაიც, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში სასარგებლო უნდა ყოფილიყო: აიღო დენტი და ჩვენს ზემოთ, ტერასაზე ბოლთის ცემა დაიწყო, თანაც ყოველ ხუთ წუთში თოფს ისროდა იმის ღრმა რწმენით, რომ ეს გატან-ჯულ მელოგინეს უშველიდა და წაადგებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც შამილის პატარა და მოზრდილი ასულების ქცევამ გამაოცა. ასე მძიმე ატმოსფეროში, ასე ძნელი მშობიარობის შე-მყურენი, ისინი არც შიშის ამჟღავნებდნენ და არც გაკვირვებას გამოხატავდნენ. ბუნების ამ შვილთა გაგებითა და წარმოდგე-ნით, რაც ხდება და კეთდება, მხოლოდ ასე უნდა ხდებოდეს და კეთდებოდეს და არავითარ შემთხვევაში – სხვაგვარად. ტყუი-ლუბრალოდ ვცდილობდით, ისინი ოთახისათვის მოგვეშორებინა: ყველაფერს ისე შესცეკეროდნენ, როგორც რაიმე გასართობს და არა როგორც რაიმე უჩვეულოს, მანამდე უნახავს.

ჩვენთან ტყვეობაში იმყოფებოდა უწლოვანი თეკლა – ლეკთა მიერ აკუნული საბრალო დარეჯანის გოგონა, რომელიც დედა-მისს მეტისმეტად სათუთად გაეზარდა და გაენებივრებინა. კნეი-ნები დიდად ზრუნავდნენ ამ ბავშვზე და შვილობილად მიაჩნდათ. სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ მოახერხეს მისი კაპრიზების შეს-რულება-დაკმაყოფილება: ყოველ წვრილმანზე გულამოჯდარი ტიროდა და ერთ ვაი-უშველებელსა სტებდა. შამილს არ შეეძლო გულგრილად ესმინა ბავშვის ტირილი. ამიტომაც ჩვენთან ხში-რად გზავნიდა თავის ერთ-ერთ გოგონას იმის გასაგებად, თუ რა აწუხებდა თეკლას და ავალებდა, ბავშვის დასამშვიდებლად მისთვის რაიმე თან წაელო. ამგვარმა ქრთამებმა ის გამოიწვია, რომ გოგონამ მალე თავის მფარველ კნეინებს ლეკი ქალები არ-ჩია. ერთხელ, ნაფისეთმა, რომელიც პატარას ძლიერ მოეწონა, ბავშვი თავისთან წაიყვანა. ხაჯის დაავალა, მისთვის თმა გადაე-პარსა და ამის შემდგომ ნაჯავათის კაბით შემოსა. ბოლოს მამა-მისს ხვეწნა დაუწყო, ეს გოგონა მისთვის დაეთმო, თან პირობა

დადო – მზრუნველობას არ მოვაკლებო. შამილი დაეთანხმა და თეკლა საცხოვრებლად ბაკოსთან გადავიდა. ამ მოხუცმა ქალმაც ისე შეიყვარა და შეითვისა ჩვენი პანაწა, რომ შემდეგ, როდესაც თავისუფლება მივიღეთ, ვერაფრით დავითანხმეთ, იგი ჩვენთვის დაებრუნებინა. ამიტომაც თეკლა ერთადერთია ჩვენს შორის, ვინც შამილთან დარჩა.

ნაფისეთი გულკეთილია. ხელში თუ ტკბილეული ან რაიმე სასუსნავი ჩაუვარდა, მაშინვე ჩვენთან მოარბენინებს. ხასიათის შტრიხებით მამამისს გვაგონებს – თავდადებული და საყვარელი მეგობარია. ერთხელ ფრჩხილის მოქნის დროს მომისწრო და მთხოვა, ცოტა ხნით შეეჩერებულიყვავი, მეტი აღარ მომეჭრა. როცა მიზეზის გამოძიება მოვინადინე, შეეცადა ყველაფერი აესნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამიტომ ბებიამისთან გაიქცა და ყუთი მოიტანა, რომელშიც მოქნილ ფრჩხილებს ინახავდა. აიღო მაკრატელი და თავისი ფრჩხილების მოქნა დაიწყო, ოღონდ დიდი სიფრთხილით, რათა არც ერთი ნაწიბური მიწაზე არ დავარდნოდა. ამან ძლიერ დამაინტერესა. მივხვდი, ეს რომელილაც რელიგიური წეს-ჩვეულება უნდა ყოფილიყო. ამინეთმა, ვისაც ამის თაობაზე შევეკითხე, სრულიად სერიოზულად მიპასუხა: – თუ ვინმეს სურს, რომ იგი ძალიან, ძალიან უყვარდეთ, ფრჩხილებს ისევე უნდა მოექცეს, როგორც ნაფისეთიო.

შამილის ცოლებთან კავშირურთიერთობამ ჩვენს შორის მეგობრობა აღმოაცენა, რაც თანდათანობით ძლიერდებოდა. პირადად მე შუანეთმა ძლიერ შემიყვარა. კნეინებს არ ეწადათ, მათი უბედურების თანაზიარი გავმხდარიყავი და მას აუხსნეს, რომ მე არ ვეკუთვნი იმ ხალხს, რომელიც შამილთან მტრულ ურთიერთობაშია და რომ მე ისე კი არ უნდა მიყურებდნენ, როგორც სამხედრო ტყვეს, არამედ როგორც ნეიტრალურ პიროვნებას. ამიტომაც იყო, რომ, თავის მხრივ, შუანეთმა შამილს ჩემი გათავისუფლება მოსთხოვა.

– თუ მისი სოფელი თბილისთან ახლოს მდებარეობს, – თქვა იმამმა, – მაშინ ვუბრძანებ, წაიყვანონ იქ.

მაგრამ ჩემი სოფელი გახლდათ ის დიდი და ლამაზი ქალაქი, რომელსაც პარიზს უწოდებენ. და როდესაც შუანეთმა შამილს გააგებინა ის, რაც ქალბატონებმა აუხსნეს: რომ ამ ქალაქში მისასვლელად საჭიროა გადასცურო რამდენიმე ზღვა ანდა გა-დაკვეთო რამდენიმე სახელმწიფო, ჩემი გათავისუფლების ცდაც ჩაიფუშა.

## XXVI

### გარბარე. პეინა მრბელიანი

უკვე ვახსენე, რომ, როცა თავადების – ორბელიანისა და ჭავჭავაძისაგან საჩუქრები მოიტანეს, შამილი ექსპედიციაში იმყოფებოდა. საჩუქრებთან ერთად წერილებიც გამოეგზავნათ, რომლებიც იმამის შინ დაბრუნებამდე დაგვიკავეს. მათში თავადი ჭავჭავაძე მხოლოდ იმ გამოსასყიდზე ლაპარაკობდა, რისი გაღე-ბაც მას შეეძლო და სიტყვასაც არ ძრავდა ჯემალ-ედ-დინზე. ამ თავადებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ, შამილთან ჯემალ-ედ-დინის თაობაზე გაემართათ მოლაპარაკება. ექსპედიციის წა-რუმატებლობით განაწყენებული შამილი ამ წერილმა განარისხა:

– როგორ! – დაიყვირა მან, – მე მოვითხოვე ჩემი ვაჟი და ფული ხალხის გამოსასყიდად, ესენი კი სიტყვასაც არ წერენ ჩემს შვილზე! მეხუმრებიან თუ რა?

მან ჩვენთან იმწამსვე თარჯიმნები აფრინა, რომლებმაც მთელი მისი უკმაყოფილება შეგვატყობინეს, თან გაგვაფრთხი-ლეს, რომ ჩვენიანების აუჩქარებელი პასუხებით მოთმინებიდან გამოსულმა შამილმა გადაწყვიტა ჩვენი მოშთობა, რათა ჩვენი სიკვდილი შემდგომში მაგალითად გამომდგარიყო. ამის გამოცხა-დების წინ მთხოვეს სალომე და მარია ოთახიდან გამეყვანა, რათა მათ ეს საბედისწერო განაჩენი არ მოქსმინათ. და მეც, მათთან

ერთად, ეზოს შუაგულისაკენ გაეწიე, მაგრამ, მომესმა თუ არა შეშინებული კნეინების კივილი, ბავშვები ზაიდეთს შევატოვე ხელში და ფიცხლად შევიჭერი ჩვენს ოთახში. მართალია, კნეინა ორბელიანი მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩვეულებრივზე მეტად გაფითორებულიყო. კნეინა ჭავჭავაძე კი ზიზღით უსმენდა ლეკებს, რომლებიც მისი ქმრის სიტყვებს სიცრუედ ნათლავდნენ. განაჩენის მოსმენისას ახალგაზრდა ქალიშვილ ბარბარეს გული წაუყიდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ იგი ორი დღის განმავლობაში ბოდავდა, რითაც მეტისმეტად დაგვაფრთხო და შეგვაშინა.

საბოლოოდ დაგვთანხმდნენ ნაკლებად სასტიკ ღონისძიებაზე: დაადგინეს, კნეინების გამოსყიდვამდე ჩვენი მსახური ქალები გაეყიდათ. ეს, რა თქმა უნდა, უბედურ მსხვერპლებს ყველაზე შავბელ მომავალს უქადდა. ბარბარე, რომელსაც საწოლიდან ნამოდგომა არ შეეძლო, მთელ ამ საუბარსა და კნეინების ხვეწნამუდარას, დაეტოვებინათ მათვის მოახლეები, შეშფოთებული ისმენდა. და რაც უფრო მეტ გულკეთილობას ამჟღავნებდნენ კნეინები თავიანთი სიტყვებით, საცოდავი ბარბარე მით უფრო მძლავრად ძრნოდა მოსალოდნელი განშორების შიშით. ყველაფრის მიუხედავად, ცხრა ქალი წაგვართვეს და ნოემბრის ბოლოსათვის მხოლოდ თორმეტი სულილა დავრჩით. მათ შორის იგულისხმება ბავშვები, მათი მეძუძურნი და კატერინა, კნეინა ორბელიანის მოახლე. ეს ქალი ცდილობდა, ქალბატონისა და მისი შვილის ყოველგვარი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა და, თუ შექმნილ ვითარებაში არ შეეძლო ყოველმხრივი მზრუნველობა გაეწია გიორგისათვის, სამაგიეროდ ორმაგი სიყვარულით ექცეოდა.

კატერინა ჯერ კიდევ ადრე, მოსკოვში, კნეინას მამისეულ სახლში ცხოვრებისას გახდა მისი მოახლე. ახალგაზრდა ქალბატონს იგი თბილისშიც ჩამოჰყვა. ხოლო, როდესაც ბარბარე თავად ორბელიანს გაჰყვა ცოლად, კატერინა შეევედრა კნეინას, იგი თავისთან დაეტოვებინა. ამიტომაც არის, რომ კატერინა

ისეთი თავდადებული და ერთგულია კნეინა ორბელიანისა, რა ერთგულიც შეიძლება იყოს ადამიანისათვის მისი ოჯახის წევრი. თუმცა ეს სულაც არაა გასაკვირი. კნეინა ორბელიანი იმ წეტარ არსებათა რიგს ეკუთვნის, რომელთაც ხანდახან გზავნის ღმერთი დედამიწაზე, რათა ადამიანებს დაქმაროს რწმენისა და ძალის შენარჩუნებაში. არ მინახავს და მცნობია ვინმე, რომელიც ამ მანდილოსანზე უკეთ აღასრულებდეს ყოველგვარ ქრისტიანულ მოვალეობას... საკუთხით განმსჭვალული ვარ იმ სიდიადისა და შთაგონების ძალით, რასაც იგი ჩვენში აღძრავდა ჩვენს საშინელ, უმძიმეს მდგომარეობაში და რასაც, სამწუხაროდ, სიტყვით ვერასოდეს ვერ გამოვხატავ.

ერთმა ქართველმა ქალმა ბავშვი შვა, მაგრამ სახვევები, აბა, საიდან ექნებოდა! ამას გარდა, ავადმყოფობამ და საკვების უკმარისობამ ძუძუ სავსებით გაუშრო. კნეინა ორბელიანმა სერალის ერთ-ერთი მსახური ქალისაგან ეს შეიტყო და მოისურვა ჩვილი-სათვის მზრუნველობა გაეწია. თვითონ ვაჟიშვილს ძუძუს ექვს კვირას აწოვებდა, მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ამიტომაც მოახლეებს გამოკითხვა დაუწყო – შეიძლებოდა თუ არა მისთვის რე დაეპრუნებინათ. სამწუხაროდ, ვერავინ ვერაფერი ურჩია. რომ დაინახა, მელოგინეს ვერაფრით ეხმარებოდა, შუანეთთან მიირბინა და სთხოვა, მეძუძური ეშოვა და ამით ყმაწვილი გადაერჩინა. გულკეთილმა შუანეთმა მაშინვე უბრძანა, ჩვილ-ბავშვიანი დედა გამოეძებნათ და მოეყვანათ. შეუძლებელი იყო, ახალშობილი არ შეგცოდებოდათ, ისე იყო უჭმელობით მისავათებული და გაძვალტყავებული. მთელი სხეული ერთიანად ფუფ-ხებით ჰქონდა დაფარული და ეს სანახაობა მეტისმეტად ცუდ გრძნობას ბადებდა. შუანეთმა შეხედა და მყისვე ზურგი შეაქცია. კნეინა ორბელიანმა კი ჯერ ზეთი წაუსვა, მერმე შეფუთა იგი ყველაზე უფრო ფაფუკი და რბილი ნაჭრებით, რაც კი თავისი შვილის ტანსაცმლებში აღმოაჩინა. ბოლოს პირში კამეჩის რძის ჩაწვეთება სცადა. როდესაც ცოტაოდენი ძროხის შაშხი მოგვიტანეს, საერთო თანხმობით იგი ნორჩის დედას დავუთმეთ. კნეინამ

ბავშვს თავისი ერთადერთი წამოსასხამი დააფარა და შემდეგ ქეჩას, ბავშვს რომ სინესტისაგან იცავდა, თოკები გამოაბა და ჭერზე ჩამოჰკიდა. ასე და ამგვარად, საბრალო ბავშვის აკვანიც მზად გახლდათ და თვითონვე დაუწყო რჩევა. აკვნის საკუთარი საწოლის თავზე, კარების პირდაპირ, ჩამოკიდება შეეძლო, მაგრამ იქ სიცივე იგრძნობოდა და შესაძლებელი იყო, ბავშვი გასციებოდა. ამიტომაც ბუხართან ახლოს, თავადის ასულ ნინო ბარათოვის საწოლის თავზე, ჩამოჰკიდა იგი. სწორედ ნინოს ახლოს ვიყავი მოკალათებული მეც. კნეინამ დაბეჯითებით, ისე, თითქოს შემეძლო რაიმეზე გამეწბილებინა, მთხოვა:

– თქვენ ძალზე ფხიზლად გძინავთ, საყვარელო მადამ, და კიდეც მრცხვენია, რომ ეგ ჩემი ნამცეცა თქვენთან ასე ახლოს მოვათავსე.

– მერედა, რა უჭირს, კნეინა?

– ეგ პატარა გოგონა ავადაა და წამდაუწუმ გაელვიძება. დიდად ვშიშობ, ძილი არ დაგიფრთხოთ, რაც ასე გესაჭიროებათ.

– თქვენზე მეტად მაინც არა, ძვირფასო კნეინა. – თქვენ ხომ ლოცვაში მთელ ღამეებსა სტეხთ.

– ასეგ! მაგრამ ლოცვა გვამაგრებს მაშინ, როცა მწუხარება ქანცს გვაცლის... ნინდანინ გთხოვთ, მაპატიოთ...

– სულითა და გულით, – ვუპასუხე მე, – ძალიან მინდა, რითიმე გამოგადგეთ.

– დიდად დამავალებთ და დამეხმარებით, თუ ბავშვზე ზრუნვით დაღლილს რამდენიმე საათით ჩამეძინება და მისი ტირილის შემთხვევაში გამაღვიძებთ: არ მსურს ჩემი დაი ანდა ჩემი დისშვილები შეწუხდნენ.

მომდევნო ღამე კარგად ჩათბუნებულმა პანანამ წყნარად გაატარა. კნეინას მხოლოდ ისლა დარჩენოდა, მეძუძური ეშოვა, მაგრამ, მიუხედავად მოუღლელი მზრუნველობისა, ბავშვი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა – ჩვილ კუჭს უჭირდა კამეჩის რძის მონელება. კნეინამ კიდევ ერთხელ მიაკითხა შუანეთს და შეევედრა, სადმე მეძუძური ქალი გამოენახათ.

– რაც ეკუთვნის, გადავუხდი, – დაუმატა მან, – ოლონდაც ბავშვი გადავარჩინოთ.

შუანეთმაც, თავის მხრივ, შამილს დაუწყო ხვეწნა, სადმე ჩვილბავშვიანი ქალი გამოეძებნათ. იმამმა ბავშვის თავისთან გა-დაყვანა მოითხოვა და ბრძანა, მეძუძური მოენახათ, მაგრამ მაჰ-მადიანი ქალები არ თანხმდებოდნენ ქრისტიანის ბავშვისათვის ძუძუ ეწოვებინათ. ამიტომაც აუცილებელი შეიქნა ასეთი ქალი რუს დედაკაცთა შორის ეძებნათ. გავიდა კიდევ ერთი ღამე, რაც მეტად უკეთური გამოდგა როგორც პანაზინა გოგონას, ისე ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის, რომელიც აგრეთვე ძლიერ ავად გახდა. ძიძა გვარწმუნებდა, რომ ბიჭუნას ავადმყოფობა უცხო გოგონასაგან გადაედოო. კნეინამ კვლავ მიაკითხა შუანეთს და ძველებურად მოსთხოვა მეძუძური ეპოვათ. ბოლოს ბავშვი წაიყვანეს, მაგრამ უკვე გვიანდა იყო: რამდენიმე დღის შემდეგ იგი სიკვდილმა ყოველგვარ ამქვეყნიურ წვალებათაგან გაათავისუფლა.

## XXVII

### ექიმაშები. ავი თვალი. პელაგო

ალექსანდრეს ავადმყოფობა გაუგრძელდა და შამილის ცო-ლებს ჩვენი შიში გავანდეთ, ამიტომაც ექიმბაში მოგვიყვანეს. იგი ვალდებული იყო, ეცნობებინა ავადმყოფობის მიზეზი და წამალი მოეცა. ამ ქალმა კალა გამოადნო, ჩაასხა წყლით სავსე ჭურჭელ-ში და გვთხოვა, ბავშვის თავს ზემოდან დაგვეჭირა. ეს პროცე-დურა მან რამდენჯერმე გაიმეორა. ბოლოს, მეხუთედ, როცა კა-ლამ მუხლუხების ფორმა მიიღო, გამოგვიცხადა: ალექსანდრეს მუცლის ჭიები აწუხებსო.

როდესაც გიორგის კბილები ასტკივდა, იგივე ექიმბაში გამოიძახეს. მან ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის უკვე ცნობილი პროცედურა გაიმეორა. შენიშნა თუ არა რომ კალამ ჩიტის ნისკარტის ფორმა მიიღო, თქვა:

– საჭირო არ არის ყმანვილის ყოველთვის დაბანა – იგი მეტად ლამაზია და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ვიღაცამ გათვალა. ავი თვალი მას ყოველთვის აწყენს, თუ დაბანთ და მის ჯანმრთელობა-სილამაზეს ყოველ გამვლელ-გამომვლელს ცხადლივ დაანახვებთ.

– აი, თურმე, რა ყოფილა, – გავიფიქრე გუნებაში, – და თვალწინ წარმომიდგა ლეკთა ბავშვები, იმდენად მოთხვრილები, რომ მიკარებაც მოგერიდებოდათ. მაგრამ რას გააწყობ უმეცრებასა და ცრურნენასთან?

ვედენოში ჩვენი მოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ შუანეთმა შვა გოგონა – ზაიდეთი. შუანეთის მოლოგინებას თან დაერთო ძლიერი ავადმყოფობა. წყლის შადრევანთან რომ დავდიოდით, შეუძლებელი იყო, ზედ მის კარზე არ გაგვევლო, რის გამოც შუანეთის ავადმყოფობაში ბრალი ჩვენ დაგვდეს და ოთახიდან, ყველაზე აუცილებელი საჭიროების გარდა, გამოსვლა აგვიკრძალეს. იმათ, ვინც შადრევანთან დადიოდნენ, ტანსაცმლის ერთი კალთა ააჭრეს, ერთად შეკრიბეს და დაწვეს, როგორც უშმინდური ნანილები, რითაც გაანადგურეს ავი თვალის ძალმოსილება. ამის მიუხედავად, შუანეთი დიდხანს ავადმყოფობდა და, სანამ არ გამომჯობინდა, დამწყვდეულები ვიყავით. კნეინა ჭავჭავაძის ჯანმრთელობა უარესდებოდა, რაც დიდად გვაფორიაქებდა. ცოლების დაჟინებული მოთხოვნით შამილმა წამლებისათვის ხასავიურთში<sup>44</sup> შიკრიკი აფრინა. მაგრამ, სანამ ეს კაცი დაბრუნდებოდა, აულებიდან ექიმბაშებს უხმეს. მათ კნეინა ისე შეაღლონეს ათასგვარი შეკითხვებით, რომ არ იცოდა, თავიდან როგორ მოეშორებინა ისინი. ქალბატონი მინაზე დააწვინეს, შემდეგ მოიტანეს ღუმელში პურის მოსათავსებელი ასტამი, რომლის პირზე შერჩენილი ფქვილი დიდი სიფრთხილით დააფერთხეს ფეხებზე.

ამის შემდეგ ერთ-ერთმა ქალმა კვარისაგან ასანთის ღეროები დაამზადა, შეკრა კონად და ყვითელი ცვილის გუნდაში შეარჭო, რომელიც საჭადრაკო პაიკს წააგავდა და შიგნიდან ცარიელი გახლდათ. ეს გუნდა წყლიან ჭურჭელში ჩაუშვა. ცვილის გუნდა წყლის ზედაპირზე ატივტივდა. შემდეგ ქალმა ცეცხლი წაუკიდა ასანთის ღეროთა კონას და, როდესაც კარგად აინთო, ჭურჭელი კნეინას გულზე დაადგეს. იმავდროულად ანთებულ კონას გადაახურეს მეორე ჭურჭელი. მალე წყალმა მასში ასელა დაიწყო. ამის საფუძველი, როგორც ვიცით, უბრალო ფიზიკური მოვლენაა. ლეკებმა კი აქედან გამოიტანეს დასკვნა: კნეინას სხეულში სასტიკი ავადმყოფობა გასჯდომიაო. სინამდვილეში მისი ავადობის მიზეზი დიდი დაქანცულობა გახლდათ, რაც ცრუმორნმუნე ქალებს აზრადაც არ მოსდიოდათ.

ექიმბაშებმა ორივე ჭურჭელი განსაკუთრებული სიფრთხილით მერჩებზე დააწყვეს და მკაცრად გაგვაფრთხილეს, არ შევხებოდით, სანამ წყალი თავისთვად არ ჩამოიცლებოდა და, თუ არ ჩამოვიდოდა, ამ შემთხვევაში, – მიუთითებდნენ ისინი, – კნეინას, შესაძლოა, უფრო მეტადაც გაუუარესდეს ჯანმრთელობა და არც მისი სიკვდილია გამორიცხულიო. მაგრამ ექიმბაშები ამით არ შემოფარგლულან: ერთმანეთში შეზილეს ცომი, თაფლი, ბალახი და ავადმყოფს გადასაყლაპავად დაუტოვეს. მათი წასვლის შემდეგ კნეინამ ეს წამალი გადააგდებინა. საერთოდ კი უმაღმისმა ახალგაზრდობამ დაჯაბნა ავადმყოფობა, ვიდრე ექიმბაშთა ნაცოდვილარმა. ამასობაში, მესამე დღეს, ხასავ-იურთს გაგზავნილი შიკრიკიც დაბრუნდა და ყველაფერი მოიტანა, რისი ყიდვაც დაავალა მას კნეინამ თავისთვის და ზაიდეთისათვის. აქვეუნდა აღინიშნოს, რომ შამილის ცოლები, როცა კი კნეინა ვინმეს საყიდლებზე გზავნიდა, ყოველთვის სთხოვდნენ მათვისაც ეყიდა რაიმე. ბოლოს კი ისინი, მაგალითად, ოთხმანეთიან ნივთში მანეთს უხდიდნენ. ამის გამო კნეინა იძულებული გახდა, მათგან აღარავითარი ფასი აღარ აეღო და ამგვარი ნაყიდები საჩუქრად მიერთმია. მსგავს შემთხვევაში შუანეთი ზაიდეთისაგან არაფრით

განსხვავდებოდა. მაგრამ ჩვენ მიმართ იგი ისე კეთილი იყო, რომ არ შემიძლია მისი ქცევა სხვა რამეს მივაწერო, თუ არა გამოუც-დელობას.

იმ ხანებში გავიგეთ, რომ პელაგოს ნათლიდედამ შამილს პე-ლაგოს გამოსასყიდად 200 მანეთი შესთავაზა. ამან ძლიერ გაგ-ვახარა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ამ ქალიშვილის ცხოვ-რებაში დიდი როლი შევასრულეთ.

პელაგო შამილის ცოლების მსახურ ყონიალოსთან ცხოვრობ-და. ეს ქალი, რომელსაც უფლება ჰქონდა სერალში ნებისმიერ დროს შესულიყო, ჩვენს ერთ-ერთ აუცილებელ სტუმრად ითვლე-ბოდა. მისგან ვგებულობდით ყველაფერს, რაც სერალის მიღმა ხდებოდა. თუმცა ესეც კია: ყონალო მხოლოდ მაშინ იყო გულახ-დილი, როცა კარგ გუნებაზე იდგა. სხვა დროს კი ისე ჩაივლიდა ჩვენს კარებთან, სიტყვაც კი არ დასცდებოდა. პირველად მან გვაცნობა შამილის შვილის ჯემალ-ედ-დინის ვლადიკავკაზში ჩა-მოსვლის ამბავი. ყონალოს დიდად უკვირდა, ჩვენი ბავშვები რომ ესდენი მონდომებითა და სიამოვნებით კითხულობდნენ წიგნებს. ერთხელ ესეც მოგვითხრო: როცა ჩემი ქმარი ყურანის კითხვას შეუდგებოდა, მე ძილს მივცემდი თავსო. ჰყავდა რამდენიმე შვი-ლი, რომლებიც ძლიერ უყვარდა და კარგადაც უვლიდა, ოღონდ ეგ კი იყო – არასოდეს ბანდა, ვინმეს რომ არ გაეთვალა. ხელები წითელი ლაქებით ჰქონდა დაფორაჯებული – ოდესლაც ძლიერ დასწვოდა. როცა შევეკითხეთ, ცეცხლში ხომ არ ჩავარდნილხა-რო, გვიპასუხა: ალაპის სადიდებლად მე თვითონ დავიწვი გახუ-რებული შანთითო.

ხანგრძლივი დავისა და ვაჭრობის შემდეგ პელაგოს ნათლი-დედის წინადადება მიიღეს. პელაგოს ნება დართეს, კნეინებს გა-მომშვიდობებოდა და მადლობა გადაეხადა იმ მოწყალებისათვის, რაც მათ მისთვის გაიღეს. მეორე დღეს დიდი თოვლი მოვიდა, ამიტომ მისი გამგზავრება გადაიდო. როდესაც მესამე დღეს ვი-კითხეთ, გაემგზავრა თუ არა პელაგო, ყონალომ გვიპასუხა:

– ხაჯიმ მას, 200 მანეთს გარდა, სამი თავი შაქარიც მოს-თხოვაო. მაშინ, თურმე, იმედგადაწურულმა პელაგომ თავის ჩა-მოხრიობა სცადა. საბედნიეროდ, ყონალომ დროზე მიუსწრო და გადაარჩინა.

შამილმა ყველაფერი გაიგო და, რაკი დარწმუნდა, ღარიბ გო-გოს შემოთავაზებულ გამოსასყიდზე აღარაფრის დამატება აღარ შეეძლო, განკარგულება გასცა, გაეშვათ იგი თავის ბებიასთან ერთად. მისი ძმა და პატარა დაი ევა ვედენოში დარჩნენ.

## XXVIII

### ქორნილი ვედენოში

იმამმა შუანეთს წინანდლური ალაფიდან უმშვენიერესი ალ-მასით შემკული ბეჭედი აჩუქა. მხოლოდ ეს სამკაული გამოარ-ჩევდა მას სერალის მსახურ ქალთაგან, მაგრამ ბეჭედი თითზე კი არ წამოუცვამს, არამედ თავზე წაკრულ ხილაბანდზე მიამაგრა და ისე ატარებდა. მთიელ ქალთა ძვირფასეულობას შეადგენს საკმაო გემოვნებით ნაკეთები ვერცხლის საყურეები, სამაჯურე-ბი და ბეჭდები. საყურეები ნახევარმოთვარის ფორმისაა და, რაც უფრო მძიმეა, იმდენად ძვირად ფასობს. ხშირად შეხვდებით ბავშ-ვებს, რომელთაც ყურები დაგლევილი აქვთ ამ მძიმე სამკაულე-ბის ტარებით. სამაჯურები წააგავს რკინის ჯაჭვის წრეს, რითაც ცხენებს ამკობენ. მაჯაზე მათ სამ წყებად ისე შემოიხვევენ, რომ საკინძავები ერთ ხაზზე განლაგდნენ. სისქითა და სიმძიმით ეს ბეჭდები ტოლს არ უდებენ საყურეებს და ფორმით ლუქის ბეჭ-დებს ჰგვანან. შამილის ცოლებს თითქმის გამუდმებით უკავიათ ხელში მარჯნისა და ქარვის კრიალოსნები, ხოლო უბრალო ქა-ლები მუხუდოსა და პარკოსანთა მარცვლებისაგან გაკეთებულს სჯერდებიან.

ვედენოში ჩვენი ყოფნისას შუანეთის ახალგაზრდა მხევალს ქორწილი გადაუხადეს. შამილის სერალში მომსახურე ქალები მსგავს შემთხვევებში საჩუქრად ღებულობენ კაბებს, აგრეთვე ზემოხსენებულ ძვირფასეულობას. როცა პატარძალს პერანგი, შარვალი, წითელი ტარსიკონის დაბალყელიანი წალები და მალალქუსლიანი სანდლები ჩააცვეს, ახალი პირბადეც ჩამოაფარეს, ჩვენ შუანეთის ოთახში შევედით. იგი ამ ქორწინებასთან დაკავშირებით თავისი ხარჯით სადილობას აწყობდა. პატარძალი საპატიო ადგილას კი არ იჯდა, როგორც ამას მოველოდით, არამედ ხალიჩის მიღმა, რაც მას მთლიანად ფარავდა. გვითხრეს, რომ ამ დროს პატარძალმა, თურმე, არ უნდა ჭამოს, ხოლო საქმრო ვალდებულია, სამი დღის განმავლობაში საგუშაგოზე იდგეს.

სადილი მიწაზე დააწყვეს. ეს იყო ხორბლის პური, თაფლი, მწვადები (ცხვრის ხორცის შამფურზე შემწვარი პატარ-პატარა ნაჭრები) და ქიშმიშიანი ფლავი; სადილს თან ახლდა ხილეული: მსხალი, ყურძენი, სუფთა და თაფლნარევი წყალი (შარბათი). სა-დილზე ის ქალები იყვნენ მოწვეული, რომლებსაც სერალში ყოველდღე ვხედავდი. რაც შეეხება ეტიკეტსა და სისუფთავეს, არც მეტი, არც ნაკლები, ყველაფერი ჩვეულებრივ გამოიყურებოდა. ყოველ ქალს ხელები შეღებილი ჰქონდა ონიქსით, რითაც ფრჩხილებს იფერადებენ ხოლმე. ფლავს პატარა პინკინებით მიირთმევდნენ. დაახლოებით ამგვარსავე ჩხირებს იყენებენ ჩინელებიც. შუანეთმა გვთხოვა ჩამოვმსხდარიყავით, რაც უხალისოდ გავაკეთო, მაგრამ იმ საჭმელს არ ვეკარებოდით, რომელსაც ისინი ეხებოდნენ. აქედან შეიძლება ნარმოიდგინოთ, თუ რა ძლიერი იყო ჩვენი ზიზღი, როცა მეტისმეტად მწირი საკვების მქონეთ შეგვეძლო მშიერი კუჭის მოთხოვნილებას შევწინააღმდეგებოდით. მხოლოდ ყურძენსა და მსხალს გავუსინჯეთ გემო.

ათი საათი მაინც იქნებოდა, როდესაც ქალები წამოიშალნენ. სადილი კი ექვს საათზე დაიწყო. ახლა პატარძალი თავის საქმროსთან უნდა მიეცილებინათ. მეგობარმა ქალებმა აიტაცეს ტაგანა და თუნგი, მატყლით გატენილი ლეიბის მაგვარი რაღაც,

ხალიჩა, თეთრეულის სარეცხი ხის დიდი ვარცლი და წითელი, მომცრო სკივრი, რომელშიც ინახებოდა ახალდაქორნინებულის ძვირფასეულობანი და პირადი ნივთები: ლოგინის გადასაფარებელი, ქალალაია, ნაირფერადი აბრეშუმის საკერავი ძაფები, სარკეები და ერთი თუ ორი ფინჯანი. პატარძალი ოთახიდან გამოვიდა და ცხენზე შეჯდა, რომელიც ხაჯის აღვირით ეჭირა. აქ კი მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რამაც ცერემონიის რამდენიმე ხნით დაყოვნება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ სასიძომ გამოაგზავნა არა 25 მანეთი, რაც ქალის მზითევისათვის ნავარაუდევი ჩვეულებრივი თანხაა, არამედ მხოლოდ 20. სხვათა შორის, აქვე შევნიშნავ, რომ ქვრივის მზითევი 12 მანეთს შეადგენს, ხოლო, თუ იგი მეორეჯერ თხოვდება, გათვალისწინებულია 6 მანეთი. ბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მოიტანეს დანარჩენი 5 მანეთიც. და როდესაც პატარძალს მზითევი – მისი ხელ-შეუხებელი საკუთრება მთლიანად ჩააბარეს, სტუმრები გზას გაუდგნენ. ქალებს ხელში ფარნები ეჭირათ და ღამეულ გზას მათი შუქით მიიკვლევდნენ. საქმროს მშობლები ქალს თავიანთი სახლის შორიახლო შეეგებნენ და მისთვის გამზადებულ ოთახში შეიყვანეს.

გავიდა რამდენიმე დღე და ახალდაქორნინებული შამილის ცოლებს ესტუმრა. ზაიდეთმა, როგორც უფროსმა, პირველმა მიიღო იგი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მუსლიმანთა ქალები კაცებთან ერთად კი არ იკრიბებიან, არამედ ქმნიან თავიანთ ცალკე წრეს. ზუსტად ასე აკეთებენ კაცებიც. ამის მიუხედავად, შამილი ხშირად ლოცულობს ცოლებთან ერთად. ამ მიზნით ლოცვის დაწყების წინ აივანზე, რომელიც სერალს სარტყლად აკრავს, ხალიჩას აფენენ. მასზე შემდგარი ფეხშიშველი და თავშიშველი შამილი იჩოქებს. ზაიდეთი და შუანეთი ლოცვის წინ აუცილებელ წესს – განბანვას რომ მორჩებიან, შამილს ბაძავენ. მაგრამ არც ამინეთსა და არც ერთ სხვა ქალს უფლება არა აქვს, შამილთან ერთად ილოცოს. ამინეთს ამის წება მაინც არ ექნება, სანამ შვილი არ გაუჩინდება. ერთხელ ზაიდეთმა შამილის ლოცვანი გვაჩვე-

ნა და წვრილი და ერთფეროვანი ხმით ფსალმუნის მაგვარი რაღაც წაიდუდლუნა. სიმღერის დროს მთელი სხეულით ირწეოდა, თითქოსდა იმისაკენ იხრებოდა, ვისაც ლოცვით მიმართავსო. ახალი მთვარის დაწყებიდან მცხრალი მთვარის დადგომამდე ყველა ქალი და ბავშვი ერთ მინიშნებულ ადგილას იკრიბება სალოცავად და მათს ცადავლენილ ხმამაღალ სიმღერებს ერწყმის ერთობლივი ღალადისი. მთიელთა ყვირილი და ხმაური ენთუზიაზმთან ერთად თანდათანობით იზრდება. ქალები ჯერ სხედან, მაგრამ შემდეგ, ექსტაზში შესულნი, თანდათანობით მუხლებზე წამოიმართებიან და იწყებენ გულ-მკერდში მჯილების ბაგუნს. მათი სიშმაგე მაღე ყოველგვარ საზღვრებს გადადის. ბოლრიალი და გოდება მთელი ღამეების განმავლობაში გრძელდება.

ჩვეულებრივ კაცების სადილია ცხვრის მოხარშული ხორცი, ბულიონი, რაც ხის ჯამებით მოაქვთ, ღვეზელი, გამოტენილი და-კეპილი საქონლის ხორცითა და ხახვით, ფლავი და თაფლისკვერები, რომლებიც ზოგჯერ თაფლის მაგივრად ქონზეა გამომცხარი და რომლის მოგონებაზე ახლაც გული მერევა.

შამილთან სტუმრები თითქმის ყოველთვის იკრიბებიან და, როდესაც ისინი ვახშმობენ, ჩვენ ღამის სიბრძელით ვსარგებლობთ – უშიშრად ვიხდით პირბადეებს და კარებთან შექუჩებულნი, ხარბად ვსუნთქავთ სუფთა ჰაერს. ხშირად მომხდარა, რომ ჩვენს ახლოს ჩამვლელ სერალის მცველებს სტუმართა წასვლის შემდეგ დარჩენილი ხორცის ნაჭრები და ხილი მოუწოდებიათ. მართალია, საფუძველი გვერდა, ჩვენი ტყვედ ნამომსხმელების სისასტიკეზე მათ უფროსებთან გვეჩივლა, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ისინი ჩვენი მოტაცებისას მკაცრად გვეპყრობოდნენ, გვირტყამდნენ და ნაბიჯს გვაჩქარებინებდნენ არა იმდენად თავიანთი სისასტიკის გამო, რამდენადაც იმის შიშით, რუსები და ქართველები არ წამოსწეოდათ და ჩვენი თავი არ წაერთმიათ. საერთოდ კი, უფრო მართებული იქნებოდა, ლეკებისათვის ველურები გვეწოდებინა, ვიდრე სასტიკები. პირადად მე მგონია, რომ მთებში მცხოვრები ჩეჩინები მათზე გაცილებით მკაცრები არიან.<sup>45</sup>

სერალის მცველები თანაგვიგრძნობდნენ და ჩვენს ბავშვებს ხშირად ეფერებოდნენ. ალექსანდრე და გიორგი ისე მიეჩვივნენ მათ შავგვრემანსა და გაბურძგნილ ფიზიონომიებს, გადაპარსულ თავებს, რომ სრულიადაც აღარ ეშინოდათ, როცა ხელში აყვანას მოუნდომებდნენ. ამ ხალხს დავალებული ჰქონდა, ხშირ-ხშირად მიეყვანათ პატარა თავადები შამილთან, რომელსაც ძალზე სია-მოვნებდა მათი ხილვა. იგი ყოველთვის ასაჩუქრებდა მათ ან ხი-ლით, ანდა ფულით, რასაც მაშინვე ვხარჯავდით. ჩვენ ყველაფერი ისე გვაკლდა, რომ განსაკუთრებით ბედნიერად ვრაცხდით თავს, თუ ბავშვებს მეტისმეტად უხეშსა და მწირ საკვებს ამ ფულით ნაყიდი ქათმითა და რამდენიმე კვერცხით შევუნაცვლებდით.

მართალია, მცველები ესოდენ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდნენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდათ ხელს, ჩვენთვის მთელი სიმკაცრითა და გულმოდგინებით ედარაჯათ. სერალის შიგნით საათების მიხედვით მდგომ მცველებს თოვები არა აქვთ, მხოლოდ ხანჯლებითა და დამბაჩებით არიან შეიარაღებული, მაგრამ საკმარისია შუა ეზოში გამოვჩნდეთ, რომ აქაური მცველები თავიანთ გაქვავებულსა და ენერგიულ სახეებს ჩვენკენ მოაბრუნებენ და მტრულად გვიცქერიან. ამასთანავე, მყისვე თოვს წამოავლებენ ხელს და გვიღერებენ. ამით ისინი გვაგებინებენ, რომ მნარე ხვედრი მოგველის, თუ მითითებული სამანების დარღვევას მოვიწადინებთ.

## XXIX

### მოცეანილობა

შამილის ცოლებს სერალში ერთი მომცრო სენაკი აქვთ გამყოფილი, სადაც აწყობენ და ინახავენ ქსოვილებსა და, საერთოდ, ყოველგვარ საგნებს, რომლებიც მორთვა-მოკაზმვისათვის არის გათვალისწინებული და რომლებიც მათ ქმარს ნადავლად

ერგო. ამ საგანთაგან ყველაფერი, რაც გაყიდვას გადაურჩება, მათ ეკუთვნით. თუ ახლომახლო მცხოვრებ ქალებს რაიმე აუცილებელი საქონელი დასჭირდებათ, ისინი ამას შამილის ცოლებს ანდა ხაჯის ატყობინებენ. ხაჯი სერალის ხაზინადარია და დილიდან საღამომდე ითვლის და ალაგებს ფულსა და საქონელს. სერალში განუწყვეტლივ ისმის აბაზიანების გამომჭედელთა ჩაქუჩის ტაკატუკი და შორიდან ქარის მიერ მოტანილი დენთის ქარხნის მქისე ხმაური.<sup>46</sup> აქედან შეუძლებელია არ დაასკვნათ, რომ შამილი გამუდმებით იღვნის თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და საშიში მოწინააღმდეგისაგან სამშობლოს დასაცავად.

გასართობი კი ძალზე ცოტა რამ გვქონდა. მსახური ქალი ფარიზათი, ვინც ჩვეულებრივ ამინეთის დედას ეხმარება, ვახშამს რომ მოგვიტანდა, ხანდახან ბუხრის პირას ჩამოჯდებოდა და მღეროდა. თავის დროზე, სერალში მოსვლისას, საკმაოდ ლამაზი ყოფილა, მაგრამ განუწყვეტელმა მუშაობამ ძალზე დააძაბუნა, თუმცა დღემდე შემორჩენია სუფთა და ჰარმონიული ხმა, არაჩვეულებრივად სწორი მუსიკალური სმენა. ჩვენ მას განსაკუთრებული სიამოვნებით მაშინ უსმენდით, როცა არაბულ სიმღერებს გვიმღეროდა. მე ვთხოვდი კიდევ და კიდევ გაემეორებინა ისინი, რათა კარგად დამემახსოვრებინა ეს ტკბილი, მაგრამ სევდიანი მელოდიები, რომლებიც დავით ფელისიენის „უდაბნოს“ მაგონებდა.<sup>47</sup> გვეჩვენებოდა, რომ მხიარული ქარავნის ხმაური და ზანზალაკების უდარუნი თანდათანობით გვშორდებოდა და, ბედისწერით განსაზღვრული, უსასრულო ტრამალში ინთემებოდა. ფარიზათის სიმღერები იმიტომაც მოგვწონდა, რომ ისინი არაფრით არ წააგავდნენ სხვა დიაცების უღიმღამო სიმღერებს, რომლებიც თავიანთ გრძნობებს შეუწყობელი შეძახილებით გამოხატავდნენ. და როდესაც იგი ჩვენგან მიდიოდა, როგორც შეგვეძლო, ვიმეორებდით მისგან მოსმენილ ჰანგებს. ამის შემდეგ ჩვენთვის და ჩვენიანებისათვის რომ ვილოცებდით, ვცდილობდით, რამდენიმე საათის ძილით თავდავიწყებას მივცემოდით.

მაგრამ ისე ვინოდ ვიწექით, რომ მე, მაგალითად, არაფრით არ შემეძლო ფეხი გამეშალა, კნეინა ჭავჭავაძის ფეხს რომ არ შევხებოდი.

სევდის გარდა, გულს გვიღონებდა მოწყენილობაც. ჩვენი ერთფეროვანი ცხოვრება არც ჭკუას, არც გონებას არავითარ საზრდოს არ აძლევდა და რაღაცნაირ გაურკვეველ მდგომარეობაში გვაყენებდა. იძულებული ვხდებოდი, თავი ხან ქარის მიერ დაწინებული ღრუბლებისა და მცოცავი მუმლის, ხანაც გადამფრენი ჩიტების ცქერით გაგვერთო. დროს მოლას ძახილზე ანდა კამეჩების მოსანველად მორეკვის მიხედვით ვგებულობდით. ჩვენს წარსულ ცხოვრებას ხშირად ვიგონებდით, მაგრამ ხმამაღლა მის შესახებ სიტყვასაც არ ვძრავდით.

ამ მოწყენილობაში ბარონმა ნიკოლაიმ<sup>48</sup> ყველაზე აუცილებელ ტანსაცმლელთან ერთად გამოგვიგზავნა წიგნი სათაურით „ქრისტეს მიბაძვა“.<sup>49</sup> საბედნიეროდ, წიგნი ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და იმის გამოყენებით შემეძლო სალომესა და მარიასათვის კითხვა მესწავლებინა, მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად, იგი ჩვენთვის ძვირფასი იყო სხვა მხრივაც. ყოველდღიურად ვკითხულობდით წიგნის რამდენიმე თავს და ვსწავლობდით იმ მოთმინებას, როთაც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა ზიდოს თავისი ჯვარი.

კნეინა ორბელიანი მუდამ მაგალითის მომცემი იყო, მაგრამ კნეინა ჭავჭავაძე და მე ჩვენს წილხვედრ ტანჯვა-წვალებას უდრტვინველად ვერ ვიტანდით. მე, მართალია, არავისთვის არ შემიჩივლია, მაგრამ ზოგჯერ ძალა არ მყოფნიდა, ცრემლებისაგან თავი შემეკავებინა. გამუდმებით დავეძებდი მარტოობას, მაგრამ ვერ ვპოულობდი. ჩაეძინებოდათ თუ არა ბავშვებს, აივანზე გამოვდიოდი. იმისათვის, რათა ტკივილი ამეცილებინა, რაც თავის მარჯვენა მხარეს დამჩემდა, თავს თბილად ვიხვევდი და ასე თავშეფუთული აივანზე საათობით ვიჯექი. შევყურებდი ბნელ ცაში მოკიაფე ვარსკვლავებს და ღმერთს სანატრელ საფრანგეთში დატოვებულ გულით საყვარელ არსებას ვავედრებდი. ამგვარად ბევრი საღამო გამიტარებია და ოცნებით არაერთხელ

გადავსახლებულვარ ხან გამოუცნობ მომავალში, ხან მწარე აწმყოში და ხანაც, სამწუხაროდ, ესოდენ მსწრაფლ გარდასული ჩემი ბავშვობის გულსავსე და მხიარულ დღეთა წიაღში.

ზოგჯერ ჩემი გულჩათხრობილობის დროს კნეინა ორბელიანი, ვინც მუდამ მზად იყო ყოველგვარ უბედურებაში თანაეგრძნო, ჩემთან მოდიოდა და მესაუბრებოდა ჩემს საყვარელ მამულსა და სანატრელ „სოფელზე“, როგორც იგი შამილმა ერთხელ მოიხსენია. ოჟ, რა მშვენიერია, რა შესანიშნავია ჩემი „სოფელი“ პარიზი! – ეს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ცენტრი და დედაქალაქი. სხვები მასში პოვებენ თავბრუდამხვევ კმაყოფილებას, ჩემთვის კი პარიზი ჩემი წარსული ცხოვრებაა – მშვიდობიანი და მყუდრო, მიმდინარე ტკბილსა და წყნარ ოჯახურ სიხარულსა და სიამეში. ხალისით ვიყენებდი იმ დროს, რასაც მითმობდა ჩემი გულკეთილი და ნაზი მეგობარი ქალი და მოვუთხრობდი ყველაფერს, რაც კი რამ ვიცოდი პარიზის შესახებ და რაც კი რამ საინტერესო შემორჩენოდა მეხსიერებას საფრანგეთზე. ზოგჯერ ჩემი საუბარი ისეთ დიდ ინტერესს აღუძრავდა, რომ იგი ჩემი სანატრელი სამშობლოს მონახულების სურვილს გამოთქვამდა. ხშირად მასთან ერთად ოცნებით ათას-გვარი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ საფრანგეთში აღმოვჩენილვარ. ამ დროს თავს მის ჩიჩერონედ წარმოვიდგენდი და ბედნიერი ვიყავი, რომ იმ ადგილებში დავატარებდი, რომლებიც ჩემთვის მეტად ძვირფასი იყო. წარმოსახვის ჯადოსნური ძალა უბადრუე ყოფას გვავიწყებდა. ტყვეობა, სიღარიბე, მიუსაფრობა, სასოწარკვეთა და უიმედობა – აი, ჩვენი ცხოვრება, მაგრამ მოგონებათა მომხიბდვლელი გამა ყველაფერს გვავიწყებდა.

რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ეს უბედურება ჩვენს ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში ჩემსაში მაინც, იყო წუთები, როდესაც ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ ვენამებოდი ისეთ კეთილშობილ მეგობრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ კნეინები. მათგან განშორებული, და შესაძლოა ხანგრძლივადაც, განუსაზღვრელ კმაყოფილებას ვგრძნობ, როცა ვცდილობ, გამოვხატო მათი სულის

სიმტკიცე და სიქველე; ლირსეულნო ასულნო, თქვენი ღვთის-მმოსავი დედისა, მეფის ასულის გრუზინსკისა! ცხოვრების უპირველეს საფეხურზე გაქვთ განკუთვნილი ადგილი თქვენი დაბადებით, დამსახურებით, უბედურებით. დაე, გფარავდეთ ღმერთი, ვინც ასე მძიმე გამოცდა გარგუნათ წილად და აგრერიგად სასწაულებრივ დაგიხსნათ. დაე, დაგეხმაროთ იგი თქვენი კეთილშობილური გვარის ნაგრამის იმ მაღალზნეობრივი გრძნობებით აღზრდაში, რითაც თქვენ თვითვე ხართ აღვსილნი!

ამგვარი საათები, რაც ახლა ვახსენე, მთელი ჩვენი დროის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა და ჩვენც მალევე ვეშვებოდით ფერად ილუზიათა მომზიბვლელი მწვერვალებიდან შამილის მოსაწყენ და პირქუშ აულში...

ჩვენთვის რომ სერალში ცხოვრება უღიმდამო, უფერული, არაფრისმომცემი და უაზრო იყო, იგი მოსაწყენად სრულებითაც არ ეჩვენებოდათ შამილის ცოლებს. მათ დიდად უკვირდათ ჩვენი ნალვლიანობაცა და ცრემლებიც. თუმცადა ეს საგსებით ბუნებრივია: ამ ქალთა გრძნობები ჩვენსას არ ემთხვევა. მაგალითად, დედობრივი სიყვარული მთელი თავისი ძალით მაშინ უჩნდებათ, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილია, მაგრამ მის ზრდასთან ერთად ეს სიყვარული თანდათან ნელდება. რაც შეეხება შვილურ სიყვარულს, ამაზე მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ. ერთი მათგანი დიდად განცვიფრდა, როდესაც შენიშნა, რომ დედაჩემის მოგონებაზე ვტიროდი.

– როგორ! დედის გამო ტირი? – იკითხა მან, – კი, მაგრამ, შენ ხომ სრულიადაც აღარ გჭირდება იგი...

ამ ქალებს არ ესმით, რომ, რაც უფრო მეტხანს ცხოვრობს ადამიანი, მით უფრო მეტი შემთხვევა ეძლევა, უკეთ შეაფასოს დედის სითბო – სიყვარულისა და თავდადების განსახიერება, რაც აკვნიდან იწყება და მთავრდება მხოლოდ და მხოლოდ სამარესთან... ისინი ხშირად გვეკითხებოდნენ, რა გვაკლდა და გვანუხებდა, ასე რა გვასევდიანებდა. მთელი მათი შეკითხვები, რომლებზედაც მხოლოდ სანახევროდ შეგვეძლო პასუხის გაცე-

მა, ამტკიცებდა, რომ მათ სრულიადაც არ ესმოდათ ის განსხვავება, რაც ჩვენსა და მათ შორის განათლებამ გამოიწვია. ამიტომაც იყო, რომ ახირებულ და ჭირვეულ არსებებად ვერვენებოდით და არც ეს არის გასაკვირი: ისინი ხომ მიჩვეული არიან დაკმაყოფილდნენ უმცირესით. ამის მიუხედავად, შამილის ცოლები ჩვენდამი გარკვეული სიყვარულითა და სიმპათიებით იყვნენ გამსჭვალული. ერთთავად მხედველობის არეში ვყავდით, რაშიც ის გვარნმუნებდა, რომ დილიდან მწუხრის დადგომამდე ჩვენით იყვნენ დაკავებული – ან მოდიოდნენ ჩვენთან ან ჩვენგან მიდიოდნენ. არაფრისა რომ არ რცხვენოდათ, ისე მოურიდებლად შემოგვიღებდნენ ხოლმე კარს. ხშირად ამას ცნობისმოყვარეობის გამო სჩადიოდნენ. ისინი სხდებოდნენ ბუხრის ჰირას და არაერთხელ ზიზღიც კი გამოუწევიათ თავიანთი ველური ქცევით: მოურიდებლად მოივლებდნენ ხოლმე ხელებს შიშველ ფეხებზე და, რაც უფრო უარესი და საძრახისია, ზოგჯერ ფეხისგულებსაც იფხანდნენ. როცა საღლომესა და მარიას გაკვეთილებს ვაძლევდი, ისინიც ცდილობდნენ მასში მონაწილეობა მიეღოთ. დიდი სურვილი ჰქონდათ შეესწავლათ ფრანგული ენა და ჩემი პატარა შეგირდებიც სიამოვნებით ეხმარებოდნენ.

## XXX

### ძურძი

ზამთრის დადგომისთანავე კნეინა ჭავჭავაძემ ქმარს მისერა წერილი, რომელშიც სთხოვდა ცხვრის ქურქების გამოგზავნას. ჩვენი ტყვეობის განმავლობაში თავადმა მრავალი ტანსაცმელი გამოგვიგზავნა, მაგრამ ხარბი ზაიდეთი მათში ყოველთვის არჩევდა თავის წილს და ჩვენ არასოდეს არაფერი მიგვიღია. ჰირველი სიცივეები ძალიან სუსხიანი გამოდგა. ერთხელ შუ-

ანეთმა შენიშნა, ჩვეულებრივზე მეტად ფერმკრთალი და სევდი-ანი რომ ვიყავი, ამიტომაც მკითხა:

- რა მოგივიდა, ასე რამ დაგანალვლიანა?
- მცივა, საყვარელო შუანეთ, – მივუგე მე, – გთხოვ, მოახ-სენო შამილს ეს ამბავი და სთხოვო, რაიმე ჩასაცმელი მიბოძოს. იგი გულკეთილია და, ალბათ, უარს არ მეტყვის.
- მაინც რა გესაჭიროება? – იკითხა იმან.
- თვითონვე ხედავ, რაც მჭირდება, მაგრამ ქსოვილი არ მინდა.

ამასობაში მიიღეს ქურქები: თავადმა ისინი საკმაო რაოდე-ნობით გამოგზავნა, მაგრამ, როცა გადმოგვცეს, ორი ცალი აკ-ლდა. კნეინას საბრალო ქალები, რომლებიც მოგვაშორეს და აი-ძულებდნენ სამუშაოდ გასულიყვნენ, ამ ქურქებს ჩვენზე მეტად საჭიროებდნენ. ჩვენ ხომ მთელი დღე ბუხრის ახლოს შეგვეძლო გაგვეტარებინა. ამიტომაც თავადის ასულმა ნინომ და მე გადავ-წყვიტეთ, მანამ დაგვეცადა, სანამ კვლავ არ გამოგვიგზავნიდნენ ქურქებს. როცა მიზეზი ავუხსენი, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, ხაჯიმ მოგვაკითხა და თან ორი ქურქიც მოგვიტანა, ისეთი მაგრები, ასი წლის ტარებითაც რომ ვერ გაცვეთდი. ერთი მათ-განი თავადის ასულ ნინოს გადასცა, მეორე – ჰაჯი-რებილს.<sup>50</sup> ამ სახელს ატარებდა შამილის ბავშვთა აღმზრდელი ქალი და ამიტომ ხანდახან მეც ასე მეძახდნენ. ამრიგად, შამილის გულუხვობის გამოისობით უკვე მეც მქონდა ქურქი. თუმცა იგი გაურკვეველი ფორმისა და ფერისა გახლდათ, მაინც დიდად ძვირფასი იყო ჩემთვის, ჯერ ერთი, როგორც თვითონ შამილისაგან მოძღვნილი საჩუქარი და, მეორეც, იმიტომ, რომ მასთან არის დაკავშირებული ჩემი ტყვეობის დღეთა ტკბილ-მნარე მოგონება.

## XXXI

### თავადის ასული ნინო პარათოვი და ჰაჯი-რეპილი

ნოემბრის დამლევს მიწისძვრა ვიგრძენით, რასაც თან ახლდა ძლიერი ბიძგები. თავდაპირველად ოთახის კარების პირდაპირ ვიმყოფებოდი და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი საწინააღმდეგო მხარეს. ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და ბუხრის მიღწი დაგროვილ მჭვარტლს ცეცხლი გაუჩნდა. ეს მოხდა შუალამისას, როცა ჩვენი ოთახის ახლომახლო მხოლოდ დარაჯები იყვნენ. ერთი წილი შევერმდებით და შეველა მოვითხოვეთ, მაგრამ კატერინა აღარავის დალოდებია, სასწრაფოდ აბობლდა ტერასაზე, რაც ოთახის სახურავსაც ცვლიდა და ბუხრის მიღს ნაჯახის ცემა დაუწყო. კნეინა ორბელიანი, ვისაც აუცილებლად იქ ნახავთ, სადაც კი რაიმე უბედურება მოხდება, სპილენძის მძიმე თუნგებით თვითონვე ეზიდებოდა წყალს. ბოლოს და ბოლოს ცეცხლი ჩავაქრეთ, მაგრამ მიღის ადგილას რამდენიმე დღის განმავლობაში ფართო ხვრელი დარჩა, საიდანაც ჩვენს ოთახში თავისუფლად დანავარდობდა ცივი ქარი. აღარ ვიცოდით, სუსხს სად დავმალვოდით და ამიტომ ხან სახაბაზოში შევრბოდით, ხანაც – სამზადში, მაგრამ, როცა შამილისათვის საჭმელს ამზადებდნენ, იქ გაჩერება არ შეიძლებოდა. სანამ ჩვენი ბუხრის შეკეთებაზე ჯახირობდნენ, გასათბობად ამინეთის ოთახშიც შევდიოდით. აზიურ ყაიდაზე იატაკზე ფეხმორთხმით დაჯდომას ვერც კი ვასწრებდით, რომ დიდი ჩამოსაკიდი ბოქლომით დაკეტილი კარადიდან მას უკვე ამოღებული ჰქონდა რამდენიმე ვაშლი და ცოტა თაფლი; ამის შემდეგ გარბოდა სამზადისაკენ, სადაც განმკარგულებელი დედამისი გახლდათ, ამოარჩევდა ისეთ ჰურს, რომელიც ნაკლებად იყო გაუღენთილი ქონით და უკან დაბრუნებული ხალისიანად გვიმასპინძლდებოდა. მისი ოთახი მუდამ გამოირჩეოდა სისუფთავით. ამინეთი განსაკუთრებით კარგად

ეთვისებოდა ნინო ბარათოვს, მაგრამ ერთხელ მათ მეგობრულ დამოკიდებულებას ბზარი გაუჩინდა. თავადის ასული ნინო ხშირად შესჩიოდა ამინეთს, რომ ჩვენს გამოსყიდვაზე მოლაპარაკება ასე ჭიანურდებოდა.

– მერედა, შენ რაღა განალვლებს, – უთხრა მას ერთხელ ამინეთმა, – რაც აუცილებელია, ყველაფერი გაქვს და სხვა რაღა გინდა? დაე, სხვები წავიდნენ თავიანთ სახლებში, შენ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ. ამიტომაც შამილის ვაჟი – ჯემალ-ედ-დინი დაქორწინდება შენზე.

– ჩემზე? – აღშფოთებით წამოიყვირა ნინომ... არა, ეს არ მოხდება! როგორ, ცოლად გავყვე ვიღაც შამილის ვაჟს... იმ კაცის ვაჟს, ვისი წყალობითაც ამდენ ტანჯვა-წამებას ვიტანთ? სიკვდილიც კი ვერ შემაშინებს ისე, როგორც მსგავსი კავშირი!.. თუ ამგვარი ხევედრი მელის, მაშინ დიდი, დიდი მადლობა მომიხსენებია შენთვის, რომ გამაფრთხილე...

თავადის ასული ამინეთის ოთახს მეტისმეტად დადარდიანებული გაეცალა. ნინომ მაშინვე გვიამბო მთელი ამ საუბრის შესახებ. კნეინა ორბელიანმა კი აღუთქვა, რომ მთელ ძალ-ღონეს იხმარდა მის დასაცავად და, თუ საჭირო გახდებოდა, სამუდამოდაც დარჩებოდა ვედენოში, იგი რომ ბედის ანაბარა არ მიეტოვებინა.

იმ დროს, როდესაც კნეინა ორბელიანი ყოველნაირად ცდილობდა მულიშვილის დამშვიდებას, სერალში მეხი გავარდა – ჰაჯი-რებილმა აღშფოთების ქარიშხალი დაატრიალა. ამინეთმა ნაფისეთს დაწვრილებით მოუთხრო, თუ რა უკადრისი და უდიერი სიტყვებით მოიხსენია თავადის ასულმა ნინომ იმამი, ხოლო ამ უკანასკნელმაც არ დაახანა და, თავის მხრივ, ყველაფერი შეატყყობინა თავის აღმზრდელს. ჰაჯი-რებილი კი, ვისი ჰატივისცემაც შამილისადმი პირდაპირ ფანატიზმამდე იყო მისული, სერალში დარბოდა და ყველას აგებინებდა, თუ როგორ შეურაცხყო თავადის ასულმა წინასწარმეტყველები. ქალები კი, რომლებზედაც მას უსაზღვროდ დიდი გავლენა აქვს, გუნდ-გუნდად დასდევდნენ

უკან. გაშმაგებული ჰაჯი-რებილი მთელი სერალის გასაგონად გაჰკიოდა და მჯიდებს მუქარით იქნევდა, თანაც ყველგან დაეძებდა ნინოს, რომელმაც თავშესაფარი თავისი ბიცოლას ახლოს პოვა და ბაიბურშიც არ იყო, თუ რა ხდებოდა სერალში. ბოლოს ქალები ჩვენს ოთახში შემოიჭრნენ და ყველა ერთხმად აყაყანდა. ასე რომ, შეუძლებელი გახლდათ მათი სიტყვებიდან რაიმე აზრის გამოტანა. მალე ჰაჯი-რებილმა უბრძანა და ისინიც დაჩუმდნენ. მაშინ კი ამ ქალმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ადანაშაულებდა თავადის ასულს იმამის მიმართ უმაღურობისა და უპატივცემულობის გამომჟღავნების გამო.

— იცი თუ არა, ნინო, — მიმართა მან თავადის ასულს, — რომ იგი თვით ალაპის მიერ არის მოვლინებული, რომ მამა, შემწე და მეოხია მთელი მისი ხალხისა? იცი თუ არა, რომ მაპმადის შემდეგ ის არის პირველი მონა ალაპისა? დაბოლოს, იცი თუ არა, რომ შენ მხოლოდ და მხოლოდ მისი ტყვე, მონა ხარ და მეტი არაფერი? წაცყვლად იმისა, რომ გაგყიდოს, რისი სრული უფლებაც აქვს, თავშესაფარი გაგიჩინა თავისი ცოლების სახლებში, საიდანაც ისე სპეტაკი გახვალ, როგორც წყლის ყვავილი... შენ კი ლაყბობ, რომ შამილი თითქოს კანონთშემცოდეა და ამიტომაც ზიზღს გვირის მისი შვილის ცოლობა... მერწმუნე, ამ პატივს შენ არ გარგუნებენ... უპირველესი ჩერქეზი ლამაზმანიც კი ბედნიერებად ჩათვლის იმამის შვილად გახდომას და ჩვენს ხალხს სრულიადაც არ სჭირდება ჯემალ-ედ-დინისათვის საცოლე ქართველებალთაგან ამოარჩიოს...

ჰაჯი-რებილს, შამილის ღირსებას რომ ესოდენ მედგრად იცავდა, ერთი ხელი მაღლა შეემართა, ხოლო მეორე მოემჯიდა და ნინოს ემუქრებოდა. შუანეთი არ მონაწილეობდა ამ კამათში, თუმცა ეტყობოდა, ძლიერ უკმაყოფილო დარჩა. იგი შემდეგი სიტყვებით დაკმაყოფილდა: — ნინო, ძალიან მეწყინა შენი სიტყვები, ვერც კი წარმოიდგენ, ისე მეწყინა, არ მეგონა, იმამით ასე უკმაყოფილო თუ იყავი.

– ნინოს საკუთარი სიტყვების მნიშვნელობაზე არც კი უფიქრია. – უპასუხა კნეინა ორბელიანმა. – ამასთან, ძალიან ეშინოდა, მისთვის რწმენა არ შეეცვლევინებინათ. რჯულის გამოცვლას მას სიკვდილი ურჩევნია.

– მერედა, ამის გამო განა შეიძლება შამილის უდიერად მოხსენიება? თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ მისი სულის სიდიადე და კეთილშობილება!

ჰაჯი-რებილი კვლავ აქაქანდა, მაგრამ შუანეთმა მოახერხა მისი და მთელი მისი ამალის გაყვანა.

ამინეთი და თავადის ასული ერთმანეთს ხმას დიდხანს აღარ სცემდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც შერიგდნენ. ამის მიზეზი მათი გართობისა და ურთიერთსიყვარულის ერთნაირი მოთხოვნილება გახლდათ.

მიუხედავად საშინელი მრისხანებისა, ჰაჯი-რებილიც მალე დამშვიდდა. უნდა ითქვას, რომ არსებითად მას კეთილი ხასიათი ჰქონდა. მე მასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიმყოფებოდი: შეხვედრისას ყოველთვის შემდეგი სიტყვით მესალმებოდა – კარგი (კარგი ხარ, ქართ. სიტყვა). ხშირად ჩვენ-ჩვენს აღსაზრდელებს ერთად შეკრებდით ხოლმე. ერთხელ აივანზე სალომესა და მარიასთან ერთად ვიჯექი. ჩვენთან იმყოფებოდა აგრეთვე ნაჯავათი, რომელიც არაბულ ანბანს გვასწავლიდა. კითხვაში გართულმა უნებურად პირბადე ავიხადე და, როდესაც წიგნს თვალი მოვწყვიტე, უცებ შევნიშნე: შამილი თავს დამდგომოდა და გაკვირვებული შემომყურებდა. ამან დიდად დამაფრთხო. ელ-დანაკრავი წამოვვარდი და ანგარიშმიუცემლად მივესალმე, მაგრამ იმნამსვე გავიქეცი. ამ კრძალულებისათვის შამილმა დამაჯილდოვა – შუანეთს, რომელიც ამ შემთხვევის გამო გულიანად კისკისებდა, დაავალა ჩემთვის გადმოეცა, რომ მშვიდად ვყოფილიყავი: იცის, კეთილი ქალი ხარ, ამიტომაც დარწმუნებულია, ეს შემთხვევა უნებურად მოხდა და არა მის გასანაწყენებლადო.

ჰაჯი-რებილი სერალის მსახურთუფროსიცაა. მისი ოთახი შამილის ცოლებისაზე უფრო ვრცელი და მოსახერხებელია. ყო-

ველთვის კარგად ჩაცმული რომ დადის, იგი სერალში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ასწავლის ყურანსა და წერა-კითხვას, ხელმძღვანელობს ლოცვებსაც; მკლავმაგარ მამაკაცს უფრო ჰგავს, ვიდრე დედაკაცს; მაღალი წელი აქვს, ბეჭგანიერია. მისი ზედმეტად წითელი სახე მეტყველი ნაკვთებით გამოირჩევა, საუცხოო ბაგე-კბილი უელავს.

ნაიპთა ზოგიერთ ქალიშვილს ნება ეძლევა, შამილის ბავშვებთან ერთად იმეცადინოს. როცა ისინი საკმაო აღზრდა-განათლებას მიიღებენ, თათრული ჩვეულებისამებრ, წყვილ-წყვილად უკრავენ ხელებს და ამ სახით მიჰყავთ ოჯახებში. მშობლები, როგორც კი ეცნობებათ, რომ მათმა შვილებმა სწავლის კურსი დაასრულეს, აღმზრდელს მადლობას საჩუქრებით უხდიან.

## XXXII

### პჟობა ფყვეთა გაყიდვის თაობაზე

შამილის სახელით შუანეთი გვაიმედებდა, რომ, როგორც კი ჯემალ-ედ-დინი ხასავ-იურთში მოაღწევდა, მაშინვე გაგვათავისუფლებდნენ. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ჩვენს გამოსასყიდად ლეკები მილიონ მანეთს ითხოვდნენ. ამის გამო ჩვენი საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა. ისეთმა დარდმა დაგვრია ხელი, რაც არასდროს გვიგრძნია. უკვე ექვსი თვე გავიდა, ჩვენი მდგომარეობა კი არა და არ გაუმჯობესებულა. არათუ გაუმჯობესდა, უფრო და უფრო უარესდებოდა. შამილმა თარჯიმნები მოგვიგზავნა. მათ გვაცნობეს, რომ სამი დღის შემდეგ ნაიპებს მიგვყიდდნენ და მთებში გაგვგზავნიდნენ. გაგვაფრთხილეს – იმ ადგილებში, სადაც გავლა მოგვიწევდა, ვერაფერს ვიშოვიდით და ამისათვის დროზე დაგვეჭირა თადარიგი, კერძოდ, იმამისათვის სამგზავრო ტანსაცმელი გვეთხოვა. ამ ცნობამ დიდ საგონებელში

ჩაგვაგდო; ჩვენს შორის გაისმა წივილ-კივილი და გოდება. ამან შამილის ყურამდე მიაღწია. შუანეთმა დაგვიდასტურა: ამდენი ფული ხალხმა მოითხოვაო. იყო ცდილობდა, ჩვენთვის წამოეც-დევინებინა, შესაძლებელი იყო თუ არა იმ თანხის გადიდება, რაც ჩვენს გასათავისუფლებლად იყო შემოთავაზებული, მაგრამ კნეი-ნებმა იცოდნენ, რომ თავად ჭავჭავაძეს ამ თანხისათვის აღარაფ-რის დამატება აღარ შეეძლო. ამგვარ დაძაბულ მდგომარეობაში მყოფნი ნუგეშს მხოლოდ ლოცვაში ვპოვებდით. კეთილი შუანე-თი შექმნილი მდგომარეობიდან ამგვარ გამოსავალს პოულობდა: კნეინა ორბელიანს ურჩევდა, ჯემალ-ედ-დინის სანაცვლოდ გაეშ-ვა თავისი დაი და დისშვილები, ხოლო თვითონ თავისი შვილი-თურთ მძევლად დარჩენილიყო მანამ, სანამ მოთხოვნილ თანხას არ შეაგროვებდნენ.

– დაუნანებლად დავთანხმდები ამას, ოლონდაც ჩემთა საბ-რალო დამ და მისმა შვილებმა თავისუფლება მიიღონ. – მიუგო კნეინა ორბელიანმა. – მარტოოდენ ლოცვანი და ხელსაქნარი გა-მომიგზავნონ, გადაწყვეტილი მაქს, ღვთის ნებას დაველოდო.

მაგრამ ამ დიდსულოვანი მსხვერპლის გაღება საჭირო აღარ გახდა. კნეინა ჭავჭავაძეს არათრის გულისათვის არ სურდა ამა-ზე დათანხმებულიყო. თანაც ქმრის კეთილშობილება ნებას არ აძლევდა, ამგვარი წინადადებით ესარგებლა.

ამ საშინელ, საგანგაშო მდგომარეობაში ერთი დღეც გავ-ლიეთ. შამილისაგან დათქმულ ვადამდე კიდევ ორი დღის მოლო-დინი გვაშორებდა. შუანეთი კარგად ხედავდა ჩვენს უნუგეშო ყო-ფას და გვამშვიდებდა. კნეინა ორბელიანმა მას ჩემი თავი შეავე-დრა და სთხოვა:

– ჩვენ ხომ გაგვყიდიან და გაგვყიდიან, მაგრამ ძალიან გთხ-ოვ, ეს მაინც დაიტოვოთ სერალში. აქაური ენა არ იცის და სხვა-გან, აბა, რა უნდა გააკეთოს? თქვენ კი ძლიერ გამოგადგებათ – ბაგშვებს ასწავლის.

შუანეთმა პირობა დადო, რომ ყველაფერს იღონებდა და შა-მილს ჩვენი გაყიდვის ვადის რამდენიმე დღით გადავადებას მაინც

გამოსთხოვდა. მთელი ჩვენი იმედები ახლა მასზე დავამყარეთ, ვინაიდან ზაიდეთისაგან არავითარ სიკეთეს არ მოველოდით. ეს მას შემდეგ გახდა ნათელი, რაც კნეინებს განუცხადა:

– დაე, თავადმა ჭავჭავაძემ ქართველთა ოჯახებს ჩამოუაროს და მოწყალება მოითხოვოს. მაშინ, ალბათ, შეძლებს შეაგროვოს თანხა, რასაც ჩემი ხალხი ითხოვს.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, კნეინა ჭავჭავაძე მზად გახლ-დათ აფეთქებულიყო – ათასგარი უსიამოვნო სიტყვები მიეხალა პირში ქმრის შეურაცხმყოფლისათვის, მაგრამ ჩვენი თხოვნით თავი შეიკავა, თუმცა ძალზე გაუჭირდა საკუთარი თავის მორ-ევნა, მაგრამ, როდესაც ზაიდეთი გავიდა, მას სასტიკი ნერვული კრუნჩხვები დაემართა. შეგვეშინდა, ხელში არ ჩაგვკდომოდა. რა მოუვიდოდა მაშინ მის ოთხ ბავშვს? დედის სიკვდილი მათ შამილის საკუთრებად აქცევდა. ყურანში ხომ გარკვევით წერია: „დედა თუ ტყვეობაში მოკვდება, შვილი მისნი რჩება მაჰმადს“. ამის გაფიქრებაც კი შიშის ზარსა გვცემდა.

მტანჯველ მოლოდინში მეორე დღეც გაილია. კიდევ რამდენ-იმე საათი და თავს საშინელი ხვედრი დაგვატყდებოდა. გიორ-გისთან განშორების წამს რომ წარმოიდგენდა, კატერინა თავს ვერ იმაგრებდა და მწარედ ტიროდა. კნეინა ორბელიანი თუმცა დანალვლიანებული გამოიყურებოდა, მაინც ყველაფრის გადა-სატანად იყო მზად. იგი წამდაუნუმ მიმეორებდა, ყოველმხრივ ვცდილიყავი შამილთან დარჩენას. თუმცა გულს დარდი ლოდივაით მიმძიმებდა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ ყოველგვარი იმედი გადა-წურული მქონდა. ამ იმედს შუანეთზე ვამყარებდი. ამას გარდა, შამილის ვაჟი უკვე ხასავ-იურთში იმყოფებოდა და შეუძლებელი იყო, მამამისი ცოტათი მაინც არ მომლბალიყო. დავიწყე თუ არა ლოცვა, უცებ უჩვეულო ღრიანცელი მოგვესმა. მუდმივი შიშით დაზაფრულებს კარების გამოლება ვერ გაგვებედა, ვფიქრობდით, ვაითუ ჩვენს წასაყვანად მოსულანო. მაგრამ თავადის ასულმა ნინომ მოთმინება დაკარგა, რადგან აღარ შეეძლო ამ მტანჯველ გაურკვევლობაში კიდევ დიდხანს დარჩენილიყო და კარს ხელი

ჰკრა, გამოაღო და თავისთან მიგვიხმო. ჩოჩქოლის ხმა შუანეთის კარებიდან მოდიოდა, თვითონ კი, ოთახიდან გამოსული, ვიღაცის შესახებ ზიზღით ლაპარაკობდა. ძალზე ფერმკრთალად გამო-იყურებოდა და თითს განუწყვეტლივ ჩვენი სადგომისაკენ იშ-ვერდა. აშკარა იყო, საქმე ჩვენ გვეხებოდა. ჩხუბის წამომნები ჰაჯი-რებილი და ზაიდეთი აღმოჩნდნენ: შუანეთს მიხტომოდნენ და ჩვენთან მეგობრობაში ადანაშაულებდნენ.

— შენ მათთან კავშირი გაქვს შეერული, რათა შამილს უმტ-რო, — უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

— კარგი მუსლიმანი არასოდეს გახდები, — მიაძახა მეორემ,  
— ყოველთვის ქრისტიანთა მხარეზე იქნები, რადგან თვითონვე  
ბრძანდებოდი ქრისტიანული ჯილაგისა. შენ შეურაცხყოფ მაჲ-  
მადს და შენს ბატონს შამილს! შენი ნდობა შეუძლებელია.

მართლაც, შუანეთს უძვირფასეს რელიკვიასავით აქვს სულ-  
ში ჩარჩენილი თავისი თავდაპირველი რელიგიის ხსოვნა, თუმცა  
ამის შესახებ იგი არასოდეს არაფერს ამბობს. მაგრამ, ამასთა-  
ნავე, შუანეთს მთელი დედამიწის ზურგზე ჰყავს ერთადერთი არ-  
სება, ვისი სახელიც მუდამ პირზე აკერია — ეს არსება გახლავთ  
შამილი! ძნელია გადმოიცეს, რა ძლიერ უყვარს იგი. ამიტომაც  
არის, შამილთან მის ურთიერთობაში უმცირესი ეჭვის შეტანაც  
რომ ჭკუიდან შლის. იგი ზაიდეთისა და ჰაჯი-რებილისაგან მე-  
ტისმეტად განაწყენებულად თვლიდა თავს და მათზე საჩივლე-  
ლად იმამთან გაიქცა. ამან კი ჩვენი ახალი შეშტოთება და აფო-  
რიაქება გამოიწვია.

### XXXIII

## შამილის უკანასკნელი პირობები

მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ზაიდეთმა, შუანეთმა, ჰაჯი-რებილმა და ზაიდეთის თარჯიმანმა ქალმა – თამარმა კარებზე მოგვიყავუნეს. მათ გაგვიძეს სრულიად უნაყოფო საუბარი:

– ქმარს ჯეროვნად არ უყვარხარ, – უთხრა ზაიდეთმა კნეინა ჭავჭავაძეს. – რომ უყვარდე, შენს გამოსახსნელ ფულს აქამდე იშოვიდა; მაზლმა დაგივიწყა შენცა და შენი შვილიც, – ახლა კნეინა ორბელიანს მიუბრუნდა იგი. – ამიტომაც შამილი, უაჭველია, იძულებული გახდება გაგყიდოთ, რათა დააკმაყოფილოს ნაიძები, რომლებმაც ტყვედ წამოგიყვანეს და ახლა თქვენს საფასურს ელოდებიან.

– ნურაფერს ნუ უპასუხებ, – რუსულად უჩურჩულა შუანეთმა კნეინა ჭავჭავაძეს.

კეთილი შუანეთი ყოველნაირად ცდილობდა ჩვენს დამშვიდებას. მას სახე გაფითრებოდა – მთელი ღამის განმავლობაში ტიროდა და იმიტომ. ბოლოს, როგორც იქნა, ეს ქალები გაგვეცალნენ. ისე ხმამაღლა ავტირდით, შამილმა ხაჯი გამოგზავნა, წადი, გაიგე, რა მოუვიდათო. ხაჯი ჩვენთან მას შემდეგ აღარ დადიოდა, რაც დასამშვიდებელს ვეღარაფერს გვეუბნებოდა. იგი უბრალო და კეთილი ადამიანია, ვისაც არაერთხელ გამოუტირია ჩვენი უბედურება. შამილმა მას დაავალა, ჩვენთვის გამოეცხადებინა, რომ მისი შვილი ყაზი-მაჰმადი ჩვენთან მოვიდოდა რაღაც საქმეზე მოსალაპარაკებლად. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გვთხოვეს, ოთახიდან გავსულიყავით, რათა შამილის დანაბარები მოგვესმინა.

ყაზი-მაჰმადი – წინანდლის გამძარცველი სამიათასიანი რაზმის წინამძლოლი – ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად ვაჟკაცური შესახედაობა აქვს.

– უთხარით კნეინებს, – დაიწყო მან, – რომ ქვითინი შეწყვიტონ. კეთილშობილ მანდილოსნებს ტირილი არ შეშვენით.

– ეს შენ ლაპარაკობ კეთილშობილებაზე? – უპასუხა კნეინა ჭავჭავაძემ. – ნუთუ ოდნავადაც კი უახლოვდება მის წესებს უმწეო ქალებისა და ბალების მოტაცება, შვიდი თვით მათი დატყვევება, მიუხედავად დაპირებისა, რომ, როგორც კი იმამის შვილი დაგვიბრუნდება, თავისუფლებას დაგიბრუნებთო... განა კეთილშობილებაა, განა ქმრისაგან უზარმაზარი გამოსასყიდი მოითხოვოთ მაშინ, როდესაც არ შეუძლია, თუნდაც ერთი მანე-თი დაუმატოს იმ თანხას, რაც შემოგთავაზათ...

კნეინამ ყველაფერი ეს მტკიცედ და მშვიდად წარმოთქვა. ყაზი-მაჲმადი წარმონითლდა.

– მე მივდივარ, მაგრამ გთხოვთ, სასონარკვეთას ნუ მიეცე-მით... თქვენ გამო მამაჩემს რაიმეს უსათუოდ ვთხოვ.

გავიდა რამდენიმე საათი. იგი უკან დაბრუნდა და გვაცნობა:

– შამილი თავად დავითს უკანასკნელ წერილს უგზავნის და, სანამ მისგან პასუხს მიიღებდეს, ეს კი შუალამისას მოხდება, თქვენ მიმართ არაფერს არ მოიმოქმედებს.

ლამით კნეინა ორბელიანს შუანეთი ესტუმრა და ურჩია, ცდილიყო ზაიდეთის ჩვენეკენ გადმობირებას.

– მისი მეშვეობით ადვილია კეთილშობილ ჯემალ-ედ-დინის მომხრობა და, თუ ის თქვენს საქმეში ჩაერევა, საქმე თქვენთვის სასურველ მიმართულებას მიიღებს. მის რჩევას შამილი ყურადილებს, რადგან დიდ პატივსა სცემსო.

მეორე დღეს კნეინამ ზაიდეთთან წამიყვანა. სერალის პირველ დამასთან ბევრ ქალს მოეყარა თავი და ჩვენზე მასლაათობდნენ. ზაიდეთმა კნეინა მიიწვია და სთხოვა, მის ახლოს ჩამომჯდარიყო. თამარი თარჯიმნობდა. კნეინასთან ახლოს ვიჯექი და ვუსმენდი...

– ზაიდეთ, – უთხრა კნეინამ, აქ იმისათვის მოვედი, რომ კეთილ საქმეში შემწეობა გთხოვო. ნუ გამანბილებ და მარადის

მადლიერი დაგრჩებით. ვიცი, რომ შამილი ძალზე კეთილად არის განწყობილი მამაშენის მიმართ. ამიტომაც გთხოვდი, დაარწმუნო იგი, რომ დაიყოლიოს იმამი – მეტად აღარ დაგვაკავოს; თავად ჭავჭავაძეს იმის მეტი გამოსასყიდის მოცემა ნამდვილად არ ძალუს, რაც შემოთავაზებული აქვს. თავისი ცოლ-შვილი მას ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია და არ უნდა ეჭვობდეთ, რომ იმაზე ნაკლებს იძლევა, ვიდრე შეუძლია. ჩემი საბრალო დის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება და, თუ შამილი კვლავ ჯიუტად იდგება თავის განზრახვაზე, მაშინ მას მალე ჩვენგან მხოლოდ გვამებილა დარჩება. მამაშენი, რომელსაც შამილი ყველა მრჩეველზე შეუდარებლად მაღლა აყენებს, ერთადერთი კაცია, ჩვენი ხსნა რომ შეუძლია... წარმოიდგინე შენი თავი ჩვენს ადგილზე, შენც დედა ხარ, იფიქრე შენს პატარა ნაჯავათზე, ვინც ასეთი სინაზით გიყვარს... შენც ცოლი ხარ... როცა სიკვდილი მოგიახლოვდება, ნუთუ არ მოისურვებ, რომ იგი, ვინც გიყვარს, იმ დროს შენს გვერდით იმყოფებოდეს, რათა თვალები საკუთარი ხელით დაგიხუჭოს?.. იყავ დიდსულოვანი – დაჩაგრულებისადმი მოწყალება გაიღე და სამაგიეროს ღმერთი კეთილად გადაგიხდის.

ეტყობოდა, ზაიდეთი კნეინას თხოვნამ ააღელვა, მაგრამ სიტყვა „ფული“ მაინც განუწყვეტლივ ეკერა პირზე. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კნეინათაგან ერთ-ერთს სერალი დაეტოვებინა და მოწყალება ეთხოვა (ეს მისი სიტყვებია) და, როდესაც შეაგროვებდა საკმაო თანხას, შამილისათვის გამოეგზავნა, და აი, მაშინ კი გაგვათავისუფლებდნენ. თუმცალა, ამის მიუხედავად, კნეინა ორბელიანს მაინც შეჰქირდა, რომ მამამისს მოელაპარაკებოდა.

## ჯემალ-ედ-დინი, შვილი შავილისა

იმ დროს, როდესაც სერალში ეს ამბები ხდებოდა, თავადი ჭავჭავაძე ხასავ-იურთში ბარონ ნიკოლაისთან ცხოვრობდა. აქ იმყოფებოდა იგი მთელი ჩვენი ტყვეობის განმავლობაში. ანა ბატონიშვილის თხოვნით იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ინება გამოეშვა შამილის შვილი ჯემალ-ედ-დინი და, ამ უკანასკნელმაც, უკეთესთა შორის უკეთესი ხვედრის ღირსი რომ იყო, მისი უდიდებულესობის წინადადება მიიღო. იგი სასწრაფოდ გამოემგზავრა ხასავ-იურთს, რათა გატანჯული კნეინების ტყვეობისათვის ბოლო მოედო. იმპერატორი ჯემალ-ედ-დინთან განმარტოვდა, ხანგრძლივად ესაუბრა და ისე აუჩუყა გული კნეინების საცოდაობით, რომ იგი უსიტყვოდ დაეთანხმა ასეთი მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაელო.

ჯემალ-ედ-დინი კავკასიაში გამოემართა ინფანტერიის გენერლის მურავიოვის თანხლებით, რომელიც იმხანად კავკასიის მეფისნაცვლად იყო დანიშნული.<sup>51</sup> მოსკოვში ჯემალ-ედ-დინმა ინახულა კნეინების დაი, მისი აღმატებულება ნადეჟდა პისარევა,<sup>52</sup> რომელმაც გამოატანა რამდენიმე სტრიქონიანი ბარათი, მიწერილი ტყვე ქალებისადმი. ამ ახალგაზრდა კაცმა მოუთხრო მას იმის შესახებ, თუ რა გულთბილად მიიღო იგი იმპერატორმა ნიკოლოზმა, როგორ უხვად დაასაჩუქრა და ისიც უამბო, თუ რა ცხოველ ინტერესს იჩენს მისი უდიდებულესობა ტყვეების ბედისადმი.

ინფანტერიის გენერალი მურავიოვი, რაც შეეძლო, სწრაფად მოემგზავრებოდა, მაგრამ გაფუჭებულმა გზებმა და ზეავებმა დაახანა მისი ჩამოსვლა. შამილს ყველგან მსტოვრები ჰყავდა დაგზავნილი, რომლებიც ყველაფერს ატყობინებდნენ. თავადი ჭავჭავაძე ვლადიკავკაზში გაეშურა, სადაც გენერალმა მურავიოვმა მას შამილის ვაჟი ჩააბარა. თავადი პირველი ნახვისთანავე

დარწმუნდა ჯემალ-ედ-დინის სულიერ კეთილშობილებაში. სწორედ ამიტომაც იყო, რომ იგი ხასავ-იურთში ისევე თავისუფლად გრძნობდა თავს, როგორც პოლონეთის სამეფოში.<sup>53</sup> ახალგაზრდა კაცი და თავადი დავითი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, ხშირად ციხესიმაგრესაც ნახულობდნენ, ერთად სადილობდნენ ბარონ ნიკოლაისთან, ხოლო, როდესაც ხასავ-იურთში მეჯლისი მოაწყვეს, მასში ჯემალ-ედ-დინმაც მიიღო მონანილეობა და ყველა იქ მყოფი მოხიბლა თავისი ნატიფი მანერებით, ბრწყინვალე განათლებით, მოხდენილი სიტყვა-პასუხით, დაკვირვებულობითა და ჭკუის სიღრმით... აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო მისთვის, გამომშვიდობებოდა ცივილიზებულ ცხოვრებას და სადღაც, მივარდნილ აულში, დაესრულებინა თავისი სიცოცხლე...

ჯემალ-ედ-დინმა მამამისს ვლადიკავკაზიდან წერილი მისწერა, რამაც ყველა გაახარა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ფრიად დაანალვლიანა იმ გარემოებამ, რომ შამილმა პასუხის ნაცვლად მილიონი მანეთი მოითხოვა, და ეს მაშინ, როდესაც თავადი ჭავჭავაძე მისგან ტყვეთა გაცვლის საბოლოოდ გადაწყვეტას ელოდა. თუმცა შამილს ბევრი საუცხოო თვისება ახასიათებს, მაგრამ აქ უნდა ვთქვა, რომ სიტყვის ამგვარი გატეხა მის ღირსებას არ შეშვენის და ამტკიცებს, რომ ამ მხრივ იგი სულაც არ დგას სხვა აზიელებზე მაღლა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ორმოცი ათასი მანეთიდან, რაც იმპერატორ ალექსანდრეს განკარგულებით გამოყვეს ჩევნს გამოსასყიდად, შამილს კაპიკიც არ მიუთვისებია. ამ თანხიდან რვა ათასი მის სიმამრს – ჯემალ-ედ-დინს უნდა რგებოდა, მაგრამ, როცა ხალხმა მოითხოვა, ასე მცირე თანხის სანაცვლოდ არ გავეშვით, მაშინ ამ მოხუცმა თავისი წილი თანხა ხალხს დაუთმო. შამილმა, ვის წილადაც ასევე მნიშვნელოვანი თანხა მოდიოდა, სიმამრის უანგარო მაგალითს მიბაძა: მან განაცხადა, რომ შვილი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია და კუთვნილ ფულზე უარს ვამბობო.

## პორტრეტი. გელაცო

მაგრამ ეს სასიხარულო ცნობები, როგორც ვყვები, ისე სწრაფად და იოლად როდი აღწევდა ჩვენამდე და გათავისუფლებამდე კიდევ ბევრი შავპნელი დღის გადატანა მოგვიხდა. ერთი რომელიდაც სომეხი, შამილის ერთგული და რუსულ ენაზე კარგად მოლაპარაკე, კნეინა ორბელიანთან მივიდა და უთხრა, რომ ხელთა ჰქონდა წინანდლიდან წამოლებული ყველა საქმიანი ქალალდი, საიდანაც შეეტყო, თუ რა სიმდიდრის მფლობელი იყო იგი და ისიც, რომ კნეინას ერთადერთი ვაჟიშვილი, პაჟის წოდების მქონე გიორგი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიიღებდა 1000 მანეთ პენსიას, ხოლო გადანარჩენს – როდესაც 18 წელი შეუსრულდებოდა. ეს კაცი კნეინას ემუქრებოდა: შენცა და შენს შვილსაც მანამ დაგაკავებენ, სანამ ამ თანხას არ მომცემო. ამგვარ მოთხოვნაზე კნეინამ დაბეჭითებით უპასუხა, რომ ამისათვის საჭიროა მისი მამულის გირაოდ გაცემა, მაგრამ არ იცის მისი მაზლი, ბავშვის მეურვე, მდგომარეობის მოთხოვნის თანახმად, რა თანხის საფასურად დააგირავებს მამულს, ხოლო თვითონ, იმის გამო, რომ ამჟამად ტყვეობაშია, არავითარი უფლება არა აქვს, რაიმე განკარგულება გასცეს.

იმგვარ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, როდესაც სრულიად უბრალო საქმე არაჩვეულებრივად საძნელოდ გვეჩვენებოდა და პანანა შემთხვევასაც კი შეეძლო მეტად ცუდი შედეგი მოეტანა; ერთხელ თავადმა ჭავჭავაძემ მეუღლეს პატარა კოლოფი გამოუგზავნა, რომელშიც მოთავსებული იყო მისი პორტრეტი. ყველაფერს, რასაც გვიგზავნიდნენ, ლეკები ხსნიდნენ და ამოწმებდნენ. ასე მოექცნენ კოლოფსაც. ეს იყო ნახატი, რომელზედაც გამოსახული გახლდათ ფლიგელ-ადიუტანტის მუნდირში გამოწყობილი თავადი. მას მკერდს უმშვენებდა წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენი. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რათა

ათასგვარი სულელური განმარტება მოეჩინახათ. ხმა დაარხიეს, თითქოსდა თავადი მეფის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, და რომ, უეჭველია, იმპერატორმა ნიკოლოზმა იგი საქართველოს მეფედ დასვა. მაშასადამე, მას აღარ გაუჭირდება თავისი საყვარელი ოჯახის გამოსახსნელად მილიონის გადახდაო.

მეორე შემთხვევაში კი ჩვენი უბედურების ერთ-ერთმა თანამონაწილემ აგვაფორიაქა. მას მელანოს ეძახდნენ. სწორედ იგი გახლდათ პატარა ელოს დედა და იმ ქალთა მარაქაში იმყოფებოდა, რომლებსაც დაგვაშორეს. მან შუანეთს მიაკითხა და სთხოვა გაეგო, რა თანხის მიღება სურდა შამილს მის გამოსასყიდად. იმამი მოლაპარაკებას მხოლოდ თავად ჭავჭავაძესთან ანარმოებდა და ამან ძალიან გააკვირვა. მელანოს მან მნიშვნელოვანი თანხა მოსთხოვა. ამ უკანასკნელმაც თვლა არ იცოდა და იფიქრა, საკმარისი იქნებოდა თავისი ქალბატონის ყველა ნათესავისათვის ეთხოვა და ისინი ამ თანხას სასწრაფოდ მოუგროვებდნენ და ისიც მალე მიიღებდა თავისუფლებას. მელანომ, უპირველეს ყოვლისა, თავად ჭავჭავაძეს მიმართა, მაგრამ თავადმა შეატყობინა, რომ მან დანამდვილებით ჯერ კიდევ არ იცის, თუ რამდენს მოითხოვს შამილი მისი ოჯახისათვის. ამიტომ არ შეუძლია ვინმეს გამოსახსნელად ჯერჯერობით მაინც თუნდაც მანეთი გაიღოს. ამის შემდეგ მელანომ თავისი ქალბატონის ერთგულებაზე უარი განაცხადა, პატრონზე გული აიცრუა.

თავად ჭავჭავაძის ავლადიდება გაანადგურა და შთანთქა ძარცვამ და ხანძარმა. საფუძველი გვქინდა გვეფიქრა, რომ დიდ-სულოვანი იმპერატორი დაგვეხმარებოდა, მაგრამ რაიმე გულდასამშვიდებელი ამ მხრივ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდით და ვალდებული ვიყავით განსაკუთრებული სიფრთხილით გვემოქმედა. უბედურებით გაღიზიანებულ რუს ქალთაგან წაქეზებული მელანო ხაჯისთან გამოცხადდა, რომელიც ცდილობდა შამილის სასარგებლოდ ყოველგვარი საშუალებით გაეგო, ნამდვილად რა სიძიდედრის პატრონი იყო თავადი. სიბრაზისაგან სულელურად დაბრმავებულმა დედაკაცმა ხაჯის ჩაასმინა, რომ კნეინა,

სამეგრელოს მთავრინა,<sup>54</sup> თავად დავით ჭავჭავაძის და არის. მაშასადამე, მისგან უფრო მეტი შეიძლება მოვითხოვოთ, ვიდრე იძლევათ. ამ ქალის მოუთმენლობამ და სულნასულობამ კინაღამ ყველა დაგვლუპა.

## XXXVI

### ჯავალ-ეძ-დინი, ზაილათის მამა. დარვიში.

#### გათავისუფლება

ზაიდეთთან ჩვენი სტუმრობის მეორე დღეს იგი თვითონვე მოვიდა და გაგვაფრთხილა, რომ მამამისს კნეინებთან მოლაპარაკება სურდა. ამიტომაც ისინი აივანზე გავიდნენ.

– დიდი იმედი მაქვს, – თქვა კეთილმა მოხუცმა, – რომ ჩემი შვილი შამილი, შვილობისა და ადამიანობის ჭეშმარიტი მაგალითი, ყურად იღებს თავისი მამის რჩევას და ტყვეებს არ დაჰყიდის. მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ: ხალხს ფული სჭირდება. ომმა, რომელიც ყოველთვის როდი წარიმართება ჩვენდა სასიკეთოდ, მას დიდი ზარალი მიაყენა, ამიტომ დაუუინია, შამილმა დიდი გამოსასყიდი მოითხოვოს, რასაც, მათი აზრით, ადვილად მიღებს, რადგანაც ტყვეები მეფის გვარისანი არიან. შვილის დასაბრუნებლადაც რომ მოლაპარაკებას ეწევა, შამილი ვალდებულია თავისი ერთგული და თავდადებული ხალხის მოთხოვნებსაც გაუწიოს ანგარიში. ხალხის სარგებლიანობა ისევე მნიშვნელოვანია იმამისათვის, როგორც საკუთარი... რაც არ უნდა იყოს, ვიმეორებ, ზრუნვას არ მოგაკლებთ. ტირილი კი შეწყვიტეთ, ნაზო ყვავილებო! თქვენი ნორჩები იმ ცვარს როდი საჭიროებენ, რომელსაც თქვენ ღვრით. მალე გაგამზიანებთ თავისუფლების სხივი. ეს მოხუცის სურვილია, ხოლო ღმერთი ბერიკაცის სურვილებს უყურადღებოდ არ ტოვებს... შამილი დიდია, შამილი ძლიერია, შამილი სამართლიანია...

შემდეგ კი ერთ-ერთ აცრემლებულ ძიძას მიმართა:

– ქალო, განაღა შენ კი არ გიყვარს ვაჭრობა, როცა ქარავანსარაიაში რაიმეს ყიდულობ? სოვდაგარი საქონელს გიფასებს. შენ იგი ძვირი გეჩვენება და წასვლას აპირებ. მაშინ ვაჭარი ცოტათი უკლებს ფასს. შენც, შენის მხრივ, პირველად შეთავაზებულ თანხას ცოტას უმატებ. და ამგვარად აგრძელებთ ვაჭრობას, სანამ ფასში არ შეთანხმდებით. მნუხარებას ნუ მიეცემით.... ნულა ტირით! ჯემალ-ედ-დინი გთხოვთ, რომ მეტად აღარ იგალალოთ.... უმჯობესია ილოცოთ და ალაპს შეევედროთ, რათა ჩემი შვილი მოლაპარაკებისას დამთმობი გახდეს.

ყოველ ხუთშაბათობით შამილი საბჭოს მართავს, ხოლო პარასკეობით, მეჩეთიდან დაბრუნების შემდეგ, საზეიმოდ წარმოთქვამს განაჩენებს. ჯემალ-ედ-დინთან საუბრის შემდეგ, მომდევნო ხუთშაბათს, საყოველთაო მოძრაობისა და ფუსფუსის, აგრეთვე უჩვეულოდ ბევრი გამომცხვარი პურის დანახვაზე მივხვდით, რომ ვედენოში დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. მართლაც, შამილს ნაიძები ესტუმრნენ, რათა იძულებული გაეხადათ, ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტა ჩვენი ბედი. ნაიბთა უმეტესობა ჩვენს სასარგებლოდ არ იყო განწყობილი: ერთი მოითხოვდნენ ჩვენს გაყიდვას, მეორენი ფიქრობდნენ, რომ ის, ვინც რუსებმა გამოგზავნეს, არ არის შამილის შვილი. ზოგიერთები ამტკიცებდნენ – ჯემალ-ედ-დინი თბილისზე გამოატარეს, რათა იქ მძვინვარე ქოლერა შეჰქმნოდა და გაეთავებინაო; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ: რუსებმა იგი მოწამლეს, თორემ სხვაგვარად არ დაგვიპრუნებდნენო. მთელი ეს უაზრო მონაჩმახი ხელს უშლიდა და აძნელებდა ჩვენს გათავისუფლებას.

მას შემდეგ, რაც შამილთან დამოკიდებულებაში ეჭვი შეუტანეს და ჭორები შეუთხზეს, კეთილი შუანეთი ვეღარ ბედავდა ჩვენთან მოსვლას. ამიტომაც, თუმცა აშკარად და დაუფარავად გვიცავდა, გარეშე პირთა და მოწმეთა დაუსწრებლად აღარ გველაპარაკებოდა. ჩვენც ასე ვიქცეოდით, რათა ბოლო მოგვეღო იმ არასასურველი ხმებისათვის, რაც აულში დადიოდა. ეს ხმები

არც შამილს სიამოვნებდა, რადგან, როგორც ჩანს, ხელს უშლი-და საკუთარ განზრახვათა აღსრულებაში. ამიტომ გადაწყვიტა ერთპაშად, ერთი დარტყმით მოესპონ ეს მითქმა-მოთქმა და საზოგადოებრივი აზრი ჩვენს სასარგებლოდ გადმოეხარა. იმამი რამდენიმე დღით გაუჩინარდა და შემდეგ თავისი არაჩვეულებრივი ღვთისმოსაობით ცნობილი დარვიში მოიყვანა; ღვთისმოში-ში მეუდაბნოე ქადაგად იყო დავარდნილი, დღისითა და ღამით ლოცულობდა. მისი ხმა გარკვევით გვესმოდა, რადგანაც მას ჩვენგან ერთი კარი ყოფდა. მისი ლოცვები, სიმღერები, სიშმა-გე, რაიც ხანდახან წამოუვლიდა, აგრეთვე წინასწარმეტყველება ყოველ ვედენოელ დედაკაცს უჩვეულოდ აღაფრთოვანებდა. ქა-დაგების მოსასმენად ისინი საღამოობით იკრიბებოდნენ. ქალები თანდათანობით შედიოდნენ ექსტაზში: მიწას თავებს ურტყამდ-ნენ და გოდებდნენ. შუანეთი ტიროდა და თან მარჯნის გრძელ კრიალოსანს მარცვლავდა. დარვიშს იგი საათობით უსმენდა. ქა-ლების შეძახილები კი, ძალთა ყმუილს რომ გვაგონებდა, ძილს გვიფრთხობდა.

რელიგიურ ექსტაზში შესული დარვიში, როგორც გვითხრეს, ჩვენს სასარგებლოდ ქადაგებდა. ალაპს ემუდარებოდა, ლეკთა გონება გაენათებინა და გამოეყვანა ისინი შეცდომის სიბნელი-დან. განდეგილი მათ ჩააგონებდა – შეებრალებინათ უბედური ტყვეები და არ მოეთხოვათ გადაუხდელი გამოსასყიდი. იგი ქა-დაგებდა:

– ფუფუნების მოყვარულ გიაურებს ნუ წაბაძავთ, მათი ქალები, კაცთა საცთუნებლად რომ ძვირფას კაბებს იცვამენ, ალაპს შეურაცხყოფენ.

– ყველაფერზე უარი განცხადეთ, რაც კი რუსეთიდან შემო-დის; ნუ გაეკარებით ჩაის, შაქარსა და სხვა რამე-რუმეებს; ნუ მისცემთ თქვენს ცოლებს ნებას, მოირთონ და მოიკაზმონ აბრე-შუმითა და ოქროულობით. თავიდან მოიშორეთ ყველაფერი, რაც მოდის იქიდან, სადაც თქვენი მტრებია!..

ქადაგება მან ამგვარად დაასრულა:

– რაც მთავარია, ტყვეთა გასათავისუფლებლად ნუ ითხოვთ მილიონ მანეთს. გაუშვით ეს უბედური ადამიანები თავიანთ სამშობლოში, როგორც კი იმამი იმპერატორისაგან თავის შვილს დაიბრუნებს.

ასე რომ, პატივცემული დარვიში, ალაპისა თუ შამილის ჩა-გონებით, ჩვენთვის სავსებით ხელსაყრელ აზრებს ქადაგებდა. ბოლოს, მძიმედ გავიდა ხუთშაბათიც, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენი ბედი. ყველას ერთი ფიქრი გვაწუხებდა: რა შედეგს გამოიღებს ეს დღე? კეთილმა ბერიკაცმა ჯემალ-ედ-დინმა ცოტათი დაგვაიმედა, მაგრამ ზაიდეთი და სხვა ქალები, სერალში რომ მოდიოდნენ, გვაშინებდნენ და გვაძრნუნებდნენ. და ჩვენც უმეტესი მხურვალებით, ვიდრე ოდესმე, საშველად მოვუხმობდით იმას, ვის ხელშიც იყო ჩვენი ბედ-ილბალი.

მესამე დღეს, შუადლისას, შამილი მეჩითში წავიდა. ამის შემდეგ ორიოდე საათი გავიდა და ხაჯიმ მოირბინა, ჩვენი ოთახის ზღურბლთან შედგა და ასე მოგვახარა: „ჰაიდა! მალე, მალე!“ მაგრამ ამის დაჯერება ვერც კი გავტედეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ შუანეთი გამოგვეცხადა. იგი კნეინა ორბელიანს მხურვალედ მოეხვია და უთხრა:

– შამილმა ნაიბების თანხმობა მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ გაგათავისუფლებენ.

მუხლებზე დაჩიქილები ღმერთს მადლსა ვსწირავდით ამ განუზომელი კეთილქმედებისათვის. შუანეთი ჩემთანაც მოვიდა და მომმართა:

– ანა! მეტს წუდარ ტირი.<sup>55</sup> მალე იხილავ შენს სანატრელ შვილსა და მოხუც დედას. ძველებურად ბედნიერი იქნები. ყველა დღე როდი იქნება კაეშნიანი და შენი ცხოვრებაც მხოლოდ ცრემლების ღვრაში არ ჩაივლის.

კეთილსახიერო შუანეთა! შენი წინასწარმეტყველება ნაწილობრივ ალსრულდა: ბედისწერამ თავისუფლება კი მარგუნა, მაგრამ საყვარელი დედის ხილვა აღარ მღირსებია.

## XXXVII

### გამგზავრების ნინ

მოსალოცავად მოვიდნენ აგრეთვე ზაიდეთი, ამინეთი და ბაკო. ჩვენი ბედნიერებით გახარებული და, ამასთანავე, ჩვენთან მოსალოდნელი განშორებით დანაღვლიანებული ამინეთი სულ ერთთავად კნეინების ირგვლივ ტრიალებდა – წუთითაც არ სურდა დავეტოვებინეთ. მხიარული და გრაციოზული ნაფისეთი წამდაუწუმ იმეორებდა მაგიურ სიტყვებს: „ჰაიდა! მალე!“ ჩვენი გამგზავრების შესახებ შევატყობინეთ სალომესა და მარიას, მაგრამ განა მათ ჯეროვნად ესმოდათ, რა არის თავისუფლება? ბავშვებმა გვთხოვეს, მათვის გვეჩვენებინა მათი კეთილი მამა და ჩვენც, ბოლოს და ბოლოს, შეგვეძლო დავპირებოდით, რომ ეს წადილი მალე შეუსრულდებოდათ.

შამილმა ხასავ-იურთს სასწრაფოდ გაგზავნა კაცები, რომლებსაც ყველაზე მეტად ენდობოდა და რომლებიც მის ვაჟს ყმაწვილობაში კარგად იცნობდნენ. ჯერ კიდევ დარღოში ყოფნისას ჯემალ-ედ-დინს ხელი ჰქონდა მოტეხილი, აგრეთვე ყვავილის გარკვეული ნიშნები ეტყობოდა. ამ ნიშნების გამორკვევის გარდა, შამილმა შუამავლებს უბრძანა, დაეკითხათ ყმაწვილი კაცი, თუ რა ვითარებაში ჩაიგდეს იგი რუსებმა ტყვედ და რა სიტყვები უთხრა იმამმა მას უკანასკნელად. ეს დავალება ექვს მთიელს უნდა შეესრულებინა. მათ შორის გახლდათ ხაჯი, ბაკოს ვაჟიშვილი, ჯემალ-ედ-დინის ბიძა და ჰასანი, ხალხის დეპუტატი, ვინც იმ დროს, როცა განზრახულია ტყვეთა გაყიდვა ანდა მათი წაიპებისათვის გადაცემა, ვალდებულია ხალხის ინტერესები და-იცვას. ამ მთიელებს მისცეს კნეინების სარეკომენდაციო ბარათი თავად ჭავჭავაძესთან.

ზაიდეთმა ეს შემთხვევა იმისათვის გამოიყენა, რომ გერისათვის ყურძენი გაეგზავნა. მაგრამ თებერვლის მიურული იდგა და შენახვის ტექნოლოგიის დაუცველად მიტოვებული ყურძენი

მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიაღწიეს თუ არა მთიელებმა ხასავ-იურთს, მაშინვე მიიყვანეს ისინი თავად ჭავჭავაძესთან, რომელიც შამილის შვილთან ერთად თამბაქოს ეწეოდა. მამამისის ელჩების დანახვაზე ახალგაზრდა კაცს სახ-ეზე რაღაც უცნაურმა ნერვულმა თრთოლამ გადაურბინა, მა-გრამ დროულად შეძლო გრძნობების მოთოკვა. ჯემალ-ედ-დინი ელჩებს რუსულად ელაპარაკებოდა, რადგანაც მშობლიური ენა დავიწყებოდა. და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ მთიელები ერთმანეთში, იმამის ვაჟიც თანდათანობით იხსენებდა ამ ენას, თუმცალა, ლეკურად ლაპარაკს არ ცდილობდა. როდესაც დედი-ნაცვლის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი მიართვეს, მაშინვე გაა-ტანა მსახურს გასარეცხად. ამით ზაიდეთისა და სხვა მთიელი ქალების თვალში ბევრი რამ დაკარგა. მათი აზრით, ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ზიზღის გამოხატულება. სინამდვილეში ჯემალ-ედ-დინმა ეს მხოლოდ და მხოლოდ სისუფთავისადმი სიყ-ვარულის გამო მოიმოქმედა.

დაბრუნდნენ თუ არა ელჩები, შვილთან შეხვედრის მოლოდი-ნით გახარებულმა შამილმა გამოგვიცხადა, რომ მალე გაგვამგ-ზავრებდა. მაგრამ გაცვლის საქმე რამდენიმე დღით შეაფერხა გამოსასყიდი თანხის ვერცხლით გადახდამ. შამილმა განკარ-გულება გასცა, ორი ახალი ოთხთვალა გაეკეთებინათ, ხოლო კნეინებისა და მათი შვილებისათვის ტარსიკონის წალები შეეკ-ერათ. ყველგან დაგზავნეს ხალხი, რათა ყოველგვარი აუცილე-ბელი ნივთი ეშოვათ სახლისათვის, რომელიც იმამმა ჯემალ-ედ-დინს გამოყენ. მანვე, მოწადინებულმა, რომ გიორგისა და ალექსანდრეს იგი არ დაევიწყებინათ, თითოეულ მათგანს აჩუქა თავისი ჩოხის მსგავსი პატარა ტანსაცმელი. მისმა ფავორიტმა ქალმა თამარმა საჩუქრად მიიღო კაბა, ოღონდ ამ კაბის სამ-კაულები – საყურეები და ღილები – მას კნეინა ჭავჭავაძემ უყ-იდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყეს საჩვენო საგზლის მზადება. შამილის ბრძანებით, რომელსაც სურდა კმაყოფილი ყვოფილი-ყავით, ამჯერად პური უქონოდ გამოაცხვეს. გამომგზავრების

წინა დღით ზაიდეთმა ყველა ჩვენგანს აბრეშუმის თავსაფარი აჩუქა, რომლებითაც, შამილის სასტიკი გაფრთხილებისამებრ, სახეები დავიფარეთ. ჩვენს უპადრუკ ქონებას ერთად მოვუყარეთ თავი და ფუთებად გამოვნასკვეთ. იმამი განუწყვეტლივ ბოლთა-სა სცემდა – ნინ და უკან მიმოდიოდა. რამდენჯერმე ჩვენკენაც გამოიხედა, რასაც სხვა დროს არ აკეთებდა. საფიქრებელი იყო, მოუთმენლად ელოდა შვილის ნახვას.

შუანეთი შეუძლოდ გახლდათ. ორი დღის წინათ შამილმა ბრძანა, მისთვის სისხლი გამოეშვათ. საღამოთი ვესტუმრეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან მოეყვანათ კნეინა ჭავჭავაძის ის ქალები, რომლებიც აულში იმყოფებოდნენ, რათა ამით დილაზე გამგზავრების შეფერხება თავიდან აგვეცილებინა. შუანეთი ცეცხლის პირას დაგებულ საუცხოო ნოხზე იწვა. ასე მომხიბვლელი არა-სოდეს მჩვენებია. მისი თეთრად შეფერხებილი ოთახის კედელზე შამილის სამი საუკეთესო თოფი ეკიდა. ოთახს ამშვენებდა ბოძკინტები, რომლებზედაც შანდლები იდგა. ბოძკინტები შროშანებისათვის მიემსგავსებინათ. ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი მწოლიარეს. ამით ვცდილობდი მისთვის მეგრძნობინებინა, რომ მუდამ სასიამოვნოდ დამრჩებოდა მისი გახსენება.

- ანა, მომიახლოვდი. – მითხრა მან.
  - უნდა გამომჯობინდე, – დავუყვავე, რაც კი შემეძლო ალერსიანი ხმით. – ძლიერ თუ იავადმყოფებ, შამილი დიდად ინალვლებს.
  - ის მართლაც ძლიერ იტანჯება, როცა შეამჩნევს, რომ რომელიმე ჩვენგანი ჯანმრთელად ვერ არის.
  - განსაკუთრებით ძლიერ კი მაშინ წუხს, როცა ავადმყოფობა შენ შეგეყრება. სიკეთე და სილამაზე გამკობს და ამიტომაც სხვებზე მეტად უყვარხარ.
- მან გამიღიმა და სასიხარულო მომავალი შემახსენა:
- ნარმომიდგენია, ხვალ როგორ გაიხარებ. მართალს არ ვამბობ? ხომ ეცდები, რაც შეიძლება ჩქარა ნახო შვილი?

– როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა. – ვუპასუხე მე.

ამ საუბარში ხამი ტილო შევათბეთ და შუანეთს მკერდის იმ ადგილას დავადეთ, სადაც სიცივესა და კუნთების თრთოლვასა გრძნობდა... კარიმათი, შამილის ბადიში, პაპისათვის ჩალმას ამზადებდა; მოათავა თუ არა, მყისვე შეუდგა პატარა გიორგისათვის მსგავსი ჩალმის შეკერვას. შუანეთი აქებდა ამ ბავშვის ჯანმრთელობას, სილამაზეს და კნეინა ორბელიანს ბედნიერ დედობას უსურვებდა. პატარა ზაიდეთიც აქ იმყოფებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად თოთო იყო, მის სილამაზეზე მსჯელობა არ შეიძლებოდა.

– გისურვებ, გიორგისავით ჯანმრთელი და საღი ვაჟი შეგძნოდეს!

– შეიდი თვის შემდეგ გავიგებ, ალსრულდება თუ არა შენი სურვილი, – მიპასუხა მან. შემდეგ თითო ტუჩებთან მიიტანა და საუბრის თემა შეცვალა. ისევ ჩვენს ოთახში დავბრუნდით, სადაც უკანასკნელი ღამე უნდა გაგვეთია. გვთხოვეს, ჩვენთვის სპეციალურად მომზადებულ ოთხთვალებში ჩავმსხდარიყავით, რათა გაეგოთ, მოვთავსდებოდით მათში თუ ვერა. თუმცა ისინი მეტისმეტად ვიწრო გვეჩვენა, თავისუფლების წყურვილი ყოველგვარ მოუხერხებლობას გვავიწყებდა.

მოგვიყვანეს საპრალო თანამგზავრი ქალები, რომლებიც ოთხი თვის განმავლობაში თვალით არ გვენახა. ისინი თავს ორმაგად ბეჭდიერად რაცხდნენ: ჯერ ერთი, თავიანთი კეთილი კნეინები ნახეს, მეორეც – თავისუფლება მიიღეს.

კნეინა ჭავჭავაძემ იკითხა, შეიძლებოდა თუ არა პატარა ევას გამოსყიდვა. საცოდავი გოგონა სიკვდილის პირას იყო მისული. ხაჯიმ ჯერ 40 მანეთი მოითხოვა, მაგრამ ბოლოს 25 მანეთად დათმო. მიუხედავად კნეინების ყოველგვარი მზრუნველობისა, იგი ხასავ-იურთში მისვლისთანავე გარდაიცვალა. რუსი მოძღვრის ამ პატარა გოგონას თეთრი, სპეტაკი კაბა ჩააცვეს და ქრისტიანული წესის დაცვით მიწას მიაბარეს.

## XXXVIII

### გამომვიდობება

გამოგვიცხადეს, რომ, როგორც კი მოლას პირველი ყარყალი გაისმოდა, გზას გავუდგებოდით. ჯერ კიდევ შუალამისას ვიყავით მზად, მაგრამ შვიდი საათი შესრულდა და სერალში ჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა. კნეინები და მე ზაიდეთთან წავედით, რათა გამოვმშვიდობებოდით. ოთახიდან გამოსულები შუანეთს შევეფე-თეთ. იგი თავს ისევ ისე სუსტად გრძნობდა. მიუხედავად ამისა, შამილის საგზლის მზადებით იყო გართული. ბოლოს მოიყვანეს იმამის ცხენები. ერთი მათგანი, ჯემალ-ედ-დინისათვის განკუთვ-ნილი, თეთრონი გახლდათ და შუბლზე შავი ნიკორი აჯდა. ცხენს გადაფარებული ჰქონდა აბრეშუმის წითელი ძაფით მოქარგულ-მოხატული საუკეთესო თეთრი ჩული. სერალის აივანი სტანდარ-ტებით მოერთოთ და მოეკაზმათ. მათ შორის გამოირჩეოდა შა-მილის მწვანე ნიშანი. ისინი ნელი ნიავის კალთებზე მანამ ფრია-ლებდნენ, სანამ მხედრებმა თავიანთი ბედაურები არ მოაგელვეს და არ დაინაწილეს.

შევედით ზაიდეთთან. იგი საუცხოო, ფაფუქ ნოხზე იჯდა და ჩვენთვის ჩაის ამზადებდა. მომხიბვლელი კარიმათიცა და ჰაჯი-რებილიც აქ იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელმა ჩვენი ბავშვები დაკოცნა, პირადად მე კი ხელი ჩამომართვა თავისუფლების მო-ლოცვის ნიშნად. ჩაის სმისას თავადის ასულმა ნინომ გვანიშნა, რომ ზაიდეთის მამას ჩვენი ნახვა ეწადა. გავედით მასთან და კნეინებიც, რაკი ამის შესაძლებლობა მიეცათ, სულითა და გუ-ლით უხდიდნენ მადლობას უფროს ჯემალ-ედ-დინს ჩვენი გა-თავისუფლების საქმეში ესოდენ აქტიური მონაწილეობისათვის. კეთილ მოხუცსაც არ დაუყოვნებია, თითოეული ჩვენგანისათ-ვის რამე დამაშვიდებელი სიტყვა ეთქვა. დავტოვეთ იგი და ზაიდეთთან გამომშვიდობებას დავეშურეთ: ხელის ჩამორთმე-ვის შემდეგ მან კნეინებს სთხოვა, არ დაევიწყებინათ იგი. იმა-

მის ცოლმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მას ისინი საკუთარი ოჯახის წევრებივით უყვარდა და პატივსა სცემდა. სანამ ზაიდე-თი მემშვიდობებოდა და მომხიბლავი კარიმათი გრაციოზულად ესალმებოდა კნეინებს, მოვიდნენ და გამოგვიცხადეს – ცხენები მზად არიანო. შუანეთი კნეინებს მიეხვია. როცა ჩემი რიგიც და-გა, ცრემლებისაგან თავი ვერ შევიკავე – იგი ხომ ასე კეთილი იყო და გაჭირვებაში თანაგვიგრძნობდა! შუანეთიც რამდენჯერმე მომეხვია და ეს უკვე მერამდენედ გამიმეორა თავისი გულწრფე-ლი სურვილი – ბედნიერი ვყოფილიყავი.

დაბოლოს, სამუდამოდ დავტოვეთ ჩვენი ჩახუთული ოთა-ხი. ეს მოხდა 1855 წლის 10 მარტს. აულელი ქალები პარმალზე გამოეფინენ, რათა, რაც შეიძლება დიდხანს ემზირათ ჩვენთვის. ჩემი ჩაცმულობა ამაზრზენად გამოიყურებოდა, მაგრამ ამას ახლა ცველაზე ნაკლებად განვიცდიდი. თუმცა საჭირო იყო, რა-ღაცნაირად მაინც გამომეხატა ესოდენ სასიხარულო და ბედ-ნიერი წუთებით გამოწვეული აღმაფრენა. ამიტომაც შუანეთმა და ზაიდეთმა მთხოვეს შამილის მიერ ნაჩუქარი ქურქი ჩამეცვა, რომელიც თითქმის არ მიტარებია, ისე საზიზლარი მეჩვენებო-და. კნეინა ჭავჭავაძე, სალომე, მარია, თამარი, ალექსანდრე, მისი ძიძა და ბარბარე, ვისაც ხელში ევა ეჭირა, პირველ ოთხთვალაში ჩასხდნენ. მეორეში კი მოვთავსდით მე, კნეინა ორბელიანი, ნინო ბარათოვი, გომრგი ორბელიანი, მისი ძიძა, კატერინა. დანარჩენი ტყვე ქალებისათვის საზიდორები მოემზადებინათ. ისეთი სიმჭიდ-როვე იყო, თავისუფლად ვერაფრით ვერ ვსხდებოდით. ამ მოუ-ხეშავ და მოუხერხებელ ეკიპაჟებში შებმული იყო ექვსი რუსული ცხენი. დავიძარით და გავუყევით ქვალორდიანსა და მეტისმეტად ძნელ გზას. გამგზავრების წინ წრე შემოგვარტყა მწყემსთა მრა-ვალრიცხოვანმა ბრძომ. აქვე მოგროვილიყვნენ ვედენოელი დე-დაკაცებიც. საწყალი ქართველი ქალები, რომლებიც თავად ჭავ-ჭავაძის სახლობასთან ერთად ნამოიყვანეს კახეთიდან და რომ-ლებსაც კნეინები, მიუხედავად საკუთარი გაჭირვებისა, დიდად ეხმარებოდნენ, ათას კურთხევასა და ლოცვას უგზავნიდნენ თა-

ვიანთ კეთილისმყოფელ ქალბატონებს. სულ ბოლოს კი ერთხმად შეჰვალადეს: კნეინებო! თქვენ ხედავთ, როგორ ვიტანჯებით აქ. ნუ დაგვივიწყებთ! ეცადეთ, რომ როგორმე ჩვენც დაგვიხსნან!

ეს იყო მათი უკანასკნელი სიტყვები და გულებმა, რომ-ლებსაც მიემართებოდნენ, დაიხსომეს ისინი.

### XXXIX

## დაბრულება. მეტლე

შამილს ჯარების ნაწილი გზის ორივე მხარეზე ჩაერიგებინა. ჩვენს ცხენებს რუსი მეტლე მართავდა. ისინი სწრაფად გარბოდნენ და მძლავრი ბიძგები გულ-გვამს გვირყევდა. სულ მოკლე დროში სამი გვირაბი გამოვიარეთ – ეს იყო ვიწრო და დაბალი თაღები, რომელთა ქეშაც ძლივძლივობით ეტეოდნენ ჩვენი ოთხთვალები, ხოლო ზედ მსხდომები კი იძულებული ვიყავით, თავები დაგვეხარა. ამ თაღთაგან ორი მშვიდობიანად მოვიტოვეთ უკან, მაგრამ მესამის გავლის წინ ცხენები, რომლებიც კნეინა ჭავჭავაძის ოთხთვალას ეწეოდნენ, გამოიხსნენ და ჩვენი უკან მიმსწრაფი ეკიპაჟი წინას დაეჯახა. დაფეთებული ცხენები ბუჩქებში გადაეშვნენ და ოთხთვალაც გადააყირავეს. გადაბრუნებული ოთხთვალას ქვეშიდან კნეინა ორბელიანი და მისი შვილი საჩქარიდ გამოაძრინეს, მე კი ღრანტეში გადავვარდი – ტყუილუბრალოდ ვებლაუჭებოდი ბუჩქებს. კნეინებმა იფიქრეს, რომ დავიღუპე, მაგრამ ჩემს განწირულ ყვირილზე მოცვივდნენ ლექები და ღრანტედან ამომიყვანეს. ამ შემთხვევაში შამილის ნაჩუქარმა ქურქმა მიხსნა. ეს კი იყო, რომ ამ დაცემისაგან რამდენიმე თვე ფეხი მტკიოდა. ჩვენთან ერთად გათავისუფლებული თავადი ნიკო ჭავჭავაძე მანამ მედგა მხარში, სანამ წამოწოლა არ შევძელი.

ოთხთვალების შეკეთებას ორი საათი დასჭირდა. შემდეგ კი კვლავ გზას გავუდექით. შამილმა სწორედ იმ მოლას დაავალა ჩვენი ზედამხედველობა და მფარველობა, რომელიც ჩვენს პარტიას ვედენოსაკენ მიუძღვებოდა. მოლა, რაც შეეძლო, ახლო მოგვყვებოდა. ჩვენი ბადრაგი შვიდი ათას კაცამდე აღწევდა და შამილისა და მისი შვილების პატივსაცემად სიმღერებს მღეროდა. სიმღერის დროს შიგადაშიგ განსაკუთრებული სიხარულის ნიშნად თოფებსაც აქუხებდნენ.

ნაშუადღევი იქნებოდა, როდესაც ათასობით ხმამ დაიგუგუნა: იმამი შამილი! ეს იყო ნიშანი, რომ წინასწარმეტყველი გვიახლოვდებოდა. მას რჩეულ მხედართაგან შემდგარი ბრწყინვალე ამალა მოაცილებდა – აյ არ იგრძნობოდა არც საუცხოოდ შეკერილ-მოქარგული ჩოხების, არც წარჩინების, არც ძვირფასი იარალისა და ჩალმების, არც უმშვენიერეს ბედაურთა ნაკლებობა. შამილი შუაგულში მოექციათ. მისი ჭკვიანი და კეთილშობილური სახე ორმაგი სიხარულით იყო გაცისკროვნებული: საყვარელ შვილთან შესახვედრად მიდიოდა და უბედურ ტყვეებს თავ-თავიანთ კერებს უბრუნებდა. შამილს გრძელი, თეთრი მანტია მოესხა, რაც წინიდან შეხსნილი ჰქონდა იმდენად, რომ შესაძლებელს ხდიდა იმავე სიგრძის მწვანე ხალათი გამოჩენილიყო. იმამს წინ ერთგული ხაჯი მიუძღოდა. შამილი მოგვიახლოვდა და გადაგვთვალა. ეტყობოდა, დიდ კმაყოფილებას განიცდიდა, რომ შეეძლო ჩვენთვის თავისუფლების დაბრუნება. შემდეგ, როცა გზა გავაგრძელეთ, იგი ჩამოგვრჩა.

ღამე რომელიღაც აულში, მომცრო ქოხში გავათიეთ. თავისი სივიწროვით იგი არ ჩამოუვარდებოდა იმ უბადრუკ ქოხმახებს, რომლებშიც ჩვენი პირველი მგზავრობისას ვათევდით. შამილის განკარგულების თანახმად, ჩაი დაგვალევინეს. კნეინები მოლას მათზე განეული მზრუნველობისათვის საათის ჩუქებას შეჰპირდნენ. მოლას სურდა, ეს საჩუქარი მანამ მიეღო, სანამ მათ დასცილდებოდა და ამიტომაც მოითხოვა, საათის წამოსალებად თავად ჭავჭავაძესთან კაცი წინდაწინ გაეგზავნათ. ამ კაცის უკან

დაბრუნების მიხედვით განვსაზღვრეთ, რომ რუსები ჩვენგან ოთხი საათის სავალზე იმყოფებოდნენ. ამან ისე გაგვახარა, რომ მთელ ღამეს თვალი ვერ მოვატყუეთ.

ჩვენმა ქარავანმა გზა განთიადისას განაგრძო. შამილი კვლავ მოგვიახლოვდა. ხაჯიმ პატარა გიორგი ხელში აიტაცა და შამილს მიჰვარა. ისიც დაიხარა და ბავშვს აკოცა. შემდეგ უკანასკნელად მოგვავლო მფარველი მზერა და სწორედ დიდ მდინარეზე გადასვლის წინ გაუჩინარდა.

მეტყემ წამოიწყო ერთი იმ სიმღერათაგანი, რომელსაც რუსი მეტყეები ჩვეულებრივ ვრცელ, უდაბურ სტეპებში მგზავრობისას ღილინებენ. ამ სიმღერამ კნეინა ორბელიანს ტკბილი მოგონებები აუშალა.

– განა შენ რუსი ხარ? – შეეკითხა იგი მას.

ამ ბედუკულმართმა, ვინც, უეჭველია, ლტოლვილი გახლდათ, სავსებით აბნეულად უპასუხა:

– ალარ ვიცი, როგორ გითხრათ...

## XL

### გაცვლა. კურიცსკის ციხესიმაგრე

როდესაც ერთ-ერთ ბორცვს წვერზე მოვექეცით, ხაჯიმ წამოიძახა:

– აი, რუსთა ჯარებიც!

ამ უბრალო სიტყვების გაფონებაზე ურუანტელმა ელექტროდენივით დაგვიარა. ხარბად მივაცქერდით იმ ადგილს, რომელზეც ჰაჯიმ მიგვითითა და ჩვენგან სანინაალმდეგო მხარეზე მდგარი მთების ძირების გაყოლებაზე შევნიშნეთ მზეზე აბრწყინებული გრძელი ჯაჭვი. იგი ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა და გეზს ჩვენი მოძრაობის მიხედვით იცვლიდა. დაბოლოს, როცა

გვიბრძანეს ოთხთვალებიდან გადმოვსულიყავით, რუსთა ჯარების განლაგება საკმაოდ გარკვევით გავარჩიეთ. ჩვენგან მარცხნივ შამილისათვის დიდი კარავი გაეშალათ. ლეკები მტიდროდ შემოგვერტყნენ, ხელთ მომართული თოფები ეპყრათ: სიფრთხილის ყოველგვარ წესს იცავდნენ, რა არის, რუსნი მუხანათურად არ დაგვესხან თავსო.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ლეკები და რუსები ერთმანეთს ზვერავდნენ, შემდეგ კი ჩვენ კვლავ ოთხთვალებში ჩავსხედით და მდინარის<sup>56</sup> მიმართულებით გავეშურეთ. ეს მდინარე მოწინააღმდეგეთა სამფლობელოების საზღვარს წარმოადგენდა. ხავი უკან მოგვდევდა და თან ლეკური ტანსაცმელი მოჰქონდა, რომელიც ჯემალ-ედ-დინს მამასთან მისვლამდე უნდა ჩაეცვა. რუსთა ჯარების შორიახლო შეჩერებულებმა დავინახეთ გენერალ-მაიორი ბარონი ნიკოლაი, პოლკოვნიკი თავადები: ბაგრატიონი,<sup>57</sup> დავით ჭავჭავაძე და კურინსკის სიმაგრის<sup>58</sup> კომენდანტი. თავად ჭავჭავაძის ახლოს იდგა რუსის ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი ჯემალ-ედ-დინი. იგი კნეინა ჭავჭავაძეს მიუახლოვდა, პატივისცემით დაუკრა თავი და მოუბოდიშა, რომ ვერ შეძლო უფრო ადრე მოსულიყო, რათა დროულად გაეთავისუფლებინა იგი. ყაზი-მაჰმადი ძმური სიყვარულით მოეხვია მას. ჩვენ ოთხთვალებიდან გადმოვედით. შამილის ნაიბები, დანიელ-ბეგის მეთაურობით, ესწრებოდნენ ტყვეთა გაცვლასა და ფულის ზანდუკების მიღებას, ჩვენი გამოსასყიდი თანხის მითვლას.

ყაზი-მაჰმადმა საკმაოდ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. იგი შემდეგ რუსულად თარგმნეს. შამილს ებრძანებინა მისთვის, აღენიშნა ის დიდი გაოცება, რასაც ტყვე ქალთა კეთილშობილური ხასიათები და ქცევები იწვევდა. ამასთანავე, გამოეხატა მისი გულწრფელი სინანული, რომ ვერ შეძლო უფრო ღირსეულად შეენახა ისინი. „ყოველ შემთხვევაში, – დასძინა ყაზი-მაჰმადმა, – ისინი სერალში ყოველგვარ ბიწიერებას იყვნენ განრიდებული და წინასწარმეტყველის ცოლები მათ თავს ევლებოდნენ, როგორც საკუთარ დებს. არც ერთი მამაკაცის თვალთა მზერას არ შეუდ-

წევია მათი ჩადრების მიღმა; ამჟამად ისინი, შროშანებივით სპეტაკნი და დაფარულნი ყველას თვალთაგან როგორც უდაბნოს ქურციკები, ჩვენი ყოველნაირი პატივისცემა და სიმპათიები რომ დაიმსახურეს, თავიანთ ოჯახებს უბრუნდებიან“. გარდა ამისა, შამიღმა გვიბრძანა მოგახსენოთ: იგი დიდად წუხს, რომ ომის სუსხი შეეხო ხალხს, რომელთანაც მას არავითარი მტრული დამოკიდებულება არა აქვს.

იმის შემდეგ, რაც ორივე ჯარის უფროსები ერთურთს დაემშვიდობნენ, ჯემალ-ედ-დინმა ხელი ჩამოართვა თავად ჭავჭავაძეს და სხვა ლეკებთან ერთად გაგვშორდა. თავადმა მხურვალე მამობრივი სიყვარულით გადაკოცნა თავისი შვილები და გამზადებული ეკიპაჟებისაკენ წაგვიძლვა. პოლკის სასულე ორკესტრი ასრულებდა რუსულ და ქართულ ნაციონალურ სიმღერებს. რუსი გენერლები ყურადღებასაც არ აქცევდნენ ჩვენს უბადრუკ ჩაცმულობას და უკლებლივ ყველა თავს ისე გვიკრავდა, თითქოსდა ბრძოლის ველზე დაჭრილები ვყოფილიყავით. როდესაც კურინსკის სიმაგრეში მივედით, სამხედრო მეთაურთა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ცოლები შემოგვეგებნენ; დოლებს ბაგაბუგი გაჰქონდა. მთელი მოსახლეობა გამოფენილიყო ჩვენს შესახვედრად და ყველას ცრემლებით ევსებოდა თვალები, როცა ხედავდნენ ბავშვებს, ამ უცოდველ ანგელოზებს, ამდენი ტანჯვა-წვალება ასე მამაცურად რომ გადაიტანეს და უამრავ ხიფათს გადაურჩნენ. ყოველი მამაკაცი ქუდს იხდიდა და პირჯვარს იწერდა, ყოველი ქალი სიხარულით გვესალმებოდა.

როგორც კი სიმაგრეში ფეხი შევდგით, ატყდა ზარების რეკვა და დოლების ბაგუნი. წაგვიყვანეს მართლმადიდებელთა ეკლესიაში, სადაც ყველა ხატს ვემთხვიერ და ცისა და მინის მეუფეს მადლი შევწირეთ, რომ არ დაგვივიწყა და ტანჯვათაგან გვიხსნა. ეკლესია სანთლების შუქს გაეჩირალდნებინა. პარაკლისის გადახდის შემდეგ მღვდელმა ჯერ ბავშვები აკურთხა, მერმე - კნეინები, დაბოლოს, - ყველა ჩვენგანი. ეკლესიდან გამოვედით და პოლკოვნიკ ბაგრატიონის ბინაში მივედით, რომელმაც სიკეთე გვიყო და საცხოვრებელი დაგვითმო.

## სასაპ-იურთი. თბილისი. მოსკოვი.

### იგაერატორი ალექსანდრე //

თავადი ჭავჭავაძე ჩვენთან დარჩა. შევედით დარბაზში თუ არა, თვალში მოგვხვდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შავი კრების არშიაშემოვლებული სურათი, რამაც სავსებით გაგვიფანტა ეჭვები მისი გარდაცვალების შესახებ.<sup>59</sup> განსვენებულმა იმპერატორმა ნიკოლოზმა ჩვენი გათავისუფლებისათვის ყველაფერი გააკეთა, ჩვენ კი მხოლოდ ისლა შეგვეძლო, მისი სულისათვის გველოცა! თავადი ყველაფერს მოგვიყვა, რაც კი იცოდა ჩვენი მხსნელის ხანმოკლე ავადმყოფობაზე, აგრეთვე გვიამბო იმპერატორ ალექსანდრეს მიერ მის გასაპატიოსნებლად გალებულ ყოველგვარ მოწყალებაზე. მთელი საუბრის განმავლობაში თავადი განუწყვეტლივ გულში იკრავდა ბავშვებს დიდი სიყვარულით. ეს ჩემთვის სავსებით გასაგები იყო.

მეორე დღეს ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი კავალკადის თანხლებით, რომელსაც სათავეში ედგნენ გენერალ-მაიორი ნიკოლაი და თავადი ბაგრატიონი, კურინსკის სიმაგრე მივატოვეთ. აქედან იწყებოდა ჩვენი უკან დასაბრუნებელი მოგზაურობა. არიერგარდად გაგზავნილი მხედრები განსაკუთრებული ყურადღებით სინჯავდნენ ბუჩქანარებს, ბორცვებს, თხრილებსა და ხეთა კორომებს. ჩვენ ჯერ კიდევ შამილის ჯარების მხედველობის არეში ვიმყოფებოდით, რის გამოც სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ამიტომაც ყურადღება მანამ არ მოგვიდუნებია, სანამ არ დავრწმუნდით, რომ აღარავითარი ხიფათი და საშიშროება აღარ გველოდა. რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ხასავ-იურთში ვიმყოფებოდით, სადაც კნეინებს ახალი განაწყენება ელოდათ. მხოლოდ იმ სიმაგრეში შეიტყვეს მათ მისი ბრწყინვალების, დიდად პატივცემული თავადის ილია ბაგრატიონის<sup>60</sup> გარდაცვალების ამბავი. იგი უცაბედად მომკვდარიყო, ნადირობისას. საუბე-

დუროდ, ამ გზობას თან არავინ ხლებია, გარდა 12 წლის შვილის თავადი ნიკოლოზისა. უჩვეულო გულისრევა და მასთან ერთად სრული უძლურება რომ იგრძნო, თავადმა ბაგრატიონმა მამობრივი წინდახედულება გამოიჩინა და თოფიდან ვაზნის ამოღება მოასწრო, რათა იარაღს მცირებლოვანი ბავშვი არ დაემარცხებინა. შემდეგ რამდენჯერმე გადაიწერა პირჯვარი, მიწაზე დაწვა და უკანასკნელად ამოისუნთქა. თავადი ნიკოლოზი მომაკვდავი მამის მდგომარეობამ იმდენად შეაშინა, რომ ძლიერ შეძლო შარაფოვოში მირბენა. თავადის საშველად იმ წუთსვე გამოეშურნენ, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ვითარებათა გაურკვეველი დამთხვევის გამო თავადი სწორედ იმ დღეს მიიცვალა (1854 წლის ივლისი), როცა მისი ორი ასული – კნეინები ანა ჭავჭავაძე და ბარბარე ორბელიანი ტყვედ ჩავარდნენ. ამ ორმა გულსაკლავმა შემთხვევამ მათი უბედური დედა, მისი ბრნყინვალება კნეინა ანასტასია ბაგრატიონიც კინალამ თან გადაიყოლა! ის დაიცვა განგების ნების გარდუვალობის არაჩვეულებრივმა რწმენამ. თავისი ასულების ტყვედ ჩავარდნის ცნობა რომ მიიღო, ის დაუყოვნებლივ გაემგზავრა სანკტ-პეტერბურგს. აქ გულდათუთქული ქვრივი იმპერატორმა და იმპერატორიცამ განსაკუთრებული ალერსითა და თანაგრძნობით მიიღეს. მათ ერთად ღვარეს ცრემლი. ბოლოს დამწუხრებულ დედასა და მეუღლეს იმპერატორმა ჩვენი დახსნის პირობა მისცა, ხოლო იმპერატორმა ალექსანდრემ ღირსეულად დაასრულა მისი უავგუსტოესი მშობლის მიერ დაწყებული საქმე და მას ვუმადლით ჩვენს გადარჩენას. დე, ამ სიკეთისათვის ღმერთმა დააჯილდოვოს იგი ხანგრძლივი და კეთილი მეფობით!.. ეს არის გულწრფელი სურვილი ფრანგი ქალისა, რომელიც მისგან თავისუფლებით არის დავალებული.

მამის სიკვდილის შეტყობამ ძლიერ დაამწუხრა კნეინა ორბელიანი. მეც მთლიანად ვიზიარებდი მის ღრმა მწუხარებას და ვერც კი წარმომედგინა, თუ მსგავსი უბედურება რამდენიმე კვირის შემდეგ თვითონაც დამატყდებოდა თავს და ვეღარ

ვიხილავდი ამქვეყნად ერთ-ერთ საუკეთესო და უნაზეს დედათა-განს.

ხასავ-იურთიდან ჩვენ გავემგზავრეთ თათარ მილიციონერთა თანხლებით და თემურ-ხან-შურაში დაღესტნის რაზმის უფროსთან შევისვენეთ. თავად ილია ორბელიანის ღვიძლ ძმასთან, მასპინძლის გულითადი მიღებით გალალებულნი, საქმაოდ დიდხანს გავჩერდით. შემდეგ კი გზა დერბენტის, ყუბისა და ელიზავეტოპოლის გავლით გავაგრძელეთ. ყველაგან მეტად გულის ამაჩუცებელი აღერსითა და გულწრფელი სიხარულით გვეგებებოდნენ. დაბოლოს, თბილისს მივუახლოვდით. თავად ჭავჭავაძის ნათე-სავები ქალაქის საზღვრებს გამოსცდნენ, რათა, რაც შეიძლება ჩქარა და მალე ჩაეკრათ გულში კნეინები და მათი შვილები.

კვირადღე გახლდათ და ბაზარზე გადმოვიარეთ. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, დილიდანვე რომ ასხამდა, ისე დიდალი ხალხი შეგროვდა, რომ ეკიპაჟები დიდის ვაი-ვაგლახით მიინ-ევდნენ წინ. ჩვენი გავლისას ყოველი მამაკაცი ქუდს იხდიდა, ხოლო ქალები თავსაფრებს გვიქნევდნენ. კეთილი და ღვთისმ-მოსავი ქართველები ხელებს ზეცისაკენ აღაპყრობდნენ და ჩვენი გათავისუფლებისათვის ღმერთს ლოცვა-კურთხევას უგ-ზავნიდნენ. მთელი ქალაქი სასიხარულო ფაციფუცმა მოიცვა, რადგან ჭავჭავაძეთა და ორბელიანთა გვარები დიდი პატივის-ცემით სარგებლობდნენ. ხალხი გუნდ-გუნდად მიგვაცილებდა სიონის საკათედრო ტაძრისაკენ, სადაც პარაკლისი მოვისმინეთ, ლოცვა-კურთხევა მივიღეთ და თავად ჭავჭავაძის სახლისაკენ გავეშურეთ...

თავადისას განსაკუთრებული სიხარული მელოდა: მასთან დამხვდნენ ჩემი საყვარელი თანამემამულენი; მათ შორის მყოფს თავი წარმომედგინა სანატრელ საფრანგეთში, რომლის ხილვის იმედი ამ რამდენიმე დღის წინათ აღარ მქონდა. თითქოსდა ყველაფერი უკეთეს დღეთა იმედს მაძლევდა. ჩემი ბედნიერების დასაგვირგვინებლად საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ – წერილი

მიმელო დედაჩემისაგან, მაგრამ ღმერთს თავისი მიუწვდომელი განაჩენით სხვაგვარად გადაეწყვიტა...

გამოხდა დრო და კნეინები თავიანთ დედასთან მოსკოვში გაემგზავრნენ, ხოლო შემდეგ პეტერბურგის გზას გაუდგნენ იმპერატორ ალექსანდრესათვის მადლობის მოსახსენებლად. თბილისიდან მოსკოვამდე მისვლას ოცდახუთი დღე დასჭირდა. ამ ქალაქში ნილად მხვდა ბეჭინიერება – გამეცნო კეთილშობილი კნეინა ანასტასია ბაგრატიონი, ვისმა მაღალზნეობრივმა მაგალითმაც საკუთარი ტანჯვა-წვალების მოთმინებით გადატანა მასწავლა. მე მის ბრნყინვალებასთან დავრჩი როივე ჩემი მოწაფითურთ, როდესაც კნეინები – ჭავჭავაძე და ორბელიანი სხვა დანარჩენი ბავშვებით პეტერბურგს გაემგზავრნენ. იმპერატორმა და იმპერატრიცებმა ისინი ექვსი დღით პეტერგოფში დაიტოვეს. ქვრივმა იმპერატრიცამ ბავშვებს თვითონვე გაუმართა საუზმე, რომელზედაც კიდეც დაესწრო, ხოლო იმპერატორმა მათ უმშვენიერესი საჩუქრები გამოუგზავნა. იმავე დროს მისმა უდიდებულესობამ გულუხვობა გამოიჩინა და იზრუნა თავად ჭავჭავაძის ქონების მდგომარეობისა და შეძლების გამოსასწორებლად, რადგან შამილის ბანდების შემოჭრისას ნინანდალი მთლიანად განადგურდა და გაიძარცვა.

კნეინებმა სამეფო კარისა და მთელი ქალაქის ყურადღება მიიქციეს და მოსკოვს იმპერატორ ალექსანდრეს დაბადების დღისათვის დაბრუნდნენ. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით აქ მთელი სამეფო გვარეულობა უნდა მობრძანებულიყო. გაემართა თუ არა იმპერატორი უსპენსკის ტაძარში,<sup>61</sup> კნეინებმა მეც იქ წამიყვანეს, რათა საშუალება მომცემოდა, დამენახა ჩემი განმათავისუფლებელი.

იმპერატორი ნელა მოდიოდა, მისთვის იმპერატრიცას ხელკავი გაეკეთებინა. ჩვენ ხალხში ავირიეთ, რომელიც კედელივით აღმართულიყო გზაზე, სადაც საზეიმო პროცესიას უნდა ჩაევლო. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც შევნიშნე, რომ... მათი

უდიდებულესობები უცებ შედგნენ კნეინა ჭავჭავაძის წინ და მას იმპერატორი საგანგებო თავაზიანობით მიესალმა...

იმპერატორი ალექსანდრე ახოვანია, ლალად დადის. მისი ცისფერი თვალები გამოირჩევა გამჭოლი და, ამასთან ერთად, სიმპათიური შუქიანობით, მაღალი შუბლი ნებისყოფასა და ხა-სიათის სიმტკიცეზე მეტყველებს. ხმა აქვს ქლერადი და სა-სიამოვნო მოსასმენი. მის მეუღლეს სახის ძალზე მიმზიდველი, ჭკვიანური და სასიამოვნო გამომეტყველება ენით გამოუთქმელ მომხიბვლელობას სძენს. იგი ეყრდნობოდა იმპერატორის მკლავს იმ ბუნებრივი უბრალოებით, რაც ჩვეულებრივ ყველას ხიბლავს. ჩემი მხსნელის დანახვაზე მადლიერების მხურვალე გრძნობამ გული ძლიერ ამიჩქროლა, სურვილმა წამომიარა, ფეხებში ჩავ-ვარდნოდი და დამეძახა: გმადლობთ, გმადლობთ, თქვენო უდიდე-ბულესობავ, იმისათვის, რომ თავისუფლება დამიბრუნეთ!.. მა-გრამ ეტიკეტი ამის ნებას არ მაძლევდა, თანაც, აბა, რისი მი-მატება შეეძლო ჩემს სუსტ ხმას სიყვარულის იმ აღტაცებული გამოხატულებისათვის, რომელსაც რუსი ერი თავის ხელმწიფეს მიაგებს?.. ამ, შესაძლოა, მსოფლიოში ერთადერთი თავისებური სანახაობის მოწმე და თვითმხილველი გამოუცნობ ნეტარებას განვიცდიდი. და ახლა, ჩემს მამულში დაბრუნებულს, მიყვარს ოცნებით წარმოვიდგინო ბედნიერ უდიდებულესობათა წყვილი, ერთსულოვანი აღტაცებით რომ ესალმებიან.

მათი უდიდებულესობანი დაინტერესდნენ თავად ჭავჭავაძის ბავშვებით, განსაკუთრებით კი ორი უფროსით, რომლებიც პე-ტერგოფში მათთვის არ წარუდგენიათ. შემდეგ კი, კვლავ თავი დაუკრეს მომხიბვლელ კნეინა ჭავჭავაძეს და გააგრძელეს გზა ტაძრისაკენ.

## მეცნიერები

- <sup>1</sup> **თავადი ჭავჭავაძე** – დავითი, ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას ძმა, წინანდლის მფლობელი, იმხანად 37 წლისა, პოდპოლკოვნიკი, შემდგომ პოლკოვნიკი და ფლიგელ-ადიუტანტი.
- <sup>2</sup> **მისი მეუღლე ანა** – ილია ბატონიშვილის ასული, ერეკლე მეფის ჩამომავალი, იმხანად 28 წლისა.
- <sup>3</sup> უნდა იგულისხმებოდეს მდინარე თურდო.
- <sup>4</sup> **ბარბარე ორბელიანი** – ილია ბატონიშვილის ასული, ანა ჭავჭავაძის დაი, მამაცი გენერალ-მაიორის, ბაშკადიკლართან სასიკვდილოდ დაჭრილი ილია ორბელიანის ქვრივი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიცოლა.
- <sup>5</sup> **ნინო ბარათოვი** – ნინო მელიქონის ასული ბარათაშვილი (1829-1906), ნიკ. ბარათაშვილის დაი. პოეტი მას მოფერებით ნინუცას ეძახდა, მისთხოვდა „ცისკრის“ თანამშრომელ ლ. ბარათაშვილს. პ. ინგოროვა შეცდომით აღნიშნავს მისი ტყვეობის თარიღად 1851 წელს (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზ., 1968, გვ. 212).
- <sup>6</sup> **ილიკო ორბელიანი** – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკ. ბარათაშვილის ბიძა და სკოლის ამხანაგი, გენერალ-მაიორი. 1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა შამილს. ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ კვლავ რუსეთის არმიის სამსახურშია. 1853 წელს ყირიმის მშენებელი ბაშკადიკლართან სასიკვდილოდ დაიჭრა. დაკრძალეს თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში, 1853 წ. 20 დეკემბერს ერთ თავის მცირე-წლოვან ვაჟთან ერთად.
- <sup>7</sup> ხანდოს მიდამოებში.
- <sup>8</sup> **გორლიჩენკო** – თელავის მაზრის მედიკოსი, ჭავჭავაძეთა ოჯახის ექიმი. იგი მეორედ აშკარა საშიშროების უამს მივიდა კნეინებთან და ვაჟკაცურად მოიქცა. პისტოლეტის გასროლით სიცოცხლეს

- გამოასალმა პირველივე მომხვდური და ბაღში მიიმალა (იხ. E. Вердеревский. Плен у Шамиля., М., 1857, стр. 40-41).
- <sup>9</sup> **თინია** – თინა ორბელიანი, თავად გიორგი ორბელიანის ქვრივი, დავით ჭავჭავაძის მამიდა, ალ. გარსევანის ძე ჭავჭავაძის ბიძაშვილი, 74 წლისა.
- <sup>10</sup> ეს იყო იმ მედუჟნის გამცემლური სიგნალი, რომელსაც, კნეინას ბრძანების მიუხედავად, იარაღი მაინც არ აჰყარეს (ვერდერევსკი, გვ. 39).
- <sup>11</sup> **ლეირთი არს სიყვარული** – წიგნის ავტორი ვერ დავადგინეთ. თვით ეს ფრაზა კი, რაიც ქრისტიანობის მთავარი რელიგიური იდეაა, ამოღებულია სახარებიდან.
- <sup>12</sup> **ნუკერი** – მონღლოლური წარმოშობის სიტყვა. აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში აღნიშნავს ხანის, მხედართმთავრის პირად დამცველს, მეპრძოლს.
- <sup>13</sup> **კნეინების მოხუცი დეიდა** – იგივე თინია. იხ. მე-9 შენ.
- <sup>14</sup> **ასი წლის მოხუცი ქალი** – 97 წლის მარინა-გამდელი, ჭავჭავაძეთა სახლობის სამი თაობის აღმზრდელი. ჯერ კიდევ გარსევან ჭავჭავაძეს ახლდა რუსეთში ალექსანდრეს ძიძად, შემდეგ დავითი აღზარდა და ახლა მის ბავშვებს უვლიდა (იხ. ე. ვერდ. გვ. 18, 34).
- <sup>15</sup> იგულისხმება მდ. კისისხევი.
- <sup>16</sup> **ქრისტიანობის სული** – შატოპრიანის (1768-1848) ოთხნაწილიანი წიგნი „genie du christianisme“; 1802 წელს გამოვიდა პირველი გამოცემა; ამტკიცებს, რომ ქრისტიანული რელიგია ყველაზე უკეთესი, პოეტური და პუმანურია, ყველა სხვა რელიგიაზე მეტ გავლენას ახდენს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. წიგნის პირველი ნაწილი მოიცავს კათოლიციზმის დოგმებსა და დოქტრინებს, მეორეში შედის ცნობილი „რენე“. დაწვრილებით იხ. А. Шахов, Очерки литературного движения в первую половину XIX века. СПБ., 1913, стр. 53, 57, 73.
- <sup>17</sup> **იმამი შამილი** (1797-1871) – შამუილ-ეფენდი, დალესტნისა და საჩაჩნოს მესამე იმამი (იმამი არაბული სიტყვაა, ნიშნავს წინ მდგომს, უწინარესს, სულიერ წინამდღოლსა და საერთო-სახელმწიფო ძალაუფლების მპყრობელს), მთიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. დაიბადა აულ გიმრში.

პირველი იმამის ყაზი-მუჰამედის მოწაფე და თანამებრძოლი, მეორე იმამის ჰამზათ-ბეგის სიკვდილის შემდეგ აირჩიეს დაღ-ესტნის იმამად; ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა რუსთა ძლევამოსილ არმიებს. მისი მთავარი რეზიდენციები საჩარჩოში იყო დარღო და ვედენი (1846-1859). ვედენის აღების შემდეგ დაცუსტანში მთა ლურიბს აფარებს თავს, სადაც 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევეს; 10 წელიწადს ცხოვრობდა რუსეთში, უმთავრესად კალუგაში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რე-ლიგიური გრძნობები მოეძალა და ყურანის მოწოდების – „მექა მოილოცეთ და წმიდა ადგილები მოიარეთ“ (ყურანი, თბ., 1906, გვ. 7) განხორციელების სურვილით აღვსილმა მექაში წასვლის ნებართვა ითხოვა. 1870 წელს ნება დართეს წასვლისა და 1871 წ. მედინაში გარდაიცვალა.

შამილის წარმომავლობა ბურუსითაა მოცული. მიაჩნიათ, რომ მისი მამა გახლდათ გიმრელი დინგაუ. ელგუჯა მალრაძე წერს: „დინგაუ, ავარელი უზდენი, გიმრის მცხოვრები, შამილის მამაა, 1825-1830 წლებს შორის გარდაცვლილი ამირ-ხანის შთამომავალი სავინოვი წერს: „არც თვით შამილი, არც ჩვენ არ ვიცნობთ შამი-ლის მამას“. თუმცა არსებობს მოარული ჭორი: შამილი ერეკლე მეფის ძის ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი იყომ“ (ელგ. მალ-რაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1973, გვ. 149), აგრეთვე შეადარე: „მთიელთა ბელადი სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას იჩენდა, ზოგი მეჭორე კი ჩუმად ქირქილებდა – ასე იმიტომ იქცევა, რომ თვითონ ისკანდერგურჯის ბუშია, შეხედეთ, თავის ნამდვილ მა-მასავით თვალებჭუტია და ცაცია არისო“ (აკაკი გაწერელია, შამილი და მისი ნაიბი, თბ., 1972, გვ. 16).

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ვარაუდია. სინამდვილე კი ისაა, რომ შამილი გახლავთ კავკასიის მთებიდან ამოფრენილი სასტი-კი იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი არნივი, კავკასიელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების გამომხატველი გმირი.

შამილზე ლეგენდები იყო შექმნილი ჯერ კიდევ მის სიცოცხ-ლებში. როგორც აკ. გაწერელია წერს, მის შესახებ შეუთხავთ ლექსებიც – როგორც ხოტბითი, ისე სატირული. სხვათა შორის, საგულისხმო მხატვრული თხზულებანი უძღვნეს შამილის თემას

გმირობისა და ვაჟეაცობის დამფასებელმა ქართველმა მწერლებმა. მაშინ, როდესაც მთელს იმპერიაში ტაბუ ჰქონდა დადებული კავკასიელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის სახელს, ქართველმა მწერლებმა ბრწყინვალე ქმნილებები შექმნეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი გაწერელიას მოთხოვნები და ნოველები, იონა ვაკელის პიესა, აგრეთვე გიორგი კალანდაძის შესანიშნავი ლექსი „შამილი“, საიდანაც მოვიყვანთ რამდენიმე სტრიქონს:

...შამილ, ცეცხლად ამომტყდარი მთიდან,  
ელვიანი გრიგალი და დელგმა,  
მესამედი საუკუნე ღვრიდა  
მტრის სისხლსა და მთას გუშაგად ედგა.  
მაგრამ, როცა ქარიშხალი მიწყდა,  
დაჭრილ ფოცხვერს მოუგრიხეს ქედი,  
მკერდში შერჩა დაღესტანის მიწა  
და განწირულ მოძმეების ბედი...

<sup>18</sup> ჰაჯი-ქერიმი – შამილის ერთ-ერთი ნაიბი.

<sup>19</sup> ფოხალის კოშკი – ციხესიმაგრე ფოხალის მთაზე. ფოხალი შილ-დისა და ყვარლის მთებს შორის მდებარე მნვერვალია. ლეკების წინანდალზე თავდასხმის დღეებში (1854 წ.) აქ იყო გაშლილი შა-მილის ბანაკი (იხ. ალ. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 498, აკ. განერელიას შენიშვნა).

<sup>20</sup> ხაჯი – ვერდერევესკის მიხედვით, ჰაჯიო, შამილის მოურავი და ხაზინადარი, უერთვულესი მიურიდი, 50 წლის კაცი, კეთილი და გულუბრყვილო, მაგრამ მოსულელო შესახედაობისა.

<sup>21</sup> მიურიდი – მიურიდიზმის მიმდევარი. მიურიდიზმი არის რელი-გიურ-ნაციონალური მოძრაობა, რომლის მეთაურებიც კავკასია-ში იყვნენ ყაზი-მუჰამედი, ჰამზათ-ბეგი და შამილი. მიურიდიზმის მოქადაგე და თეორეტიკოსი გახლდათ ხალიდ-შეიხი. მიურიდები ფანატიკური მიმდევრები იყვნენ იმამისა და მეთაურობდნენ ჰა-ზავათს („წმინდა ომს“) ურნმუნოთა წინააღმდეგ. ეს მოძრაობა ძირითადად რუსთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

<sup>22</sup> ნაიბი – ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში რომელიმე უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე. შამილის ნაიბები ადმინისტრაცი-

ულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველები იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში ჯარის გამოყვანაზე აგებდნენ პასუხს. ამ ჯარს თვითონვე უდგებოდნენ სათავეში და ყველაფერზე თვითონ ზრუნავდნენ.

- <sup>23</sup> **ილიკო ორბელიანი** – 1842 წლის 29 მარტს ტყვედ ჩაუვარდა შამილს. ტყვეობაში 8 თვე დაჰყო. გამოხსნის შემდეგ, ვორონცოვის ბრძანებით, ილიამ დაწერა თავისი თავგადასავალი ტყვეობის დროისა. ეს დოკუმენტი ჩართულია ე. ვერდერევსკის წიგნში „შამილთან ტყვეობა“ ერთ-ერთ განყოფილებად. იხ. გვ. 412-443. თხრობა მეტად მომხიბვლელია და კომპოზიციურად დიდი ხელოვნებით შეკრული, რასაც მკვლევარი იაკობ ბალახაშვილი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ილიას იგი დააწერინა და მხატვრულად გააფორმებინა 6. ბარათაშვილმაო. მართლაც, აღსანიშნავია ისიც, რომ, ი. ორბელიანის ზემოაღნიშნულ ტყვეობასთან არის დაკავშირებული პოეტის გენიალური „მერანის“ შექმნაც. ნიკ. ბარათაშვილი თავისი პიძისა და სკოლის ამხანაგის დატყვევების ამბავმა შეაშფოთა, გულის სიღრმემდე შეძრა და... თუმცა მოვუსმინოთ თვით პოეტს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ისე რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილებით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“ (წერილიდან გრ. ორბელიანისადმი, 1842 წლის 2 მაისს). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი სწორედ ილიკოა. თვითონ პოეტი იმავე წერილში აღიარებს: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“.
- <sup>24</sup> **დაუბრუნოს შვილი** – იგულისხმება ჯემალ-ედ-დინი, შამილის უფროსი ვაჟი მეორე ცოლის ფატიმათისაგან, რომელიც ახულ-გოს აღების წინ შამილს მძევლად ჩამოართვა გენერალმა გრაბერმ. რუსეთში იგი ჩარიცხეს ულანის პოლკში პორუჩიკად. მამამ ჯერ ილიკო ორბელიანში მოინადინა მისი გაცვლა, მაგრამ იმპერატორმა უარი განაცხადა. ამჟამად, ე. ი. 1855 წელს, მაინც მიაღწია შამილმა თავის სანადელს და საიმპერატორო კარს ჯემალ-ედ-დინი დაათმობინა. სამშობლოში დაბრუნებული ჯემალ-ედ-დინი

ცალკე ჭლექმა და ცალკე სევდამ დააძაბუნა. ის გარდაიცვალა 1858 წელს და დაკრძალეს აულ კარატაში (ამის შესახებ იხილეთ: გრ. ორბელიანი, წერილები, II, აკ. განერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1937, გვ. 330. აქვეა მითითებული სხვა ლიტერატურაც).

- <sup>25</sup> **დანიელ-ბეგი** – რუსი გენერალი 1844 წლამდე, ელისუს სულთნობის დროს. შემდეგ შამილს მიემზრო, რომლის ერთ-ერთ უფროს ნაიპად ითვლებოდა იმამის კაპიტულაციამდე (ალ. დიუმა, გვ. 494, აგრეთვე გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 250).
- <sup>26</sup> **ყაზი-მაჰმადი** – შამილის ძე, ჯემალ-ედ-დინის მომდევნო ძმა, რომელმაც წინანდალი დაარბია, კარატის ნაიპი (დაიბ. 1833 და გარდ. 1903 წ.). აკ. განერილია უწოდებს ლაზი-მუჰამედს. იხ. ალ. დიუმა, გვ. 494, თუმცა შამილისა და მისი ნათესავების გენერალობიურ შტოში, ალბათ, უფრო სწორ ფორმას ხმარობს – ყაზი-მაჰმადი.
- <sup>27</sup> **ვედენი** – „შამილის რეზიდენცია მდებარეობდა შიდა საჩაჩნოს სოფელ დიშნი-ვედენოს ზემოთ. ეს სოფელი მდინარე ხულხულას ნაპირას, მაღალ მოედანზე იყო გაშენებული (იჩქერიულში დიალექტით „ვედენ“ ბრტყელ ადგილს ნიშნავს!“. იხ. აკ. განერელია, შამილი და მისი ნაიპი, თბ., 1972, გვ. 6).
- <sup>28</sup> **ნიკო** – ვერდერევსკის მიხედვით, ივანე ჭავჭავაძე, იხ. გვ. 83, თუმცა სწორი უნდა იყოს მადამ დრანსე, ვინაიდან გრ. ორბელიანის წერილებში ნიკო ჭავჭავაძე ბევრჯერ არის მოხსენიებული, ხოლო ივანე ჭავჭავაძე – არც ერთხელ!
- <sup>29</sup> ვერდერევსკის მიხედვით, 30 კაპიკი. იხ. გვ. 139.
- <sup>30</sup> **გრიგოლ ორბელიანი** – იგულისხმება დიდი ქართველი პოეტი და სახელგანთქმული სარდალი, ძმა ილია ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილის ბიძა, ბარბარე ორბელიანის მაზლი. 1854 წლის წერილებში იგი გამუდმებით ეკითხება ან მოუთხრობს თავისიანებს ტყვეთა ამბებს, ყოველი საქმის კურსშია. შამილთან ტყვეთა გამოსყიდვაზე მოლაპარაკება მან დაიწყო, მაგრამ შემდეგ უფროსებმა თბილისს გამოუძახეს და ეს საქმე დავით ჭავჭავაძემ გააგრძელა. შამილი უკმაყოფილო იყო, გრ. ორბელიანმა რომ მოლაპარაკება მიატოვა და ამ უკმაყოფილებას ხშირად გამოხატავდა.

ელგუჯა მაღრაძე თავის წიგნში გრ. ორბელიანზე სამართლიანად თვლის პოტ-სარდალს შამილის ერთ-ერთ მთავარ მეტოქედ და მოწინააღმდეგედ. გრამოვი, რომელიც ტყვეთა გამოხსნის დროს თარჯიმნობდა, ასე გადმოგვცემს იმამის სიტყვებს, რომელთა ადრესატიც გრ. ორბელიანია: „განსაკუთრებით მაბრაზებს ეგ ორბელიანი; ალბათ, ყელს გამოვდადრავდი, ხელში რომ ჩამეგდო. რა თქმა უნდა, მას რომ ხელში მოვეგდე, ისიც ასე მომექცეოდა... ჩვენ მტრები ვართ!“ იხ. ვერდერევსკი, გვ. 316. სხვა ადგილას შამილი გრიგოლ ორბელიანზე ასე წყრება. მოვუსმინოთ ვერდერევსკის: „В заключение же разговора о князе орбелиани, к которому Шамиль, видимо, питал особую ненависть, он сказал: - Впрочем, я от одного избавился (от князя М.З. Аргутинского-Долгорукого); избавлюсь, бог дастъ, и от этого ученика Аргутинского...“ (стр. 351).

შემდგომში გრ. ორბელიანს შამილთან შეხვედრაც მოუხდა. აი, რას წერდა იგი: „შამილა გავიცან პეტერბურლში, კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძალიან გავირვებული იყო ყოვლითა მით, რასაცა ჰქედავდა – მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსნუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავი ქალები, რომ ბოდაში მომეთხოვაო; ეხლა ვჰედავ, რასაც ნაკლულოვანებაში იყვნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრო-მით ჰსცხოვრობენ, როგორც აქაო!“ (გრ. ორბელიანი, წერილები, II, გვ. 277-278). აქედან და სხვა მრავალი წყაროდან კარგად ჩანს, რომ შამილი ქართველ ტყვე ქალებს ჰატივითა და ლირსებით ექცეოდა და დიდად წუხდა, რომ საშუალება არ ჰქონდა, შესაფერისად შეენახა.

<sup>31</sup> **სერალი** – ფრანგული სიტყვა, მომდინარეობს თურქული სარაიდან და ნიშნავს თურქთა (საერთოდ მაჰმადიანთა) სულთნების სასახლეს. სერალი არ უნდა აეურიოთ ჰარამხანაში, როგორც ეს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშია გაკეთებული. ჰარამხანა სრულიად სხვაა. სწორად წერს ელგ. მაღრაძე: „სერალი მხოლოდ სახლი იყო შამილისა და არა ჰარამხანაო“. იხ. გრ. ორბელიანი, თბ., 1973, გვ. 171.

შამილის ვედენოსული სერალი წარმოადგენდა აულიდან მცირე მანძილით მოშორებულ ვრცელ ხის ნაგებობას, რომელ-

საც ირგვლივ სარტყელივით ეკრა აივანი. „იგი რუსმა რენეგატმა სალდათებმა აუშენეს მას... კავკასიის მხედრობის მიერ დარღოს ალების შემდეგ. ხის დიდი სახლი გორაკის ოთხეუთხა მინდორზე იდგა და ირგვლივ სამი კედლით იყო შემოზღუდული. კედლების გადაღმა თხრილი გაეყვანათ, ეზოში შესასვლელი ალაყაფის წინ გუშაგები იდგნენ“. იხ. აკ. განერელია, შამილი და მისი ნაიბი, თბ., 1972, გვ. 6.

შამილის სერალის გეგმა, ანა ილიას ასულ ჭავჭავაძის მიერ 1855 წელს შედგენილი, დაბეჭდილია ვერდერევსკის წიგნში, გვ. 152.

- <sup>32</sup> **შამილის ცოლთაგან** აქ მოხსენიებულია უფროსი – ზაიდეთი (ჯემალ-ედ-დინ ყაზიიუმუჟელის ასული, ოსმალეთში გარდაცვლილი); მეორე ცოლი შუანეთი (ანა ივანეს ასული ულუხანიანი, რომელიც მოიტაცეს ქალაქ მოზდოკში 1840 წლის სექტემბერში. შემდეგ იგი იმამმა შეირთო და სახელი გამოიცვალა – უწოდა შუანეთი). იგი, როგორც დრანსე წერს ერთგან, რუსი ქალი არ ყოფილა, რუსულად იყო გაზრდილი და რუსული იცოდა. დრანსე შემდეგ ასწორებს შეცდომას: იგი მოზდოკელი სომხის ქალივილია. მესამე ცოლი ამინეთი – ტყვე ქისტი. შამილმა იგი 1854 წელს შეირთო და მალე გაეყარა, როგორც ჩანს, უშვილობის მიზეზით.
- <sup>33</sup> **კნეინა გოლიცინა** – მარია ივანეს ასული, მეუღლე ალ. სერგის ძე გოლიცინისა, ვინც რუსეთის გეოგრ. საზოგ. კავკ. კალენდარზე 1854 წ. ცტ. 650), ანდა ალ. ვლადიმერის ძე გოლიცინისა (იქვე, გვ. 671). სოფიო ალექსანდრეს (ჭავჭავაძის) ასული, ნიკოლაი, ანა ილიას ასული ჭავჭავაძე და მარია გოლიცინა იყვნენ წევრები „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისა“ (იქვე, გვ. 641-642). საფიქრებელია, იქიდან იყვნენ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში.
- <sup>34</sup> **მაჰმადა** – ევგენიევსკოეს მცხოვრები, რომელიც ბარონმა ნიკოლაიმ აირჩია შამილთან მოლაპარაკების გასამართავად. იგი გრ. ორბელიანის მოსამსახურე ზახარკასთან ერთად წავიდა 1854 წლის აგვისტოში ვედენოში იმამისათვის წერილების გადასაცემად. იხ. აკ. განერელიას კომენტარი, გრ. ორბელიანი, წერილები,

II, გვ. 328; ვერდერევსკი მას სოფ. ანდრიევსკის მცხოვრებად მი-იჩნევს, გვ. 189.

- <sup>35</sup> **ჯემალ-ედ-დინი** – ყაზიყუმუხელი, მიურიდიზმის ერთ-ერთი ცნო-ბილი ქადაგი დაღესტანში, შამილის მასწავლებელი, უახლოესი მრჩეველი და ახლობელი. ჯემალ-ედ-დინის ასულ ზაიდეთისაგან შამილს ჰყავდა ორი ძე – ყაზი-მაჰმადი და მაჰმად-შაფი, აგრეთვე ორი ასული – ნაფისეთი და ფატიმათი, – წერს აკ. განერელია. იხ. ალ. დიუმა, გვ. 493. აქ რაღაც მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, რადგან ზაიდეთისაგან შამილს ჰყავდა სამი შვილი: ნაჯა-ვათი, ბახუ-მესედუ და მაჰმადი; ჯემალ-ედ-დინი, ყაზი-მაჰმადი, მაჰმად-შაფი, ნაფისეთი და ფატიმათი მას ჰყავდა თავისი მეორე ცოლის ფატიმათისაგან (იხ. ვერდერევსკი, გვ. 162, აგრეთვე აკ. განერელიას მიერვე შედგენილი შამილისა და მისი ნათესავების გენეალოგიური შტო, გრ. ორბელიანის წერილები, II). დაღესტნის დამარცხების შემდეგ ჯემალ-ედ-დინი ოსმალეთში გადასახლდა (ალ. დიუმა, კავკასია, აკ. განერელიას შენიშვნა, გვ. 493).
- <sup>36</sup> **ჰაზავათი** – ბრძოლა გიაურთა (უმთავრესად რუს-ქართველთა) წინააღმდეგ.
- <sup>37</sup> **ნაჯავათი** – შამილისა და ზაიდეთის ასული, რომელსაც მახინჯი ფეხები ჰქონდა. კალუგაში, სადაც დამარცხების შემდეგ ცხოვ-რობდა შამილი, მისთვის უმკურნალია ექიმ კორუენვესკის და მოურჩენია. შამილის მიერ არაბულად დანერილი მადლობის ბა-რათი ამ ექიმისადმი ინახება აკ. განერელიასთან.
- <sup>38</sup> **ფატიმათი** – ონსოქოლოელი აქიმის აბდულ აზიზისა და ბაკოს ასული. შამილმა იგი შეირთო 30-იან წლებში. გარდაიცვალა 1845 წლის დარღოს ცნობილი ექსპედიციის დროს. დედა ჯემალ-ედ-დინისა, ყაზი-მაჰმადისა, მაჰმად-შაფისა, ნაფისეთისა და ფატიმა-თისა. იხ. შამილი და მისი ნათესავების გენ. შტო.
- <sup>39</sup> **მაჰმად-შაფი** – შამილის მესამე ვაჟი, ღუნიბის კაპიტულაციის შემდეგ მამასთან ერთად ცხოვრობდა რუსეთში, ბოლოს – გენ-ერალ-მაიორი (ალ. დიუმა, კავკასია, გვ. 499).
- <sup>40</sup> **ბაკო** – ვერდერევსკის მიხედვით, ბახუ. იხ. გვ. 163. აკ. განერ-ელიაც ბაკოდ მიიჩნევს; ფატიმათის დედა, ჯემალ-ედ-დინისა და მისი და-ძმების ბებია.

- <sup>41</sup> **ბარონი ვრანგელი** – ალ. ევ. ვრანგელი, გენერალ-ადიუტანტი (1804-1880), 1858 წელს კასპიის მხარეთა გამგებელი და დაღ-ესტნის ჯარების სარდალი, 1859 წელს იერიშით აიღო შამილის რეზიდენცია საჩარჩოში ვედენო (ალ. დიუმა, კავკასია, გვ. 485).
- <sup>42</sup> **ყურანი მიუთითებს:** „თქვენს ცოლებს უმზირეთ ნდომით, მოჰსნ-ყვიტეთ თქვენთვის შენახული ნაყოფი. ნება გაქვსო, ჰეჭამოთ და სვათ, ვიდრე შეიძლოთ თეთრი ძაფის გარჩევა შავ ძაფში. მას უკან მკაცრად დაიცევით მარხულობა ღამემდე. იმ ხანებში თქვენს ცო-ლებს არ მიეკაროთ. უმჯობესია დრო გაატაროთ სათონ საქმით ჯამებში. ასეთია ღვთის საზღვრები“ (ყურანი, თბ., 1906, გვ. 29, თავი II, სურა 183).
- <sup>43</sup> **ცინგა** – ვიტამინ „ც“-ს ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობა. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ნარსულში. ახასი-ათებს ყურების, ცხვირის, ტუჩების, თითების სილურჯე, ნუნების დასიება და სისხლდენა, მყრალი სუნი პირში, კბილთა მორყევა და ცვენა.
- <sup>44</sup> **ხასავ-იურთი** – ყოფილი ციხესიმაგრე (აგებული 1816 წელს) მდინარე იარიაკესუს მარჯვენა ნაპირზე. 1848 წლიდან ყაბარდოს ქვეითა შტაბის სადგომი, ბოლოს „სლობოდა“ (აკ. განერელიას კომენტარი). გროზნოდან მდებარეობს 72 ვერსზე. იხ. Е. Вейден-ბაум. Путеводитель по Кавказу. Тифлис, 1888, стр. 259.
- <sup>45</sup> **ე. ვერდევრევსკი** პირიქით მიუთითებს. იხ. მისი წიგნის 82-ე და 89-ე გვერდები.
- <sup>46</sup> **დიუმა** „კავკასიაში“ წერს: „ამას წინათ შამილმა მთებში ტყვიის ქარხანა ააგო“. თოფის ნამალს დაღესტანში რამდენიმე ადგილას ამზადებდნენ: ონსოქოლოში, ღუნიბში, დაბოლოს, დიდი რაოდე-ნობით – ვედენში. აკ. განერელია მიუთითებს, რომ ვედენში ქარხანას ხელმძღვანელობდა ჯიბრაილ ონსოქოლოელი (ალ. დიუმა, გვ. 494).
- <sup>47</sup> **ფელისიენი დავითი (1819-1876)** – ფრანგი კომპოზიტორი, 1869 წლიდან საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი; ფრანგულ მუსიკაში ორიენტალიზმის პირველი შემომტანი, ავტორი ოპერებისა: „ბრა-ზილიის მარგალიტი“, „საფირონი“, „ლალა რუკ“ (რომანტიკოს თომას მურის პოემის მიხედვით) და სხვ. მასვე ეკუთვნის პიესე-

ბი „აღმოსავლური მელოდიები“, ოდა-სიმფონია „ქრისტეფორე კოლუმბი“...

ოდა-სიმფონია „უდაბნო“ შექმნა 1844 წელს პოეტ ო. კოლენის ტექსტზე.

თვითონ საინტერესო პიროვნება გახლდათ. 1833-1835 წლებში მისიონერობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც უტოპიურ იდეებს ქადაგებდა. აქ შეისწავლა და შეკრიბა აღმოსავლური მელოდიები, რაც შემდეგ თავის ორიგინალურ ნაწარმოებებში სათანადოდ გამოიყენა.

1856 წელს ფელისიენ დავიდის „უდაბნო“ შესრულებულა პეტერბურგში. „მუზიკალნი ი ტეატრალნი ვესტნიკი“ 1856 წლის მე-11 ნომერში აქცეყნებს ა.გ. სეროვის ნერილს „წინა კვირის კონცერტთა მიმოხილვას“. იმის გასათვალისწინებლად, თუ რატომ მოაგონა ანა დრანსეს ნაფისეთის არაბულმა სიმღერებმა „უდაბნო“, ზედმეტი არ იქნება რამდენიმე ამონანერის მოყვანაა ამ სტატიიდან.

ოდა-სიმფონია „უდაბნომ“ პარიზში დიდი აურზაური გამოიწვია. პარიზულმა ჟურნალ-გაზეთებმა იგი დააყენეს ბეთჰოვენის სიმფონიების გვერდით და მის ავტორს არგუნეს ეპოქის გენიის წოდება, თანაც ახალი გზის მაჩვენებელი გენიისა – აღიარეს რასმების სამყაროს კოლუმბად... აღნიშნულ ოდა-სიმფონიაში ზოგი რამ საკმაოდ კარგიც არის. განსაკუთრებით ეფექტურია მისი ორკესტრირება, ადგილ-ადგილ კი გარკვეული პოეტურობაც. მასში ზუსტად არის აღქმული და მინიშნებული ბევრი ადგილობრივი „ეგვიპტური“ კოლორიტული ჰანგი...

აღმოსავლური ჰანგები რომ ერთმანეთის მსგავსია, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ჰანგი, რაც ფ. დავიდის ოდა-სიმფონიაში გვხვდება, ზუსტად მეორდება მ. ი. გლინკას ოპერა „რუსლანში“ და ეს იმიტომ, რომ ერთმა კომპოზიტორმა იგი ჩაიწერა ნატურიდან, ეგვიპტეში, ხოლო მეორეს კავკასიოდან ჩამოუტანეს...

ნაწარმოების პირველ ნაწილში კარგია ქარავნის მარში მელოდიის ორიგინალურობითა და ეფექტური დამუშავებით. ტრამალის ქარიშხალი გამოხატულია მშვენივრად... მუეძინის სიმღერა გადმოცემულია სწორად, თუმცა რამდენადმე ველურად და ულაზა-

თოდ (იხ. ა.ნ. სეროვი, კრიტიკული სტატიები, ტ. I, სანკტ-პეტერბურგი, 1892).

- <sup>48</sup> **ბარონი ნიკოლაი** – ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი (1829-1891), გენერალ-მაიორი, ყაბარდოს პოლკის კომანდირი 1852-1857 წლებში და ხასავ-იურთის ციხის კომენდანტი, შემდეგში – გენერალ-ადიუტანტი. მის შესახებ წყაროები იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, II, გვ. 326. ლ.პ. ნიკოლაი ძმა იყო ალ. ნიკოლაისი, ვისაც ცოლად ესვა დავით ჭავჭავაძის დაი სოფიო. ამიტომაც იღებდა ასეთ გულმბურვალე მონანილეობას ტყვეთა გამოხსნაში. 1855 წლის 22 ივლისს გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ნინო გრიბოედოვა წერდა: „...ბარონ ნიკოლაისაგან დავალებული ვართ ერთობ. ასეთი მეგობრობა და მოყვრობა გვიჩვენა იმ ჩვენს საშინელ უბედურებაში!“ ახალგაზრდა, მეტად სასიამოვნო, სიმპათიური, თავაზიანი ლეონტი პავლეს ძე – ასე ახასიათებს მას ზისერმანი წიგნში „25 წელი კავკასიაში“, გვ. 312.
- <sup>49</sup> **ქრისტეს მიბაძვა** – უფრო ზუსტად „De imitatione Christi“ („О подражании Христу“). ეს თეოსოფიური შრომა მიეწერება შუა საუკუნეების მისტიკოსს თომას კემპენელს (თ. ხამერკენს, 1380-1471). კემპენი დიუსელდორფის ახლოს მდებარეობს. ფსევდონიმიც აქედან მომდინარეობს; ეკუთვნის რამდენიმე რელიგიური ტრაქტატი. ყველაზე პოპულარული კი მათ შორის გახდა ლათინურ ენაზე დაწერილი „ქრისტეს მიბაძვა“, რომლის მთავარი იდეაა ასკეტიზმი და განდგომა, ზნეობრივი თვითსრულქმნა.
- კ. კემპელის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მივაგენით ამ ნაშრომის რამდენიმე თარგმანს. ერთ-ერთის წინასიტყვაში წერია: „აწე ქრისტეს მიერ ძმანო სულიერნო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოველთ გუართ ენაზე გადათარგმანებული არის, ან, მე ვიფიქრე, რომ ქართულის გვარი ამ მადლისაგან არ გამოვარდეს (იხ. H-3133, კემფელი თომა, მიბაძვა ქრისტესი, 4 ნაწილად). იქვეა ნარკვევი „ცხოვრება თ. კემფელისა“, ხოლო Q-513 ნომრით დაცული ტექსტი გვამცნობს, რომ „თანადგომა ქრისტესი“ უთარგმნია გორელ დავით პაპაშვილს რომში „პროპაგანდა ფიდეში“ სწავლისას 1740 წელს. ეს წიგნი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ნაქმია. Q-541 ნომრით არის დაცული მესამე ტექსტი. თბილისის რე-

სპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში კი მოიპოვება გორში 1889-1890 წლებში გამოცემული თომა კემფელის „მიბაძვა ქრისტესი“, ლათინურიდან თარგმნილი პატრის ანსელმო მღებრიშვილისაგან. სტილი გაუკეთებია ნიკო ლომოურს.

ამ წიგნთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: დავით გურამიშვილი „ქართლის ჭირში“ ერთგან წერს: ქართველები აირივნენ, დაირყვნენ, იწყეს პარვა, ტაცება, კაცთა კვლა, ღმერთსა და ხელმწიფეს არად დაგიდევდნენო. ამ ვითარებაში მეფის რჩეული კარისკაცები (იგულისხმება სულხან ორბელიანი და სხვანი) ტყუილად კი არ იყვნენ, ცდილობდნენ ხალხის საწარმართო გზაზე შემობრუნებას და სხვა ლონისძიებებთან ერთადო –

**ასწავლიდიან რჩეულნი თავიათ ქვეყნის მეფისა, ნაუკითხიან პრძანება, გამოთარგმნილი კეფისა.**

გურამიშვილის პირველ გამოცემებში „კეფისა“ განმარტებული იყო, როგორც კეფა, თავის უკანა ნაწილი; შემდეგ ეს აბსურდი გამოასწორეს და სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონზე დაყრდნობით განმარტეს – „კეფისა“ ნიშნავსო ხელნაწერ ფურცელს. ამ კონტექსტში ეს გაგებაც ბუნდოვანია და აშკარად გაუგებარი. რაკი ვიცით, რომ თომა კემფელის წიგნში „ქრისტეს მიბაძვა“ არის რჩევები, თუ როგორ დაიცვას ჭეშმარიტმა ქრისტიანმა რჯული და წესიერება, თავისი ქვეყნისა და ქრისტიანობის წესები, ამიტომ საფიქრებელია, რომ დავით გურამიშვილის „კეფისა“ ნიშნავდეს „კემფლისა“-ს. ესე იგი, მეფის კარისკაცები ხალხს უკითხავდნენ წიგნს, კემფლის გადმოთარგმნილ ნაშრომს, რომლის მეოხებითაც ქრისტიანულ რწმენას უმტკიცებდნენო. „კემფელისა“ სარითმო კლაუზულაში ადვილად მოგვცემს სიტყვას „კეფისა“. გავიხსენოთ, რომ სხვაგან გურამიშვილი რითმაში სიტყვა „მონისლა“-ს ასე ასწორებს – „მონისა“, „ფეტვი“-ს მაგივრად წერს სიტყვას „ფეტი“. „ქრისტეს მიბაძვა“ კემფლისა მაშინ მართლაც სჭირდებოდა ქრისტიანობისაგან განმდგარ ერს.

თუ ეს ასეა, მაშინ დგება საკითხი: კემფელის მსოფლიოში პოპულარული წიგნი „ქართლად“ ჯერ კიდევ 1720-30-იან წლებში შემოუტანიათ ვატიკანსა და მის „პროპაგანდა ფიდეს“ („პროპაგანდა ფიდე“ – ვატიკანში საგანგებო სასწავლებელი, სადაც სო-

მეხ და ქართველ ახალგაზრდებს კათოლიკურ იდეებზე ზრდიდნენ, ამზადებდნენ პატრებად და შემდეგ ქართლსა და სომხეთში სამისიონერო მოღვაწეობისათვის აგზავნიდნენ).

- <sup>50</sup> **ჰაჯი-რებილი** – თათრის ქალი, შამილის შვილების აღმზრდელი.
- <sup>51</sup> **მურავიოვი** (კარსკი) – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794-1866), ინფანტერიის გენერალი 1853 წლიდან, დეკაბრისტ ა. ნ. მურავიოვის ძმა; მსახურობდა კავკასიაში, მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთისა (1826-28) და რუსეთ-თურქეთის (1828-29) ომებში, მფარველობდა დეკაბრისტებს, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს. 1848 წელს კვლავ დაუბრუნდა სამსახურს; 1854 წელს დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად; აილო ყარსი. აქედანაა მისი ზედწოდებაც – კარსკი.
- <sup>52</sup> **ნადეჟდა პისარევა** – როგორც ჩანს, ილია ბატონიშვილს მესამე ქალიშვილიც ჰყოლია – პისარევზე გათხოვილი. რაც შეეხება უფროს ვაჟს პეტრეს, ყარსის აღებისას მოკლეს 1855 წლის 17 სექტემბერს, დაიბადა 1836 წელს.
- <sup>53</sup> იმხანად მისი პოლკი პოლონეთის სამეფოში იმყოფებოდა. იხ. ვერდერევსკი, გვ. 384.
- <sup>54</sup> **სამეგრელოს მთავრინა** – ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის დაი, რომელსაც ნიკ. ბარათაშვილმა უძლვნა ლექსების ციკლი („საყურე“, „თავადის ჭავის ასულს ეკ...ნას“ და სხვ); მაშინდელი საქართველოს ულამაზესი ფერია, ვისაც სხვებმაც უძლვნეს ლექსები, კერძოდ, გრ. ორბელიანმაც. როგორც ცნობილმა მკვლევარმა შალვა ალხაზიშვილმა დაადგინა, მისთვის ლექსთა ციკლი უძლვნია ლერმონტოვსაც (იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1957, 1, გვ. 186, „ლერმონტოვი საქართველოში“).
- <sup>55</sup> **ანა** – ანა დრანსე (Anna Drancey), ფრანგის ქალი, რომელიც გუვერნანტად მსახურობდა თავად დავით ჭავჭავაძის ოჯახში; ზრდიდა დავითის ორ ქალიშვილს – მარიამსა და სალომეს. მთელი ტყვეობა კნეინებთან ერთად გაატარა და შემდეგ პარიზში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი „შამილის ტყვე ქალები“. როგორც ჩანს, პარიზში ჰყოლია დატოვებული მოხუცი დედა და 10 წლის ვაჟი. ჯერ კიდევ რუსეთში მყოფს ვერდერევსკისათვის განუცხა-

დებია, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა დაენერა ტყვეობის თავგა-დასავალი. იხ. ვერდ. გვ. 372; მართლაც, 1857 წელს პარიზში გა-მოვიდა მისი წიგნი, რაც რუსულად თარგმნა კირილე ძიუბინსკიმ და უძღვნა დ. ჭავჭავაძეს. რუსული თარგმანი გამოიცა სამჯერ და არა ორჯერ, როგორც ამას აკ. განერელია აღნიშნავს. იხ. ალ. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 12. სამივე გამოცემა თბილისში განხორციელდა. პირველი – 1858 წელს, ხოლო მეორე და მესამე – 1859 წელს. სამივე სხვადასხვა ფორმატისაა. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია სამივე გამოცემა. უინტერესო არ იქნება, გავეცნოთ ამ ეგზემპლარების იმ წარწერებს, რაც პოეტი-აკადემიკოსისა და დიდი ქართველი ბიბლიოფილის კალამს ეკუთვნის, მით უფრო, რომ ქართული თარგმანის საკითხებსაც გვითვალისწინებს: ერთ გამოცემაზე შემდეგია წარწერილი: „იშვი-ათია, ი. გრიშაშვილი“; მეორეზე – „ეს წიგნი წათარგმნი ყოფილა და უნდა დაბეჭდილიყო კიდეც, მაგრამ ალარ დაიბეჭდა: „ცისკარ-ში“ ვკითხულობთ: „პირველის იანვრითგან იხილვენ მკითხველნი იმ სასიამოვნო ანბავსა, რომელისაცა კითხვის სურვილი ბევრსა აქვს – ეს ანბავი იქნება წათარგმნი ქალის დრანსეს თხზულებით-გან, რომელიცა ჩინებულად აღწერს თავისს შამილისგნით დატყ-ვევებასა და დატყვევებასა კნ. ილ. ორბელიანის და კნ. დ. ჭავჭა-ვაძის სახლობისას“ („ცისკარი“, 1860 წ.). ი. გრიშაშვილი; მესამე ცალზე აწერია: „დრანსეს წიგნი უნდა გამოსულიყო ქართულად“. ამ ახლოს ხანებში ექნება (ე. ი. ენფიზიანის წიგნის მაღაზიას, – ი. გ.) აგრეთვე გასასყიდი „შამილის ტყვენი“ ფრანციცულ ენაზედ შეთხზული თვით ტყვე ქალის დრანსესი – წათარგმნი ი. კერე-სელიძისა, გამოცემული ენფიზიანცისაგან („ცისკარი“, 1859 წ. ნოემბერი, გვ. 279, ყდაზე)“.

ამრიგად, ირკვევა, რომ ივ. კერესელიძეს, „ცისკარის“ რედაქ-ტორსა და გამომცემელს, ქართულად უთარგმნია ეს წიგნი და დასაბეჭდადაც მზადა ჰქონია, თუმცა ბოლოს, რაღაც მიზეზით, ველარ გამოუცია იგი.

შამილის მიერ ქართველ მანდილოსანთა გატაცების ამბავს არაერთხელ იყენებს თავის წანარმობებში ბერტა ზუტნერიც.

იხ. 6. კაკაბაძე, 6. რუხაძე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963, გვ. 47-48, 105-114.

<sup>56</sup> მდინარე მიჩიკი იგულისხმება, რომლის ახლოსაც მოხდა გაცვლა.

<sup>57</sup> ბაგრატიონი – ალბათ, იგულისხმება ივ. რომ. ბაგრატიონი, დაღესტნის ცხენოსანთა რეგულირებული პოლკის უფროსი, მაიორი, შემდეგ – პოლკოვნიკი, მაგრამ იგი 1855 წ. არ ყოფილა პოლკოვნიკი (იხ. აქტები, ტ. 12, გვ. III და ა. ზისერმანი, გვ. 214, აგრეთვე ვერდერევსკი, გვ. 299; ალ. დიუმა, კავკასია, გვ. 485).

<sup>58</sup> კურინსკის სიმაგრე – რუსთა ყველაზე უკიდურესი გამაგრება დაღესტნის ხაზზე, ხასავ-იურთთან ახლოს. გაშენებული იყო კარ्पალიკის ქედის ძირში, მდ. მიჩიკის ველზე.

<sup>59</sup> ნიკოლოზ პირველი – ნიკ. პავლეს ძე რომანოვი (დაიბ. 1796 წ. გარდაიცვალა 1855 წლის 18.2). ტყვეთა გაცვლა კი მოხდა 10.3.

<sup>60</sup> ილია ბაგრატიონი – ილია ბატონიშვილი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძე, გარდაიცვალა 1855 წ.

<sup>61</sup> უსპენსკის ტაძარი – მოსკოვის კრემლის ტაძარი. ამ სახელწოდების ეკლესია რუსეთში ბევრია, რაც შემდეგით ასხსნება: დვთისმშობლის მიძინების ხსოვნის აღსანიშნავად აგებდნენ მიძინების ტაძრებს.

**Anne Drancy**  
**SHAMIL'S CAPTIVE WOMEN**

Summary

Anne Drancy's "Shamil's Captive Woman" came out in Paris in 1857. Alexandre Dumas wrote about it: "The events of Caucasia and Shamil are described in this book as it befits a woman's observant eye".

Madam Drancy characterizes both Georgians and Lezghins as a people of brave, chivalrous nature, considering the clashes that took place between them as the imperial crime of tsarism.

The book touches also upon the ethnography of Caucasian peoples and their relations, producing true portraits of well-known historical persons (Shamil, Grigol Orbeliani, David Chavchavadze, Jemal-ed-Din...).

# საქართველო

## პირთა სახელები

### ა

ალექსანდრა (დავით ჭავჭავაძის ბავშვების ძმის) 34, 36, 47, 48, 84

ალექსანდრე II, რუსეთის იმპერატორი 118, 136, 137, 139, 140

ამინეთი (შამილის მესამე ცოლი) 70, 72-75, 77-81, 84, 86, 97, 100, 106, 107, 109, 125

ანა იხ. შუანეთი

გიორგი XIII (საქართველოს უკანასკნელი მეფე) 4

გოლიცინა 65

გორლიჩენკო, ჭავჭავაძეთა ოჯახის ექიმი 9, 14

### ც

დანიელ-ბეგი (შამილის შვილს ყაზი-მაჰმადის სიმამრი) 41, 69, 80, 134

დარეჯანი (თავადის მოურავის მეუღლე) 26, 85

### პ

ბაგრატიონი ანასტასია (ილია ბაგრატიონის ცოლი) 137, 139

ბაგრატიონი ივანე (დალესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი) 134, 135

ბაგრატიონი ილია (გიორგი XII-ის ვაჟი) 136, 137

ბაკო (ფატიმათის დედა) 73, 74, 80, 86, 125

ბარათაშვილი ნინო 7, 54, 57, 90, 105-109, 112, 129, 130

ბარბარე (ახალგაზრდა ქალიშვილი) 88

### გ

გიორგი XII (იხ. გიორგი XIII)

ევა 38, 47, 63, 95, 128, 130

ელო 22, 47, 63, 120

### ჸ

ვორონცოვი მიხეილ სიმეონის ძე 42

ვრანგელი პეტრე ნიკოლოზის ძე (გენერალი) 77

### ზ

ზაიდეთი (შამილის პირველი ცოლი) 66, 70, 73-75, 77-81, 84, 88, 93, 97, 104, 113-116, 121, 124-127, 129, 130

ზაიდეთი (შამილისა და შუანეთის ასული) 71, 92, 112, 128

ზურია (დავით ჭავჭავაძის გლეხი) 10-12  
მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის  
ძე 117

## თ

თამარი (თარჯიშანი) 114, 115  
თეკლა (თავადის მოურავის გოგო-  
ნა) 85, 86  
თინია (თავადის დეიდა) 10, 12,  
15, 19

## ი

ივანე 29-31, 35-37, 59, 60

## კ

კარიმათი (შამილის შვილის ყაზი-  
მაჰმადის ცოლი, დანიელ-  
ბეგის ასული) 80, 81, 128-130  
კატერინა (ანა ჭავჭავაძის მოახლე)  
84, 88, 106  
კატერინა (ბარბარე ორბელიანის  
ვაჟის გამდელი) 50, 55, 62,  
112, 130

## ლ

ლუცია (ანა ჭავჭავაძის მოახლე)  
21, 47

## მ

მაჰმად-შაფი (შამილისა და ფატი-  
მათის ვაჟი) 71, 85  
მაჰმადა 65  
მელანო (ელოს დედა) 63, 119,  
121

## ნ

ნადეჟდა პისარევა (სავარაუდოდ  
ილია ბატონიშვილის ქალიშვი-  
ლი) 117

ნანანი (ამინეთის დედა) 73  
ნაფისეთი (შამილისა და ფატიმა-  
თის ასული) 71, 80, 85, 86  
ნაჯავათი (შამილისა და ზაიდეთის  
ასული) 70, 109, 116  
ნიკო (მოახლე კატერინას შვილი)  
84

ნიკოლაი ბარონი (დავით ჭავჭავა-  
ძის დის – სოფიოს მეუღლე)  
101, 117, 118, 134, 136

ნიკოლოზ I, რუსეთის იმპერატორი  
39, 41, 117, 120  
ნიკოლოზი (ილია ბაგრატიონის  
შვილი) 137

## ო

ორბელიანი ბარბარე 7, 12, 13,  
15, 16, 19, 21, 32-34, 36, 38-  
41, 43, 45, 47, 50, 57, 63-65,  
72, 84, 87-89, 101, 102, 106,  
107, 111, 112, 114-116, 119,  
124, 128, 130, 131, 133, 137,  
139

ორბელიანი გიორგი 7, 15, 16, 22,  
32, 38, 40, 50, 62, 88, 92, 99,  
112, 119, 126, 128, 130, 133  
ორბელიანი გრიგოლი 57, 65, 87

ორბელიანი ილიკო 8, 39, 40, 64,  
88, 138

### პ

პელაგო 51, 53, 91, 94, 95

### რ

რეადი ნიკოლოზ ანდრიას ძე 42

### ფ

ფარიზათი (შამილის მსახური)  
100

ფატიმათი (შამილის გარდაცვლ-  
ილი ცოლი) 71

ფატიმათი (შამილისა და ფატიმ-  
ათის ასული) 71, 80

ფელისიენი დავით 100

### ყ

ყაზი-მაჰმადი (შამილის და ფატი-  
მათის ვაჟი) 41, 71, 80, 81,  
114, 115, 134

ყონალო (შამილის ცოლების მსახ-  
ური) 94, 95

### შ

შამილი 5, 8, 24, 25, 37-42, 52-54,  
57-59, 61-63, 65-67, 69-83, 85-  
87, 91-100, 102-136, 139

შუანეთი (შამილის მეორე ცოლი),  
იგივე ანა 62, 70-75, 77-81, 84,  
86, 89-93, 95, 96, 105, 108-  
115, 120, 122, 124, 127-130

### ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე (დავით  
ჭავჭავაძის ვაჟი) 5, 21, 38,  
52, 84, 91, 99, 126, 130

ჭავჭავაძე ანა (დავით ჭავჭავაძის  
მეულე) 4, 7, 10, 13-15, 18,  
19, 21, 25, 34, 38, 41, 42, 47,  
50, 52, 63, 64, 88, 92, 101,  
104, 112, 114, 115, 124, 126-  
128, 130, 131, 134, 137, 139,  
140

ჭავჭავაძე დავით 4, 6, 8, 14, 15,  
41-43, 65, 87, 111, 112, 115-  
121, 125, 126, 130, 132, 134,  
135, 138, 139, 140

ჭავჭავაძე თამარ დავითის ასული)  
5, 23, 38, 47, 130

ჭავჭავაძე ლიდია დავითის ასული  
5, 9, 15, 18, 21, 25, 26, 36,  
38, 63

ჭავჭავაძე მარია დავითის ასული  
5, 12, 15, 17, 18, 22, 24, 60,  
83, 87, 101, 104, 109, 125,  
130

ჭავჭავაძე ნიკო (დავით ჭავჭავაძის  
ნათესავი) 43, 46, 131

ჭავჭავაძე სალომე 5, 12, 15, 18,  
22, 38, 47, 60, 83, 87, 101,  
104, 109, 125, 130

### ხ

ხაჯი (შამილის მოურავი) 38, 63,  
65, 85, 95, 97, 100, 105, 114,  
120, 121, 125, 129, 132-134,  
145

**ქ**

ჯემალ-ედ-დინი (ზაიდეთის მამა) 66, 115, 121, 122, 124

ჯემალ-ედ-დინი (შამილის და ფატიმათის ვაჟი) 39, 64, 71, 87, 94, 107, 108, 110, 111, 117, 118, 122, 125, 126, 129, 134, 135

**ჰ**

ჰასანი 125

ჰაჯი (იბ. ხაჯი) 133

ჰაჯი-რებილი (შამილის შვილების აღმზრდელი) 105-109, 113, 114, 129

ჰაჯი-ქემირი 27-34, 37, 38, 59, 69

**ა**

აზია 5, 7

ალაზანგალმა მხარე 24

ალაზანი 8, 10, 21, 23

ალაზნის ველი 4

ალაზნის ზოლი 5

ამიერკავკასია 5

არაბები 22

**ღ**

დარლო 71, 125

დაღესტანი 138

დერბენტი 138

**გ**

ევროპა 78, 81

ელიზავეტოპოლი 138

**ჸ**

ვედენო 39, 41, 42, 53, 56, 67, 71-73, 78, 83, 92, 95, 96, 122, 132

ვლადიკავკაზი 94, 117, 118

**თ**

თათრები 65, 138

თბილისი 3, 4, 6-8, 10, 15, 41, 42, 86, 88, 122, 136, 138, 139

თელავი 4, 8-11, 14, 19

თემურ-ხან-შურა 138

თურქები 8, 40, 54

**ჸ**

კავკასია 42, 76, 117

კავკასიის მთები 8

კახეთი 4-6, 130

- კონსტანტინოპოლი 51  
კურინსკის სიმაგრე 134-136
- ლ**  
ლევები 5, 8-16, 20-22, 25, 31, 43, 44, 46-48, 51-53, 56, 57, 66-68, 76, 81, 85, 88, 92, 93, 98, 110, 119, 123, 131, 134, 135
- მ**  
მთიელები 14, 16, 19, 20-24, 26, 27, 28, 31-36, 38, 40, 42-46, 49, 50-52, 57, 59, 63, 66, 67, 95, 98, 125, 126  
მოზდოვა 71  
მოსკოვი 88, 117, 136, 139  
მოსკოვის კრემლის ტაძარი (იხ. უსპენსკის ტაძარი)
- ჰ**  
ჰარიზი 87, 102  
ჰეტეროფი 139, 140  
ჰლონეთის სამეფო 118
- რ**  
რუსები 6, 32, 33, 41, 42, 52, 54, 56, 62, 63, 67, 68, 71, 77, 91, 98, 120, 122, 125, 128, 131-135, 140  
რუსეთი 6, 33, 64, 67, 123
- ს**  
სანკტ-პეტერბურგი 137, 139  
საფრანგეთი 3, 65, 101, 102, 138  
საქართველო 3, 64  
სომხები 11, 51, 71, 119
- უ**  
უსპენსკის ტაძარი (მოსკოვის კრემლის ტაძარი) 139
- ჯ**  
ფოხალის კოშკი 36, 38, 42, 43, 56  
ფრანგები 17, 32, 33, 55, 56, 64, 137
- ქ**  
ქართველები 6, 13, 15, 24, 33, 35, 43, 46, 51, 57, 60, 64, 68, 82, 84, 89, 98, 108, 112, 130  
ქისტები 73
- ყ**  
ყუბანი 138
- შ**  
შარაფოვო 137
- ჩ**  
ჩერქეზები 108  
ჩეჩენები 17, 22, 26, 66, 98  
ჩინელები 96

**б**

ნინანდალი 3-5, 7-10, 12, 17, 22,  
25, 26, 33, 35, 51, 58, 62, 65,  
71, 95, 114, 119, 139

**ბ**

ხასავ-იურთი 92, 93, 112, 117,  
118, 125, 126, 128, 136, 138

## სარჩევი

I.	თბილისიდან გამგზავრება. წინანდალი .....	3
II.	მედუქნე.....	9
III.	ლეკები. ტყვეობა.....	13
IV.	წინანდლის გაძარცვა. გამგზავრება .....	17
V.	ალაზანი.....	21
VI.	თავდასხმა. ლიდიას სიკვდილი.....	24
VII.	ღამე ტყეში. ჰაჯი-ქერიმი .....	27
VIII.	ძიძა .....	31
IX.	ფოხალის კოშკი.....	36
X.	თავადი ილიკო ორბელიანი.....	39
XI.	ვედენოში გამგზავრება.....	41
XII.	მწყემსები .....	45
XIII.	მოხუცი მოლა .....	50
XIV.	კვლავ გზაში .....	53
XV.	ახალგაზრდა მოლა.....	55
XVI.	პირბადე .....	56
XVII.	შამილის აული .....	58
XVIII.	შამილის ცოლები .....	61
XIX.	ფრანგული წერილი .....	63
XX.	იმამი შამილი .....	66
XXI.	ზაიდეთი. შუანეთი. ამინეთი .....	70
XXII.	ოჯახური ყოფის წვრილმანები .....	74
XXIII.	სამი კაბა. შამილი და ამინეთი .....	77
XXIV.	ყაზი-მაპმადი .....	80
XXV.	ახალი წამებანი. წაფისეთი და თეკლა.....	82
XXVI.	ბარბარე. კნეინა ორბელიანი .....	87
XXVII.	ექიმბაშები. ავი თვალი. პელაგო.....	91

XXVIII.	ქორწილი ვედენოში .....	95
XXIX.	მოწყენილობა.....	99
XXX.	ქურქი .....	104
XXXI.	თავადის ასული ნინო ბარათოვი და პაჭი-რებილი.....	106
XXXII.	ბჭობა ტყვეთა გაყიდვის თაობაზე.....	110
XXXIII.	შამილის უკანასკნელი პირობები.....	114
XXXIV.	ჯემალ-ედ-დინი, შვილი შამილისა.....	117
XXXV.	პორტრეტი. მელანო .....	119
XXXVI.	ჯემალ-ედ-დინი, ზაიდეთის მამა. დარვიში. გათავისუფლება.....	121
XXXVII.	გამგზავრების წინ .....	125
XXXVIII.	გამომშვიდობება.....	129
XXXIX.	დაბრუნება. მეეტლე .....	131
XL.	გაცვლა. კურინსკის ციხესიმაგრე .....	133
XLI.	ხასავ-იურთი. თბილისი. მოსკოვი. იმპერატორი ალექსანდრე II .....	136
	<b>შენიშვნები .....</b>	141
	Anne Drancy, Shamil's Captive Women (Summary) .....	157
	<b>საძიებლები</b>	
	პირთა სახელები.....	158
	გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები.....	161

## **საგამომცემლო პრეზი**

ლაშა გადელია  
ანა კვანჭიანი  
ლიკა სხირტლაძე  
გელა ფილიშვილი  
მაყვალა ხატიაშვილი  
თამთა ჯანაშია  
ალექსანდრე ჯიქურიძე

## **გარეკანის ღიზაბედი**

ილია ხელაიასი

## **გამომცემლობა არტანუჯი**

---

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17<sup>ა</sup>. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.  
artanuji@artanuji.ge [www.artanuji.ge](http://www.artanuji.ge)